ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო ჟრომების კრებული

№4

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი
2012-2013

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2012 წლის 10 ივლისს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: მალხაზ მუმლაძე
წევრები: ზურაბ ტიელიძე, ნელი გოგინაშვილი, ლევან მიდოდაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: ნინო ლიპარტელიანი
წევრები: ლია ბიბილაშვილი, დავით ჭიოტაშვილი, დავით ბიძინაშვილი, ხალიანა ჩიტაძე, გელა შაქარაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: მალხაზ ლომსაძე
წევრები: ელგუჯა ჭანტურია, მაია აზმაიფარაშვილი

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: მარინე ცერცვაძე
წევრები: შოთა ქურდაძე, თამარ გოგოლაძე, ნათელა ხინჩაგაშვილი, გიორგი ხორბალაძე

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: მარიამ კობერიძე
წევრები: ვიანორ ახალაია, ელენე ხოჯევანიშვილი, ნიკოლოზ ოთინაშვილი

სექცია „ისტორია“
თავმჯდომარე: ელდარ მამისთვალიშვილი
წევრები: ვაჟა ჩოჩია, მამუკა ჯოლბორდი, დავით ჩოჩიშვილი

ISSN 2233-3320

შინაარსი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბესტავაშვილი მარინა - *კავშირები ადამიანის ბიოველს, აურასა და ფიზიკურ სხეულს შორის. მისი გავლენა ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე – 6*

ბუჩუკური შორენა - *რუკისა და გლობუსის გამოყენება დაწყებით კლასებში – 10*

დავაძე ზაზა - *ქართული ჭიდაობის ტექნიკის ელემენტების სწავლება ძიუდოს მოსამზადებელ ჯგუფებში – 16*

თამლიანი გიორგი - *ორგანიზმის ზოგიერთ ფუნქციათა თავისებურებანი დიდი სიმძლავრის ფიზიკური დატვირთვის დროს – 20*

ტერუნაშვილი მერი - *ნდობის ინტერვალი და ჰიპოთეზის შემოწმება საშუალოებისათვის სამამოკრეფიანი შერჩევის დროს – 22*

წიქარიშვილი ქეთევან - *ბორჯომის მინერალური წყლის ბიოლოგიური და ჰიდროქიმიური მაჩვენებლების შესახებ – 24*

ხურციძე ნანა - *მინერალური ნივთიერებების მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისთვის – 28*

ბიზნესი და მართვა

არჩუაძე ნათია, ჩიხლაძე ცირა - *სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივები სოფლის მეურნეობაში – 30*

ბედოშვილი თამარ, ფაცინაშვილი ქეთევან - *ურთიერთკავშირი ქვეყნის ეკონომიკასა და კინოინდუსტრიას შორის – 34*

ბედოშვილი თამარ, ჭინჭარაშვილი მაია - *ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები – 38*

დურული მარიკა, ხაჩიძე ქსენია - *მარგალიტი, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს პროდუქტი – 41*

დურული მარიკა, ხაჩიძე ქსენია - *XXI საუკუნის ბრენდი კომპანია Dell-ის მაგალითზე – 44*

კაპანაძე თამთა, ილურიძე ნათია - *ეროვნულ კულტურათა გავლენა რეკლამაზე – 47*

მანძულაშვილი გიორგი, ჯერანაშვილი ეკატერინა - *რეალური ინვესტიციები ქართულ აგრობიზნესში – 49*

ნადირაძე თამარ, მიჩიტაშვილი ლალი, პოღოზაშვილი რუსუდან, საათაშვილი მაკა - *მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები საქართველოში – 52*

ნასუაშვილი ნათია, მეზვრიშვილი ეკა, ფერაძე მარინე, დათუნაშვილი ნინო - *მომსახურების სფეროს განვითარების პერსპექტივები – 55*

ფარეხელაშვილი თამთა, ღარიბაშვილი ნინო - *ეკონომიკური პროცესები და ტენდენციები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ფონზე – 61*

ციცაგი ვლადიმერ, ხაბაზიშვილი ამირან - *სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები – 64*

ხმიადაშვილი თამარ - *დასაქმების პრობლემები და მისი დარეგულირების გზები – 66*

ჯღირაძე მარიამ - *მარკეტინგული კომუნიკაციების როლი ბიზნესში – 69*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ბერუაშვილი ნინო, გოგიაშვილი ფიქრია, კაკაშვილი თეონა - *ენა, როგორც ყოფიერების სახლი – 73*

ეცადაშვილი თამარ - *მტკიცებულებანი და მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში – 76*

ეცადაშვილი თამარ - *დამნაშავის შეპყრობა – 79*

მინდიაშვილი ნათია, შავშიშვილი ნანა - *ცივილიზაცია და ევოლუცია – 82*

ტოროშელიძე ზურაბ - *მართლზომიერი რისკი – 85*

ღვინიაშვილი ირმა - *ათენის სამართალი და ძველი სპარტა – 87*

ძიძიგური სოფიო - *ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების და აღსრულების თავისებურებანი – 90*

ლინგვისტიკა

ბერიძე ლიკა, ყულიაშვილი მერი - *სუფიქსური წარმოების ნიშნები (დაკვირვება სოფელ ლოპანის მცხოვრებთა მეტყველებაზე) – 93*

მახათაძე ნინო - *დიალექტოლოგიური მასალები სოფელ მეჯვრისხევიდან – 95*

ქაჯაია თეონა - *„დაჰბადა“ და „მოვიდა“ ზმნების უღვლილების თავისებურებანი II ბრძანებითში – 97*

ცერაძე თამარ - *ლურჯ ფერთა პალიტრა (ცისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი, იისფერი) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში – 100*

ხარიბეგაშვილი მარიამი - *უკავშირო შეერთება კონსტანტინე გამსახურდიას "მთვარის მოტაცების" მიხედვით – 104*

ლიტერატურა

თარაშვილი ეველინა - *ნიკო ლომოურის ხალხოსნურ-განმანათლებლური მოღვაწეობა და ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსი – 107*

ტერტერაშვილი ნათია - *სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ხალხური და ანტიკური სათავეები – 110*

ქელეხსაშვილი მარიამი - *ღვინისა და ვაზის კულტი ქართულ ლეგენდებში – 113*

ხანიშვილი ეკა - *მგელი კავკასიურ ფოლკლორში – 117*

ღუღუნაძე ციცინო - *„ბედი-მდევარი“ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების „ორი შვილისა“ და „ხუთის ამბავის“ მიხედვით – 120*

ტეტუნაშვილი ხატია - *ამოტ დიდი კურაპალატი როგორც პერსონაჟი – 124*

ისტორია

ბერიკაშვილი თეონა - *ქართული დეკორატიული ხელოვნების ნიმუში "ლურჯი სუფრა" – 129*

ბერიძე ლიკა, ბუთხუზი ნათია - *ქართველი ქალის როლი ისტორიულ-კულტურულ პროცესში – 131*

დემეტრაშვილი თამუნა - *გიორგი ბრწყინვალეს საგარეო-დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან – 134*

მარნაძე რეზო - *ხაშურის შემოგარენის ისტორიიდან (სოფელი შინდარა) – 138*

მახათაძე თინათინ - *სოფელ ალის ისტორიიდან – 142*

ქელეხსაშვილი მარიამი - *საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში (XVI საუკუნის I ნახევარი) – 146*

ყაჩლავაშვილი მაგდა - *ვარანგთა (ვიკინგთა) შესაძლებელი მონაწილეობა მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავს შორის მომხდარ ბრძოლაში – 148*

შავლოხაშვილი თეონა, უმეკაშვილი თათია - *გიორგი I-ის ბიზანტიური პოლიტიკა – 151*

ხანიშვილი ეკა - *„თეზქერეს“ ცნობები საქართველოს შესახებ – 156*

ხორბალაძე ქეთევან, მეზვრიშვილი ანი - *ვახტანგ VI - ქართული კულტურის მოამაგე – 159*

ხორგუაშვილი სოფიო - *სოფელ დოესის ისტორიიდან – 162*

კავშირები ადამიანის ბიოველს, აურასა და ფიზიკურ სხეულს შორის. მისი გავლენა ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე

მარინა ბესტავაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე**, სრული პროფესორი

დიდი ხანია მეცნიერება დაინტერესებულია ადამიანის ბიოველით და იმით, თუ რა ზეგავლენას ახდენს იგი ფიზიოლოგიურ პროცესებსა და ფსიქიკაზე. ამ თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა მეცნიერების დარგი ბიოენერგეტიკა, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე გარდაქმნებს შეისწავლის ენერგეტიკულ ასპექტში.

ბიოენერგეტიკა დაინტერესებულია აგრეთვე ადამიანის აურითა და ენერგეტიკული ცენტრებით (ჩაკრებით).

ამ კავშირს ასევე შეიძლება შევხედოთ ენერგეტიკული მედიცინის თვალთახედვიდანაც, რათა გავარკვიოთ სხეულისა და გონების დამოკიდებულებანი ადამიანის ენერგოინფორმაციულ კომპონენტებთან, ანუ აურასა და ჩაკრებთან.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობაში ღვივდება ინტერესი არატრადიციული მედიცინის მიმართ. მრავალმა პაციენტმა გამოიტანა დასკვნა, რომ კლასიკური მკურნალობის არცთუ ისე მცირე ტრადიციული მეთოდი ხშირად არ იძლევა მოსალოდნელ ეფექტებს და კიდევ უფრო მეტიც, ხშირად სტოვებენ გვერდით მოვლენებს.

ამიტომაც ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა აკუპუნქტურული ნემსები, ჰომეოპატია, კორეული ჩუჯუთერაპია, ძველი ინდური აიუვერდა, რეიკი და სხვა მრავალი, საკმაოდ პოპულარული გახდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიოენერგეტიკა ეს არის სხეულში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესების საფუძველზე პიროვნების გააზრება. კერძოდ გამოთავისუფლებული ენერგიის პროდუცირება, სასუნთქი და მეტაბოლიტური გზებიდან, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციას.

ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს განსაზღვრავს ენერგიის რაოდენობა, რომელსაც ფლობს ადამიანი. შესაბამისად რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს ენერგია, რომელსაც ის სწრაფად, თავისუფლად გარდაქმნის მოძრაობასა და ექსპრესიაში, მით უფრო ოპერატიულად და ეფექტურად გადალახავს სიტუაციას. ამის გარდა ბიოენერგეტიკა თერაპიის ფორმაა. ის აერთიანებს სხეულისა და გონების მუშაობას, ეხმარება ადამიანებს გადაწყვიტონ ემოციური პრობლემები და აქტიურად მოახდინონ პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია, გაიხარონ ცხოვრებით და მიიღონ სიცოცხლისაგან სიამოვნება. ბიოენერგეტიკის ფუნდამენტური თეზისია - სხეული და გონება ფუნქციონირებენ როგორც ერთიანი მთლიანი. გონების მუშაობა ეს არის არეკვლა იმისა, თუ რა ხდება სხეულში და პირიქით.

ზოგიერთ მკვლევართა ჰიპოთეზიდან გამომდინარე - ბიოველი ეს არის ცოცხალი ორგანიზმებიდან გამოსხივებული განსაკუთრებული ველები, რომლის საფუძველს წარმოსდგენს განუწყვეტელ ერთიანობაში ინფორმაციის მატარებელი მაიონიზირებელი პროტონული გამოსხივება და მაღალსიხშირიანი ცვალებადი ელექტრომაგნიტური ველი. ბიოველი წარმოიქმნება უჯრედის სტრუქტურულ ერთეულებში, ე. წ. ,,ენერგეტიკულ სადგურებში“ - მიტოქონდრიებში, ბიოლოგიური ჟანგვის პროცესში, რომელიც მრავალჯერადად ძლიერდება მაღალსიხშიროვანი ცვალებადი ელექტრომაგნიტური ველისა და მასში არსებული მძიმე ელემენტარული ნაწილაკების - პროტონების აჩქარების შერწყმის შედეგად. ბიოველები უზრუნველყოფენ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მთლიან ენერგოხარჯებს კვანტურ ურთიერთქმედების დონეზე. ასევე მონაწილეობენ უჯრედშორის და ორგანოთაშორის სინქრონულ კავშირებში. ისინი მუდმივად მიმართულნი არიან ორგანიზმიდან გარე გარემოსკენ, სადაც ურთიერთქმედებენ („ნოოსფეროში“ ვ. ი. ვერნინსკის მიხედვით) სხვა ბიოველებთან.

ბუნებასთან ცოცხალ ორგანიზმთა შერწყმა, პირველ რიგში, მიმდინარეობს ველთა ურთიერთქმედების დონეზე. თითოეული ადამიანის ბიოველი არის ინდივიდუალური, მაგრამ მათი სხვა ადამიანების ბიოველებთან ურთიერთქმედების დროს წარმოიშვება ერთიანი, გაერთიანებული ველი, სადაც თითოეული პიროვნებიდან გამოსხივებული ველი ნაწილობრივ ან მთლიანად კარგავს ინდივიდუალობის თვისებებს, დომინირებს ერთი პიროვნების მძლავრი ველი, ხოლო შედარებით სუსტი ველის მქონე ადამიანები ექცევიან ხოლმე ლიდერის კეთილ თუ ბოროტ ზემოქმედების ქვეშ.

ყველა ცოცხალ ორგანიზმს ირგვლივ წარმოექმნება ბიოენერგეტიკული ფარი, რომელსაც აურა ეწოდება. იგი იცავს ორგანიზმს გარე სამყაროს ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისგან. ორგანიზმის ინფორმაციული გარსი, რომელიც იღებს და ცვლის ინფორმაციულ ნაკადებს თითოეულ ჩვენგანსა და გარე სამყაროს შორის, სწორედ აურაა.

ადამიანის აურა ფერების მიხედვით კლასიფიცირდება თორმეტ ძირითად ტიპად. მათ შორის აგრეთვე არსებობს გარდამავალი ფერის თორმეტი ტიპი (ცხრილი №1). თითოეული ტიპი მეორისაგან გამოირჩევა სპეციფიკური მახასიათებლით, რომელიც ადამიანებში აისახება შესაბამისი ნიშან-თვისებებით. თითოეულ ფერს გააჩნია თავისი უნიკალური დანიშნულება. არც ერთი ფერი არ არის უკეთესი მეორეზე, ვინაიდან თითოეული ადამიანის ცხოვრება განუმეორებელია თავისი ცხოვრებისეული გაკვეთილებით, ბედნიერი წუთებითა და პრობლემებით.

ცხრილი№1

ძირითადი ფსიქოტიპები	ქვეტიპები	ქვეტიპები
1. მუქი წითელი		
2. წითელი	2ა. წითელ - ნარინჯისფერი	
3. ნარინჯისფერი	3ა. ნარინჯისფერ - წითელი	
4. ნარინჯისფერ - ყვითელი		
5. ყვითელი	5ა. ყვითელ - ნარინჯისფერი	5ბ. ყვითელ - მწვანე
6. მწვანე	6ა. მწვანე - ყვითელი	6ბ. მწვანე - ცისფერი
7. მუქი მწვანე		
8. ცისფერი		
9. ინდიგოსფერი	9ა. ინდიგო - ცისფერი	9ბ. ინდიგო - იისფერი
10. იისფერი	10ა. იისფერ - ლავანდისფერი	10ბ. იისფერ - ინდიგოსფერი
11. ლავანდისფერი	11ა. ლავანდა - თეთრი	
12. თეთრი	12ა. თეთრი - ლავანდისფერი	

აურის ფერი და სიმკვრივე პირდაპირ დამოკიდებულია ადამიანის ჩაკრების (ენერგეტიკული ცენტრების) აქტიურობაზე. ისინი განსაზღვრავენ ადამიანის აზროვნების ინდივიდუალურ მდგომარეობას. აურის ფერების მიხედვით შეიძლება ადამიანის აზროვნების, ემოციების, ფიქრებისა და მისი ენერგეტიკული შესაძლებლობების ხარისხობრივი ინფორმაციის განსაზღვრა. აურის თითოეული ფერი მიანიშნებს ენერგიის გარკვეულ სიჩქარეებს. ის მიესადაგება ხასიათის გარკვეულ თვისებებს, აზროვნების მიმართულებას, ტემპერამენტს და სულიერი განვითარების დონეებს. აურის აღწერისას ფერის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ფორმას, სიმკვრივესა და ფერთა ურთიერთშერწყმას, რადგან აურა ხშირად მრავალფეროვანია.

იდეალში აურას უნდა ჰქონდეს ელიფსურ-კვერცხისებური ფორმა. მისი ყველა მონაკვეთი შედარებით თანაბრად უნდა იყოს ინტენსიური და განათებული. მასზე დაკვირვების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ადგილებზე, სადაც ესა თუ ის ლაქები გამოირჩევა ნათებით ან ინტენსიობით. ყურადსაღებია ის ადგილები, სადაც აურა უფრო ნათელია, ან განსხვავებულია ძირითადი ფერისაგან, ვინაიდან ეს ადგილები დაკავშირებულია ორგანოებთან და სხეულის ნაწილებთან. მაგალითად, თუ ჩვენ

ვხედავთ დაძაბულ ყვითელ ლაქებს მხრების გარშემო, ეს მაჩვენებელია, რომ მას გააჩნია პრობლემები ყელისა და კისრის არეში.

აურის ზომის მიხედვით გამოყოფენ რამდენიმე ტიპს. დიდი აურა, რომელიც თითქმის მისი ფოტოგამოსახულების კიდეებამდე აღწევს, მანიშნებელია ძლიერი ენერგეტიკული ველისა. ასეთი ადამიანი აფრქვევს ძლიერ ვიბრაციებს, რომლის ქარიზმას სხვებიც ხშირად ამჩნევენ. აურის პატარა ზომა მანიშნებელია ადამიანის ერთ რამეზე უფრო მეტად კონცენტრირებისა. ასეთ ადამიანებს უფრო მიაკუთვნებენ ინტროვერტებს. მათი ცხოვრებისეული ენერგია შედარებით დაბალია, რაც ხშირ შემთხვევებში დაკავშირებულია გარკვეულ სტრესთან. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანთა აურის ზომა ზოგადად საგრძნობლად შემცირებულია.

აურის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მის სიკაშკაშეს, ინტენსიობას და ფერების სიღიავეს. როგორც წესი, ღია, მოკაშკაშე ფერებს აქვთ დადებითი ჰარმონიული მნიშვნელობა. ხოლო მუქ ფერებს საწინააღმდეგო არსი გააჩნიათ. მაგალითად, ღია წითელი ფერი დაკავშირებულია ადამიანის ნებისყოფასთან და მის მაღალენერგიულ მოქმედებებთან, ხოლო მუქი და ჭუჭყიანი ფერები ფიზიკური, გონებრივი და ემოციური დაძაბულობის გამომხატველია.

აურის სხვა თვისებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე აურის სიმკვრივე ანდა დრეკადობა. ზოგიერთი ადამიანის აურის ეს თვისება აღწევს მაღალი ხარისხის კონცენტრაციას. აურის სიმკვრივე ადამიანის პიროვნული სიძლიერის მაჩვენებელია. აურის სიმკვრივეზე მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი:

1. გონების გამჭრიახობა;
2. ადამიანის ჩართვა მისი ორგანიზმის დაფარულ ენერგეტიკულ რესურსებთან და ფსიქიკასთან;
3. შიდა ცხოვრების ინტენსიობა;
4. ძიება და განცდები;
5. მიზანსწრაფვა;
6. მიზანსწრაფვის ხარისხი;
7. ემოციონალური ჰარმონია.

რაც უფრო მიზანსწრაფულად, ღრმად და ჰარმონიულად იქცევა ადამიანი, მით უფრო მკვრივი და დრეკადი ხდება მისი აურა. უარის თქმა დადებით მისწრაფებებზე, ნეგატიური ემოციები, წინააღმდეგობებიდან გადახვევა, მიდრეკილება სიზარმაცისაკენ და ფსიქოლოგიური ძილი ფიტავს აურას შიგნიდან. როდესაც აურა მოდუნებულია (მოშვებულია), ის მუქდება. მას წარმოეშობა პატარ-პატარა ნაფლეთები.

სუსტი ადამიანი, როდესაც ის იმყოფება დაღმავლობის ფაზაში ან დეპრესიაში, ანდა მიღებული აქვს ენერგეტიკული დარტყმა, გამოირჩევა აურის დაბალი ხარისხის სიმკვრივითა და განმუხტული მდგომარეობით. ზოგჯერ აურის ზოგიერთი მონაკვეთები არის არათანაბარი სიმკვრივის. ეს ენერგეტიკული გამოცლის ანდა სხვადასხვა ავადმყოფობისგან ორგანიზმის დასუსტების მაჩვენებელია.

ყველა ადამიანს შესწევს უნარი გარკვეული დროით შეცვალოს საკუთარი აურის ფერები. უპირველესად ცვლილებები ეხება მენტალურ და ემოციურ მხარეს. ეს ცვლილებები წარმოიშობიან აგრეთვე გარემოს ზემოქმედებითაც. აურის თითოეულ ფერს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა. იმისათვის, რომ შევაფასოთ ცვლილებები, უნდა ვნახოთ ფერთა კომბინაცია და აგრეთვე თითოეული ფერის შიგნით ზონათა ტრანსფორმაცია. არ არსებობს ,,ცუდი“ და ,,კარგი“ აურა. უბრალოდ ისინი განსხვავებულები არიან, იმ დროსაც კი, როდესაც ისინი მუქი ფერისაა და აჩვენებენ სტრესულ მდგომარეობას.

ცუდი არ იქნება გავითვალისწინოთ, რომ სისტემაში ,,გონება - სხეული - ენერგია“ ზოგჯერ ჩვენი მოქმედების და ქცევის მოდელის შეცვლა (მაგალითად, განვთავისუფლდეთ უაზრო, ბრიყვული აზრებისაგან, უარყოფითი ემოციებისგან) დადებით როლს ითამაშებს ჩვენი აურის მონაცემთა გაუმჯობესებისათვის.

ადამიანის აურის ფსიქოტიპები - პიროვნების ტემპერამენტებად კლასიკური ფსიქოლოგიის დაყოფისაგან განსხვავებით (სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი, მელანქოლიკი), აურის მიხედვით უახლესი მონაცემებით ადამიანები კლასიფიცირდებიან 12 ძირითად და 12 გარდამავალ ტიპად. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ფერთა თეორია და მკვლევართა მრავალწლიანი როგორც ემპირიული, ასევე სტატისტიკურად გამაგრებული კონცეფცია. (აურის ფსიქოტიპები იხ. ცხრილი №1).

ადამიანის აურის ფერთა მიხედვით კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების რეზულტატი თითქმის ერთი და იგივე აღმოჩნდა. როგორც ამ სფეროს მკვლევარები თვლიან, ქვეტიპები - ეს არის ის ნაირსახეობა, რომელიც დამოკიდებულია, გარდა ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებზე (აზროვნება, განცდები, ემოციები, ინტუიცია, სულიერი მდგომარეობა, ინდივიდუალური რეაქცია) გარემო სოციუმის ცვალებადობასა და მათი ცხოვრების წესზე, აგრეთვე ადგილსამყოფელის

გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მის მრწამსზე და იმ წეს-ჩვეულებათა გარემოზე, რომელშიც ადამიანი იზრდება.

ადამიანის ენერგეტიკული ცენტრები - ჩაკრები განლაგებულია ნერვულ კვანძებში. ჩაკრა სანკრისტზე ნიშნავს ბორბალს. ადამიანის ნატიფ ენერგეტიკულ სხეულში 7 ძირითადი ჩაკრაა:

1. ფუძისეული ჩაკრა - მულადჰარა (სანკრიტზე - საწყისი);
2. ჭიპის ჩაკრა - სვადჰისტანა;
3. მზის წნული - მანიპურა;
4. გულის ჩაკრა - ანაპატა (სანსკრიტზე - მუდმივად ჟღერადი დოლი);
5. ხორხის ჩაკრა - ვიშუდჰა;
6. მესამე თვალი - აჯნა;
7. გვირგვინოვანი ჩაკრა - საჰასრარა.

თითოეული მათგანი შეესაბამება ევოლუციის საფეხურებს. ფიზიკურ, მენტალურ და ემოციურ პრობლემებს შეუძლიათ გამოიწვიონ დისბალანსი ერთ ან რამდენიმე ჩაკრაში. თითოეული მათგანი დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიკურობის ცალკეულ ასპექტთან. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

აღმოსავლური მედიცინის თვალსაზრისით ადამიანის ორგანიზმი შედგება 12 მერიდიანისაგან, სადაც 6 მამაკაცური საწყისია (იანი) და 6 - ქალური (ინი). ისინი ერთი და იმავე დროს არიან გამოყოფილი და ურთიერთ დამაკავშირებელნი. გამომდინარე შინაგანი ორგანოების ფუნქციონალური მდგომარეობიდან, იცვლება პოტენციალთა სხვაობა, შესაბამის მერიდიანების წერტილებზე, ხოლო ორგანოთა ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად აისახება კანზე. სწორედ მერიდიანები წარმოადგენენ მგრძნობიარე ინდიკატორებს, რომლებიც ატყობინებენ ორგანიზმს მოახლოებულ საფრთხეს.

ადამიანის კანში ადგილი აქვს ფოტო და პიაზოეფექტს. იმისათვის, რომ ორგანიზმში მიმდინარეობდეს ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესები ანუ ხდებოდეს ენერგეტიკული შევსება ფოტო და პიაზოეფექტების მეშვეობით, აუცილებელია ჰიგიენური ნორმების დაცვა. ყოველ წამში მილიონობით უჯრედი კვდება და წარმოიქმნება ორგანიზმში. განსაკუთრებით აქტუალურად მიმდინარეობს ეს პროცესი კანის გარეთა შრეში – ეპიდერმისში. იმისათვის, რომ კანი იყოს ჯანმრთელი, ბალანსი მკვდარ და წარმოქმნილ უჯრედებს შორის არ უნდა იქნას დარღვეული. კანის უჯრედების მუდმივი, შეუფერხებელი რეგენერაციისთვის კი აუცილებელი პირობაა კანის სათანადო მოვლა, რათა მოხდეს მკვდარი უჯრედების მოცილება და ახლის წარმოქმნა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ადამიანის ბიოველის გაწმენდას და მის აქტივაციას.

ყველასათვის ცნობილია, რომ გონებასა და სხეულს შეუძლიათ იმოქმედონ ერთი მეორეზე. ადამიანის ფიქრი ზემოქმედებს მის გრძნობებზე. ანდა პირიქით. მაგრამ ეს ურთიერთქმედება შემოსაზღვრულია აღქმით პიროვნების ზედაპირული ასპექტებით. ხოლო უფრო ღრმა ქვეცნობიერის დონეზე, აზროვნება და შეგრძნებები განისაზღვრება ენერგეტიკული ფაქტორებით. მაგალითად, დეპრესიულ მდგომარეობაში ადამიანს არ შეუძლია გამოიყვანოს საკუთარი თავი პოზიტიური ფიქრებით. ეს აიხსნება იმით, რომ მისი ენერგეტიკული დონე საკმაოდ შემცირებულია, ხოლო როდესაც ის ღრმა სუნთქვის გზით ზრდის ენერგეტიკულ დონეს, რომელიც დათრგუნულია ყველა სხვა დანარჩენ სასიცოცხლო ფუნქციებთან ერთად, ადამიანიც გამოდის დეპრესიიდან.

ჩვენი ორგანიზმის სულიერი სამყარო ნაწილდება 3 ძირითად შემადგენელად. ანუ ჩვენ გონებას გააჩნია 3 კომპონენტი: ემოციური, ინტელექტუალური, ფიზიკური. ეს თანამედროვე სამეცნიერო მცნებები სათავეს იღებენ უძველესი დროის კლასიფიკაციიდან - სული EQ , გონება IQ, სხეული FQ.

ფიზიკური კოეფიციენტი (FQ) - ადამიანის ორგანიზმში გაუთვითცნობიერებულ დონეზე ხელმძღვანელობს ფიზიკური სხეულის განვითარებისა და დაცვით პროცესებს. ადამიანები კომატოზური მდგომარეობისას ან ძილის დროს ფლობენ მხოლოდ გონების ფიზიკურ შემადგენელს. მაღალი დონის FQ კოეფიციენტის მქონე ადამიანები გამოირჩევიან ფიზიკური სხეულის საუკეთესო მაჩვენებლებით. მათ აქვთ გამძლეობისა და გადარჩენის ძლიერი უნარი. ასეთი ადამიანები აღწევენ წარმატებას სპორტში, არმიაში, ფიზიკურ მუშაობისას და ყველგან, სადაც საჭიროა სხეულის ფიზიკური შესაძლებლობების მობილიზაცია. მაღალი დონის FQ კოეფიციენტის მქონე ადამიანების ორგანიზმში ჰორმონებიდან დომინირებს ადრენალინი და ნორადრენალინი.

ინტელექტუალური კოეფიციენტი (IQ) მაჩვენებელი აერთიანებს თავის თავში თავის ტვინის ქერქის ცენტრებს, რომელიც განაგებს ლოგიკის, მეხსიერების და ადამიანის ქცევის ანალიზის განვითარებას. ამ ინტელექტუალურ ცენტრებში, ნეირონების მცირე რაოდენობის შემთხვევაში, ადამიანში ფორმირდება ეგოიზმი. ხოლო, მაღალი კოეფიციენტისას ადამიანი ხშირად აღწევს უკეთეს მაჩვენებლებს ბიზნესსა და მმართველობაში, ზუსტ მეცნიერებასა და წარმოებაში. დომინანტ ჰორმონს წარმოადგენს ტესტოსტერონი.

ემოციური კოეფიციენტი (EQ) განაგებს გარე სამყაროს ემოციურ აღქმას. მას შეუძლია ბევრი გვამცნოს ადამიანზე, მის შესაძლებლობასა და კომუნიკაციაზე. ამ კოეფიციენტის დაბალი დონისას ადამიანს, როგორც ცხოველებს, უყალიბდება დაბალი ემოციები, როგორიცაა: აგრესია, ეჭვები, სიხარბე, სიბოროტე, ზიზღი, შურისძიება. EQ მაღალი დონისას ადამიანის ნერვული ცენტრები გაჯერებულია ნეირონებით. ამ დროს ფორმირდება მაღალი დონის ემოციები, როგორიცაა: სიკეთე, კეთილმოსურნეობა, სინდისი, სირცხვილი, შემწყნარებლობა. მაღალი კოეფიციენტის არსებობისას ადამიანი, როგორც წესი, აღწევს დიდ წარმატებებს ხელოვნებაში, მეცნიერებაში, კულტურასა თუ სხვა ჰუმანიტარულ სფეროებში. ასეთი ადამიანები უმეტეს შემთხვევებში არიან ლამაზები როგორც სხეულით, ასევე სულით. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანის ორგანიზმში ჰორმონი ესტროგენი დომინირებს სხვა ჰორმონებზე, როგორიცაა ადრენალინი, ნორადრენალინი და ტესტესტერონი.

ამრიგად, ადამიანის ფიზიკური სხეულისა და მასში მიმდინარე ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის როგორც ცალკეული ფუნქციონალური ორგანოების ბიოველების, ასევე ჯამური ადამიანის საერთო ბიოველისა (აურის) და ფიზიკურ სხეულს შორის კავშირების ცოდნას.

ლიტერატურა:
1. М. Музин, А. Музина, Мировоий разум, М., 1999.

ინტერნეტ-რესურები:
1. www.aura-help.ge
2. www.chakra.ru

რუკისა და გლობუსის გამოყენება დაწყებით კლასებში

შორენა ბუჩუკური
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

საბუნებისმეტყველო დისციპლინები, მათ შორის გეოგრაფია, ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სამყაროს ადეკვატურად აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. მისი მიზანია აზიაროს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

თემის აქტუალურობა. რუკასა და გლობუსზე მუშაობის მეთოდი მოსწავლეს საშუალებას აძლევს საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკურ, ფიზიკურ და ისტორიულ რუკებზე/გლობუსებზე ადგილების, მოვლენების დაკვირვებითა და პროცესების ამოცნობით გაიმყაროს თეორიული ცოდნა, გაიაზროს და გააანალიზოს გეოგრაფიული ინფორმაცია, ისწავლოს მათი საჭიროებისამებრ გამოყენება და მარტივი ანალოგის შექმნა, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე დასაბუთებული მსჯელობა, ისწავლოს გეოგრაფიული და ისტორიული ინფორმაციის წაკითხვა, ამ ინფორმაციის დაკავშირება ნასწავლ მასალასთან. შეძლოს გეოგრაფიული გარემოსა და ისტორიული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება.

კვლევისას ვეყრდნობოდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის მიერ გამომუშავებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე სწავლა–სწავლებისა და კრიტიკული აზროვნების აღიარებულ მეთოდოლოგიურ კვლევებს, სხვადასხვა ლიტერატურასა და ინტერნეტ მასალებს.

რუკასა და გლობუსზე მუშაობის სწავლების მიზნები და ამოცანები

დაწყებითი სწავლების საფეხურზე მოსწავლე გაეცნობა საკუთარ ქვეყანას, მის მხარეებსა და ადგილებს, რომლებსაც წარსულში მომხდარი სხვადასხვა საინტერესო ამბავი, პიროვნება და კულტურული ძეგლი უკავშირდება. ეს გააღვივებს მის ცნობისმოყვარეობას წარსულის მიმართ და გაუადვილებს განსხვავებული და განცალკევებული ინფორმაციის ერთიანად გააზრებას. მოსწავლეები ასაკობრივ თავისებურებებზე დაყრდნობით გაარკვევენ სხვადასხვა აუცილებელ ცნებებს, რომლებიც მომდევნო საფეხურზე მის ცნობიერებაში გამოკვეთილად გამთლიანდება სამშობლოს ცნებად. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად არის გამოყენებული მხარეთმცოდნეობითი პრინციპი.

ამ პრინციპით მოსწავლე გაიცნობს თავის საცხოვრებელ გარემოს, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მის მრავალფეროვან კულტურას, ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკური საქმიანობის გავრცელებულ დარგებს. გაიაზრებენ, რა არის ერი და სახელმწიფო, როგორ იქმნება იგი დროსა და სივრცეში, რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ სახელმწიფო შედგეს, როგორ არის წარმოდგენილი იგი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- კითხულობს და ხსნის გეოგრაფიულ საშუალებებზე, რუკებსა და ტომოგრაფიულ რუკებზე წარმოდგენილ გეოგრაფიულ ინფორმაციას;
- ლეგენდის საშუალებით კითხულობს რუკების შინაარსსა და მასზე მოცემულ ინფორმაციას;
- მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია შექმნას ამ მიზნისთვის მეტად მორგებული გეოგრაფიული საშუალება (სქემა, დიაგრამა, გრაფიკი);
- ხატავს მშობლიური მხარის მარტივ რუკას და ურთავს შესაბამის ლეგენდას;
- კონტურულ რუკაზე დააქვს საათობრივი სარტყელები დადგენილი წესების მიხედვით და ადარებს მას პოლიტიკურ რუკას;
- წარმოსახვით, რუკის დახმარებით მოგზაურობს დედამიწის გარშემო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ან პირიქით; მსჯელობს თარიღთა ცვლის ხაზის დანიშნულებასა და განლაგების პრინიციპებზე;
- იყენებს რუკას და მსჯელობს საქართველოს მდებარეობაზე რეგიონული და მსოფლიო მასშტაბით, ადარებს რომელიმე სხვა ქვეყნის მდებარეობას.

გეოგრაფიული რუკა დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულებაა სიბრტყეზე. რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების შემცირების ხარისხს გვიჩვენებს **მასშტაბი.** რუკების უმრავლესობას არაერთი საერთო მახასიათებელი გააჩნია. ყოველ რუკაზე წარმოდგენილია **მასშტაბი, გრადუსთა ბადე, პირობითი ნიშნები და გეოგრაფიული ობიექტების ნაწილი.** გეოგრაფიული ობიექტებიდან ძირითადია სანაპირო ხაზი, მდინარეები, წყალსატევები, გზები, მთავარი ქალაქები, პოლიტიკური საზღვრები და სხვ. აღნიშნული მახასიათებლები რუკის ზოგადგეოგრაფიულ ფონს (საფუძველს) წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც გეოგრაფიული მოვლენები და პროცესები წარმოჩინდება. რუკაზე გეოგრაფიული ობიექტის შემცირების ხარისხს მასშტაბი განსაზღვრავს. მასშტაბს ჩვეულებრივ წილადით აღნიშნავენ. ზოგჯერ რუკაზე მოცემულია ხაზოვანი მასშტაბი, რომელიც დაყოფილია სანტიმეტრებად, ყოველ სანტიმეტრს კი შეესაბამება კონკრეტული მანძილი დედამიწის ზედაპირზე.

რუკის ისტორია. ადამიანი რუკებს უძველესი დროიდან ქმნიდა, რითაც თვალსაჩინო წარმოდგენა ეძლეოდა გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგებაზე. რუკების კრებადობას **ატლასი** ეწოდება. ტერმინი ატლასი შემოტანილია აღორძინების ხანაში ფლამანდრიელი კარტოგრაფის მერკატორის მიერ.

ამჟამად ქაღალდის რუკების გარდა არსებობს ელექტრონული რუკები — რუკები, რომელიც გამოსახულია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარი რუკების მეშვეობით მანძილების და სხვა კარტოგრაფიული გაზომვების ჩატარება ბევრად ადვილი, სწრაფი და ზუსტია. მასზე მხოლოდ ხაზის გატარებაა საჭირო ნებისმიერ ორ პუნქტს შორის, მონაცემებს კი სპეციალური პროგრამა მყისიერად დაითვლის. ერთ-ერთი ამგვარი კომპიუტერული პროგრამაა Google Earth.

გლობუსი (ლათ. *Globus* სფერო) დედამიწის დაუმახინჯებელი კარტოგრაფიული გამოსახულებაა სფეროზე – დედამიწის მოდელი, რომელსაც ყველა მიმართულებით სიგრძეებისა და ფართობების ერთი და იგივე მასშტაბი აქვს. პირველი გეოგრაფიული გლობუსი გააკეთა ნიურნბერგელმა **მ. ბეჰაიმმა** 1492 წელს. XVII-XVIII საუკუნეებში, საზღვაო რუკების შემოღებამდე, გლობუსებს იყენებდნენ ზღვაოსნობაში. **გლობუსი** ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი გეოგრაფიული ხელსაწყოა, მას კი ვერც ერთი სკოლა გვერდს ვერ აუვლის, რადგან მთელი რიგი საკითხები შეიძლება ადვილად და სწორად იქნას შეთვისებული მხოლოდ გლობუსის დახმარებით. გლობუსი ყოველთვის ხელთ უნდა ჰქონდეს მასწავლებელს. გლობუსს ისეთი თვისებები აქვს, როგორიც არ შეიძლება გეოგრაფიულ რუკას ჰქონდეს,

რამდენადაც უკანასკნელი მთელი დედამიწის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ზედაპირის სფეროსებრიობას ჰორიზონტალურ სიბრტყეზე გამოსახავს.

იმ ტერიტორიების მთელი მოხაზულობა, რომლებიც გლობუსზეა გამოსახული, ზუსტად ემსგავსება დედამიწის ზედაპირზე იმავე სივრცეთა მოხაზულობას. წრე დედამიწის ზედაპირზე, გლობუსზეც წრეთ გამოიხატება, კვადრატი კვადრატად და ა.შ. გლობუსს აქვს თვისება დაიცვას ფართობთა სწორი მიმართება რომელიმე კუნძულის, ზღვის და სხვ. გლობუსი საჭიროა იმისათვის, რომ ბავშვებს ავუხსნათ დედამიწის ბრუნვა ღერძის გარშემო. ამ მიზნით სასურველია გლობუსი დახრილი ღერძით, ამასთან უმჯობესია ღერძი თავისი დახრილობით ჩრდილოეთისაკენ მოვმართოთ რისთვისაც ორიენტირება კომპასით უნდა მოვახდინოთ.

ფიზიკური გლობუსი

კარტოგრაფიული შინაარსის მიხედვით გლობუსი სხვადასხვაგვარია, უმეტესად გავრცელებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული და პოლიტიკური გლობუსები.

მუშაობა რუკით. რუკის ცოდნა იმას არ ნიშნავს, რომ ზეპირად გვახსოვდეს რუკაზე მოთავსებული მრავალრიცხოვანი აღნიშვნების ურთიერთგანლაგება, ფორმა და სახელწოდება. რუკის ცოდნა ნიშნავს უფრო უკეთესად და სრულად ფლობდე კარტოგრაფიულ ანბანს, ე.ი. ჯერ ერთი, შეისწავლო კარტოგრაფიული ხელოვნების ანბანი; მეორე, ისარგებლო ამ ანბანით, ისწავლო რუკის თავისუფალი კითხვა და, მესამე, შეიძინო იმის უნარი, რომ მიღებული სიმბოლოების დახმარებით თვითონვე შეადგინონ ქაღალდზე ცოცხალი ადგილმდებარეობა. ამასთან „რუკის კითხვა“ სულაც არ უნდა გავიგოთ, როგორც რუკაზე მოთავსებული მდინარეების, ქალაქებისა და სხვა სახელწოდებათა წარწერების კითხვა. რუკის კითხვა ნიშნავს დაუკავშირო კარტოგრაფიული ანბანის ნიშნები (უფრო ზუსტად მისი პირობითი ნიშნები და ფერები) სიტყვებსა და გამოთქმებს; ეს ნიშნავს სიმბოლოების შეერთებით ვისწავლოთ ადგილმდებარეობის ისე დანახვა, როგორც ის სინამდვილეშია, ვისწავლოთ რუკის გაცოცხლება, ჩვენს წარმოდგენაში ცოცხალი არსებებით მისი დასახელება, მისი შევსება რუკაზე გამოსახული ადგილისათვის დამახასიათებელი მოძრაობით. ბოლოს, საჭიროების მიხედვით უნდა ვისწავლოთ რუკის ხაზვა, მისი გასწორება, შევსება, ამასთან ქაღალდზე საჭირო დეტალების დამოუკიდებლად გამოსახვა. მოსწავლეებისათვის რუკის გაცნობას უმჯობესია ვიწყებდეთ გეგმასა და ნამდვილ რუკას შორის არსებული განსხვავების გარკვევით.

ადგილის გეგმა - ეწოდება დედამიწის ზედაპირის მცირე უბნის, ნაგებობის ან რაიმე საგნის ნახაზს, რომელიც გადმოგვცემს ინფორმაციას. გეგმაზე ყველა საგანი პირობითი ნიშნებითაა გამოსახული და ამიტომ ამ ნიშნებს ტოპოგრაფიულ ნიშნებსაც უწოდებენ. გეგმა ესაა ნახაზი, რაც ქაღალდზე გამოსახავს ფიგურას, რომელიც ზედმიწევნით მსგავსია ადგილზე არსებული ფიგურისა.

გეგმაზე ჰორიზონტის მხარეების დასადგენად მასზე აღნიშნული ისარი გვეხმარება. თუ გეგმაზე ისარი არ არის, მაშინ ფურცლის ზედა მხარეს ჩრდილოეთი იგულისხმება, ქვედა მხარეს კი – სამხრეთი.

გეგმის შესადგენად ჩატარებულ სამუშაოებს აგეგმვა ჰქვია. ამჟამად ადგილის გეგმებს თვითმფრინავიდან და კოსმოსური ხომალდიდან გადაღებული სურათების – აეროფოტოსურათების გამოყენებით გაცილებით სწრაფად ადგენენ. ადგილის გეგმას მოგზაურები, მშენებლები, სამხედრო მოსამსახურეები იყენებენ. მისი დახმარებით ადვილად მოიძებნება საჭირო ქუჩა და ნაგებობა ქალაქში.

რუკაზე მუშაობის მეთოდები.

რუკაზე მუშაობის მეთოდი მოსწავლეს უვითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- სივრცეში ორიენტაცია;
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება;
- მოდელირება;
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ანალიზი და შეფასება.

მოსწავლე რუკაზე უჩვენებს საქართველოს მდებარეობას მსოფლიოში, მის საზღვრებს, რეგიონებსა და ქალაქებს. სხვადასხვა თემატური რუკების საშუალებით მოიპოვებს ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის მახასიათებლების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ და უკავშირებს ისტორიულ ფაქტებს და გეოგრაფიულ გარემოს.

ისტორიულ რუკაზე მოსწავლე აკეთებს ორიენტაციას ქართული სამეფო-სამთავროების (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი) მდებარეობისა და საზღვრების შესახებ.

პრაქტიკული მუშაობის ერთ-ერთი სახეს **კონტურულ რუკაზე მუშაობა** წარმოადგენს. კონტურულ რუკას, რომელზეც გამოსახულია რეგიონის სახელმწიფოს, კონტინენტის ან მთელი მსოფლიოს კონტურები, მეორენაირად საბლანკო რუკასაც უწოდებენ, რადგან მას მოსწავლეები თვითონ ავსებენ, ხოლო მის შინაარსს მასწავლებელი განსაზღვრავს, ამიტომ შევსებულ ბლანკს სათაურსაც იგი აძლევს.

კონტურულ რუკებზე მუშაობას მნიშვნელოვანი სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი ხელს უწყობს გეოგრაფიული და ისტორიული სახელისა და მდებარეობის დამახსოვრებას, მათ სწორ წერასა და გამოთქმას. ამასთან, ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლი მასალის გამეორებაში და ხელს უწყობს რუკის კითხვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

კონტურული რუკის გამოყენება: კონტურულ რუკაზე სხვადასხვა სახისა და შინაარსის სამუშაოს შესრულება შეიძლება, ამიტომ მასწავლებელი წინასწარ გეგმავს, რა სახის სამუშაოა შესაძლებელი სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით. მაგ.: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კონტურულ რუკაზე სხვადასხვა ობიექტს შესაბამის წარწერას ან პირობით აღნიშვნებს უკეთებენ, ან მასწავლებელი წინასწარ აღნიშნავს მოსწავლეთა კონტურულ რუკებზე სხვადასხვა ობიექტს, რომელთაგან რამდენიმე სპეციალურად შეცდომითაა აღნიშნული და მოსწავლეები ამ შეცდომებს პოულობენ და ასწორებენ.

კონტურული რუკები აქტიურად გამოიყენება გეოგრაფიის სწავლებისას. სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეებს ხშირად სთავაზობენ დავალებებს, რომლებიც გარკვეული მაჩვენებლების კონტურულ რუკაზე გადატანას/ასახვას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ეს სპეციფიკური უნარია, რომელსაც გეოგრაფია ავითარებს. ამით მოსწავლეს საშუალება ეძლევა, მოვლენები სივრცეში აღიქვას, უკეთესად დაიმახსოვროს ესა თუ ის მონაცემი და მისი გავრცელება. თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ დავალებების შეზღუდული ხასიათი; ხშირად სამუშაო მთავრდება იმით, რომ მოსწავლეებს უმოწმებენ, რამდენად აკურატულად მოახერხეს ამ ინსტრუქციის შესრულება.

მასშტაბი. მოსწავლეებს ვუხსნით მასშტაბის შინაარსს და ვიძლევით განმარტებას - გლობუსზე, რუკაზე ან გეგმაზე რომელიმე ხაზის სიგრძის შემცირების ხარისხს, ადგილზე მათ ნამდვილ სიგრძესთან შედარებით, მასშტაბი ეწოდება.

მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი (მაგ. 1: 1000 000), სახელდებული (1 სმ - 10 კმ) და ხაზოვანი (1 0 1 2 3).

მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა გაუსვას ხაზი იმას, რომ მასშტაბი გვიჩვენებს ხაზებისა და არა ფართობის შემცირების ხარისხს.

დიდი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები აუცილებლად უნდა გავაცნოთ მოსწავლეებს, რადგან ამ რუკებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის თავდაცვისათვის. გასაცნობად, შესაძლებლობის მიხედვით, უნდა ვიღებდეთ დიდი მასშტაბის (1:50 000) ადგილობრივ რუკებს. ყველაზე უკეთესია მათი გაცნობა ვაწარმოოთ ველად, ექსკურსიების დროს და დავავალოთ მოსწავლეებს, მონახონ რუკაზე გზები და ადგილობრივი ობიექტები. ამასთან სასარგებლოა ყურადღება მიექცეს იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა რუკის შედგენის შემდეგ სავარგულების, ნაგებობათა, გზების და სხვა განაწილებაში.

მასწავლებელმა მოკლედ უნდა გააცნოს მოსწავლეებს **რუკის ლეგენდა** ანუ **პირობითი აღნიშვნები**. საერთოდ სასარგებლოა თავიდანვე შევაჩვიოთ მოსწავლეები რუკის ლეგენდით სარგებლობას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მივმართოთ რუკაზე მუშაობას. დავავალოთ მოძებნონ მასზე რამდენიმე ნაცნობი ადგილი. მაგალითად, მათი საცხოვრებელი ადგილი, ქვეყნის დედაქალაქი და ა. შ.

მოსწავლეებს ვუხსნით, რომ **ლეგენდა** რუკის თავისებური ენაა, რომლის დახმარებით რუკის შინაარსის წაკითხვაა შესაძლებელი. რუკაზე ან გეგმაზე სხვადასხვა ობიექტი ან მოვლენა პირობითი აღნიშვნებით გამოისახება, რომელთა მნიშვნელობა რუკის რომელიმე კუთხეში ლეგენდის სახითაა განმარტებული.

ხაზობრივი ნიშნებით ისეთი ობიექტებს ან მოვლენებს გამოსახავენ, რომლებიც ხაზობრივი გავრცელებით ხასიათდებიან. მაგალითად, მდინარეებს, ზღვებს, გზებს, მილსადენებს, საზღვრებს და სხვა. ხაზობრივი ნიშნების ცალკე ჯგუფს იზოხაზები ქმნიან. იზოხაზები თანაბარი სიმაღლეების (ან სიღრმეების) მქონე წერტილების შემაერთებელი ხაზებია. მათში განასხვავებენ: იზოჰიფსებს ანუ

ჰორიზონტალებს (აბსოლუტური სიმაღლის მაჩვენებელი), იზობათებს (წყლის სიღრმის მაჩვენებელი), იზოთერმებს (ჰაერის ტემპერატურის მაჩვენებელი) და სხვა. იზოხაზებით გამოსახული ობიექტი ან მოვლენა შეიძლება ფერებითაც იყოს ნაჩვენები. მაგალითად, ფიზიკურ რუკაზე დაბლობებს, როგორც წესი, მწვანე ფერით, მაღლობებს - ღია ყავისფერით, ხოლო მთიანეთს - მუქი ყავისფერით გამოსახავენ. **მასშტაბგარეშე ნიშნებით** მცირე ფართობზე არსებული ობიექტები (მაგალითად, დასახლებული პუნქტები) გამოისახება. აქ აღსანიშნავია გეომეტრიული ნიშნები. მაგალითად, დასახლებული პუნქტები პუნსონით, სასარგებლო წიაღისეული კი სპეციალური ნიშნებით გამოისახება.

მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ რუკაზე ჩვენება, ის გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. ჩვენება უნდა ხდებოდეს საჩვენებელი ჯოხით. ეს იმიტომ კი არ კეთდება, რომ რუკა არ დავაზიანოთ ან გავაჭუჭყიანოთ, არამედ იმისათვის, რომ ხელით ან ტანით არ დავფაროთ საჩვენებელი ადგილი. მოსწავლეებს უნდა მივცეთ სწორად ჩვენების მაგალითი, მაშინ მოსწავლეებიც სწორად დადგებიან რუკასთან და სწორად უჩვენებენ საჩვენებლით. საჩვენებელი ჯოხი ძალიან გრძელი არ უნდა იყოს. პუნქტების ჩვენებისას საჩვენებელი უნდა დავადოთ პირობით ნიშანს და არა წარწერას, მდინარისა და საზღვრების ჩვენებისას მათ გასწვრივ განსაზღვრული მიმართულებით ნელა უნდა გავავლოთ საჩვენებელი. მაგალითად, მდინარეები უნდა ვაჩვენოთ დინების მიხედვით, მათი სათავიდან შესართავისაკენ. ქვეყნების, ზღვების, ტბების და სხვათა ჩვენებისას საჩვენებელი მათ უნდა შემოვავლოთ და არა წარწერებს ან მათ შუა მდებარე სხვა რომელიმე წერტილებს. საზღვრები შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა შემოვხაზოთ. ქვეყნის ან კუნძულის პატარა ფართობის ჩვენებისას, დროის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება მათი მიახლოებითი შემოვლებითაც დავკმაყოფილდეთ.

რუკის კითხვის უნარი, ე.ი. რუკის დახმარებით გეოგრაფიული პროცესებისა და მოვლენების შესწავლა და გაგება, ადვილი ამოცანა როდია. ასეთი უნარი მოითხოვს როგორც გეოგრაფიის, ისე თვით რუკის გარკვეულ ცოდნას, რაც სისტემატური ვარჯიშის შედეგად თანდათანობით გამოუმუშავდებათ მოსწავლეებს.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლებისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისტ-ს სასწავლო გეგმის რეალიზება უნდა მოხდეს ყოველ ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში. ინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა იყოს დამხმარე საშუალება და არა თვითმიზანი. გაკვეთილზე ტექნოლოგიების გამოყენების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

– მოსწავლეთა ისტ კომპეტენცია;
– მის ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა;
– მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის მიზანი და პედაგოგიური სტრატეგიები;
– გაკვეთილის მიმდინარეობის - მასალაზე მუშაობის ტიპი (მიმდინარე, შემაჯამებელი, პროექტული და სხვ.);
– სასწავლი მასალის თემატიკა.

ამ ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე მასწავლებელი ირჩევს ელექტრონულ რესურსს (კომპიუტერულ პროგრამას/პროგრამებს), რომელსაც გამოიყენებს სწავლების პროცესში, განსაზღვრავს საკლასო მენეჯმენტს.

ისტ-ის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი გაკვეთილების ჩატარებისას, როცა დიდი მნიშვნელობა აქვს <u>დამხმარე ვიზუალურ მასალას</u>. ტექნოლოგიების მულტიმედიური ხასიათი იძლევა საშუალებას მოსწავლეებისათვის თვალსაჩინო გავხადოთ ესა თუ ის გეოგრაფიული მოვლენა (გარკვეულწილად მოვახდინოთ ლაბორატორიების არ არსებობის კომპენსირება), ვამოგზაუროთ იმ ქვეყნებში, რომლის ენას, კულტურას, ისტორიასა თუ გეოგრაფიასაც ვასწავლით. სასურველია ისტ რესურსების მაქსიმალური გამოყენება, რადგან იგი უფრო მეტია ვიდრე ელექტრონული ფურცელი ან პლაკატი. განსხვავებით ბეჭდური პლაკატისა თუ რუკისაგან, რომლებიც მხოლოდ მასალის დემონსტრირებისთვისაა განკუთვნილი, ელექტრონულ ინსტრუმენტებს აქვთ საშუალება მოსწავლეებამდე მასალის არა მარტო უფრო "ცოცხლად" და ეფექტურად მიტანის, არამედ ჩავრთოთ ისინი ახალი სასწავლო რესურსის შექმნაში.

კარგი იქნება მოსწავლეებისთვის ისეთი <u>საშინაო დავალების</u> მიცემა, რომ მათ დასჭირდეთ კომპიუტერის გამოყენება, მაგ., ტესტების შევსება, ინტერნეტში მასალის მოძიება, ტექსტის დაბეჭდვა, ცხრილებისა და პრეზენტაციების შედგენა, კლიპის დამზადება, ელექტრონულ რუკაზე ადგილების მონიშვნა და ა.შ. ამგვარი დავალებები ზრდის მოტივაციას, მოსწავლეები ხალისით იყენებენ კომპიუტერს, რომელიც მათთვის არამარტო გასართობი, არამედ თანამედროვეობის და წარმატებულობის სიმბოლოცაა. შეიძლება მოსწავლე დარჩეს გაკვეთილების შემდეგ ლაბორატორიაში სამუშაოდ და მას მიეხმაროს მასწავლებელი ან შეასრულოს დავალება სახლში, თუ ამის საშუალება აქვს.

ამ შემთხვევაში დავალება შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური.

ინფორმაციული ტექნოლოგიები მეტად ეფექტური ინსტრუმენტია პროექტული მუშაობისას, როცა მასალები მზადდება საბოლოო პრეზენტაციისთვის. ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ტიპის ციფრული ტექნიკა (ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა, დიქტოფონი, სკანერი, პრინტერი), სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ინსტრუმენტები (საოფისე პროგრამები ტექსტების, ცხრილებისა და პრეზენტაციების შესაქმნელად; ფოტო, აუდიო და ვიდეო რედაქტორები; გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები რუკების დასამზადებლად; ასოციაციური რუკის შესაქმნელი პროგრამები; ინტერნეტი მასალების მოსაძიებლად, გამოსაქვეყნებლად და გასაზიარებლად და სხვ.).

საზოგადოდ გავრცელებული პრაქტიკაა შემაჯამებელი გაკვეთილის ჩატარება, როცა ერთი თემატიკა მუშავდება რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში და ბოლოს ხდება გავლილი მასალის თავმოყრა, შეძენილი ცოდნისა და უნარების შეჯამება. კარგია თუ მასწავლებელს წინასწარ აქვს დაგეგმილი შემაჯამებელ გაკვეთილამდე განსახორციელებელი აქტივობები. ამ შემთხვევაში შეძლებს წინასწარ გაითვალისწინოს, რა ინსტრუმენტებს (მათ შორის ელექტრონულს) გამოიყენებს სწავლების პროცესში. მიმდინარე გაკვეთილების დროს ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება ისეთი თანმიმდევრობით, რომ მუდამ იყოს სიახლის განცდა; მაგ., ჯერ ამუშავოს ცხრილების, გრაფიკების ან/და ასოციაციური რუკების შედგენაზე, შემდეგ გაკვეთილებზე გააკეთებინოს პრეზენტაციები, ციფრული რუკები, გადაღებული ან/და ინტერნეტში მოძიებული სურათებით და ვიდეოებით დაამონტაჟებინოს კლიპი და ა.შ. აქტივობები ისე შეიძლება დაიგეგმოს, რომ მოსწავლეთა მიერ რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში შექმნილი მასალებით შემაჯამებელი გაკვეთილისთვის შეიქმნას ერთიანი პროდუქტი თემატიკის გარშემო. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების, უპირველეს ყოვლისა კი ზოგადგეოგრაფიული ხასიათის საკითხების, მათ შორის რუკისა და გლობუსის გამოყენების, შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სამყაროს სწორად აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. იგი მოსწავლეს აზიარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების - გეოგრაფიის საფუძვლებს და განუვითარებს გეოგრაფიული კვლევის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, რადგან ნებისმიერი გეოგრაფიული მოვლენის დანახვა რუკის გარეშე შეუძლებელია - ყოველგვარი გეოგრაფიული გამოკვლევა რუკით იწყება და რუკით მთავრდება. ეს კი განაპირობებს მოსწავლემ შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, გახდეს საზოგადოების ღირსეული წევრი, მაღალი სამოქალაქო აზროვნების მქონე დემოკრატი მოქალაქე.

ლიტერატურა:

1. ბ. ბუდანოვი, ფიზიკური გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1949.
2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010.
3. ბუნებისმეტყველება (I-VI) , გზამკვლევი მასწავლებელთათვის, თბ., 2011.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2010.
5. „საქართველოს ატლასი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2008.
6. ი. მათურელი, ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990.
7. ტ. გვალია, გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თსუ, თბ., 1991.
8. მ. ბლიაძე, დ. კერესელიძე, ნ. ელიზბარაშვილი, გეოგრაფია (ცნობარი), თბ., 2001.
9. მ. რატიანი, კონტურული რუკების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მაღალი სააზროვნებო უნარების განსავითარებლად, თბ., 2012.
10. ესგ, ისტორიის როლი და მიზნები სასწავლო პროცესში, თბ., 2005.
11. დედამიწა - ჩვენი პლანეტა; VI კლასის სახელმძღვანელო, ზ. ტატაშიძე და სხვ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.
12. sites.google.com/site/elektronuli/ist-is-integrireba
13. http://ka.wikipedia.org/wiki/გეოგრაფიული_რუკა
14. www.ecolex.org

ქართული ჭიდაობის ტექნიკის ელემენტების სწავლება ძიუდოს მოსამზადებელ ჯგუფებში

ზაზა დავაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** სრული პროფესორი

ქართული ჭიდაობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია

ქართული ჭიდაობის, როგორც სპორტული ორთაბრძოლის სახედ ჩამოყალიბება X-XIV საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, რაზეც მიგვითითებს ახმეტის რაიონში არსებული ალავერდის ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახული ორი ფალავანის შერკინება, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული და კასპის რაიონში ერთაწმინდის ეკლესიაში გამოსახული მოჭიდავეების ფრესკები. ლეგენდის თანახმად, ალავერდის ტაძარში მოჭიდავეთა ფრესკა მეფე გიორგი II-ის ბრძანებით შესრულებულა მას შემდეგ, რაც ქართველ ფალავანს მეფე და მისი ოჯახი თურქ-სელჯუკების ფალავანთან შერკინებაში გამარჯვებით უხსნია სარწმუნოების გამოცვლისაგან.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების დამსახურებაა ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოს ძიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 5 ერთეული ოლიმპიური თამაშების, 5 ერთეული მსოფლიოს ჩემპიონატის და 33 ერთეული ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები. 2006 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გუნდურ პირველობაზე. სულ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ქართველ ძიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 43 ოქროს, 43 ვერცხლისა და 70 ბრინჯაოს მედალი.

XX საუკუნის 60-იან წლებში საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ჩოხიანი ორთაბრძოლა, იაპონური ძურო. მიუხედავად იმისა, რომ ძიუდოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოტანას სერიოზულ წინააღმდეგობას რიგი წამყვანი ქვეყნები უქმნიდნენ, იაპონელმა ძიუდოს მესვეურებმა შეძლეს და მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ ძიუდო უნივერსალური ჭიდაობის სახე იყო და იგი მსოფლიოს ყველა ხალხის ორთაბრძოლებს მოიცავდა.

ძიუდო თავისი სტილითა და ხასიათით უფრო ახლო აღმოჩნდა ქართულ ჭიდაობასთან, ვიდრე საბჭოური სამბო. ამიტომაც, სსრ კავშირის ნაკრები ძირითადად ქართველი ძიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული. 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებში 6 სპორტსმენიდან 4 ქართველი იყო - შენგელი ფიცხელაური, გურამ გოგოლაური, შოთა ჩოჩიშვილი და გივი ონაშვილი, სადაც შოთა ჩოჩიშვილი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა და ძიუდოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა მოჭიდავეებთან, ხოლო გ. ონაშვილი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. სწორედ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მიაქციეს ყურადღება ძიუდოს მესვეურებმა ქართველ მოჭიდავეებს. XX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი მოჭიდავეები არასასურველი მოწინააღმდეგეები გახდნენ იაპონელებისათვის. 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 8 სპორტსმენიდან 4 ქართველი ძიუდოისტი გამოდიოდა - აკაკი კიბორძალიძე, კობა კურტანიძე, გიორგი თენაძე და ამირან ტოტიკაშვილი. კ. კურტანიძე და ა. ტოტიკაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ა. კიბორძალიძემ ფინალი დათმო იაპონელ ოგავასთან, ხოლო გ. თენაძემ მე-3 ადგილი დაიკავა.

ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ტექნიკური მოქმედებების შედარებითი ანალიზი, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

საერთო ნიშნები:

ძიუდოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოტანის დროს იაპონელები აცხადებდნენ, რომ ძიუდოს ტექნიკური არსენალი მოიცავდა მსოფლიოში არსებული ორთაბრძოლების ყველა ტექნიკურ მოქმედებას, რაც ყველა ხალხს მისცემდა საშუალებას ძიუდოში ასპარეზობის დროს გამოეყენებინათ საკუთარი ეროვნული ორთაბრძოლების ტექნიკური არსენალი, რაც ამ დროისათვის ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა. შემდგომ წლებში კი, როგორც ძიუდოს ფუძემდებლებმა, იაპონელებმა, ისე ევროპის ძუდოს

ფედერაციის ხელმძღვანელებმა გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვებიც დააწესეს ძუდოს ტექნიკურ არსენალში, რაც ძირითადად ძიუდოს ქართული სკოლის წინააღმდეგ აღმოჩნდა მიმართული.

როგორც იაპონელები ზემოთ აღნიშნავდნენ, ძიუდომ მართლაც მოიცვა ქართული ჭიდაობის ყველა ტექნიკური მოქმედება, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ძიუდოს ტექნიკური არსენალი და უფრო სანახაობრივი გახადა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოს ტექნიკურ არსენალს ბევრი აქვს საერთო.

ძიუდოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც ძირითადი ყურადღება ექცევა მოჭიდავეთა გადაადგილებას საშეჯიბრო არენაზე. გადაადგილება შერკინების პროცესში ისე მიმდინარეობს, რომ წონასწორობის ცენტრი არ გადის სპორტსმენის სხეულის გარეთ. გამოიყენება შემდეგი სახის გადაადგილებები: მიდგმითი ნაბიჯებით მარცხნივ და მარჯვნივ; ნაბიჯში გადაადგილება წინ და მარცხნივ, წინ და მარჯვნივ; ნაბიჯში გადაადგილება უკან და მარჯვნივ და უკან მარცხნივ.

ძიუდოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც ჩოხა ძირითადი კომპონენტია, ჩოხაში ჩაჭიდების შედეგად ხორციელდება სხვადასხვა ტექნიკური მოქმედებები. მსგავსებას ვხვდებით ტექნიკური მოქმედებების შეფასებაშიც. სუფთა გამარჯვებას სპორტსმენს აკუთვნებენ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ შესრულებული ტექნიკური მოქმედება დინამიკაში აიძულებს მოწინააღმდეგეს ორივე მხრით (ბეჭებით), შეეხოს საჭიდაო არენას. ძიუდოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური მოქმედებების დიდი ამპლიტუდით შესრულებას.

განმასხვავებელი ნიშნები:

ქართული ჭიდაობა იაპონური ძიუდოსაგან იმით განსხვავდება, რომ ქართული ჭიდაობა მხოლოდ დგომში მიმდინარეობს, იგი მაშინვე წყდება, როგორც კი ერთ-ერთი მოჭიდავე მუხლით შეეხება საშეჯიბრო არენას. ძიუდოში კი შეჭიდება მიმდინარეობს როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში (პარტერში). ძიუდოში წმინდა გამარჯვების მოპოვება შეიძლება როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში, ქართულ ჭიდაობაში კი - მხოლოდ დგომში ეფექტური ტექნიკური მოქმედების ჩატარებით.

ძიუდო, ქართულ ჭიდაობასთან შედარებით, უფრო სრულყოფილი, სრულფასოვანი ორთაბრძოლის სახეა, რადგან შეჭიდების დროს ნებადართულია ხელებისა და ფეხების შეუზღუდავი გამოყენება. რაც შეეხება ქართულ ჭიდაობას, აქ ხელებით ფეხებზე ტექნიკური მოქმედებების განხორციელება აკრძალულია, იკრძალება ჩოქბჯენში შეჭიდებაც. არენაზე ერთ-ერთი მოჭიდავის მუხლით შეხებისთანავე ჩერდება შეჭიდება. ქართულ ჭიდაობაში ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები მოჭიდავეს აიძულებს უფრო მრავალფეროვანი გახადოს დგომში შეჭიდების ტექნიკა, რითაც აიხსნება ქართული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალის არსებობა.

შედარებითი ანალიზი:

ქართული ჭიდაობისა და ძიუდოს ტექნიკური მოქმედებების შედარებამ გვაჩვენა, რომ ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებები მთლიანად მოერგო ძიუდოს ჭიდაობის ტექნიკურ მოთხოვნებს. უფრო მეტიც, დგომში ქართულმა ჭიდაობის ტექნიკურმა მოქმედებებმა გაამდიდრა ძიუდოს ტექნიკური არსენალი. მოგვიანებით კი ძიუდოს ფუძემდებლებს ქართულმა ტექნიკურმა არსენალმა სერიოზული პრობლემებიც შეუქმნა.

შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ძიუდოს სხვა სკოლების წარმომადგენლებს, გაცილებით ეფექტურია, ვიდრე იაპონური სკოლის ტექნიკური მოქმედებები.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებები

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ეროვნულ ჭიდაობაში შეჭიდება მიმდინარეობს მხოლოდ დგომში, მისი ტექნიკურ მოქმედებათა არსენალი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ჭიდაობა ძიუდოში. ქართული ჭიდაობა თავის ტექნიკურ არსენალში აერთიანებს ისეთ ტექნიკურ მოქმედებებს, რომელთა სრულფასოვანი შესწავლა დღემდე ვერ შეძლეს ძიუდოს ვერც ერთი სკოლის წარმომადგენლებმა. კერძოდ: ყველაზე გავრცელებული ილეთია „მხარზე გადავლებული მოგვერდი“, რომელიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ძიუდოს ყველა სკოლის წარმომადგენლებს; გადავლებული მოგვერდი; გადავლებული გარეკაური გვერდზე გდებით; გადავლებული გარეკაური უკან გდებით; ქუსლური კაური („ეშმაკური“) უკან გდებით; ამოგლეჯა (მოწინააღმდეგის უკან გატყორცნით); მხარამოკეტილი შუაკაური; მხარამოკეტილი გარეკაური; მკლავებით ატრიალება; მოგვერდი ზურგის მხარეზე ქამრის აღებით; გარეკაური ზურგის მხარეზე ქამრის აღებით; მოგვერდი მუცელთან ქამრის აღებით; გარეკაური მუცელთან ქამრის აღებით; მხარგადაკეტილი მოგვერდი; მხარგადაკეტილი გარეკაური გვერდზე გდებით; მხარგადაკეტილი გარეკაური უკან გდებით; ნამგალა უკან გდებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტექნიკური მოქმედება ქართული ჭიდაობის წიაღშია წარმოქმნილი და ისინი ძიუდოში ასპარეზობის პროცესში არცერთი სკოლის წარმომადგენლის მიერ არ გამოიყენება.

ძველი ქართული სკოლის ტექნიკური ელემენტების სწავლების მეთოდიკა, ძიუდოისტთა მომზადება მოსამზადებელ ჯგუფებში

ჭიდაობა ძიუდოს სპორტულ სექციაში სპორტსმენის მომზადება მიმდინარეობს მოსამზადებელ ჯგუფებში, სადაც გეგმაზომიერად ხორციელდება ფიზიკური და მორალური თვისებების აღზრდა.

მოსამზადებელ ჯგუფში მომავალ სპორტსმენთა ჩარიცხვა უნდა მოხდეს სელექციის გზით. სელექცია უნდა მიმდინარეობდეს მედიცინის მაღალკვალიფიციურ მუშაკთან ერთად, რათა არ გაიპაროს თვალით ძნელად შესამჩნევი დაავადებები, რამაც შემდგომში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდის ჯანმრთელობაზე.

მოსამზადებელი ჯგუფი უნდა აერთიანებდეს 7-12 წლის ასაკის მოსწავლეებს, რომელთა წვრთნისათვის დგება სპეციალური პროგრამა მიმართული ფიზიკური თვისებების მიზანმიმართული განვითარებისათვის. სწორედ მოსამზადებელ ჯგუფში მიმდინარეობს ისეთი ფიზიკური თვისებების სრული ჩამოყალიბება, როგორიცაა: კოორდინაცია, მოქნილობა, სისწრაფე და გამძლეობა. ფიზიკური თვისებების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე მოსამზადებელი ჯგუფი იყოფა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი აერთიანებს 7-9 წლის ასაკის მოსწავლეებს, მეორე ეტაპი აერთიანებს 10-12 წლის ასაკის მოსწავლეებს.

მოსამზადებელი ჯგუფის პირველი ეტაპი (7-9 წ.)

მოსამზადებელი ჯგუფის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორი ფიზიკური თვისების: კოორდინაციისა და მოქნილობის განვითარებას. კოორდინაციის განვითარება დამოკიდებულია თავის ტვინის თხემის ნაწილის ჩამოყალიბებასთან, რომელიც ნორმალურ ადამიანში 7-8 წლის ასაკში ასრულებს ჩამოყალიბებას. რაც შეეხება მოქნილობის განვითარებას, იგი კავშირშია სახსრების გაძვალებასთან, რომელიც ასევე 8-9 წლის ასაკში სრულდება. ორივე ფიზიკური თვისება ურთიერთკავშირშია და მათი ერთდროული განვითარება მიმდინარეობს ჰარმონიულად. პირველ წელიწადნახევარში მეტი ყურადღება ექცევა კოორდინაციის განვითარებას ამიტომაც მიზანშეწონილია ყველაზე რთული ტექნიკური მოქმედებების ათვისება, ხოლო მეორე წელიწადნახევარში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოქნილობის განვითარებას.

კოორდინაციის განვითარება

სპორტულ სექციაში ჩარიცხვისთანავე მოსწავლეებთან ვარჯიშები იწყება კოორდინაციის განმავითარებელი მოძრაობებით. პირველ ეტაპზე იგეგმება საერთო კოორდინაციის განსავითარებელი ვარჯიშები, რომელიც გრძელდება 6-7 თვის მანძილზე, ხოლო შემდგომ ერთი წლის მანძილზე იგეგმება სპეციალური კოორდინაციის განსავითარებელი ვარჯიშები, რომელიც გულისხმობს ძიუდოს ყველაზე რთული ტექნიკური ელემენტების შესწავლა-შესრულებას.

კოორდინაციის განვითარების დროს ყურადღება ეთმობა რთული კომბინაციური ტექნიკური მოქმედებების გადაბმას, რომელიც სრულდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეზე, რაც მომავალში განაპირობებს მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდას. წელიწადნახევრის შემდეგ მოსწავლეები უნდა ასრულებდნენ ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე რთულ მოძრაობებს და ფლობდნენ საკუთარი სხეულის წონასწორობის (სიმძიმის) ცენტრის მართვის უნარს (გარდა იმ ტექნიკური მოქმედებებისა, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს ძლიერი ფიზიკური ძალის გამოყენებას).

მოქნილობის განვითარება

პირველი მოსამზადებელი ეტაპის მეორე ნახევარი ეთმობა მოსწავლეებში მოქნილობის განვითარებას, პარალელურად მიმდინარეობს ვარჯიშები კოორდინაციის სრულყოფისათვის, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა საკუთარი და მოწინააღმდეგის წონასწორობის ცენტრების მართვას.

მოსამზადებელი ჯგუფის მეორე ეტაპი (10-12 წ.)

მოსამზადებელი ჯგუფის მეორე ეტაპზე, სადაც გაერთიანებულნი არიან 10-12 წლის მოსწავლეები, წვრთნა მიმდინარეობს შემდგომი ორი ფიზიკური თვისების: სისწრაფისა და გამძლეობის განვითარების მიზნით. მეორე ეტაპის საწვრთნელი ვარჯიშების დაგეგმვის დროს ყურადღება ეთმობა პირველ ეტაპზე განვითარებული ფიზიკური თვისებების კოორდინაციისა და მოქნილობის შემდგომ სრულყოფას. მეორე ეტაპზე პარალელურად იგეგმება ვარჯიშები, სისწრაფისა და გამძლეობის განვითარებისათვის. პირველ წელიწადნახევარში მიმდინარეობს სისწრაფის აღზრდა. მეორე წელიწადნახევარში ვარჯიშები მიმდინარეობს გამძლეობის განვითარების მიზნით.

სისწრაფის განვითარება

მეორე მოსამზადებელი ეტაპის პირველი ნახევარი ეთმობა სისწრაფის განვითარებას. პირველ რიგში ხდება საერთო სისწრაფის განვითარება. საერთო სისწრაფის განმავითარებელი ვარჯიშების გამოყენებით (ძირითადად მძლეოსნური ვარჯიშები), რომელიც ჩართულია საერთო ფიზიკური მომზადების პროცესში.

გამძლეობის განვითარება

მოსამზადებელი ჯგუფის მეორე ეტაპის მეორე ნახევარი ეთმობა გამძლეობის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ გამძლეობა ყველა წინა პერიოდში განვითარებულ ფიზიკურ თვისებებთან (კოორდინაცია, მოქნილობა, სისწრაფე) ერთად გარკვეული დოზით ვითარდებოდა, ამ პერიოდში მაინც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალური გამძლეობის განვითარებას.

სპეციალური გამძლეობა, სპორტსმენის ამტანიანობა ძლიერი დატვირთვების დროს ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია მოჭიდავის არსენალში. იგი ძირითადად განაპირობებს მაღალსპორტულ შედეგებს. სპეციალური გამძლეობის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს დახურულ სპორტულ შენობაში (რადგან შეჯიბრები ძიუდოში დახურულ სპორტულ არენებზე მიმდინარეობს), საჭიდაო ხალიჩაზე, სწრაფძალოვანი და სპეციალური ვარჯიშების გამოყენებით.

დასკვნა

ქართული ეროვნული ჭიდაობის ტექნიკურმა არსენალმა XX და XXI საუკუნეებში ქართველ მოჭიდავეებს საშუალება მისცა მსოფლიოში თავი წარმოეჩინა როგორც უძლიერეს ფალავნებს, ხოლო რაც შეეხებათ ძიუდოისტებს, მათ ძიუდოს ფუძემდებლებსა და მსოფლიოს აჩვენეს ძიუდოს სრულიად განსხვავებული ტექნიკა, რომელიც დამახასიათებელი არ არის სხვა სკოლებისათვის, კერძოდ:

- უხერხული მოწინააღმდეგისათვის არასასურველი ჩავლებები („ზახვატები“);
- ძიუდოს ჩოხის ზურგის მხარისა და ქამრის (წელის გარშემო) აქტიური გამოყენება;
- ტექნიკური მოქმედებების შესრულება დანაწევრებით, მოწინააღმდეგეზე ეფექტური ჩაჭიდების განხორციელებით, ფიზიკური დათრგუნვითა და ეფექტური მრავალმიმართულებიანი ტექნიკური მოქმედებების განხორციელებით, რაც სანახაობრივს ხდის შეჭიდების პროცესს და ზრდის წარმატების მოპოვების შანსს.

ქართული ჭიდაობის მრავალფეროვანი, დღისათვის არსებული ტექნიკური არსენალი საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი ჰიბრიდული და კომბინირებული ტექნიკური მოქმედებები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ძიუდოში ასპარეზობის დროს.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური არსენალის გამოყენებამ ჭიდაობა ძიუდოში წარმოაჩინა ახალი მიმართულება - ძალისმიერი ტექნიკური მოქმედებების სახით, რამაც საფუძველი დაუდო ჭიდაობა ძიუდოში, ძიუდოს ქართული სკოლის ჩამოყალიბებას, რასაც დღეს ძიუდოს ყველა წამყვანი ქვეყნის სპეციალისტებიც აღიარებენ.

ლიტერატურა:

1. ბალავაძე ვ., მაისურაძე ს., ქართული ჭიდაობა, თბ., 1968.
2. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბ., 1996.
3. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2012 წწ.).
4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის VII-XII კლასები, თბ., 2010.
5. ტიელიძე ზ., ქართული ჭიდაობის მეცნიერულ-ფილოსოფიური შეფასების მცდელობისათვის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტომი III, გორი, 2003.
6. www.sportandyouth.ge

ორგანიზმის ზოგიერთ ფუნქციათა თავისებურებანი დიდი სიმძლავრის ფიზიკური დატვირთვის დროს

გიორგი თამლიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** სრული პროფესორი
მარიამ უბირია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

დიდი სიმძლავრის სპორტული ფიზიკური დატვირთვა, როგორც ცნობილია, გრძელდება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში. იგი, როგორც ინტენსივობის, ისე შესრულებული მუშაობის მოცულობის მიხედვით, საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ამგვარი ფიზიკური დატვირთვის დროს აღინიშნება ორგანიზმის ფუნქციათა მკვეთრი ცვლილებები, რიგი ვეგეტაციური ფუნქციები უახლოვდება ზღვრულ სიდიდეს, ასე იცვლება მაგ: გულსისხლძარღვთა მოქმედება (გამონაკლისია სისხლის დიასტოლური წნევა, რომელიც ხშირად კლებულობს) და რესპირატორული მაჩვენებლები (სუნთქვის სიხშირე, სიღრმე, ფილტვების ვენტილაცია, ჟანგბადის მოხმარება და სხვა).

მუშაობაში შესავლის ფაზის დამთავრების შემდეგ ყველა ფუნქციური მაჩვენებელი ხდება სტაბილური (მდგრადი). სტაბილური ხდება დროის ერთეულში შესრულებული მუშაობის რაოდენობაც. მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვითარდება დაღლის ნიშნები (ამ ნიშნების განვითარების დრო დამოკიდებულია გაწვრთნილობის ხასიათზე), რომლის უტყუარი გამომხატველია დროის განმავლობაში შესრულებული მუშაობის რაოდენობის შემცირება, მოძრაობის ნატიფი კოორდინაციის დარღვევა და სხვა. ცვლილებები მით მეტია, რაც უფრო ღრმავდება დაღლის პროცესი, დასვენების ანუ აღდგენის პერიოდში ხდება იმ ცვლილებათა ლიკვიდაცია, რამაც განაპირობა მუშაობისუნარიანობის დაქვეითება და ნატიფი კოორდინაციის მოშლა, ხდება მუშაობისუნარიანობის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ ვეგეტატურ ფუნქციათა და მუშაობისუნარიანობის აღდგენა, ანუ მათი დაბრუნება მუშაობის დაწყების წინა ფონისადმი, ხდება არაერთდროულად, სხვანაირად რომ ვთქვათ, აღდგენითი პროცესები მიმდინარეობს ჰეტეროქრონულად. ეს აძნელებს ორგანიზმის სრული აღდგენის ხანგრძლივობის ზუსტ დადგენას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტული წვრთნისთვის.

მკვლევარებმა (ლეინიკი მ. ქ., კულიკი ი.ა., ჩაგოვეცი ნ.პ., ფოლბორტი იუ. ვ.) შენიშნეს, რომ აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ფაზურად. ლეინიკი მიუთითებს, რომ აღდგენის პროცესში უნდა გავარჩიოთ სამი ფაზა: 1) მუშაობის უნარიანობის საწყის მდგომარეობამდე აღდგენა, 2) მუშაობისუნარიანობის აღმატებული აღდგენა, ე.ი. მუშაობის უნარიანობა ხდება იმაზე მეტი, ვიდრე იყო მუშაობის დაწყების წინ. 3) მუშაობის უნარიანობა ერთგვარად ქვეითდება და უბრუნდება საწყის დონეს. აღდგენის პროცესში ფაზების არსებობა დაადასტურა ჰიპერრეიტერმა. იგი მიუთითებს, რომ სიმძიმეების აწევით გამოწვეული დაღლის შემდეგ მუშაობისუნარიანობის აღდგენა მთავრდება 7-12 წუთის განმავლობაში, ხოლო შემდეგ 13-დან 20 წუთამდე ადგილი აქვს მუშაობისუნარიანობის აღმატებულ აღდგენას, რომლის შემდეგაც მუშაობის უნარიანობა უბრუნდება საწყის დონეს. აღდგენის პროცესების ბიოქიმიურმა გამოკვლევებმაც დაადასტურა მუშაობის პროცესში დახარჯული ენერგორესურსების აღდგენის ფაზურობა (იაკოვლევი-ჩაგოვევი) და მათ შორის ჭარბი აღდგენის ანუ სუპერკომპენსაციის ფაზის არსებობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღდგენის პერიოდი არ წარმოადგენს უბრალოდ იმ დროს, რომლის განმავლობაში მუშაობისუნარიანობა საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ეს რომ ასე იყოს, ალბათ, შესაძლებელი არ იქნებოდა ორგანიზმის ფუნქციონალური და სტრუქტურული სრულყოფა - განვითარება წვრთნისა და ვარჯიშის მეშვეობით. ორგანიზმის ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა არის შედეგი იმისა, რომ ვარჯიშის შემდეგ რჩება ე.წ. "კვალის" მოვლენები, და ეს ცვლილებები ჯამდება და მტკიცდება როგორც ორგანიზმის გაწვრთნილობის პროგრესირების სახე /ეფიმოვი/. ი. მ. სეჩენოვი "თავის ტვინის რეფლექსებში" მიუთითებს "კვალის" მოვლენებზე და მას თვლის ორგანიზმის განვითარების მძლავრ ფაქტორად. როგორც დავინახეთ, აღდგენის პერიოდი ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რის ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტული წვრთნის მეცნიერული წარმართვისათვის. გამომდინარე აქედან ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა დიდი სიმძლავრის ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ორგანიზმში მომხდარი ვეგეტატური ფუნქციების დინამიკის თავისებურებანი.

კვლევის მეთოდიკა

აღდგენითი პროცესების დინამიკის თავისებურებათა შესასწავლად დაკვირვება წარმოებდა სტუდენტ სპორტსმენებზე. ცდის პირთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 27-ს. ამათგან 15 იყო ვაჟი, ხოლო 12 ქალი. ცდის პირები სხვადასხვა კვალიფიკაციის იყვნენ (პირველთანრიგოსნები, სპორტის ოსტატობის კანდიდატები და სპორტის ოსტატები). აღნიშნული ცდის პირები ვარჯიშობენ სხვადასხვა სახეში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, კრივი და მშვილდოსნობა). მუშაობა სრულდებოდა ველოერგომეტრზე 7-10 წუთის გამძლეობით, 1,5-დან 3 კგ წინააღმდეგობობით (ქალებისთვის 1,5-2 კგ., ვაჟებისთვის 3 კგ.) მოძრაობის სისწრაფე კმ-საათში. შევისწავლიდით ზოგიერთ ვეგეტატურ ფუნქციათა დინამიკას, კერძოდ, გულსისხლძარაღვთა მოქმედებას (პულსი და არტერიული სისხლის წნევა), სუნთქვის პროცესს. ფუნქციონალური მაჩვენებლების აღება ხდებოდა ფიზიკური დატვირთვის წინ, დატვირთვის დამთავრებისთანავე და აღდგენის პერიოდის მე-3, მე-5, მე-10, მე-15, მე-20, 30-ე წუთებზე. ზოგჯერ (საჭიროებისამებრ) დაკვირვება გრძელდებოდა უფრო დიდხანს.

დაკვირვების შედეგები და მისი ანალიზი

აღდგენის პერიოდის თავისებურებას, როგორც ეს ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს და რომელიც ჩვენი დაკვირვებიდანაც დასტურდება, წარმოადგენს ვეტეროქრონული აღდგენა იმ პროცესებისა, რომლებიც მუშაობის გავლენით შეიცვალნენ. რადგანაც ვეგეტატიურ ფუნქციათა აღდგენა არაერთდროულია, ამიტომ მათი განხილვა მოგვიხდება ცალ-ცალკე და დავიწყებთ სუნთქვის პროცესით.

სუნთქვა, როგორც ცნობილია, ორგანიზმს უზრუნველყოფს ჟანგბადით. ჟანგბადი კი ის ნივთიერებაა, რომელიც ჟანგვითი პროცესების შედეგად ორგანიზმში წარმოქმნის საარსებო და სამოქმედო ენერგიას. ჟანგბადის მოხმარების ზრდა ძირითადად პირდაპირ დამოკიდებულებაშია ენერგიის ხარჯვასთან. ფიზიკური მუშაობის დაწყებისთანავე იზრდება ჟანგბადის მოხმარება და მუშაობის გარკვეული ხანგრძლივობისა და ინტენსივობის პროცესში უახლოვდება ან აღწევს მოხმარების მაქსიმუმს ანუ ჭერს. შესატყვისად იცვლება გარეგანი სუნთქვა, იგი ხშირდება და ღრმავდება, რის გამოც მნიშვნელოვნად იცვლება ფილტვების ვენტილაცია, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს 150-200 ლიტრს და მეტსაც. დიდი იტენსივობის ფიზიკური დატვირთვისას სუნთქვის პროცესი, მისი სიხშირე და სიღრმე და, აქედან გამომდინარე, ფილტვების ვენტილაცია უახლოვდება შესაძლებლობის მაქსიმუმს (მომუშავე პირისთვის).

ველოერგომეტრზე 10 წუთიანი დატვირთვის გავლენით, როცა სისწრაფე შეადგენდა საშუალოდ 30 კმ-ს საათში, ცდის პირების სუნთქვის სიხშირე საშუალოდ იზრდებოდა 35-42-მდე წუთში (მოსვენებულ მდგომარეობაში საშუალოდ იყო 12-18 წუთში). დასვენების პირველი 3-5 წუთის განმავლობაში სუნთქვის სიხშირე აღდგა 50%-ით, ხოლო მე-10 წუთზე თითქმის ყველა ცდის პირში სუნთქვა უბრუნდებოდა საწყის მდგომარეობას.

ფიზიკური დატვირთვის დროს გაზრდილი ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სუნთქვის პროცესის გაზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად იზრდება გულსისხლძარღვთა მოქმედება. გულის მოქმედების გაძლიერებას თან ახლავს პულსის გახშირებაც და დიდი ინტესივობის ფიზიკური დატვირთვისას, ლაბორატორიის პირობებში, აღწევს 160-180-ს წუთში.

მუშაობის დამთავრების შემდეგ გულის მუშაობა უფრო გვიან უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ვიდრე სუნთქვა. მოსვენების მე-10 წუთზე, როცა სუნთქვის სიხშირე უკვე დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას, გულის მუშაობა /პულსი/ აღდგენილია 60-80%-ით და 30-40 წუთის შემდეგ უბრუნდება საწყის მდგომარეობას. არცთუ იშვიათად გულის მუშაობის აღდგენა ხდება ტალღისებურად. აღდგენის პერიოდის დასაწყისშივე გულისცემის სიხშირე სწრაფად კლებულობს და მე-10 წუთზე 160-180-დან ჩამოდის 110-მდე, მე-15 წუთზე მატულობს და ხდება 130 წუთში, მე-20 წუთზე 90 და მე-40 წუთზე უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

გულისცემის აღდგენის ტალღისებურად მიმდინარეობა უფრო ხშირად იმ სპორტსმენებს აქვთ, რომელთაც მოსვენებულ მდგომარეობაში აღენიშნებათ გულის არითმია. გულის მოქმედების აღდგენის სისწრაფე არაა დამოკიდებული სპორტის სახეობაზე, მაგრამ დაკავშირებულია გაწვრთნილობის ხარისხზე, კარგად გაწვრთნილ სპორტსმენებში იგი გრძელდება 40 წუთი და ზოგჯერ მეტიც.

დიდი სიმძლავრის ფიზიკური დატვირთვა მნიშვნელოვნად ცვლის სისხლის არტერიულ წნევასაც, როგორც წესი, სისტოლური წნევა ყოველთვის მატულობს და აღწევს 200-200 მილიმეტრს, ხოლო დიასტოლური წნევა, ფიზიკური დატვირთვის გავლენით, სპორტსმენებში ხშირად ქვეითდება და ზოგჯერ და უტოლდება 0-ს. აღდგენის პერიოდის მე-15-20 წუთზე სისტოლური წნევა უბრუნდება ნორმას, ხოლო დიასტოლური წნევა თუ იგი ნულოვანი, აღდგენისათვის მოითხოვს მეტ დროს.

ამრიგად, გულსისხლძარღვთა მოქმედების მაჩვენებელთა აღდგენა არ ხდება სინქრონულად, ხშირად სისხლის არტერიული წნევა (სისტოლური) უფრო ადრე უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ვიდრე გულის ცემის სიხშირე. ასე რომ ვეგეტატიური ფუნქციების აღდგენა მიმდინარეობს ჰეტეროქრონულად და ფაზურად. წვრთნის პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღდგენის აღმატებული ფაზის განსაზღვრას, რადგანაც სწორედ ამ აღმატებული აღდგენის ფონზე უნდა ხდებოდეს საწვრთნო ვარჯიშის ჩატარება, თუ გვინდა, რომ გაწვრთნილობის მაჩვენებლები იზრდებოდეს სწრაფად და მნიშვნელოვნად.

დასკვნები

1. დიდი სიმძლავრის ფიზიკური დატვირთვისას ორგანიზმის ვეგეტატური ფუნქციები იცვლებიან მნიშვნელოვნად და მათი მაჩვენებლები უახლოვდებიან შესაძლებლობათა მაქსიმუმს;
2. აღდგენითი პროცესების მიმდინარეობა დამოკიდებულია როგორც გაწვრთნილობაზე, ისე ცდის პირის ინდივიდუალურ თავისებურებებზე;
3. აღდგენითი პროცესების მიმდინარობაში შეინიშნება (როგორც ეს ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს და რომელიც ნაწილობრივ ჩვენს ცდებშიც გამოვლინდა) ე.წ. ფაზურობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ტალღისებურად მიმდინარეობს და ერთ გარკვეულ პერიოდში შეინიშნება სუპერკომპესაცია ანუ მუშაობისუნარიანობის ზრდა მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით;
4. გულის მუშაობის ტალღისებური აღდგენა განსაკუთრებით აღინიშნება ისეთ სპორტსმენებში, რომლებსაც მოსვენებულ მდგომარეობაში აქვთ გულის მოქმედების არითმია;
5. მუშაობის დამთავრებისას ზოგჯერ ხდება სუნთქვის გაიშვიათება და გაღრმავება, შემდეგში გახშირება აღენიშნებათ ზოგიერთ სპორტსმენებს და ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს.

ლიტერატურა:
1. Фолборт Ю.В., Вопросы физиологического прцесса утомления, Киев, В сб. 3, 1958
2. Чаговец Н.Р., Доклад международной конференции по проблемам спортивной тренировки, 1962.
3. დ. გაბუნია, თ. ნამორაძე, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა, 1976.

ნდობის ინტერვალი და ჰიპოთეზის შემოწმება საშუალოებისათვის სამამოკრეფიანი შერჩევის დროს

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** სრული პროფესორი

მათემატიკური სტატისტიკის ამოცანები გამოიყენება მრავალ დარგში, კერძოდ ბიზნესში, ფიზიკაში და ა.შ. ძირითადად იყენებენ ერთ ან ორ ამოკრეფიან შერჩევებს. ნაშრომში კი განხილული გვაქვს სამ ამოკრეფიანი შერჩევები.

ვთქვათ მოცემულია სამი დამოუკიდებელი ნორმალურად განაწილებული X, Y, Z შემთხვევითი სიდიდეები ცნობილი დისპერსიებით $\sigma_1{}^2$, $\sigma_2{}^2$ და $\sigma_3{}^2$ და უცნობი a_1, a_2, a_3 მათემატიკური ლოდინებით. ჩვენი მიზანია:

1. შევაფასოთ $a_1 - a_2 - a_3$ ანუ ვნახოთ ამ სხვაობის წერტილოვანი შეფასება;
2. $a_1 - a_2 - a_3$ -სთვის ავაგოთ ნდობის ინტერვალი;
3. შევამოწმოთ ჰიპოთეზა მათემატიკური ლოდინების ტოლობის შესახებ.

მოცემულია, რომ $X \sim N(a_1, \sigma_1{}^2)$; $Y \sim N(a_2, \sigma_2{}^2)$; $Z \sim N(a_3, \sigma_3{}^2)$.

X პოპულაციიდან ავარჩიოთ $X_1, X_2, \dots, X_n$ შერჩევა;
Y პოპულაციიდან ავარჩიოთ $Y_1, Y_2, \dots, Y_n$ შერჩევა;
Z პოპულაციიდან ავარჩიოთ $Z_1, Z_2, \dots, Z_n$ შერჩევა;

1. $a_1 - a_2 - a_3$ ავიღოთ წერტილოვანი შეფასება
$\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} X_i - \frac{1}{m}\sum_{i=1}^{m} Y_i - \frac{1}{k}\sum_{i=1}^{k} Z_i$;
ვაჩვენოთ, რომ $\overline{X_n} \sim N\left(a_1, \frac{\sigma_1{}^2}{n}\right)$; $\overline{Y_m} \sim N\left(a_2, \frac{\sigma_2{}^2}{m}\right)$; $\overline{Z_k} \sim N\left(a_3, \frac{\sigma_3{}^2}{k}\right)$. ვინაიდან $X_1, X_2, \dots, X_n$ დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია და თითოეული X_i განაწილებულია ნორმალურად $X_i \sim N(a_1, \sigma_1{}^2), i = 1, \bar{n}$ მაშინ ცხადია, რომ $\overline{X_n} = \frac{1}{n}[X_1 + X_2 + \dots + X_n]$ განაწილებულია ნორმალურად და

$$E\overline{X_n} = E\left[\frac{1}{n}(X_1 + X_2 + \dots + X_n)\right] = \frac{1}{n}[E(X_1) + E(X_2) + \dots + E(X_n)] = \frac{1}{n}[a_1 + a_1 + \dots + a_1] = a_1$$

$$D\overline{X_n} = D\left[\frac{1}{n}(X_1 + X_2 + \dots + X_n)\right] = \frac{1}{n^2}[D(X_1) + D(X_2) + \dots + D(X_n)] = \frac{1}{n^2} n\sigma_1{}^2 = \frac{\sigma_1{}^2}{n}$$

ე.ი $\overline{X_n} \sim N\left(a_1, \frac{\sigma_1{}^2}{n}\right)$.

ანალოგიურად ადვილად ვაჩვენებთ, რომ $\overline{Y_m} \sim N\left(a_2, \frac{\sigma_2{}^2}{m}\right)$ და $\overline{Z_k} \sim N\left(a_3, \frac{\sigma_3{}^2}{k}\right)$.

$\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}$ განაწილებულია ნორმალურად და

$$E(\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}) = E(\overline{X_n}) - E(\overline{Y_m}) - E(\overline{Z_k}) = a_1 - a_2 - a_3,$$

ხოლო დისპერსია

$$D(\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}) = D(\overline{X_n}) - D(\overline{Y_m}) - D(\overline{Z_k}) = \frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k},$$

რადგან $E(\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}) = a_1 - a_2 - a_3$ ე.ი $\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}$ არის $a_1 - a_2 - a_3$ გადაუადგილებადი შეფასება, ხოლო ჩებიშევის უტოლობის გამოყენებით

$P[|\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - (a_1 - a_2 - a_3)| \geq a] \leq \frac{D(\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k})}{\varepsilon^2} = \frac{\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}}{\varepsilon}$ და აქედან გამოდის, რომ $\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} \xrightarrow{P} (a_1 - a_2 - a_3)$ ე.ი $\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k}$ არის ძალდებული შეფასება $a_1 - a_2 - a_3$.

2. ავაგოთ α დონის ნდობის ინტერვალი $a_1 - a_2 - a_3$-სთვის. ვინაიდან
$\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} \sim N(a_1 - a_2 - a_3, \frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k})$ ამიტომ მოვახდინოთ ნორმირება

$Z = \frac{\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - (a_1 - a_2 - a_3)}{\sqrt{\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}}}$ ე.ი $Z \sim N(0,1)$. ჩვენ გვაინტერესებს ვიპოვოთ ისეთი $(-Z_{\alpha/2}, Z_{\alpha/2})$ ინტერვალი, რომ $P\left(|Z| \leq Z_{\alpha/2}\right) = 1 - \alpha$, $P\left(-Z_{\alpha/2} \leq Z \leq Z_{\alpha/2}\right) = 1 - \alpha$ ე.ი. α მოცემულია, ამიტომ $1 - \alpha$ ვიცით, Z განაწილებულია ნორმალურად $Z \sim N(0,1)$ და სტატისტიკური ცხრილებიდან ვიპოვით $-Z_{\alpha/2}$ და $Z_{\alpha/2}$ და ე.ი. მივიღებთ ინტერვალს $-Z_{\alpha/2} \leq Z \leq Z_{\alpha/2}$

$-Z_{\alpha/2} \leq \frac{\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - (a_1 - a_2 - a_3)}{\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}} \leq Z_{\alpha/2}$ უკანასკნელი ტოლობები ამოვხსნათ $a_1 - a_2 - a_3$-ის მიმართ, მივიღებთ

$\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - Z_{\alpha/2}\left(\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}\right) \leq a_1 - a_2 - a_3 \leq \overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} + Z_{\alpha/2}(\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k})$ ე.ი α დონის ნდობის ინტერვალი $a_1 - a_2 - a_3$-სთვის არის

$$(\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - Z_{\alpha/2}\left(\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}\right), \overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} + Z_{\alpha/2}(\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}).$$

3. შევამოწმოთ α მნიშვნელობის დონით ჰიპოთეზა H_0 $a_1 = a_2 = a_3$ თუ ცნობილია $\sigma_1{}^2$, $\sigma_2{}^2, \sigma_3{}^2$. ალტერნატიული ჰიპოთეზა H_1 ერთ-ერთი $a_1 \neq a_2$ ან $a_1 \neq a_3$ ან $a_2 \neq a_3$ და ა.შ.

კრიტერიუმის სტატისტიკაა $Z = \frac{\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} - (a_1 - a_2 - a_3)}{\sqrt{\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}}}$ ვინაიდან Z განაწილებულია სტანდარტულ-ნორმალურად $Z \sim N(0,1)$ და გვინდა მოცემული α დონის ჰიპოთეზის შემოწმება, ამიტომ სტატისტიკური ცხრილებიდან

1. ვიპოვით $-Z_{\alpha/2}$ და $Z_{\alpha/2}$;
2. გამოვთვლით კრიტერიუმის მნიშვნელობას $z = \frac{\overline{x_n} - \overline{y_m} - \overline{z_k}}{\sqrt{\frac{\sigma_1{}^2}{n} + \frac{\sigma_2{}^2}{m} + \frac{\sigma_3{}^2}{k}}}$;
3. კრიტიკული არეა $Z \leq -Z_{\alpha/2} \cup Z \geq Z_{\alpha/2}$;
4. თუ ჩვენ მიერ გამოთვლილი კრიტერიუმის მნიშვნელობა მოხვდება კრიტიკულ არეში ე.ი. $Z \leq -Z_{\alpha/2}$ *ან* $Z \geq Z_{\alpha/2}$, მაშინ H_0 ჰიპოთეზას უკუვაგდებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამის საფუძველი არა გვაქვს.

მაგალითად დეკანატს აინტერესებს არის თუ არა ჩამოსულ და ადგილობრივ სტუდენტთა ასაკის საშუალოებს შორის განსხვავება. ჩამოსული სტუდენტები არიან თბილისიდან, რაიონებიდან.

თბილისიდან ჩამოსულ სტუდენტთა ასაკი: X 19, 22, 21, 20, 20, 22, 18, 20, 20, 25.
რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტთა ასაკი: Y 23, 19, 21, 18, 19, 21, 21, 23, 18, 22, 18, 18.
ადგილობრივ სტუდენტთა ასაკი: Z 22, 21, 22, 20, 20, 22, 19, 20, 18, 23, 22, 20.

$$\overline{X_{10}} = \frac{19+22+21+20+20+22+18+25+20+20}{10} = \frac{182}{10} = 18{,}2$$

$$\overline{Y_{12}} = \frac{23+19+21+18+19+21+21+23+18+22+18+18}{12} = \frac{218}{12} \approx 18{,}2$$

$$\overline{Z_{12}} = \frac{22+21+22+20+20+22+19+20+18+23+22+20}{12} \approx 20.75$$

1. ავაგოთ $\alpha = 0{,}05$ ნდობის ინტერვალი $a_1 - a_2 - a_3$ საშუალოებისა თუ ${\sigma_1}^2 = 1, {\sigma_2}^2 = 2, {\sigma_3}^2 = 3$ $\overline{X_n} - \overline{Y_m} - \overline{Z_k} = 18{,}2 - 18{,}2 - 20{,}75 = -20{,}75$, $Z_{\alpha/2} = 1{,}96$

2. ამიტომ ნდობის ინტერვალი იქნება $\left(-20{,}75 - 1{,}96\sqrt{\frac{1}{10}+\frac{2}{12}+\frac{3}{12}};\ -20{,}75 + 1{,}96\sqrt{\frac{31}{60}}\right)$ მიახლოებით $(-20{,}16;\ -19{,}34)$;

3. $\alpha = 0{,}05$ შევამოწმოთ H_0 ჰიპოთეზა რომ $a_1 = a_2 = a_3$ თუ ${\sigma_1}^2 = 1, {\sigma_2}^2 = 2, {\sigma_3}^2 = 3$, სტატისტიკის კრიტერიუმია $z = \frac{\overline{x_n} - \overline{y_m} - \overline{z_k}}{\sqrt{\frac{{\sigma_1}^2}{n} + \frac{{\sigma_2}^2}{m} + \frac{{\sigma_3}^2}{k}}}$, ხოლო სტატისტიკის მნიშვნელისა

$z = \frac{18.2 - 18.2 - 20.75}{\sqrt{\frac{31}{60}}} \approx -28.86$ კრიტიკული წერტილებია $-z_{0.025} = -1.96 \cup z_{0.025} = 1.96$ ე.ი. ჩვენი $z = -28.86 < -1{,}96$, ე.ი. H_0 ჰიპოთეზას უარვყოფთ.

$a_1 = a_2 = a_3$ ეს ჰიპოთეზა არ არის სწორი.

ლიტერატურა:

1. ო. ფურთუხია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბ., 2008.
2. А. Баравков, Математическая статистика, Наука, М., 1984.
3. Д. Коршунов, Н. Чернова, Сборник задач и упражнений по Математической статистике, Новосибирск, 2001.
4. Большев Л.Н., Смирнов Н.В., Таблицы математической статистики, Наука, М., 1965.

ბორჯომის მინერალური წყლის ბიოლოგიური და ჰიდროქიმიური მაჩვენებლების შესახებ

ქეთევან წიქარიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„ბორჯომი“, ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალი ამავე სახელწოდების ქალაქი-კურორტიდან საქართველოში, რომელიც ბუნებრივი მონაცემებით 1500 წელზე მეტს ითვლის, მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდა უდიდესი პოპულარობით რუსეთის იმპერიაში, ყოფილ სსრკ-ში და მის გარეთაც. „ბორჯომი“ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბუნებრივი მინერალური ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანი წყალია ბუნებრივი მინერალიზაციით.

ბორჯომის წყალი დედამიწის ზედაპირზე ამოდის 8–10 კილომეტრის სიღრმიდან, ბუნებრივი გაზის, ნახშირბადის დიოქსიდის წნევის მეშვეობით. ბევრი სხვა მინერალური წყლისგან განსხვავებით, ვერ ასწრებს მიწის ქვეშ გაციებას და ზედაპირზე ამოდის თბილი სახით (38-41 °C), რომელიც „გზადაგზა“ მდიდრდება კავკასიონის მთებში არსებული 60 სხვადასხვა მინერალის კომპოზიციით. „ბორჯომი“ იდეალურია როგორც რეგულარული გამოყენებისთვის, ასევე იმ დაავადებების სამკურნალოდ, რომლებიც საკვების მომნელებელ სისტემას, ნივთიერებათა ცვლასა და იმუნიტეტის ზრდას

უკავშირდება. ბუნებრივი თვისებების წყალობით „ბორჯომი“ არა მხოლოდ წყურვილს კლავს, არამედ ეფექტურად ავსებს ორგანიზმში მიკროელემენტების დანაკარგს და ამაღლებს ტონუსს.

ბორჯომის მინერალური წყაროები ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში აღმოაჩინეს. ამაზე მეტყველებს XX საუკუნეში აღმოჩენილი 7 ქვის აბაზანა. როგორც ჩანს, იმ დროს ბორჯომის წყალს იყენებდნენ სწორედ აბაზანებისთვის და არა მხოლოდ დასალევად. XVI-XVIII საუკუნეების ომების შედეგად წყაროების არსებობა დიდი ხნის განმავლობაში დავიწყებას მიეცა, ხოლო ის ადგილები, სადაც ეს წყაროებია, მიტოვებულ იქნა.

ბორჯომის წყლის „მეორე ცხოვრება“ დაიწყო XIX საუკუნის 20–იანი წლების ბოლოს. 1829 წელს ბორჯომში განლაგდა ხერსონის გრენადიორთა პოლკი. ერთხელ ჯარისკაცებმა ტყეში, მდინარე ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე იპოვეს მინერალური წყარო. მისი გაწმენდა და ქვით შემოზღუდვა ბრძანა პოლკოვნიკმა პოპოვმა, როდესაც გაიგო ბორჯომის წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ. შემდეგ 1837 წელს ხდება ბორჯომის წყლის პირველი სინჯების გადაგზავნა სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში.

1841 წელს ბორჯომის მინერალური წყალი უკვე იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ კავკასიის მთავარმართებელმა ევგენი გოლოვინმა თავისი სნეული ქალიშვილი ბორჯომში ჩაიყვანა სამკურნალოდ.

ბორჯომის საბადოს ტერიტორია შეადგენს 20 კვ. კმ-ს და მოიცავს 3 საექსპლუატაციო უბანს: ცენტრალურს, ლიკანის და ვაშლოვანი-ყვიბისის. ცენტრალური უბანი მდებარეობს კურორტ ბორჯომის ფარგლებში. მის დასავლეთ გაგრძელებას სოფ. ლიკანის ტერიტორიაზე წარმოადგენს ლიკანის უბანი.

ცენტრალური უბნის სამხრეთით 3.5 კმ-ზე მდებარეობს ვაშლოვანი-ყვიბისის უბანი. მას უკავია ბარათხევის სინკლინის ცენტრალური ნაწილი, სოფლების ვაშლოვანის და ყვიბისის ტერიტორიაზე.

ამჟამად ბორჯომის საბადოს ფარგლებში ფუნქციონირებს 18 ჭაბურღილი. აქედან საექსპლუატაციოა 9 ჭაბურღილი: ცენტრალური უბანი - NN 1, 21. 41რ, 59; ვაშლოვანი-ყვიბისის უბანი - NN 25ე, 37, 38; ლიკანის უბანი N 54. სათვალთვალო 9 ჭაბურღილი: ცენტრალური უბანი - NN13, 41ა, 101, 102, 128; ვაშლოვანი-ყვიბისის უბანი - NN 9, 37ე, 67, 70. რომლებიც ბორჯომის ნაკრძალის ტერიტორიაზე 200-დან 1500 მ. სიღრმეზე მდებარეობს. მრავალრიცხოვანი კვლევები იმას ადასტურებს, რომ „ბორჯომის“ მინერალური შემადგენლობა არ შეცვლილა 1830 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც მისი პირველი ლაბორატორიული დაკვირვებები ჩაატარეს.

1890 წლიდან ‘‘ბორჯომის’’ წყაროს წყლის საწარმოო ჩამოსხმა დაიწყო. 1904 წ. შესაძლებელი გახდა ‘‘ბორჯომის’’ წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია. მინის ჩაბერვა ჯერ კიდევ ხელით ხდებოდა, თუმცა ჩამოსხმა უკვე მექანიზებული გახდა.

ქართველმა ბიზნესმენებმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ უცხოელ პარტნიორებთან ერთად დააფუძნეს ახალი კომპანია, რომელსაც „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ (GG&MW - კომპანია „ბორჯომი“) ეწოდება. თავისი არსებობის პირველ წელს კომპანიამ მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი გამოუშვა – 70-ჯერ ნაკლები, ვიდრე საბჭოთა პერიოდში. 1910 წლიდან ეს რაოდენობა, პროდუქციის წარმოების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს შეადგენდა. 1995 წელს გაიმართა ტენდერი ბორჯომის წყლის ჩამოსხმის ლიცენზიის მოპოვების შესახებ, სადაც კომპანია „ბორჯომმა“ ტენდერში დაამარცხა 15 კონკურენტი კომპანია, მათ შორის წყლის წარმოებაში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანია "ნესტლე", რის შედეგადაც კომპანიას გადაეცა «ბორჯომის» მოპოვებისა და ჩამოსხმის ლიცენზია. საწყის ეტაპზე გასტუმრებული იქნა ჩამომსხმელი ქარხნების დავალიანებები. დაიწყო ახალი საინვესტიციო პროგრამის განხორციელება ისეთი ცნობილი საფინანსო ინსტიტუტების მოზიდვით, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ჰოლანდიური ფონდი ING-Barings.

კომპანია „ბორჯომს“ ISO 22000 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის უსაფრთხოების სერტიფიკატი მიენიჭა. 2007 წელს ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ ახალ ბაზრებზე შევიდა ყირგიზეთი, მონღოლეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ჩეხეთი, სომხეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და ბელგია. გაორმაგდა გაყიდვები საქართველოში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ამჟამად ბორჯომის მწარმოებელია კომპანია IDS Borjomi Georgia, რომელიც ნაწილია საერთაშორისო კომპანიისა — IDS Borjomi International. დღესდღეობით ბორჯომის რეგიონი ქართული მინერალური წყლით მსოფლიოს 40 ქვეყანას ამარაგებს.

კავკასიაში ბევრი მინერალური წყალია, მაგრამ არცერთს არა აქვს ისეთი ქიმიური შემადგენლობა, როგორც ,,ბორჯომს‘‘. XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ,,ბორჯომის‘‘ და მისი უნიკალური თვისებების შესახებ 100–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სამედიცინო გამოკვლევაა დაწერილი. 1890 წლიდან დაწყებული ბორჯომის მინერალურ წყლებს იკვლევენ გეოლოგები და ქიმიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მისი ტემპერატურა, ფიზიკურ–ქიმიური თვისებები და მინერალთა შემადგენლობა უცვლელია.

100 გრამი „ბორჯომის“ შემცველობა შემდეგნაირია:

- კალიუმი – 3.0 მგ
- კალციუმი – 13.0 მგ
- სილიციუმი – 1.1 მგ.
- მაგნიუმი – 10.0 მგ.
- ნატრიუმი – 200.0 მკგ.
- გოგირდი – 0.8 მკგ
- ქლორი – 50.0 მკგ.
- ალუმინი – 100.0 მკგ.
- ბორიუმი – 1200.0 მკგ.
- ტიტანიუმი – 4.0 მკგ.
- ფტორი – 800.0 მკგ.
- სტრონციუმი – 480.0 მკგ.

კვლევებში [2] კალციუმისა და მაგნიუმის განსაზღვრისათვის იყენებენ ატომურ აბსორბციულ და ტიტრიმეტრულ მეთოდს. ატომურ აბსორბციული რეჟიმით ამ კომპონენტების განსაზღვრისას ითვალისწინებენ ხელისშემშლელი იონების არსებობას და საანალიზო ხსნარს უმატებენ ლანთანის ქლორიდის 5%-იან ხსნარს. ტიტრიმეტრული მეთოდი დაფუძნებულია კომპლექსონომეტრულ განსაზღვრაზე კალციუმის და მაგნიუმის იონების ტრილონ Б–ს გამოყენებით. HCO_3^-, CO_3^{2-}, Cl^- და SO_4^{2-} - რაც შეეხება ანიონებს ჰიდროკარბონატის, კარბონატის და ქლორის განსაზღვრისას იყენებენ ტიტრიმეტრულ მეთოდს.

Ca^{2+} - 20-150; Mg^{2+} 20-150, Na^+ - 1000-2000 ; HCO^- - 3500-5000.

სტრონციუმის განსაზღვრისათვის, კალციუმის და მაგნიუმის მსგავსად, გამოიყენება ატომურ აბსორბციული მეთოდი. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ერთი Fფაქტი, რომ სტრონციუმის განსაზღვრისას აას-მეთოდით განსაზღვრაზე გავლენას ახდენს ნატრიუმის და კალიუმის თანაფარდობა. თუ ეს თანაფარდობა 10:1-ზე მეტია, როგორც ბორჯომის შემთხვევაშია, მაშინ თანაფარდობის აღსადგენად, ლანთანის ხსნართან ერთად სინჯში კალიუმის ქლორიდის ხსნარი შეგვაქვს გარკვეული რაოდენობა, რადგან აღდგეს თანაფარდობა 10:1-თან.

იოდის განსაზღვრისათვის იყენებენ იოდომეტრულ მეთოდს. საანალიზო ხსნარს წინასწარ ამუშავებენ ბრომიანი წყლით, რათა დაიჟანგოს იოდიდები იოდატებამდე, შემდეგ ტიტრავდნენ 0.01 ნ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით. ამ შემთხვევაში განსაზღვრას ხელს უშლის რკინის იონი, ორგანული ნივთიერებები და საანალიზო ნიმუშის შეფერილობა. მეთოდი საშუალებას იძლევა განსაზღვრონ 0.2 მგ/ლ იოდი.

ზემოთ აღნიშნული მეთოდების მიხედვით ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრება ხდება „გამა“ -ს ინსტიტუტის მიერ. ამავდროულად ქიმიური შედგენილობის შესწავლა ხდება ადგილობრივად ქარხნის ლაბორატორიებში. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შემდეგი ქიმიური ანალიზები: PH , CO_2, NO_2, Ca და CL.

1. pH - მეტრის გამოყენებით ვადგენთ ხსნარის რეაქციას;
2. CO_2,- ის განსაზღვრას ვახდენთ წნევის დაფიქსირებით მანომეტრის მაჩვენებელზე, შემდეგ საჭიროა ტემპერატურის განსაზღვრა თერმომეტრის საშუალებით, გაანგარიშება ხდება წნევისა და ტემპერატურის შუალედური მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც შემდეგ მრავლდება კოეფიციენტზე 1,83;
3. NO_2 ვსაზღვრავთ შემდეგნაირად: 50 მლ-იან კოლბაში ვასხავთ 5 მლ გრისის რეაქტივს (აღმომჩენი NO_2), კოლბას ვავსებთ მჭდემდე მინერალური წყლით და ვაყოვნებთ 20 წუთის განმავლობაში. ფოტოკოლორიმეტრით ვსინჯავთ და ჩვენებას ვადარებთ ცხრილს.
4. კალციუმის განსაზღვრისათვის 0,1 მლ საკვლევ სითხეს ემატება 5 მლ 4 წვეთი Ca 1, ყოვნდება 8 წუთი, მოცემული ნაზავი თავსდება კიუვეტში. სპეციალური სტანდარტული ხსნარი კიუვეტთან ერთად თავსდება „ნოვას“ აპარატში. შემდეგ ვიღებთ ჩვენებას.
5. Cl-ის განსაზღვრისათვის ვიღებთ 20 მლ საკვლევ სითხეს ვამატებთ 1-2 წთ კალიუმის 5% ქრომატს. ვტიტრავთ 0,1 ნ ვერცხლის ნიტრატით ხაჭოსებრი ნალექის წარმოქმნამდე. დახარჯული ნიტრატის რაოდენობას ვამრავლებთ კოეფიციენტზე (177,5) და ვიგებთ ქლორის რაოდენობას მინერალურ წყალში.

ვულკანური წარმოშობის მინერალთა უნიკალური კომპლექსის წყალობით „ბორჯომი“ მოქმედებს როგორც „შიდა შხაპი“ და შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს. ის მატებს იმუნიტეტს და ეფექტურია საჭმლისმომნელებელი სისტემისა და ნივთიერებათა ცვლით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის დროს. კვების ჰიგიენის სპეციალისტთა თანახმად, თანამედროვე მავნე ეკოლოგიური პირობებისა და არაბალანსირებული კვების გამო დარღვეულია ადამიანის ორგანიზმის ტუტე-მჟავას წონასწორობა (pH) და მატება აღინიშნება მჟავიანობის მხრივ. „ბორჯომის“

რეგულარული მიღება აბალანსებს pH-ის დონეს და ასევე ქმნის ოპტიმალურ პირობებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისათვის. ასევე მკურნალობს კუჭის ქრონიკულ კატარს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებებს, პანკრეასის ქრონიკულ ანთებას, ქრონიკულ კოლიტს, ნაწლავის ფუნქციურ მოშლილობას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეულ დაავადებებს (პოდაგრა, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი), ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს, საშარდე გზებისა და თირკმლის ზოგიერთ დაავადებას და სხვა. „ბორჯომი“ აუმჯობესებს ნაწლავთა მუშაობას და ორგანიზმიდან გამოჰყავს შლაკები. რამდენადაც, „ბორჯომი“ გამოირჩევა მინერალთა დაბალანსებული შემცველობით, ტრადიციულად, ბევრი ადამიანი მას სვამს, როგორც სუფრის წყალს. მაგალითად, კალციუმი „ბორჯომში“ 100 მგ-ზე ნაკლებია, რაც დასაშვებია ყოველდღიური მოხმარებისთვის — მარილთა დაგროვების რისკი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც კალციუმის შემცველობა 200 მგ/ლ-ს აჭარბებს.

ჭაბურღილებიდან მიღებული მინერალური წყალი 25 კილომეტრიანი უჟანგავი მილით მიეწოდება ჩამომსხმელ ქარხნებს. იქ ის ყენდება, ცივდება, იგაზება ნახშირბადის დიოქსიდით, ჩამოისხმება ბოთლებში და იფუთება. დღეს ქალაქ ბორჯომში მოქმედებს ორი ჩამომსხმელი ქარხანა.

ჩამომსხმელი ქარხნებისთვის მიწოდებულ მინერალურ წყალს ათავსებენ რეზერვუარებში, სადაც ხდება მათი გაციება 14 გრადუსამდე. გაციება აუცილებელია, რადგან მიწიდან წყალი 39-40 გრადუსიანი ტემპერეტურით ამოდის, ამ ტემპერატურაზე კი წყლის დაგაზვა შეუძლებელია. გაციების შემდეგ ხდება მისი ფილტრაცია, გაფილტრული წყალი შემდეგ გადადის ავზებში („მარტია“). შემდეგ ეტაპზე ხდება გაფილტრული წყლის ანალიზი სპეციალურ ლაბორატორიაში. შემდეგ კი ისევ ფილტრაცია და ბოლოს დაგაზვა. ყველა ამ პროცედურის გავლის შემდეგ იწყება მინერალური წყლის ჩამოსხმა მინისა და პლასტმასის ბოთლებში, მათი დახარისხება და ბოლოს გადაზიდვა. ჩამომსხმელი ქარხნები იყენებენ უნიკალურ ხელსაწყოებს მინერალური წყლის დასამუშავებლად ყველა იმ პროცედურის წარმატებით წარმართვისთვის, რომელსაც გადის წყალი მომხმარებლამდე მზა სახით მიტანამდე.

ბოთლი „ბორჯომის“ განუყოფელი ნაწილია. მას ყოველთვის ცნობენ. მოცისფრო-მომწვანო მინა ან პლასტიკი, მასზე გამოსახული ირმის გრავიურა და მსოფლიოში ცნობილი საფირმო ეტიკეტი „ბორჯომის“ განუყოფელი ატრიბუტებია.

მინერალური წყლის ასწლიანი ისტორიის მანძილზე მისი ბოთლი არაერთხელ შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში მიაგნეს მის დღემდე ცნობად ფორმას და განსაზღვრეს „ბორჯომის“ ბოთლის დღევანდელი მახასიათებელი, რომელიც თავიდან ბოლომდე აისახა 2010 წლის ნოემბერში გამოშვებულ ახალი დიზაინის მქონე ბოთლში.

პლასტმასის ბოთლებში წყლის მოთავსებამდე საჭიროა მათი დაბერვა ანუ ბოთლის სახის მიცემა. დაბერვა ხდება სპეციალური მანქანით, რომლის წარმადობა 1 სთ-ში 720-ია. შემდეგ აუცილებელია როგორც მინის, ასევე პლასტმასის ბოთლის გამორეცხვა. ამის შემდეგ იწყება წყლის ჩასხმა. სპეციალური მანქანის საშუალებით ცარიელი ბოთლები ივსება წყლით და ეფარება თავსაფარი. უკვე ბოთლებში მოთავსებული წყალი გადადის ეტიკეტის მიმკრობ გერმანულ „პრონელი“-ს მანქანაში, რომლის წარმადობა 1 სთ-ში 14200. უნდა აღინიშნოს, რომ გაფილტრული წყლის კონტროლი ხდება ყოველ 1 სთ-ში ერთხელ. „ბორჯომის” ხარისხის კონტროლის სისტემა საწარმოო პროცესის ყველა ეტაპზე ჩატარებული სამუშაოების სრულად გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა. პროდუქტი მკაცრ კონტროლს გადის დაწყებული მოპოვებიდან და ჩამოსხმიდან, დამთავრებული გასაყიდ წერტილამდე. გარდა ამისა, ის სრულ შესაბამისობაშია ISO 22000-ის პრინციპებთან (საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასების ყველაზე თანამედროვე სისტემა). იარლიყის მიკვრის შემდგომ ბოთლები უკვე მზადაა დასაკომპლექტებლად. ამიტომ ხდება მათი დანიშნულებისამებრ გადანაწილება. საქართველოს მასშტაბით ცალკეული მაღაზიებისთვის განკუთვნილი პარტიის დამზადება ხდება შემდეგნაირად: 6 ცალი ბოთლი იფუთება სპეციალური ხელსაწყოს მიერ პოლიეთილენით, ხოლო თუ პარტია მზადდება ქვეყნის გარეთ გასატანად, რამდენიმე ათეული ბოთლი ასევე იფუთება პოლიეთილენით. ბოლოს კი ხდება მათი საწყობში გადატანა, საიდანაც სატვირთო მანქანების და მატარებლების საშუალებით ხდება გადატანა საჭირო ადგილზე.

მინერალური წყალი „ბორჯომი“ იყო, არის და იქნება საქართველოს სავიზიტო ბარათი. მას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იცნობენ, როგორც უნიკალურ სამკურნალო საშუალებას. მის შესახებ არაერთი ნაშრომი დაწერილა. მას დიდი წვლილი შეაქვს ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ლიტერატურა:
1. ხარატიშვილი ლ., ბორჯომის მინერალური წყლის ფორმირების ჰიდროგეოლოგიურ-გენეტიკური მოდელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, მოხსენების თეზისები, თბ., 2004.
2. ხარგელია რ., ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ჰიდროქიმიური და ეკოლოგიური კვლევა, 2006.
3. გვახარია ვ., ხარგელია რ., გვაზავა ნ., ადამია ტ., ბუნებრივი მინერალური წყლის პროდუქციის "ბორჯომის" სტანდარტის შესახებ, ა. ჯანელიძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, 1998, გვ. 277-280
4. ცერცვაძე ნ., ბორჯომის რაიონის დანალექი ქანების წყლით გამონატუტების შესწავლის ზოგიერთი შედეგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXIII, 14, 1959.

მინერალური ნივთიერებების მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის

ნანა ხურციძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი**, სრული პროფესორი

ცოცხალი უჯრედის ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია მინერალურ ელემენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ მცენარეული თუ ცხოველური ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში. მათგან 16 ელემენტი ყოველ ცოცხალ სისტემაშია და მათ არსებობისათვის აუცილებელ ქიმიურ ელემენტებს ანუ ესენციალურ ელემენტებს უწოდებენ.

მინერალური ელემენტები აწესრიგებენ მჟავა-ტუტოვან წონასწორობას, მონაწილეობენ ჰორმონების, ფერმენტების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, არსებით გავლენას ახდენენ გულის მუშაობაზე, ნერვული სისტემის და კუნთების აღგზნებადობაზე, შედიან ჩონჩხის ძვლების შემადგენლობაში, აუცილებელი არიან ჯანსაღი ნერვული სისტემის შენარჩუნებისათვის, განაპირობებენ ორგანიზმის ზრდას, განვითარებას, გამრავლებას და სხვა.

განვიხილოთ ზოგიერთი ესენციალური ელემეტის P, Ca, Mg, Na, K მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის ნ. ალექსიძის (1, 2) და ლ. ერისთავის (3) მიხედვით:

ფოსფორი ცოცხალ ორგანიზმებში ფართოდაა წარმოდგენილი როგორც თავისუფალი, ისე ბმული სახით. შედის ნუკლეინმჟავების აგებულებაში, რიგი ფერმენტების შემადგენლობაში, რომლებიც მონაწილეობენ შინაგანი ორგანოებისა და ტვინის ცხოველქმედებაში. ფოსფორი ერთ-ერთი საამშენებლო მასალაა ძვლებისა და კბილებისათვის. იგი ბევრია განივზოლიან მუსკულატურაში, სადაც გვხვდებიან იმ ორგანული ნაერთების შემადგენლობაში, რომლებიც უზრუნველყოფენ კუნთების ენერგეტიკულ დანახარჯებს.

კალციუმის იონები მონაწილეობენ ძვლებისა და კბილის ქსოვილების ფორმირებაში. ის ვიტამინ D-სთან ერთად ანტირაქიტული ფაქტორია და უზრუნველყოფს გაძვალების პროცესს. კალციუმი აქტიურად მონაწილეობს ნეიროგადამცემების განთავისუფლებაში, კუნთის შეკუმშვის მექანიზმში. კალციუმის იონების მოქმედებით იზრდება ენზიმების აქტივობა, კალციუმისა და ფოსფორის მობილიზება ძვლებისა და კბილის ქსოვილებში. ჰიპერკალციუმისას ხშირად პათოლოგიური მდგომარეობა აღინიშნება, კერძოდ, პირღებინება და გულის რითმის დარღვევა. ჰიპოკალციუმისას ადამიანში ძლიერდება კრუნჩხვები, რაც შეიძლება სასიკვდილოც აღმოჩნდეს. ჰიპოკალციუმისას, მშობიარობის შემდეგ ქალებში საგრძნობლად იზრდება დეპრესიული მდგომარეობა.

მაგნიუმი დაახლოებით 300-მდე ბიოქიმიურ რეაქციაში მონაწილეობს, არის მთელი რიგი ენზიმების კოფაქტორი, ააქტიურებს ფოსფორის ცვლას, მონაწილეობს ცილის სინთეზში, ნაწლავებიდან ქოლესტერინის გამოყოფაში, ხელს უწყობს სისხლის მაღალი წნევის შემცირებას.

კალიუმი მონაწილეობს ნატრიუმისა და კალციუმის ცვლაში, ის აუცილებელია კუნთების შეკუმშვისა და მრავალი ფერმენტის მოქმედებისათვის. მას იყენებენ გულის უკმარისობის დროს.

კალიუმის იონების დაბალი კონცენტრაციისას უჯრედის აღგზნებადობა მატულობს, კონცენტრაციის გაზრდისას კი მცირდება, აღინიშნება გულის კუნთის მოდუნება („კალიუმის ბლოკი“). ჰიპერკალიუმისას აღინიშნება გულის რიტმის დარღვევა. ჰიპოკალიუმის დროს შეინიშნება ტახიკარდია, კანის სიმშრალე და მგრძნობიალობის გაზრდა, არტერიული წნევის შემცირება.

ნატრიუმი უარყოფით გავლენას ახდენს ცხოველურ ორგანიზმში ჩანასახის ფორმირებაზე, კერძოდ, დიდი ჰიდრატაციული გარსის გამო ის იწვევს ჩანასახის სტრუქტურის დარღვევას. ახალშობილებში ხშირად აღინიშნება სხვადასხვა სახის სიმახინჯეები. ჰიპონატრიუმისას ადამიანი ადვილად იღლება, ირღვევა წნევის სარეგულაციო მექანიზმი. ნატრიუმის იონების სიჭარბისას, პირიქით, ძლიერდება წყლის შეკავება და შეიმჩნევა შეშუპება, ირღვევა ნერვულ-კუნთოვანი ქსოვილების აღგზნებადობა.

მინერალურ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია და რაოდენობრივად იცვლება ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. ადამიანისათვის მინერალურ ნივთიერებათა დღიური საშუალო ნორმაა: ფოსფორი - 1,6-2 გ, კალციუმი - 0,9-1,2 გ, მაგნიუმი - 280-350 მგ, კალიუმი - 3-5 გ, ნატრიუმი - 4-6 გ (3).

მინერალური ელემენტებით ორგანიზმის უზრუნველყოფა ძირითადად საკვებით, მათ შორის მცენარეული საკვებით ხდება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეში მათი რაოდენობის შემცველობის შესწავლას.

მოგვყავს ორგანიზმისათვის აუცილებელი მინერალური ელემენტების შემცველობა ძირითად საკვებ მცენარეებში ლიტერატურული მონაცემების (4) მიხედვით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

№	მცენარე	მგ/100 გ საკვებ პროდუქციაში				
		K	P	Ca	Mg	Na
1	მწვანე ბარდა	285	122	26	38	2
2	კომბოსტო თავიანი	185	31	48	16	13
3	კომბოსტო ყვავილოვანი	210	51	26	17	10
4	კარტოფილი	568	58	10	23	28
5	მწვანე ხახვი	259	26	121	18	57
6	თავიანი ხახვი	175	58	31	14	18
7	სტაფილო	234	60	46	35	65
8	კიტრი გრუნტის	141	42	23	14	8
9	კიტრი სათბურის	196	42	17	-	7
10	სუფრის ჭარხალი	288	43	37	48	86
11	მწვანე წიწაკა ტკბილი	139	25	6	10	7
12	მწვანე წიწაკა ცხარე	163	16	8	11	19
13	ნიორი	210	40	90	30	120
14	პამიდორი გრუნტის	210	26	14	20	40
15	პამიდორი სათბურის	243	35	8	-	15
	მოზრდილი ადამიანის დღიური მოთხოვნილება, მგ	2500-5000	1000-1500	800- 1500	300- 500	4000-6000

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საკვლევი მცენარეები სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ თითოეული მინერალური ელემენტისადმი. სახელდობრ, ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა კალიუმი, რომლის რაოდენობა მცენარეთა სახეობების მიხედვით 141-568 მგ/100 გ ფარგლებში ცვალებადობს, ხოლო საშუალო მაჩვენებელი 242 მგ/100 გ აღწევს. კალიუმის ყველაზე მაღალი დაგროვების უნარით შემცველობით გამოირჩევა კარტოფილი - 568 მგ/100 გ.

ფოსფორის საშუალო შემცველობა 45 მგ/100 გ-ია, ხოლო ვარიაბელობა მცენარეთა სახეობების მიხედვით თითქმის რვაჯერადია. ამ ელემენტის მაქსიმალური შემცველობა აღინიშნება მწვანე ბარდის მარცვალში - 122 მგ/გ, ხოლო ყველაზე მცირე - მწვანე ცხარე წიწაკაში - 16 მგ/100 გ.

რაც შეეხება კალციუმს, მისი საშუალო შემცველობა 34 მგ/100 გ, ხოლო ვარიაბელობა მცენარეთა სახეობებს შორის საკმაოდ მაღალი - თხუთმეტჯერადი.

მცენარეთა სახეობებს შორის მინერალური ელემენტებიდან მერყეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ნატრიუმი.

განხილული ელემენტებიდან ყველაზე მცირე შემცველობით წარმოდგენილია მაგნიუმი, რომლის საშუალო რაოდენობა მხოლოდ 22 მგ/100 გ აღწევს.

განხილული მონაცემების საფუძველზე შესწავლილი საკვები მცენარეები მინერალური ელემენტების კონცენტრირების მიხედვით შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით:

კალიუმის - კარტოფილი, სუფრის ჭარხალი, მწვანე ბარდა, პამიდორი, ნიორი, მწვანე ხახვი

ფოსფორის - მწვანე ბარდა, სტაფილო, თავიანი ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო ყვავილოვანი

კალციუმის - მწვანე ხახვი, ნიორი, კომბოსტო თავიანი, სტაფილო

მაგნიუმის - სუფრის ჭარხალი, მწვანე ბარდა, სტაფილო, ნიორი

ნატრიუმის - ნიორი, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, მწვანე ხახვი

მაშასადამე, ჩვენს მიერ შესწავლილი საკვები მცენარეები მკვეთრად განსხვავდება სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტების შემცველობის მიხედვით. ზოგიერთი მათგანი (კარტოფილი, მწვანე ბარდა, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, ნიორი) გამოირჩევა ამა თუ იმ ელემენტის (ზოგჯერ 2-3 ელემენტის) დაგროვების მეტ-ნაკლები უნარით. ეს, ჩვენი აზრით, გარკვეულ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას მინერალური მარილების რაოდენობის წონასწორობის დასაცავად.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე, ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია მედიკოსებისათვის, თსუ, თბ., 2008.
2. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თსუ, თბ., 2005.
3. ლ. ერისთავი, ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები), საქართველოს მაცნე, თბ., 2005.
4. Химический состав пищевых продуктов, Под редакцией акад. АМН СССР А. А. Покровского, Пищевая промишленность, М., 1976.

ბიზნესი და მართვა

სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივები სოფლის მეურნეობაში

ნათია არჩუაძე, ცირა ჩიხლაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სოფლის მეურნეობა ქვეყნის ერთიანი ეროვნული მეურნეობის განუყოფელი ნაწილია. საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა კლასიკური მიწათმოქმედების ქვეყნად. აქ წარმატებით ვითარდებოდა ისეთი დარგები, როგორიცაა: მარცვლეული კულტურების წარმოება, მებაღეობა,

მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აგრარული სექტორისთვის ტრადიციულად დამახასიათებელია მრავალპროფილიანობა, რომელმაც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

XX საუკუნის 80-იან წლებში ნათელი გახდა, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში, ეკონომიკის გაჯანსაღება შეუძლებელი იყო. აუცილებელი გახდა პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია და მეურნეობის გეგმიან პრინციპზე უარის თქმა. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის სტრატეგიულ გზად აღიარებულ იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომელმაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გაამართლა. იგი უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის ტრადიციებს, განვითარების ტენდენციებს, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის თავისებურებებსა და სხვა ადგილობრივ ანგარიშგასაწევ ფაქტორებს.

1990 წლიდან მოყოლებული, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში. საქართველოში აგრარული რეფორმის განხორციელება ფაქტობრივად 1992 წლიდან დაიწყო. განისაზღვრა რეფორმის ძირითადი მიმართულებები: მიწის რეფორმა, ინსტიტუციური ცვლილებები სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების საფუძველზე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, სოფლის სოციალური გარდაქმნა.

მთავარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო მიწის რეფორმით, იყო მოსახლეობის კვების პროდუქტებით, ხოლო გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულით მომარაგება, მოსახლეობისთვის საკარმიდამო ნაკვეთების შევსება, მათი პრივატიზაცია და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. კერძოდ, თუ 1991 წლის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მხოლოდ 6% (195.3 ათასი ჰა) იყო პირად სარგებლობაში გადაცემული, 2002 წლის მონაცემებით კერძო საკუთრებაში გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 763 ათასი ჰა, ანუ 25.2%, მათ შორის სახნავი - 54.9%, მრავალწლიანი ნარგავები - 67.6%, სათიბები - 29.4%, საძოვრები - 4.7%, იჯარით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 29.9%, ყველა სახის პირუტყვი, ფრინველი და ფუტკრის ოჯახი ძირითადად შინა მეურნეობებშია თავმოყრილი.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემამ, ბუნებრივია, მოამზადა საფუძველი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილის გაზრდისათვის. მაგალითად, თუ რეფორმამდე ქვეყნის ოჯახური მეურნეობების წილი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში თითქმის 50%-ს აღწევდა, რეფორმის შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი 95%-ზე მეტია.

გასულ წელს საქართველოს ძირითად რაიონებში ხორბლის მცირე მოსავალი აიღეს, რაც ძირითადად გვალვებით, იტალიური კალიების შემოსევით, არაკონდიციური სათესლე მასალის გამოყენების და სხვა ფაქტორების შედეგია. თუმცა, დღევანდელი სიტუაცია არ არის ახალი, ასე ხდება ძალიან ხშირად, ზოგან მოსავალს გვალვა აფუჭებს, ზოგან - სეტყვა, ზოგან - კალია და ა.შ. გადაწყვეტს ფერმერი ხორბლის ან მზესუმზირის მოყვანას, ისესხებს ფულს, დათესავს, მოუვლის, მაგრამ ერთხელაც, წინასწარ გაუთვლელი ბუნებრივი მოვლენის გამო, ყველაფერი წყალში ეყრება, დაედება უზარმაზარი ვალები და მოგების მიღების ნაცვლად სერიოზულ პრობლემებს აწყდება. ასეთი ტიპის შემთხვევებისთვის საქართველო გამონაკლისი არ არის. ყველგან ხდება მსგავსი ბუნებრივი მოვლენები, ყველგან ნადგურდება ან მცირდება მოსავალი. მიუხედავად ამისა, გონიერი ფერმერები საშვილიშვილო ვალებში არ ვარდებიან, უმეტეს ქვეყნებში განვითარებულია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, როგორიცაა დაზღვევა. მასზე უკეთესი რამ ჯერ არ გამოუგონიათ გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენების შედეგად შესაძლო დანაკარგების რისკების შესამცირებლად.

რამდენადაც სოფლის მეურნეობა საკმაოდ სპეციფიკური დარგია, კერძოდ, დიდი სიძნელეებია რისკების შეფასების, კონტროლისა და ზარალის დაანგარიშებაში, სადაზღვევო პრემია სოლიდურ ციფრამდე ადის, ხოლო ქართული სადაზღვევო კომპანიები ვერ ახერხებენ ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასა და დანერგვას.

ვეცადეთ შეგვესწავლა სხვა განვითარებულ, განვითარებად და, კერძოდ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებული სიტუაცია და გაგვეგო, როგორ ახერხებენ სახელმწიფოები ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას.

ევროკავშირი-2004 წლის მონაცემებით ევროკავშირმა აწარმოა 162 მილიარდი ევროს ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აქედან დაზღვეული იყო 37 მილიარდი ევროს მოსავალი, ანუ მთლიანის 23%. სადაზღვევო პრემიის საშუალო განაკვეთმა იქ შეადგინა 4%, საიდანაც 32% დაიფარა სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის სახით.

პოლონეთი - ძირითადად, განვითარებულია აგროდაზღვევის 2 მიმართულება: მოსავლისა და საქონლის დაზღვევა. სტატისტიკით, ფერმერების მხოლოდ 3 % აზღვევს მოსავალს, თუმცა 2009 წლიდან

უკვე სახელმწიფო იღებს სერიოზულ თანამონაწილეობას და აფინანსებს 40 %-ს მოსავლის დაზღვევაში და 50%-ს საქონლის დაზღვევაში.

ავსტრია - სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს სახელმწიფო, დაზღვეულია მთლიანი მინდვრების 75%, ვენახების 60%, ბოსტნეულის 90%, ბაღჩეული - 80%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 30%.

ყაზახეთი - როგორც გამოკვეთილად აგრარული ქვეყანა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს აგროდაზღვევის ნორმატიული ბაზის განვითარებასა და სახელმწიფო რეგულირებას.

ამ ქვეყნის კანონმდებლობით აგროდაზღვევა სავალდებულოა და ტარიფები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

1. მარცვლოვნები - 5.8 % - საშუალოდ,
2. ზეთოვანი კულტურები - 3.4 %,
3. შაქრის ჭარხალი - 8.3%,
4. ბამბა - 1.3%.

გარდა ამ ქვეყნებისა, სახელმწიფოს ჩართულობა სოფლის მეურნეობის დაზღვევაში საკმაოდ მაღალ დონეზეა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, კანადაში და ა.შ. ზოგადი ტენდენცია ისეთია, რომ ყველგან უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ დაზღვევის განვითარებას და მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ მცირე თუ მასშტაბური ნაბიჯების გადადგმას.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის კულტურა ჩამოყალიბდება?

პირველ რიგში, მოქმედ თუ დამწყებ ფერმერს აღარ ექნება იმის შიში, რომ დაიწყებს საქმეს და მოგვიანებით მთელი წვალება და ფული წყალში ჩაეყრება. ეს დაასტიმულირებს ფერმერებს, რაც შეიძლება მეტ ფართზე დათესონ სხვადასხვა კულტურები ან რაც შეიძლება მეტი საქონელი იყოლიონ. მეორეს მხრივ, სადაზღვევო კომპანია დაინტერესებულია რაც შეიძლება ნაკლებ სადაზღვევო შემთხვევებში, ანუ პოტენციურ ზარალში, ყველანაირად აიძულებს ფერმერებს გამოიყენონ თანამედროვე და ყველაზე გამართლებული ტექნოლოგიები, მინიმუმამდე ამცირებენ დანაკარგების რისკს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ისევ ფერმერების და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას მოემსახურება. საბოლოო ჯამში კი სახელმწიფო მოახერხებს იმას, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი სწრაფად და ეფექტურად განვითარდეს.

ალბათ, დროა, რომ სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, ჩართოს პროცესებში სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, დონორები, კერძო კომპანიები და მათი დახმარებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისთვის? პირველი ეტაპისთვის, შეიძლება, შეირჩეს სოფლის მეურნეობის ერთი ყველაზე პრიორიტეტული და პრობლემატური დარგი, მაგალითად, ხორბლის წარმოება.

სახელმწიფომ, შესაძლოა, მთლიანად (ან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით) თავის თავზე აიღოს მომავალი წლის მოსავლის დაზღვევა ისეთი რისკებისგან, როგორიცაა გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა და ა.შ. და ეს თანხები უკვე მომავალი წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინოს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში ყოველწლიურად იწარმოება დაახლოებით 100-120 ათასი ტონა ხორბალი, თუ დაიზღვევა მოსავლის ნახევარი, ანუ 50 000 ტონა (20 მილიონამდე ღირებულების), ხოლო დაზღვევის საშუალო განაკვეთი იქნება 5 %, მთლიანი სადაზღვევო პრემია შეადგენს დაახლოებით 1,000,000 ლარს, ანუ სახელმწიფოს წილი 50%-იანი თანადაფინანსებით იქნება 500 000 ლარი.

ამის შემდეგ უნდა გამოაცხადოს ტენდერი სადაზღვევო კომპანიებს შორის, შეირჩეს ის კომპანია (კომპანიები), რომლებიც ყველაზე საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ. სახელმწიფომ პარალელურად უნდა აწარმოოს პიარ-კამპანია ხორბლის მწარმოებელ ფერმერებსა და პოტენციურად ამ საქმის დამწყებ პირებს შორის. უნდა დაარწმუნოს ისინი, რომ დაზღვიონ საკუთარი მოსავალი (ნახევარს გადაიხდის სახელმწიფო).

ფერმერს, რომელსაც აქვს 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მისი სავარაუდო მოსავალი არის 300 ტონა ხორბალი (დაახლოებით 100 000 ლარის ღირებულების), მოუწევს სადაზღვევო პრემიის გადახდა 2500 ლარის ოდენობით, ანუ ერთ კილოგრამზე არაუმეტეს 1 თეთრისა.

ამ პროცესებში, შეიძლება, აქტიურად იქნეს გამოყენებული ბანკებისა და მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების შესაძლებლობები. ისინი დააფინანსებენ ფერმერებს სადაზღვევო პრემიის გადახდის მიზნით. ამ ყველაფრის განხორციელების შემდეგ სახელმწიფომ, სადაზღვევო კომპანიებთან ერთად, დაამუშავოს მკაცრი კონტროლის სისტემა, რათა გამორიცხოს სადაზღვევო თანხების არამიზნობრივად

და ბოროტად გამოყენება. ამ სქემის განხორციელება იქნება პირველი სერიოზული ნაბიჯი საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისა, რომელიც უნდა გადაიქცეს ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების საწინდრად, ისევე, როგორც სახელმწიფომ მოახერხა სამედიცინო დაზღვევის ხელშეწყობით ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტიმულირება.

ამდენად საქართველოში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეფექტური საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის ფორმირებით, რომელიც, ერთი მხრივ, დაეფუძნება მსოფლიო აგრო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკასა და გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეჯერებული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა და სახელმწიფო რეგულირება ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას.

დღესდღეობით სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკი ძალიან მოდური გახდა. მთავრობა ცდილობს ამ დარგის წინ წაწევას და განვითარებას, თუმცა მიზნის მიღწევასა და სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოყენებამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი და გასაკეთებელი. ყველამ კარგად ვიცით, რომ მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არ არის მარტო წარმოების საშუალება, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიცაა. ჩვენი აზრით, საჭიროა ისეთი აუცილებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა სოფლის ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა, რომლის გარეშეც ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება.

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის შესასწავლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ იქნა 19 დან 62 წლამდე ასაკის 100 ადამიანი, რომელთაგან 35 მამაკაცია, ხოლო 65 ქალბატონი. ყველა გამოკითხული რესპოდენტი ფიქრობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის წარმატებული მომავლისათვის. გამოკითხულთაგან 12 კმაყოფილია დღევანდელი სოფლის მეურნეობის განვითარებით. გამოკითხვის შედეგების თანახმად 41 ადამიანი ფიქრობს, რომ სოფლის მეურნეობის უკეთესი განვითარებისთვის საჭიროა საკითხების რეგიონალურ ჭრილში შესწავლა, 53 ადამიანი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, ხოლო 6 ადამიანს გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხული 100 რესპოდენტიდან 48 მიიჩნევს, რომ საგრძნობლადაა განვითარებული XXI საუკუნის სოფლის მეურნეობა XX საუკუნესთან შედარებით, 49 ფიქრობს, რომ არ განვითარებულა, ხოლო 3 ადამიანს გაუჭირდა პასუხის გაცემა. ჩვენს მიერ მოძიებული ზემოაღნიშნული მონაცემებიდან და ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები და რეკომენდაციები.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ვფიქრობთ, საჭიროა ძირეული ცვლილებები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია საკითხების მეცნიერული შესწავლა რეგიონალურ ჭრილში, რომელიც უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ყველა იმ დადებითი და უარყოფითი ფაქტორის გამოსავლენად, რომლებიც ბუნებრივია თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აგრარული სექტორის განვითარება წარმოუდგენელია მეცნიერების განვითარების გარეშე. სწორედ მეცნიერება ქმნის საფუძველს ძირეული, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებისათვის. ამიტომ ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებაზე ზრუნვა, კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებთან ასევე წარმოადგენს უპირველესი მნიშვნელობის ამოცანას. შემდგომ საჭიროა შეიქმნას ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობები, საჭიროა ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკოლოგიური სიტუაციის კონტროლი და სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინება, რომელთა რეალიზაცია საბოლოო ანგარიშით საბაზრო ეკონომიკის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის ცხოველმყოფელობას უზრუნველყოფს.

დასასრულს, გვწამს, ქართველი კაცი დაუბრუნდება და ააღორძინებს სოფელს. ხალხური თქმულება გვეუბნება: „სოფლად ნუ ჩაკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგვიხდებაო“. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!

ლიტერატურა:

1. სამეცნიერო შრომათა კრებული „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, თბ., 2007, გვ. 207, გვ. 208, გვ. 209.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 2000.

3. http://www.loi.ge/2010-2/153-2010-10-30-12-57-33.html
4. http://geworld.ge/index.php/world/293-katpolikika/3253-paata/koguashvili
5. http://www.kvirispalitra.ge/economic/12689-sursathis-tsarmoeba-thithqmis-ganakhevrda.html
6. http://strategy.ge/2009/07/17/the-most-important-step-for-agriculture/

ურთიერთკავშირი ქვეყნის ეკონომიკასა და კინოინდუსტრიას შორის

თამარ ბედოშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

განვითარებული საბაზრო (შერეული) ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. მსოფლიოში ერთ-ერთ მსხვილ ბიზნესს განეკუთვნება კინობიზნესი. ცალკეული ქვეყნებისთვის, ეკონომიკის თვალსაზრისით, კინემატოგრაფია მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში, ექსპორტსა და სავაჭრო ბალანსში. მსოფლიო კინობაზარზე ამჟამად დომინირებს ამერიკული ფილმები, მეორე პოზიცია უკავია იაპონიას. მათთან კონკურენციის გაწევა უჭირს არა თუ ქართულ ფილმებს, არამედ ევროპის კინომრეწველობასაც (დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია). მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ საქართველოში კინობიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას.

ვიდრე, უშუალოდ ქართულ კინობიზნესზე ვისაუბრებთ, მოკლედ განვიხილოთ ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ისტორია.

ქართული კინო 100 წლისაა! ქართული კინოს ისტორიის სათავეები დასაბამს გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს. 1912 წ. ვასილ ამაშუკელმა გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც გამოჩენილი ქართველი პოეტის მოგზაურობას აღწერს. 1916-1928 წწ. პროდიუსერი გერმანე გოგიტიძე ჩაუდგა სათავეში პირველი ქართული მხატვრული ფილმის – ალექსანდრე წუწუნავას "ქრისტინეს" გადაღებას. მეოცე საუკუნეში კინემატოგრაფისტთა რამდენიმე თაობის ძალისხმევით შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული ქართული კინოს ფენომენი, რომელიც ყველა ცნობილ ევროპულ თუ ამერიკულ ენციკლოპედიასა და კვლევაში მოიხსენიებოდა არა როგორც "საბჭოთა", არამედ მხოლოდ როგორც "ქართული კინო". ქართველ კინემატოგრაფისტებს და მათ მიერ შექმნილ ფილმებს უამრავი პრესტიჟული საერთაშორისო პრემია აქვთ მიღებული. ქართული კინო იყო საქართველოს სავიზიტო ბარათი უცხოეთში. ამ პერიოდში ქართულ კინოს ამშვენებდა მსახიობთა საუცხოო თანავარსკვლავედი: ნატო ვაჩნაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, დოდო აბაშიძე, ეროსი მანჯგალაძე და მრავალი სხვა, რომელთა უდიდესი სამსახიობო ნიჭი, დაგვეთანხმებით, ნებისმიერი ქვეყნის კინემატოგრაფს დაამშვენებდა. კინოში მოხდა მთელი ქართული შემოქმედებითი პოტენციალის, ანუ ნიჭიერების აკუმულირება. მისი შექმნის პროცესში მონაწილეობდნენ არა მარტო საკუთრივ კინოს მაღალი დონის პროფესიონალები – რეჟისორები, ოპერატორები, მემონტაჟეები, გამნათებლები, ტექნიკური მუშაკები, არამედ ხელოვნების სხვა დარგების საუკეთესო წარმომადგენლებიც – მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. თუ ამას დავუმატებთ საქართველოს მრავალფეროვან და მიმზიდველ ლანდშაფტს და იმ ბუნებრივ დეკორაციებს, რომელთაც ასე გულუხვად გვთავაზობდა ჩვენი ბუნება, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეოცე საუკუნეში საქართველო ჩამოყალიბდა როგორც უნიკალური კინოქვეყანა, სადაც დუღდა ინტენსიური კინოცხოვრება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კინომ ნელ–ნელა დაკარგა თავისი პოზიციები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული კინოს სექტორში სტაგნაციის ტენდენციები შეინიშნება. ქვეყანა

არაერთმა რეჟისორმა თუ მსახიობმა დატოვა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში განაგრძო პროფესიული საქმიანობა, რაც დიდი დანაკლისი იყო ჩვენი ქვეყნის კინემატოგრაფიისათვის. მაგალითად, არიან ქართველი რეჟისორები (გელა ბაბლუანი, ოთარ იოსელიანი, დიტო ცინცაძე და ა.შ.), რომლებიც გერმანულ და ფრანგულ ფილმებს იღებენ.

კინოინდუსტრიაში პოზიტიური ძვრები 2005 წლიდან შეინიშნება. გამოჩნდა ახალი თაობა, ქვეყანას დაუბრუნდნენ რეჟისორები, რომლებმაც სამშობლო გასული საუკუნის 90-იან წლებში დატოვეს. სახელმწიფო და კერძო სექტორებმა დაიწყეს კინოს წარმოების დაფინანსება.

დღეისათვის საქართველოში გაიზარდა კინოპროდუქციის მოცულობა. ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2000-2008 წლებში საქართველოში შეიქმნა: 18 მხატვრული ფილმი, 56 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20 მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, 50 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, 12 ანიმაციური ფილმი და 4 ექსპერიმენტული ფილმი.

2001 წლის შემდეგ ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა: 12 მხატვრული ფილმი, 22 სადებიუტო და მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 13 დოკუმენტური ფილმი, 6 ანიმაციური ფილმი. საქართველოში მხატვრული ფილმის საშუალო ბიუჯეტი 500 000 ევროს ექვივალენტია.

2012 წლის 1 იანვრიდან (1 მაისამდე) ქართულ "კინოს მონაცემთა ბაზას" დაემატა შემდეგი ფილმები:

1. ისპაჰან - ბათუმი
2. მიდი, ძმაო! მიდი
3. ბახმარო
4. ნეტავ იქ თეატრი არის?!
5. გული +
6. თეთრი არა. - შავი
7. ხვალ, ზეგ, მაზეგ...

ამჟამად ფასები „რუსთაველსა" და „ამირანში" 5-დან - 11.5 ლარამდე მერყეობს. [1]

მარკეტინგული კვლევების ცენტრმა „**act**" საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისთვის 2010 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვით შემუშავებულ **SWOT** ანალიზში გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. [2]

კველევაში **ძლიერი მხარეებს** შორის დასახელებულია:

- მდიდარი მემკვიდრეობა;
- საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და ზომიერი კლიმატი;
- მარტივი ადმინისტრაციული წესები;
- ქართველ ხალხის დადებითი დამოკიდებულება კინოინდუსტრიის მიმართ და მუდმივი მზადყოფნა გადამღები ჯგუფის დასახმარებლად.

სუსტ მხარეებად წარმოდგენილია:

- არაპროფესიონალი კადრები;
- განუვითარებელი სადისტრიბუციო ქსელი;
- კინოთეატრების სიმცირე გაუმართაობა და სხვ.

შესაძლებლობებს შორის დასახელებულია:

- საქართველოს შეუძლია ორიგინალური შინაარსის ფილმების შეთავაზება საერთაშორისო ბაზრისთვის;
- ტურისტების რაოდენობის გაზრდა და საქართველოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება;
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმუშევრობის შემცირება და წარმოების გაზრდა.

საფრთხეები:

- გეოპოლიტიკური ასპექტები;
- რეგიონალური პრობლემები;
- პროფესიონალური კადრების სიმცირე და არარეგულარული მოთხოვნა.

აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ იქნა 16-დან 60 წლამდე ასაკის 100 რესპოდენტი,

[1] შენიშვნა: 2012 წლის მაისის მდგომარეობით

[2] საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა, საბოლოო ანგარიში, აპრილი, 2009, გვ. 25, 26, 27

რომელთაგან 72% ქალბატონია, 28% - მამაკაცი. მათ შორის, 54% საშუალო (42% სტუდენტი, 4% სკოლის მოსწავლე), ხოლო 46% უმაღლესი განათლების მქონეა.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 43% თითქმის ყოველდღე უყურებს კინოფილმებს, 22% - კვირაში ერთხელ, 17% - კვირაში ორჯერ, 9% - თვეში ერთხელ და ასევე 9% - წელიწადში რამდენჯერმე.

კინოს ჟანრებიდან გამოკითხულთა 22% -ს ყველაზე მეტად მელოდრამა მოსწონს, 17 - 17%-ს ისტორიული და სათავგადასავლო, 12%-ს დეტექტივი, 8%-ს - კომედია, 7%-ს - მძაფრსიუჟეტიანი, 4%-ს - დოკუმენტური, 3-3%-ს - საშინელებათა ფილმი და დრამა, ხოლო დანარჩენ 7% - ს - ანიმაცია, თრილერი, მისტიკა და სხვა.

რესპოდენტთა 54% უპირატესობას ანიჭებს ქართულ ფილმებს, ხოლო 44% - უცხოურს, ორმა მათგანმა პასუხისგან თავი შეიკავა.

გამოკითხულთა 52% კინოპრემიერებს ძირითადად ტელეარხებზე უყურებს, 34% ინტერნეტში, 12% - DVD-ზე, ხოლო 2% - კონოთეატრში. გამოკითხულთა 49% კინოთეატრში დადის წელიწადში რამდენჯერმე, 6% - თვეში ერთხელ, ხოლო 1% - კვირაში ერთხელ, 44% კი - საერთოდ არ დადის. გაირკვა, რომ კინოთეატრებიდან ლიდერობს „რუსთაველი“ - 29%, „ამირანი“ - 20%, „გამარჯვება“ - 9%, „სულიკო“ - 1%, 16%-მა არ გამოარჩია, ხოლო, დარჩენილმა 25%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

რესპოდენტთა 48% თანამედროვე ქართულ ფილმებს ხშირად უყურებს, 45% - იშვიათად, ხოლო 7% - საერთოდ არ უყურებს.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა თანამედროვე ქართული ფილმების ხუთეული: ”სიყვარულის ბალადა” და ”სვანი” თანაბარი 15-15%, ”გაღმა ნაპირი” და ”დარჩი ჩემთან” – 9-9%, ”გასეირნება ყარაბაღში” - 8%; 40%-მა დაასახელა სხვა თანამედროვე ქართულ ფილმები (”ცამეტი”, ”ოცნების ქალაქი”, ”ყველაფერი კარგად იქნება” და სხვ.), ხოლო 4%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

ყველა დროის საუკეთესო ქართული ფილმების ხუთეული ასე გამოიყურება: ”ფესვები” და ”უძინართა მზე” – 13-13% ”დათა თუთაშხია” – 12%, ”უდიპლომო სასიძო” – 5%, ”მხიარული რომანი” – 4%; დანარჩენი 53 % განაწილდა სხვა ქართულ ფილმებზე („ჯარისკაცის მამა“, „მონანიება“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ.).

საუკეთესო ქართველ მსახიობებზე ხმები შემდეგნაირად განაწილდა: იპოლიტე ხვიჩია - 12%, დოდო აბაშიძე - 11%, ოთარ მეღვინეთუხუცესი - 10%, გივი ბერიკაშვილი - 9%, ზურა ყიფშიძე და ლეილა აბაშიძე თანაბარი 6–6%; ხოლო დანარჩენი 48% განაწილდა სხვადასხვა მსახიობებზე (სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი და სხვ.).

გამოკითხულთა უმეტესობას მოსწონს ძველი ქართული ფილმები სახალისო სიუჟეტებისა და საინტერესო შინაარსის, ეროვნული სულისკვეთების გამო. ტრადიციული, მშობლიური, ისტორიული ფილმები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. უცხოური ფილმების უპირატესობად რესპოდენტებმა დაასახელეს მათი მაღალი ხარისხი და მრავალფეროვნება, პროფესიონალიზმი და დახვეწილი სიუჟეტი.

ჩვენ დავინტერესდით ჩვენს ქალაქში არსებულ კინოთეატრ „გამარჯვების“ მდგომარეობით და გავესაუბრეთ მის ერთ-ერთ თანამშრომელს. აღმოჩნდა, რომ თითქმის ერთი წელია კინოთეატრი აღარ ფუნქციონირებს. მოსახლეობა არაა დაინტერესებული კინოში სიარულით და კინოთეატრის ხარჯები ყოველთვის აჭარბებდა შემოსავლებს. ამჟამად მისი შემოსავლის წყაროა დარბაზის გაქირავება.

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულთაგან კინოფილმებს ძირითადად მანდილოსნები უყურებენ და უპირატესობას ანიჭებენ ძველ ქართულ კინოს. მათი უმეტესობა თითქმის ყოველდღე უყურებს ფილმებს, ხოლო კინოპრემიერებს ძირითადად ტელეარხებზე უყურებენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული ფილმები ძველ ქართულ ფილმებთან შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ. გასულ წლებთან შედარებით კინოთეატრებში ხალხი ნაკლებად დადის, გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტში ყველაფერია განთავსებული, მომხმარებელს ურჩევნია გადმოწეროს და უყუროს ფილმს თავისი სურვილისამებრ.

კინობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ფილმწარმოების დაზღვევა. სამწუხაროდ სადაზღვევო კომპანიებს არ აქვთ შესაბამისი სადაზღვევო პაკეტები. დაზღვევის მაგალითები არსებობს, თუმცა საზოგადოდ, სადაზღვევო პროდუქტი არ არის მორგებული კინოინდუსტრიაზე, რადგან ქართული სადაზღვევო კომპანიები კინოს მომეტებული რისკის სექტორად თვლიან.

ქართული ფილმების დისტრიბუციის ყველაზე აქტიურად გამოყენებული არხი ადგილობრივი კინოთეატრია. ამჟამად, საქართველოში მოქმედებს შემდეგი კინოთეატრები:

- კინოთეატრი „რუსთაველი“;
- კინოთაეტრი "ქოლგა";
- კინოთეატრი "ამირანი";
- კინოთეატრი "ახმეტელი";

- კინოთეატრი "ინტერნაციონალი";
- კინოთეატრი "რუსთაველი";
- კინოთეატრი" საქართველო";
- კინოთეატრი ”გამარჯვება”;
- კინოთეატრი ”სულიკო”.

კინოთეატრი ფილმიდან შემოსავლის მიღების ძირითადი საშუალებაა, თუმცა დღევანდელ ეტაპზე კინოთეატრში ფილმის ჩვენებამ შეიძლება მოიტანოს მოგება ან მასში ჩადებული დანახარჯების ამოღება ვერც კი უზრუნველყოს. ტელეარხების მიერ ფილმის ჩვენებაში შეთავაზებული თანხები მწარმოებლებს არ აკმაყოფილებთ, ამიტომ ისინი ხშირად საერთოდ უარს ამბობენ დისტრიბუციის ამ არხზე. ერთი ფილმის ჩვენების უფლებაში ტელეარხები, საშუალოდ, 200- 400 ლარს იხდიან. DVD გაყიდვების არხი სუსტად არის განვითარებული. მეკობრულად დაბეჭდილი და ინტერნეტ პროდუქციით ბაზრის გაჯერებულობის გამო DVD დისკების ბეჭდვას მწარმოებლები ხშირად გაუმართლებელ ინვესტიციად თვლიან.

ადგილობრივი ფილმების გაყიდვების პოტენციალის გაზრდის მიზნით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი შუამავლის ფუნქციას ასრულებს და ქართული ფილმები სხვადასხვა ფესტივალზე გააქვს. თუმცა, უმჯობესია, თუ ჩამოყალიბდება კომპანია, რომელიც მეტად იქნება ორიენტირებული გაყიდვებზე და ექნება გაყიდვების გრძელვადიანი სტრატეგია. კარგი იქნება ციფრული დისტრიბუციის ათვისებაც. ხშირად აღნიშნავენ, რომ კინომ გადაინაცვლა სახლებში. ამჟამად, კინოთეატრებს მნიშვნელოვანი კონკურენტები ჰყავთ: ტელევიზია, ინტერნეტი, DVD. ბოლო დროს, აქტუალურია საოჯახო კინოთეატრები მკვეთრი უპირატესობებით: დაბალი ფასები, ფილმის არჩევის თავისუფლება და მყუდრო გარემო. ჩვენი აზრით, აუცილებელია კინოთეატრებისა თუ კინოსტუდიების თანამშრომლობა სტუდენტებთან. ახალგაზრდობა ამ სფეროს განვითარების ძირითად სეგმენტს წარმოადგენს. სწორედ მათ მოთხოვნილებებზე და ეროვნულ ფასეულობებზე უნდა იყოს აგებული კინობიზნესი. საოჯახო კინოთეატრები საშუალობიუჯეტიან ბიზნესს განეკუთვნება. გაყიდვების სწორი სტრატეგიისა და სტუდენტებამდე ინფორმაციის კარგად დაყვანის შემთხვევაში, მას გარკვეული მოგების მოტანა შეუძლია. გაყიდვებისთვის შეიძლება საინფორმაციო ტიპის განცხადებების გამოყენება ან ბუკლეტების დარიგება უნივერსიტეტებში, ინფორმაციის გავრცელება სტუდენტურ თვითმმართველობებში.

აქედან გამომდინარე, კინობიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია გარკვეული სტრატეგიის შემუშავება. უპირველესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან. კინოცენტრი უნდა გააქტიურდეს ბევრ ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებლობის გაყოფაში კინოსთან მიმართებით.

როგორც აღვნიშნეთ, კინემატოგრაფია მნიშვნელოვანია ბიზნესის თვალსაზრისით და მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაში. 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლები 6.606 მლრდ ლარს, ხოლო ხარჯები – 6.131 მლრდ ლარს შეადგენს. აქედან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის, რომელშიც შედის კინოს სფერო, განკუთვნილია - 55 მლნ ლარი (2011 წ - 55.6 მლნ ლარი). სახელმწიფო ბიუჯეტიდან უშუალოდ ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება 3 მილიონი ლარით განისაზღვრება.

საქართველოში მხატვრული ფილმის საშუალო შემოსავალი 500 000 ევროს ეკვივალენტია. კინოწარმოება იბეგრება ისევე, როგორც ყველა სხვა ბიზნესი. ეს მნიშვნელოვნად უშლის ხელს მის განვითარებას. ამიტომ აუცილებელია გარკვეული შეღავათები. მით უფრო, რომ სახელმწიფო მოცემულ ეტაპზე კინოს გადასახადებისგან გათავისუფლებით ბევრს არ დაკარგავს, სამომავლოდ კი ინდუსტრიის სტაბილურ განვითარებას ჩაუყრის საფუძველს. თავის მხრივ, განვითარებული კინოინდუსტრია ქვეყანას მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შეუქმნის. ქართულ კინოს ექნება პოტენციალი:

- შექმნას ბევრი სამუშაო ადგილი;
- მოიზიდოს ინვესტიციები;
- ხელი შეუწყოს მომიჯნავე დარგების განვითარებას.

კინოინდუსტრიას ეკონომიკური სარგებელი აქვს კულტურის, ტურიზმის, ვაჭრობის და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციის თვალსაზრისით. საქართველო აქცენტს აკეთებს ტურიზმის განვითარებაზე. ეს პირდაპირ კავშირშია კინოწარმოებასთან. კინო რეკლამირების საუკეთესო საშუალებაა. რაც მეტი პროდუქცია შეიქმნება, რაც უფრო კარგად და საინტერესოდ წარმოვაჩენთ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე, მით მეტ ტურისტს მოვიზიდავთ. ტურიზმის განვითარება, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კინობიზნესსა და ქვეყნის ეკონომიკას შორის ჯაჭვური დამოკიდებულებაა და კინობიზნესის განვითარება ნამდვილად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის წინსვლას.

ლიტერატურა:
1. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა, საბოლოო ანგარიში, აპრილი, 2009.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), მთავარი რედაქტორი აკად. მ. ლორთქიფანიძე, ტ. IV, თბ., 2012.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.naec.ge/erovnuli-erovnuli-gamocdebi/shedegebis-arqivi
2. http://biletebi.ge/?id=19&et=5
3. http://www.mypraha.info/prague-cinema
4. http://netgazeti.ge/GE/105/opinion/10369/
5. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1521328.html
6. http://filmcommission.ge/site/index.php?lang=ge&page=12
7. http://shokoladi.ge/content/kartuli-kinoindustriis-problemebi
8. http://www.kinolumiere.ge/index.php?page=conference&lng=ge_&old=3%284%29_2010

ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები

თამარ ბედოშვილი, მაია ჭინჭარაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ბიზნესს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქართველო ბიზნესის დაწყების მხრივ მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით მსოფლიო რეიტინგში მე-8 ადგილზე გავიდა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ბიზნესის წამოწყება საკმაოდ გამარტივებულია და ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წუთში, ან დღეშია შესაძლებელი. საქართველოში ბიზნესის დაწყების მხრივ ყველაზე ხშირად ირჩევენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ან ინდივიდუალურ მეწარმეს. აღსანიშნავია, რომ ბიზნესი მუდმივ კავშირშია გარემოსთან, ამიტომ ბიზნესმენი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობდეს მათდამი ადაპტირებას.

ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივ გარანტიებს, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გამოკვლევის თანახმად, საქართველოს მეწარმეთა უმეტესი ნაწილი ბიზნესგარემოს მიმართ პოზიტიურად არის განწყობილი. კვლევა 2012 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა და ათასზე მეტი მეწარმე გამოიკითხა. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 75% ბიზნესგარემოს მეტ-ნაკლებად მიმზიდველად ახასიათებს. გამოკითხვის მიზანი იყო პრობლემური საკითხების გამოვლენა, რათა მათი გადაწყვეტის გზით კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ბიზნეს-გარემო.

ამ მხრივ საქართველოში ბიზნეს-გარემოზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალური კრიზისი, საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, მაღალი განაკვეთები საბანკო კრედიტებზე (საქართველოში კომერციული სესხები უფრო მაღალპროცენტიანია, ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში), საგარეო ვალი, ხელისუფლების მიერ არაადეკვატური ჩარევა და ა.შ. ქვეყნის ბიზნეს-გარემოზე უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილმა მდგომარეობამ და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. ამის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა სამშენებლო ბიზნესი, ტურიზმი და საბანკო სექტორი. ახალი კრედიტების

აღების იმედზე შეუძლებელი გახდა საქმის წამოწყება, რადგან იგი ნაკლებად მომგებიანი იქნებოდა. გარდა ამისა, ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა. საკმაოდ დიდი როლი აკისრია ბიზნეს-გარემოს შექმნაში ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას. რაც უფრო მაღალია პოლიტიკური არასტაბილურობა, მით უფრო არახელსაყრელია ქვეყანაში ბიზნეს-გარემო. საქართველოში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი - ადგილობრივი წარმოების განვითარების დაბალი დონე და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია 2009-2012 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემები საქართველოში:

დასახელება	2009	2010	2011	2012 (იანვარი-მაისი)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	5633,9	6934,6	9246,9	4058,7
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი	1133,6	1677,5	2189,1	961,2
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი	4500,2	5257,1	7057,8	3097,5
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3366,6	-3579,7	-4868,6	-2136,3

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

მართალია, სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება იმპორტი და სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, ვიდრე ექსპორტი ან ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი. იზრდება სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი, მაგრამ არ იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ექნებოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის ზრდას, სავაჭრო რეჟიმის გამარტივებას, რადგანაც საქართველოს სტრატეგიულ, სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანება. 2011 წელს საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 424 294,8 ათასი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა - 2 053 080,8 ათასი აშშ დოლარი. 2012 წლის I კვარტალში საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 105 967,8 ათასი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა - 515 094,9 ათასი აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია უარყოფითი სალდო.

მისასალმებელია, რომ საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტრო მიზნად ისახავს საექსპორტო პროდუქტების წარმოებას (ციტრუსები, ბროწეული, ზეთისხილი, მოცვი, თხილი და სხვ.). სამამულო პროდუქციის ექსპორტის ზრდა ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას შეუძლებელია მივაღწიოთ სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის ხვედრითი წილის გაზრდის გარეშე. ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი შანსი აქვს სოფლის მეურნეობას, კვების გადამამუშავებელ მრეწველობას, ჰიდროენერგეტიკას, ტურიზმსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. საქართველოში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი კონკურენციული უპირატესობის, მისი სატრანზიტო ფუნქციის, ამ სფეროში არსებული პოტენციალის არასათანადოდ გამოყენება, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის წარმატებით განვითარება. საქართველოში ბიზნესის განვითარების კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ადგილობრივ მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობის დაბალი დონე. სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის 80% იმპორტულ ნაწარმზე მოდის. დანარჩენი 20% კი აღარ არის საკმარისი ბიზნესის საწარმოებლად. ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესში სტრატეგიული

დაგეგმარების განუხორციელებლობა. არასტაბილური მაკროეკონომიკური ვითარება არასაიმედოს ხდის გრძელვადიან პროგნოზებს და ამიტომაც მეწარმეები აღარ ხარჯავენ დროსა და ფულს სტრატეგიული გეგმების შედგენაზე. ეს შესაბამისად გავლენას ახდენს ბიზნესის გაფართოება-განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მარტივია ბიზნესის დაწყება, სამწუხაროდ, შემდეგ თავს იჩენს ბევრი პრობლემა. მათ შორის ყველაზე მთავარია თავისუფალ ვაჭრობასთან და კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემები. ბაზარზე არსებობს მონოპოლიები და ოლიგოპოლიები, რაც ხელოვნურად დაწესებული მაღალი ფასების პირობებში მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოსახლეობას. კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" მრავალრიცხოვან შეუსაბამობას შეიცავს. 2012 წლის ინდექსში საქართველო 142 ქვეყანას შორის ადგილობრივი ბაზრის კონკურენტული გარემოს კუთხით 128-ე ადგილზეა, ხოლო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობის კუთხით - 135-ზე. ვფიქრობთ, საჭიროა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რათა ქვეყანაში მონოპოლისტების და ოლიგოპოლისტების საქმიანობა შეიზღუდოს. ამის შემდეგ კი კანონმდებლობის ჩარჩოებში ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს. ის, ვინც ბუნებრივად მიაღწია დომინანტობას, ვფიქრობთ, არ უნდა შეიზღუდოს, მაგრამ მან ეს თავისი დომინანტური მდგომარეობა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს, მომხმარებელი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს და, თავისი გავლენიდან გამომდინარე, მაღალი ფასები არ უნდა დააწესოს. 2010 წელს კონკურენციის სააგენტო დაარსდა.

ჩვენი აზრით, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტელექტუალურ კაპიტალს, რადგან ის იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გამოვიყენოთ მატერიალური და ფინანსური კაპიტალი. შედეგად პროდუქციის შემენის დროს მომხმარებელმა უნდა მიიღოს გარკვეული მომსახურება. ბიზნესში წარმატების მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც სწრაფად რეაგირებენ მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებაზე. ამიტომ, აუცილებელია ეტაპობრივად მარკეტინგული კვლევის ჩატარება და შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება-განახლება. ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული swot ანალიზის საფუძველზე ბიზნესმენი უკეთ ხედავს ბაზარზე არსებულ სიტუაციას და მას შეუძლია მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით გააუმჯობესოს თავისი პროდუქცია თუ მომსახურება.

ამგვარად, საქართველოში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა აღმოფხვრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა და ინვესტორთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა;
- უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა;
- ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე;
- სახელმწიფო უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკროეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას;
- უნდა განხორციელდეს სამართლიანი და ეფექტური შრომის ბაზრის ფორმირება და მოხდეს ბიზნეს-გარემოს ზუსტი დიაგნოსტირება;
- აუცილებელია კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფა, რაც ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშვილი, ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, თბ., 2009, გვ. 99.
2. ე. ჩოხელი, ბიზნესში სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა, ჟურნ. „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“, თბ., 2009, გვ. 271.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
2. http://pirweli.com.ge/index.php?menuid=22&id=6320
3. http://www.netgazeti.ge/GE/105/business/9909/
4. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1022
5. http://www.tavisupleba.org/content/georgia-business/24588817.html

მარგალიტი, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს პროდუქტი

მარიკა დურული, ქსენია ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

XXI საუკუნეში, კონკურენტუნარიანი საბაზრო სივრცის პირობებში წარმატების აუცილებელი ფაქტორი მყიდველზე ორიენტირებული საქმიანობაა. დღესდღეობით კომპანიების მიერ ორიგინალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენება პროდუქტის შეთავაზების ხელოვნებაა. კომპანიის მენეჯერებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ის ფაქტი, რომ "იყო პირველი, შენი დამახსოვრება გაცილებით ადვილი იქნება! იპოვე და დაიკავე მომხმარებლის ცნობიერებაში თავისუფლად დარჩენილი ადგილი", და სწორედ ამ პრინციპებზე დაფუძნებით მოქმედებენ ისინი.

რაც შეეხება მყიდველს, ის კონკურენციის პირობებში იმ საქონელსა თუ მომსახურებას შეიძენს, რომელიც მისთვის მისაღები იქნება არა მხოლოდ ფასით, არამედ დიზაინით, ორიგინალობითა და პრაქტიკულობით. ორიგინალობა და ადამიანის მიერ ბუნების ნაბოძები სიმდიდრის გამოყენების უნარი კი ხშირ შემთხვევაში წარმატებული ბიზნესის საწინდარია.

XXI საუკუნეში სხვადასხვა ბიზნეს სახეობას შორის ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნეს საქმიანობად სამკაულის ბიზნესი ითვლება. სამკაულებს შორის კი განსაკუთრებით მოთხოვნადს მარგალიტის ქვით დამშვენებული ნაკეთობა წარმოადგენს.

მოგეხსენებათ მარგალიტის სამკაული ყველა დროის ნატიფი გემოვნების ქალბატონების საოცნებო სამკაულად ითვლება. მარგალიტს (ბერძნ. Margarites) განსაკუთრებული ადგილი უკავია ძვირფას ქვებში არამარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობისა (150 წელი ცოცხლობს) და ხელოვნურად გაზრდილი მარგალიტების კონკურენციისა, ნამდვილი ბუნებრივი მარგალიტი კვლავაც ძვირად ფასობს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარგალიტის ბუნებაში გაჩენის მიზეზი კვლავაც უცნობია. ძველად მეცნიერები (მკვლევარები) ვარაუდობდნენ, რომ მოლუსკში ქვიშის მარცვალი ხვდება და შემდეგ, დროთა განმავლობაში მარგალიტად ყალიბდება. ჩამოყალიბებაში მას სადაფი (პერლამუტრი) ეხმარება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარედან ეხვევა ქვიშის მარცვალს და მარგალიტს ქმნის. სიტყვა „პერლამუტრი" გერმანული წარმოშობისაა და „მარგალიტის დედას" (perle - მარგალიტი, mutter - დედა) ნიშნავს. მარგალიტს ძველად ზღვის სირინოზთა გაქვავებულ ცრემლსაც უწოდებდნენ.

მარგალიტი ერთადერთი ძვირფასი ქვაა, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმი ქმნის, ამიტომაც მას სითბო და მოვლა სჭირდება. მარგალიტს იმისათვის, რომ დიდხანს იცოცხლოს, ბრინჯში ინახავენ, ვინაიდან მას, როგორც წყლის მცენარეს სწორედ ის თვისებები გააჩნია, რაც მარგალიტს სიცოცხლეს უნარჩუნებს.

მარგალიტის პოპულარობასა და მისი, როგორც სამკაულის, მოხმარების ფაქტორს ზრდის ის ფაქტიც, რომ მას გააჩნია სამკურნალო თვისებები. ამ ფაქტის შესახებ საუბარია ავიცენას „კანონებში" და ძველ არაბ მედიკოსთა წიგნებში. მაგალითად, ჩინეთში დაოსები მარგალიტს ინის ქვადქცეულ საწყისად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ ის იყო ახალგაზრდობის ელექსირი, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებდა. VIII საუკუნიდან მარგალიტს აქტიურად გამოიყენებდნენ მედიცინაში მელანქოლიისა და სიგიჟის სამკურნალოდ. სხვადასხვა ქვეყნებში მარგალიტზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს, მაგალითად:

ცნობილია, რომ თუ მარგალიტი ბზინვარებას დაკარგავს, ეს მისი პატრონის ავადმყოფობის მაუწყებელია. ავადმყოფობის შედეგად კანზე წარმოქმნილ ქიმიურ ცვლილებებს შეუძლიათ მოახდინონ რეაგირება მარგალიტზე. შეუცვალოს ქვას ფერი, დააკარგვინოს ბზინვარება და ა.შ.

ისლამურ ქვეყნებში გასათხოვარი ქალიშვილისთვის მარგალიტის ტარება ოდითგანვე არ იყო სასურველი, ხოლო ბერძნები და რომაელები ძალიან აფასებდნენ მარგალიტს. პლინიუსი მოგვითხრობს, რომ ერთხელ კლეოპატრამ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტის საყურეების მფლობელი იყო, მარკუს ანტონიუსისთვის გამართულ წვეულებაზე ერთი მარგალიტი ძმარში გახსნა და კერძს მოასხა. ძმარი მძაფრი და ცხარე გამოვიდა და საჭმელს საოცარი გემო მისცა. ანტიკურ ლიტერატურაში მას „კლეოპატრას ძმარს" უწოდებდნენ. ეს წვეულება კი ყველაზე ძვირადღირებულ წვეულებად დარჩა ისტორიაში.

ბევრ კულტურაში მარგალიტი სიმბოლურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ჩინეთში ის სიმდიდრის, სიბრძნისა და კეთილდღეობის, იაპონიაში ბედნიერების, ინდოეთში კი მრავალშვილიანობის სიმბოლოა.

მარგალიტს აქტიურად მოიხმარენ კოსმეტიკური ფირმებიც, რომლებიც მას ფხვნიან და სხვადასხვა ნაწარმში აზავებენ.

მარგალიტს მოიპოვებენ ოკეანეში, ზღვაში, მდინარეში. ზღვის მარგალიტის მოპოვება ხდება წითელ ზღვაში, სპარსეთის ყურეში, შრი-ლანკის, ავსტრალიის, იაპონიის (იაპონიაში მარგალიტის მოლუსკების ხელოვნურ მოშენებასაც მისდევენ) და ვენესუელას ნაპირებთან, ხოლო მტკნარი წყლის მარგალიტი მოიპოვება ყოფილ სსრკ-ის ტერიტორიაზე, შოტლანდიაში, გერმანიაში, ჩინეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

ფერისა და ელვარების მიხედვით არჩევენ მარგალიტის რამოდენიმე სახესხვაობას. ინდოეთის მარგალიტი ნაზი ვარდისფერია, ავსტრალიის - თეთრი, იგი გამოირჩევა ვერცხლისფერი ელვარებითა და ციმციმით, პანამის მარგალიტს ოქროსფერი ელვარება აქვს, ხოლო იაპონიის მარგალიტი მომწვანო ელფერით გამოირჩევა. გვხვდება ასევე ყვითელი და შავი მარგალიტებიც. შავი მარგალიტი, რომელიც მარგალიტების დედოფლად ითვლება, იშვიათი და ძნელად საპოვნელია. ერთი ასეთი მარგალიტის საპოვნელად 15 000 მოლუსკი უნდა გაიხსნას. ყველაზე ცნობილი შავი მარგალიტია „azra“.

დღეს მსოფლიოში რამდენიმე სახის მარგალიტი არსებობს: ნატურალური, გამოყვანილი, იმიტირებული. ნატურალურია მარგალიტი, რომელიც ადამიანის ჩაურევლად იბადება წყალში. გამოყვანილს იგივე ფორმულა და შემადგენლობა აქვს, ოღონდ მისი გამოყვანა ადამიანის დახმარებით ხდება. იმიტირებული მარგალიტი მთლიანად ადამიანის ხელითაა შექმნილი. ზომით მარგალიტი მიკროსკოპულიდან რამდენიმე სმ-მდე აღწევს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წყალში (მლაშე, მტკნარი) წარმოიქმნა და რა დრო დასჭირდა მის ჩამოყალიბებას. მარგალიტი 12 წლის განმავლობაში იზრდება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ქვის ფასი დამოკიდებულია მის სიდიდესა და ფერზე.

მარგალიტი, რომელიც დღეს სამკაულად გამოიყენება, გამოყვანილია. არსებობს ორი ტიპის გამოყვანილი მარგალიტი მარცვლით და უმარცვლოდ. უმარცვლოდ გამოყვანილი მტკნარი წყლისაა (მდინარე, ტბა), ხოლო მარცვლოვანი - მლაშე წყლისა (ზღვა, ოკეანე). მლაშე წყლის მარცვლიანი მარგალიტის შექმნას უფრო მეტი დრო სჭირდება, იგი გაცილებით მაღალი ხარისხისაა და ამიტომაც უფრო ძვირად ფასობს.

ფილიპინების კუნძულ პალავანზე არმოაჩინეს დედამიწაზე ყველაზე დიდი მარგალიტი “The Pearl of Leo Tzu”, რომელიც სილამაზით ნამდვილად არაა ლამაზი, მაგრამ მისი საბაზრო ფასი 300-400 ათასი აშშ დოლარია.

ამ კუნძულზევე გამოჰყავთ „ოქროს მარგალიტები“, რომლებიც გამოირჩევიან ადვილად მსხვრევადობით, რაც ართულებს მათ მოხმარებას. აღნიშნული მარგალიტების გამოყვანას ახდენს „ჟაკის“ კომპანია, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც ფლობს „ოქროს მარგალიტების“ წარმოების საიდუმლოს. „ჟაკის“ ფერმაში წარმოებული 700 ათასი მარგალიტისგან 75% მაღალი ხარისხისაა. კომპანიაში მუშაობს დაახლოებით 1000 ადამიანი. ფილიპინებში გახსნილი აქვთ 12 მაღაზია, სადაც გასაყიდად მხოლოდ ჟაკის ფერმაში წარმოებული მარგალიტებია გამოტანილი.

მარგალიტი ოდითგანვე დედოფლების საყვარელი სამკაული იყო და დღესაც ასეთად რჩება. ინგლისის დედოფალი ელიზაბედ II, პრინცესა დაიანა, პრემიერმინისტრი მარგარეტ ტეტჩერი მარგალიტების სამკაულებით არიან ცნობილნი.

Coco chanel-ისთვის მარგალიტი ყოველი კოლექციის დომინანტი და მისი ფავორიტი სამკაული იყო.

ყველაზე გავრცელებულ და ძვირფას მარგალიტად Pinctada fucata ითვლება. ამ მარგალიტებით ცნობილმა იაპონელმა მწარმოებელმა კოკიტი მიკომოტომ XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ბაზარი დაიპყრო.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მარგალიტი, la Peregrina, XVI საუკუნეში პანამაში ესპანელებმა იპოვეს. ის დაახლოებით 13.2 გრამს იწონის და უჩვეულო სილამაზისაა. დიდი ხნის განმავლობაში la Peregrina ესპანეთის სამეფოს საკუთრება იყო. 1969 წელს la Peregrina სოთბის აუქციონზე გაიტანეს, სადაც რიჩარდ ბარტონმა 37 000 დოლარად იყიდა, კარტიეს კოლიეში ჩაასმევინა და ვალენტინობის დღესასწაულზე ელიზაბეტ ტეილორს აჩუქა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტია la regente, რომელიც, თითქმის 21 გრამს იწონის. თავის დროზე ის ნაპოლეონმა ცოლს აჩუქა, ვაჟის დაბადებასთან დაკავშირებით. შემდეგ la regente საფრანგეთის სამეფოს ეკუთვნოდა და 1887 წელს ცნობილმა იუველირმა, კარლ ფაბერჟემ, სამეფო გვირგვინში ჩასვა. გარკვეული დროის შემდეგ ეს მარგალიტი გრაფინია იუსუპოვამ იყიდა, რომელიც მისმა შვილმა რუსეთიდან, რევოლუციის შემდეგ ევროპაში წაიღო, გაყიდა და მრავალი წლის მანძილზე უზრუნველად

ცხოვრობდა. 2005 წელს la regente კვლავ გამოჩნდა აუქციონზე და 2.1 მილიონ ევროდ გაიყიდა. დღეს ის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მარგალიტია.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული თვალსაზრისისა, რომ „მარგალიტი იყო, არის და იქნება ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტი მანდილოსნებს შორის", საქართველოში ამ აზრს სხვა თვალით უყურებენ და თვლიან, რომ ეს სულაც არ არის ის ქვა, რომლისგანაც შესაძლოა ბიზნესი წამოიწყო და მილიონერი გახდე.

მსოფლიო ბაზარზე მარგალიტის ქვის ესოდენ დიდი წარმატებისა და მოთხოვნილებისა, საქართველოში სიტუაცია ამ მხრივ ძალზე განსხვავებულია. ჩვენთან სამკაულის მომხმარებელთა 97% სხვა ქვას, მაგალითად ბრილიანტს ანიჭებს უპირატესობას და არავითარ შემთხვევაში არ გადაიხდის მილიონს ნამდვილი მარგალიტის სამკაულში. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლის რეგიონში გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა, რომელიც ატარებდა სამეცნიერო-კვლევით ხასიათს. გამოიკითხა 100 მოქალაქე, რომელთაგან 35% მამაკაცია, ხოლო 65% ქალბატონი. 58% უმაღლესი, ხოლო 42% საშუალო განათლების მქონე პიროვნებაა.

გამოკითხულ რესპოდენტთაგან 20% აქვს მარგალიტის ქვით დამშვენებული სამკაული, ხოლო 80% არ აქვს და არც აქვს იმის სურვილი რომ ჰქონდეთ, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ არსებობს მარგალიტზე ძვირფასი ქვებიც მაგ: ბრილიანტი, ლალი, ხრიზოლიტი, ზურმუხტი და ასე შემდეგ, რომლებშიც ფულის გადახდა უფრო მომგებიანად მიაჩნიათ.

გამოკითხულ რესპოდენტ მამაკაცთაგან (35), 4-მა აღნიშნა, რომ ბუნებრივი მარგალიტის სამკაულს ქალბატონს არ შეუძენენ მილიონებიც რომ ჰქონდეთ. ხოლო 31-მა აღნიშნა, რომ ისინი ქალბატონს შეუძენენ მარგალიტს რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ საამისო თანხა.

ზოგადად შიდა ქართლში, სამკაულის მაღაზიებში გვხვდება ძირითადად ხელოვნური მარგალიტის ქვით დამშვენებული სამკაულები, რომელთა ფასი 10 ლარიდან 50 ლარამდე მერყეობს. გამოყვანილი მარგალიტი კი ძირითადად ოქროშია ჩასმული, რომლის ფასი ქვასთან ერთად 150 ლარიდან 1000 ლარამდე მერყეობს, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოქროში ჩასმული მარგალიტის ქვის შოვნა გაცილებით რთულია, ვინაიდან იუვილირებთან ასეთი სამკაული მცირე რაოდენობითაა. გაცილებით ძვირია შავი მარგალიტის ქვით დამშვენებული სამკაული. რომ შევადაროთ ერთმანეთს თეთრი და შავი მარგალიტის ქვებით დამშვენებული ოქროს სამკაული (ოქროს წონა და სინჯი ერთი და იგივე), დავინახავთ, რომ თუ თეთრი ღირს 150 ლარი, შავი მარგალიტი 200 ლარი ღირს). რაც შეეხება ბუნებრივ მარგალიტს, არა მარტო შიდა ქართლში, არამედ ზოგადად საქართველოს ბაზარზე ის შესაძლოა იშვიათად აღმოაჩინოს მომხმარებელმა. მწვანე და ყვითელი მარგალიტი კი თითქმის არ გვხვდება.

გამოკითხულ რესპოდენტთა 20%-დან 15%-მა აღნიშნა, რომ უყვართ მარგალიტი და მათთვის არ აქვს მნიშვნელობა ამ ქვაში რამდენ ლარს გადაიხდიან, ხოლო 5%-მა აღნიშნა, რომ მათ უყვართ, როდესაც სხვებისგან გამორჩეული სამკაული უკეთიათ და მარგალიტიც სწორედ ამიტომ შეიძინეს.

გამოკითხულ რესპდენტთა 31% თვეში ზოგადად სამკაულის შეძენაზე 10-დან 50 ლარამდე ხარჯავს, 20% 50-60 ლარს, 24% 60-100 ლარს, 25% 100-200 ლარს. ისინი ძირითადად სასაჩუქრედ იძენენ სამკაულებს.

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგადად სამკაულის ბიზნესი ძალზე მომგებიანია საქართველოში, თანდათან დიდ ადგილს იკავებს ადგილობრივი პროდუქციაც, რომლებსაც თავად ქართველები ქმნიან და ხელნაკეთი სამკაულის სტატუსით გააქვთ არა მარტო საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნების ბაზარზეც. ამისდა მიუხედავად მარგალიტის ქვით დამშვენებული სამკაული ნაკლებად იყიდება, ვინაიდან მომხმარებელს ნდობა აქვს დაკარგული. მათში არის შიშის ფაქტორი იმასთან დაკავშირებით, რომ მარგალიტი, რომელსაც ისინი იყიდიან, დაბალი ხარისხისაა. კარგი იქნება თუ სახელმწიფოს მხრიდან გატარდება გარკვეული ღონისძიებები. მაგალითად ამოიღებენ ბაზრიდან უხარისხო პროდუქციას.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:UwL3dbUX5l4J:lemill.net/content/webpages/10d310d010dc10d010e010d710d8510db10d010e010d210d010da10d810e210d8+margaliti&cd=5&hl=ka&ct=clnk&gl=ge
2. http://marao.ambebi.ge/hobi/horoskopi/674-romeli-dzirfasi-qva-sheeferebtha-kirchkhibis-nishnis-qvesh-dabadebulebs.html
3. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98

4. http://www.google.ge/imgres?imgurl=http://prschool.files.wordpress.com/2011/02/6pearl-birth.jpg&imgrefurl=http://prschool.wordpress.com/2011/02/26/margaliti-2/&h=1012&w=868&sz=164&tbnid=LtKf1QiO1GNs6M:&tbnh=90&tbnw=77&prev=/search%3Fq%3Dm
5. http://www.google.ge/imgres?imgurl=http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/f/fc/Pearls.jpg/220px-Pearls.jpg&imgrefurl=http://ka.wikipedia.org/wiki/%25E1%2583%259B%25E1%2583%2590%25E1%2583%25A0%25E1%2583%2592%25E1%2583%2590%25E1%2583%259A%25E1%2583%2598%25E1%258
6. http://www.google.ge/imgres?q=margaliti&hl=ka&sa=X&tbm=isch&prmd=imvns&tbnid=EuGe8tj62hKPM:&imgrefurl=http://prschool.wordpress.com/2010/10/28/%25E1%2583%259D%25E1%2583%25A5%25E1%2583%25A0%25E1%2583%259D%25E1%2583%25A1-%25E1%2583%259B%25E1%2583%2590%25E1%2583%25A0%25E1%2583%2592%25E1%2583%2590%25E1%2583%259A%25E1%2583%2598%25E1%2583%25A2%25E1%2583%2594%25E1%2583%2591%2
7. http://www.diamonds.net/news/NewsItem.aspx?ArticleID=23227

XXI საუკუნის ბრენდი კომპანია Dell-ის მაგალითზე

მარიკა დურული, ქსენია ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

XXI საუკუნეში როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე საქონელთა რიგი კატეგორია იმდენად ფართოვდება და იზრდება, რომ მყიდველებს უჭირთ ანალოგებს შორის განსხვავების დანახვა (არჩევანის გაკეთება). ეს კი მწარმოებლებს აიძულებს გააუმჯობესონ საქონლის ხარისხი, ასტიმულირონ გაყიდვები და ა.შ. როდესაც კონკურენტების უმრავლესობა მიმართავს იგივე ღონისძიებებს, მაშინ საჭირო ხდება კონკურენციის ახალი ეფექტური ხერხების ძებნა. ამ შემთხვევაში კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კომპანიების პერსონალის მიერ ძლიერი ბრენდის შექმნა და შემდგომში მისი ეფექტურად განვითარება, ვინაიდან მომხმარებელი ბრენდს მიიჩნევს პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელიც მის თვალში პროდუქტის ფასეულობას ზრდის. აქედან გამომდინარე ბრენდი არის პროდუქტის სახელი, სიტყვა, სიმბოლო ან დიზაინი, ან მათი კომბინაცია, რომელიც გარკვეულ პროდუქტს ახასიათებს და მას კონკურენტებისგან განასხვავებს.

ბრენდი მყიდველს დიდ დახმარებას უწევს. მისი სახელი მომხმარებელს ეხმარება ის პროდუქტი ამოირჩიოს, რომელიც მას, მისი აზრით, მეტ სარგებელს მოუტანს. ბრენდი მყიდველს პროდუქტის ხარისხზეც მიუთითებს. მყიდველმა, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავე ბრენდს ყიდულობს, იცის, რომ ყოველი შეძენისას ერთსა და იმავე ნიშან-თვისებებს, სარგებელსა და ხარისხს იღებს. ბრენდი ამის შემდეგ მწარმოებელსაც დიდ დახმარებას უწევს, რადგან მისთვის ბრენდის სახელი და სავაჭრო ნიშანი პროდუქტის ლეგალიზაციის მთავარი საშუალებაა, რომელიც იცავს მას კონკურენტების მიერ პროდუქტის კოპირებისაგან.

XXI საუკუნეში ზოგიერთი ანალიტიკოსი ბრენდს განიხილავს როგორც კომპანიის მთავარ აქტივს, რომელიც სპეციფიკური პროდუქტებისა და საშუალებების არსებობას ახანგრძლივებს. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრენდის მფლობელებს შორის არიან: Nokia, Intel, Disney, Dell, McDonald's, Mercedes და ა.შ.

კომპანია Dell-ის მაგალითის განხილვით დავინახავთ თუ რა წარმატებას შეიძლება მიაღწიოს ერთმა ჩვეულებრივმა კომპანიამ, თუ რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი მომხმარებლის მოსაზიდად და მათ ცნობიერებაში ადგილის დასაკავებლად, როგორ შევიდა სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე და დაიმკვიდრა ადგილი, როგორც მსოფლიო ბრენდმა.

კარგად ჩამოყალიბებული ბაზრის ათვისების სტრატეგია, გამორჩეული დიზაინისა და წარმადობის ოპტიმალური შეხამება საშუალებას გვაძლევს XXI საუკუნეში კომპიუტერული მოწყობილობების სეგმენტში ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ მივიღოთ Dell.

როდესაც კომპანია Dell-ის მესვეურებმა გადაწყვიტეს მათი პროდუქტი მომხმარებლისათვის მიეწოდებინათ როგორც ბრენდი, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საწყის ეტაპზე ისინი არკვევდნენ თუ ვისთვის შეიქმნებოდა ახალი პროდუქტი, ანუ მათ მოახდინეს მიზნობრივი აუდიტორიის გამოვლენა. გარდა ამისა განსაზღვრეს მიზანი, შეისწავლეს კონკურენტები, აქედან გამომდინარე შეიძინეს ერთგულ მომხმარებელთა ფართო წრე. დღეისათვის ისინი წარმატებით შედიან სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე.

მოგეხსენებათ დესკტოპ გადაწყვეტილებები თანდათან თმობენ პოზიციებს პორტატულ კომპიუტერებთან მიმართებაში და ეს უკანასკნელნი მასიურად ანაცვლებენ ერთი შეხედვით ნაკლებად მოქნილ და რენტაბელურ PC-ს. საბოლოოდ კი ვიღებთ ძალზე მრავალფეროვან და, ამასთან, სწრაფად განვითარებადი ნოუთბუქების სამყაროს, სადაც მწარმოებელთა ავტორიტეტი ძალიან ბევრს ნიშნავს. ამ მხრივ თამამად შეიძლება ითქვას, რომ Dell სტაბილურად მოთხოვნადი ბრენდია, თუმცა კონკურენციიდან გამომდინარე მასაც უწევს ახალ-ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა.

კომპანია PC'slimited, რომელიც მაიკლ დელის მიერ (საწყისი ინვესტიცია 1000 $) 1984 წელს დაარსდა, არის ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო ბაზარზე. კომპიუტერული მოწყობილობების სეგმენტში არის ლეპტოპების, ნეთბუქების, დესკტოპ-კომპიუტერების, სერვერების, სმარტფონების და ასევე სხვა მრავალი საინტერესო და პრაქტიკული პროდუქციის მწარმოებელი.

1987 წელს კომპანიამ შეიცვალა სახელი და გახდა „Dell Computer Corporation". ამ სახელით იარსება 2003 წლამდე. იმის გამო, რომ ისინი საკმაოდ გაცდნენ კომპიუტერების წარმოებას, საჭირო გახდა სახელი კვლავ შეეცვალათ და კომპანია გადაკეთდა Dell Inc-ად.

Dell ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი კომპანია. მაიკლი ჯერ მხოლოდ 26 წლის იყო, როდესაც მისი კომპანია უკვე შედიოდა Fortune 500-ის სიაში. ძალიან მალე კომპანიის დამაარსებელი მოხვდა, აშშ-ის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში. 39 წლის ასაკში დელმა დატოვა კომპანიის მმართველის თანამდებობა და გადავიდა მრჩეველი დირექტორების რიგებში.

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს რაუნდ როკ-ში ტეხასის შტატში (Round Rock, Texas, USA).

1987 წელს კომპანია Dell-მა გახსნა პირველი ფილიალი დიდ ბრიტანეთში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1988 წელს, დაარსებიდან 4 წლის განმავლობაში, Dell - ის საწყისი კაპიტალი 1000 $-დან გაიზარდა 85 მილიონამდე.

კომპანიამ 1990 წელს ირლანდიაში გახსნა პირველი საწარმოო ცენტრი იმისათვის, რომ უკეთ შეძლებოდა მომსახურების გაწევა ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებისათვის. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ უკვე 1991 წელს ინტერნაციონალური გაყიდვები კომპანიაში გაორმაგდა.

1996 წელს კომპანიამ შექმნა ვებ-გვერდი www.Dell.com, რამაც მხოლოდ 6 თვის შემდეგ დღეში 1 000 000 დოლარის გაყიდვები განაპირობა.

1997 წელს, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნა იყო დიდი, Dell-ის პროდუქციაზე გახსნეს მეორე საწარმო ცენტრი ტეხასში.

კომპანიამ, იმისათვის, რომ შეექმნა სრული მომსახურების პაკეტი, 1998 წელს ქსიამენში, ჩინეთში გახსნა გაყიდვების, წარმოების და დახმარების ცენტრი. შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე 1999 წელს ამერიკაში კომპანია შეაფასეს, როგორც ნომერ პირველი კომპიუტერული კომპანია საშუალო და დიდი ბიზნესისათვის.

2000 წელს ინტერნეტ გაყიდვებმა დღეში 40 000 000 $-ს მიაღწია. 2001 წელს Dell.com გახდა ნომერ პირველი კომპიუტერული სისტემების პროვაიდერი მსოფლიოში.

2006 წელს კომპანიამ შეიძინა მსოფლიო სათამაშო კომპიუტერების ლიდერი კომპანია Alienware.

2007 წელს vostro-ს ოჯახი გახდა Dell-ის ფლაგმანური გადაწყვეტა, რომელიც მორგებული იყო მცირე ბიზნესზე.

2011 წელს შეიძინა სივრცის მიმწოდებელი სწრაფად მზარდი კომპანია Compellent.

Dell - მა ჩადო 1 000 000 000 $ დატა ცენტრებისა და გლობალური გადაწყვეტის ცენტრების განსათავსებლად მთელს მსოფლიოში.

კომპანია Dell-ის წარმატება განაპირობა იმან, რომ Dell-მა გადაწყვიტა, რომ საკუთარი პროდუქცია თავიდან ბოლომდე თვითონვე დაემზადებინა და აეწყო. ამ ახალმა ბიზნეს მოდელმა გაამართლა. პირველ რიგში, სხვა შუამავალი კომპანიების გამორიცხვით, კომპიუტერების ფასი იკლებდა. მეორე, რაც ძალიან კარგი იყო როგორც კომპანიისათვის, ისე მომხმარებლებისთვისაც, გახლდათ ის, რომ კლიენტს შეეძლო დაერეკა კომპანიაში და ეთქვა ყველა ნაპოვნი ხარვეზის შესახებ. ამის მეშვეობით კომპანიას შეეძლო სწრაფად გამოეკვლია და გამოესწორებინა ეს ხარვეზები.

Dell მომხმარებელს ასევე სთავაზობს კონფიგურაციებისა და სხვადასხვა დიზაინის მქონე პროდუქტების დიდ არჩევანს.

კომპანია Dell აქცენტს აკეთებს სამ ძირითად ასპექტზე:

- კონკრეტულად იმ კონფიგურაციის კომპიუტერების მიწოდება, რომელიც მომხმარებელს სურს;

• მოთხოვნილ ვადებში პროდუქციის მიწოდება;

• მუდმივი სერვერული მომსახურება და განახლება.

შეიძლება გამოვყოთ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, Dell ყოველთვის ცდილობს სხვა კომპანიებს კონკურენცია გაუწიოს დაბალი ფასებით.

Dell-ის ლეპტოპებში გაერთიანებულია: კომპაქტურობა, განსაკუთრებული დიზაინი, ხელმისაწვდომი ფასები, მონაცემების უამრავი არჩევანი. ამასთან Dell-ის ნოუთბუქები გათვლილია მცირე ბიზნესისათვის, სპეციალურად მორგებული მონაცემებით და კორპორატიული მომხმარებლებისათვის, გამოირჩევა მკაცრი და პრაქტიკული დიზაინით, ასევე სხვადასხვა კორპორატიული ფუნქციებითაც.

Dell მძიმე ტექნიკის განვითარებით მეორე ადგილს იკავებს მსოფლიო ბაზარზე, ხოლო აშშ-ში, შეიძლება ითქვას უპირობო ლიდერია. Dell ლიდერია სამედიცინო გადაწყვეტებში, რომელიც ამოსავალი წერტილია ნებისმიერი ვენდორისთვის, ვინაიდან სამედიცინო გადაწყვეტა გულისხმობს უზარმაზარი ინფორმაციის შენახვასა და დამუშავებას. წარმატება დამოკიდებულია არა მარტო ინფორმაციის შენახვაზე, არამედ მის მოძიებასა და ოპერატიულ ამოღებაზე. Dell ასევე ლიდერია უმაღლესი სასწავლებლის გადაწყვეტებში, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებების მსგავსად უზარმაზარ ინფორმაციას ფლობენ. Dell თანამშრომლობს Symantec-თან, მათ აქვთ სერვერების მართვის ერთობლივი სოლუშენი, სადაც თავმოყრილია Symantec-ის 9 პროდუქტი, როგორიცაა დაცვის, მონაცემთა ბეკაპირების გადაწყვეტები და ა. შ.

რაც შეეხება საქართველოს ბაზარს, აქ სიტუაცია ცოტა განსხვავებულია, რადგან Dell-ის პროდუქცია ქართველი მომხმარებლისთვის ჯერ კიდევ ახალი და უცხოა.

საქართველოს ბაზარზე Dell-ის კომპანიას შემოტანილი აქვს ბრონირებული და ჩვეულებრივი, კომერციული სექტორისათვის გათვლილი ნოუთბუქები, მარტივი Tower სერვერები მცირე ოფისებისთვის და Rack-ების ფართო არჩევანი. აქვთ ასევე ახალი ტექნოლოგია ISCSI, რომელიც გულისხმობს მონაცემების შენახვას, გადამუშავებას და გადაცემას. როგორც კომპანიის მესვეურები ამბობენ, ეს არის მცოცავი ინფორმაციის პრინციპი - Fluid data technologies.

Dell-ის ბრონირებული ნოუთბუქები უძლებს წყლის ჭავლს, სიმაღლიდან ვარდნას, მუშაობს ექსტრემალურ სიტუაციაში. მას ძირითადად გამოიყენებენ სამშენებლო და ენერგეტიკული კომპანიები, თავდაცვა და ა. შ. Dell-ს აქვს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც ხდება დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში ნოუთბუქების დისტანციური დაბლოკვა.

Dell-ის ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კონკურენტი საქართველოში არის HP, ვინაიდან იგი 10 წელია საქართველოს ბაზარზე საქმიანობს, მაშინ, როცა Dell-ი სულ რაღაც ერთი წელია გააქტიურდა. მათ ჰყავთ აბსოლუტურად ერთი და იგივე სამიზნე აუდიტორია. ეს არის კომერციული და სამთავრობო სექტორი.

Dell-ს აქვს საკმაოდ მოქნილი საფასო პოლიტიკა კორპორატიული კლიენტებისათვის, სპეციალური ფასები 35-40%-ით ნაკლებია ზოგადი ფასებისგან. Dell-ის საფასო პოლიტიკა ძალიან აგრესიულია, ხშირ შემთხვევაში HP ვერ უმკლავდება მის კონკურენციას, თუმცა საქართველოში, ნაკლები ცნობადობის გამო, ჯერჯერობით ასე არ არის. გარდა ამისა, Dell-ს აქვს დიდი პლუსი - სეგმენტები დაყოფილია ფასების მიხედვით. მარტივი სერვერის დადგმა შესაძლებელია 1000 დოლარის ფარგლებშიც კი.

საქართველოში კომპანია აწყდება რიგ პრობლემებს, რომელთაგან მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჯერჯერობით ჩვენთან მოთხოვნა მაინც მოძველებულ ტექნიკაზეა, რომელსაც Dell აღარც უშვებს. მაგალითად SATA ვინჩესტერი.

კომპანიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საქართველოში წელიწადში დაახლოებით 200-300 ცალ ბრონირებულ კომპიუტერებს გაყიდიან. ჯერჯერობით კი Dell დიდი ინვესტიციებისგან თავს იკავებს. მისი ინვესტიცია ამჟამად ტრენინგებით, ვორქშოფებით და შოურუმით შემოიფარგლება, რომელიც საშუალოდ 100 000 დოლარი ჯდება. დღეისათვის Dell-მა კომპიუტერების გაყიდვით გადაუსწრო HP-სა და Apple-ს.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით შიდა ქართლში, კერძოდ გორში ჩავატარეთ კვლევა გამოკითხვის მეთოდით, რომელიც ატარებდა სამეცნიერო-კვლევით ხასიათს. გამოკითხულ იქნა 100 მოქალაქე, რომელთაგან 35 მამაკაცია, ხოლო 65 ქალბატონი. 58% უმაღლესი, ხოლო 42% საშუალო განათლების მქონე პიროვნებაა.

კვლევის მიზანი გახლდათ დაგვედგინა როგორი იყო ზოგადად მომხმარებელთა დამოკიდებულება ბრენდის მიმართ, გვაინტერესებდა იყო თუ არა Dell მოთხოვნადი ბრენდი შიდა ქართლში.

კითხვაზე: „თუ რა არის ბრენდი თქვენი აზრით“, 20%-მა გვიპასუხა, რომ ეს არის ცნობადი პროდუქტი. 23% თვლის, რომ ეს არის დიზაინი, 27%-მა აღნიშნა, რომ ეს არის სიმბოლო, 12%-მა - ახალი

პროდუქტია, 3%-მა - არაყის სახეობაა, 10%-მა აღნიშნა, რომ ბრენდი არის ის, რაც ძვირია და იყიდება, ხოლო 5%-მა არ გასცა კითხვაზე პასუხი.

გამოკითხულ რესპოდენტთა 78%-ს სმენია კომპანია Dell-ის შესახებ, 25%-ს კი საერთოდ არ სმენია მასზე.

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა 78%-ს აქვს კომპიუტერი, ხოლო 22% არ აქვს.

გამოკითხულ რესპოდენტთა 55% უპირატესობას ანიჭებს პერსონალურ კომპიუტერს, 25%-ს ნოუთბუქი ურჩევნია, ხოლო 20%-მა აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს როგორი სახის კომპიუტერი ექნებათ.

გამოკითხულთაგან 15% ყიდვისას უპირატესობას ანიჭებს დიზაინს, 45% ხარისხს, 25% მწარმოებელ კომპანიას, 15% მწარმოებელ ქვეყანას.

გამოკითხულ რესპოდენტთა იმ კატეგორიას, რომელთაც კომპიუტერი აქვთ, Dell-ის ნოუთბუქი 40%-ს არა აქვს, მაგრამ სურს რომ შეიძინოს, 35%-ს არა აქვს და არც აპირებს მის შეძენას.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ასევე გორში არსებული ელექტროტექნიკის მაღაზიები. აღნიშნული ობიექტებიდან თითქმის 90%-ს ჰქონდა წარმოდგენილი Dell-ის პროდუქცია. მაღაზიის კონსულტანტთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელთა რიცხვი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან მომხმარებლები პრეტენზიულები გახდნენ. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მწარმოებელ კომპანიას და ხშირ შემთხვევაში არჩევანს სწორედ ამის მიხედვით აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ Dell დიდი ხანი არაა, რაც შემოვიდა ქართულ ბაზარზე, ის საკმაოდ ძლიერ კონკურენციას უწევს კომპიუტერის მწარმოებელ სხვა ბრენდებს.

ამდენად ჩვენი საკვლევი ობიექტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად საქართველოში არსებობს გარკვეული რისკ-ფაქტორი კომპანიებისთვის, რომლებიც ახლა იმკვიდრებენ ფეხს, თუმცა, მიუხედავად ამისა, გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ ისინი ადვილად ხდებიან ქართველი მომხმარებლის მოთხოვნის ობიექტები.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://navigator.ge/ArticleView.aspx?Id=1577
2. http://navigator.ge/ArticleView.aspx?Id=1549
3. http://navigator.ge/ArticleView.aspx?Id=1486
4. http://www.shacknews.com/article/47081/dells-xps-brand
5. http://news.softpedia.com/news/The-Best-Product-Line-in-Dell-s-History-33994.shtml
6. http://www.google.ge/imgres?q=Dell+-%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9
7. http://aqualung.ge/2011/08/24/hp-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92-dell-%E1%83%97%E1%83%A3-apple/

ეროვნულ კულტურათა გავლენა რეკლამაზე

თამთა კაპანაძე, ნათია ილურიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი**, სრული პროფესორი

მძაფრი კონკურენციის პირობებში მომხმარებლისთვის პროდუქტის შეთავაზება გარკვეული ფასითა და გასაღების არხებით არ არის საკმარისი ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად. სარეალიზაციოდ აუცილებელია პროდუქტის სტიმულირება. თანამედროვე მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებლებისათვის პროდუქციის შესახებ სასურველი ინფორმაციის მიწოდებას, მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას და მომხმარებლის დარწმუნებას, რომ იყიდონ ესა თუ ის პროდუქტი. ამისთვის კომპანიები მიმართავენ არა ცალკეულ მარკეტინგულ ღონისძიებებს,

არამედ ინტეგრირებულ მარკეტინგულ პროგრამას, რომელიც მოიცავს ექვს ძირითად მარკეტინგულ ღონისძიებას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია რეკლამირება.

რეკლამირება პროდუქტის შესახებ ინფორმაციის არაპერსონალური გზით, მედიის სხვადასხვა საშუალებებით მოწოდებაა. გამომდინარე იქიდან, რომ რეკლამა ემსახურება მომხმარებლის ყურადღების მიპყრობას, შენარჩუნებასა და მათ დაინტერესებას, კომპანიები ცდილობენ შექმნან ისეთი დახვეწილი და დასამახსოვრებელი რეკლამა, რომელიც ხალხის ცნობიერებაში დიდხანს დარჩება და ამასთანავე პროდუქტის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

ყველაფერ ამასთან ერთად კომპანიები ზრუნავენ მომხმარებელს ისეთი სახით მიაწოდონ პროდუქტის შესახებ ინფორმაცია, რომ ის შესაბამისობაში იყოს ამა თუ იმ კონკრეტული სოციუმის ცნობიერებასთან, რომელსაც თავისი თვითმყოფადი კულტურა გააჩნია.

ეს გასათვალისწინებელია განსაკუთრებით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც თავიანთ პროდუქტს მსოფლიო ბაზარს სთავაზობენ და საერთაშორისო რეკლამებს ქმნიან. ასეთი რეკლამის შემქმნელები განსაკუთრებით ბევრ სირთულეს აწყდებიან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად უნდა მოერგოს საერთაშორისო რეკლამა ბაზრების სპეციფიკურ მახასიათებლებს სხვადასხვა ქვეყანაში.

რეკლამის ზოგიერთი დიდი მწარმოებელი შეეცადა თავისი გლობალური ბრენდებისათვის მაღალსტანდარტული მსოფლიო რეკლამით დაეჭირა მხარი, ანუ ეწარმოებინა ისეთი სარეკლამო კამპანია, რომელიც ერთნაირი წარმატებით იმუშავებდა როგორც ბანგკოკში, ისე ბალტიმორში. მაგალითად Daimler Chrysler-მა თავისი ჯიპის იმიჯს სანდოობის იმიჯი შეუქმნა, კოკა–კოლას Sprite-ს ბრენდი კი, მიზანში იღებს რა მსოფლიო ახალგაზრდობას, სტანდარტულ მიწოდებას იყენებს. შვედურმა ტელეკომუნიკაციების გიგანტმა Ericsson-მა 100 მილიონი დოლარი დახარჯა სტანდარტულ, გლობალურ სატელევიზიო კამპანიაზე ეგიდით „გამოავლინეთ საკუთარი თავი“, რომელშიც აგენტი 007, ჯეიმს ბონდია წარმოდგენილი.

სტანდარტიზაცია ბევრ სარგებელს ქმნის: შედარებით დაბალ სარეკლამო დანახარჯებს, უფრო მაღალ, გლობალურ სარეკლამო კოორდინაციასა და უფრო თანმიმდევრულ მსოფლიო იმიჯს. თუმცა, მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. კერძოდ, იგი იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ბაზრები ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან კულტურით, დემოგრაფიითა და ეკონომიკური ვითარებით. ამდენად, საერთაშორისო რეკლამების შემქმნელთა უმრავლესობა „ფიქრობს გლობალურად, მაგარამ მოქმედებს ადგილობრივად.“ ისინი ავითარებენ გლობალურ სარეკლამო სტრატეგიებს, რაც მსოფლიო რეკლამის ძალისხმევას უფრო ეფექტურს და თანმიმდევრულს ხდის. შემდეგ კი ახდენენ თავიანთი სარეკლამო პროგრამების ადაპტირებას, რათა ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნისა და მოლოდინის ადეკვატური გახადონ. მაგალითად, Coca-Cola-ს არაერთი რეკლამა აქვს, რომელიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნას რამდენიმე განსხვავებული ბაზრისთვის, შესაძლოა, სულ მცირედი ცვლილებით, როგორიცაა მაგალითად თარგმანი. ადგილობრივი და რეგიონალური მენეჯერები იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი რეკლამა რომელ ბაზარზე მუშაობს საუკეთესოდ.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე უფრო დიდი წარმატებით საღდება ისეთი პროდუქცია, რომლის რეკლამებშიც ეროვნული კულტურის ელემენტებია ჩართული.

გლობალური რეკლამის შემქმნელები კი დგანან რამდენიმე განსაკუთრებული პრობლემის წინაშე. მაგალითად სარეკლამო მედიის ხელმისაწვდომობა და ხარჯები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ქვეყნები ერთმანეთისაგან იმითაც განსხვავდებიან, თუ როგორ არეგულირებენ ისინი სარეკლამო საქმიანობას.

ბევრ ქვეყანას გააჩნია კანონთა ფართო სპექტრი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობის თანხის დახარჯვა შეიძლება რეკლამაზე და რა სახის მედია უნდა იქნას გამოყენებული. ამას გარდა, არეგულირებენ რეკლამის ბუნებასა და სარეკლამო პროგრამათა სხვა ასპექტებს. ასეთი შეზღუდვები ხშირად რეკლამის შემქმნელებს აიძულებს თავიანთი სარეკლამო კამპანიები გამუდმებით ცვალონ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებიან. მაგალითად, ალკოჰოლური სასმელის გაყიდვა ან რეკლამირება შეუძლებელია მუსულმანურ ქვეყნებში.

ბევრ ქვეყანაში, მაგალითად შვედეთში, არც ერთი სატელევიზიო რეკლამა არ უნდა იყოს მიმართული 12 წლამდე ბავშვებზე. შვედეთი ლობირებს ამ აკრძალვის გავრცელებას ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. შესაბამისად, McDonalds–ი შვედეთში წარმოჩინდება, როგორც ოჯახის რესტორანი.

შედარებითი რეკლამა, რომელიც აბსოლუტურად მისაღები და გავრცელებულია აშშ–სა და კანადაში, ნაკლებად გამოიყენება გაერთიანებულ სამეფოში, მიუღებელია იაპონიაში და არაკანონიერია ინდოეთსა და ბრაზილიაში. ჩინეთს ძალიან მკაცრი ცენზურა აქვს დაწესებული სატელევიზიო და რადიო რეკლამაზე. მაგალითად, აკრძალულია სიტყვა „საუკეთესო“, ასევე რეკლამები, რომლებიც არღვევს სოციალურ ადათ–წესებს, ან ქალს წარმოაჩენს „არასაკადრისი სახით.“ Coca-Cola-ს ინდური ფილიალი იძულებული გახდა, შეეწყვიტა ისეთი პრიზებით სტიმულირება, როგორიცაა მოგზაურობა ჰოლივუდში, რადგან ეს არღვევდა ინდოეთში არსებულ სავაჭრო საქმიანობის ტრადიციას.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ რეკლამის შემქმნელებს შეუძლიათ განავითარონ ერთიანი, გლობალური სარეკლამო სტრატეგიები, სპეციფიკური სარეკლამო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს, მედია მახასიათებლებსა და სარეკლამო კანონმდებლობას.

ლიტერატურა:

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, გამომცემლობა „ახალი საქართველო“, თბ., 2008.
2. ქ. ცოტნიაშვილი, მარკეტინგი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.

რეალური ინვესტიციები ქართულ აგრობიზნესში

გიორგი მანძულაშვილი, ეკატერინა ჯერანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

ათასწლეულების გამოწვევის პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობამ ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ დააარსა. 195,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გრანტია და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მიხედვით ხორციელდება (ათასწლეულის ამოწვევის კორპორაცია არის აშშ-ს კორპორაცია. მისი მთავარი პრინციპია დახმარება აღმოუჩინოს იმ ქვეყნებს, სადაც სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით ხორციელდება მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები). ეს გრანტი საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და საწარმოთა განვითარებას ხმარდება.

ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ხორციელდება აგრობიზნესის განვითარების პროექტი. მისი მიზანი გახლავთ არსებული წვრილი ფერმერული მეურნეობის გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში აგრობიზნესის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროექტის ფარგლებში გაიცა გრანტები თანადაფინანსების პრინციპით, პირველადი წარმოების და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის განვითარებისათვის საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. პროექტის ბიუჯეტია 20 მილიონი აშშ დოლარი, ხანგრძლივობა 4-5 წელი. აგრობიზნესის განვითარების პროექტის საქმიანობა ორ კომპონენტს მოიცავს, ესენია: საწარმოთა ხელშეწყობა და უწყვეტი საწარმოო ჯაჭვი. გრანტები გაიცა შემდეგი ტიპის საქმიანობის დასაფინანსებლად:

1. პირველადი წარმოება - გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მაქსიმალური განაკვეთია 1 : 0,5 პირველადი წარმოების პროექტის ტიპური მაგალითია სანერგე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე მეურნეობა და ა.შ. კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ალავერდში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საფუტკრე მეურნეობა, რომელმაც საქართველოს ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2009 წლის ნოემბერში მოიპოვა 49 995 აშშ დოლარის ოდენობით გრანტი. მისი მეშვეობით მოხდა თაფლის საწური თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზის

შეძენა საფრანგეთში, საქართველოში ჩამოტანა და საწარმოში დამონტაჟება. მეურნეობის მფლობელის (ინდ. მეწარმე გიორგი მახარაძე) თანამონაწილეობით (63 140 აშშ დოლარი) შეძენილ იქნა 150 ცალი ფუტკრის ოჯახი, განხორციელდა მეურნეობის რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს საწარმოს დაგეგმილი აქვს საკუთარი ძალებით ფუტკრის ოჯახების რაოდენობის გაზრდა 200 ცალამდე, რაც მეწარმეს საშუალებას მისცემს აწარმოოს 3 ტონამდე ნატურალური თაფლი. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოხდება „თაფლიკაცის“ სავაჭრო ნიშნით. საწარმოში დასაქმებულია 5 ადამიანი, თუმცა სამომავლოდ წარმოების გაფართოების პერსპექტივა მომუშავეთა რაოდენობასაც გაზრდის;

2. ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა. ფერმერთა მომსახურების ცენტრი ერთგვარი აგრონომიული მაღაზიაა, სადაც ფერმერს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს საჭირო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებები 9 სათესლე-სარგავი მასალა, სასუქი, შხამქიმიკატები), მიიღოს კონსულტაციების ან ისარგებლოს აგროტექნიკის მომსახურებით. გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობაა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთია 1:0,75. პროექტის ფარგლებში, 2005 წლის იანვრიდან, ფუნქციონირება დაიწყო ფერმერთა მომსახურების ცენტრებმა ე.წ. ფერმერთა სახლებმა დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში, ამბროლაურის რაიონის ქალაქ ამბროლაურში, ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში, შუახევის რაიონის დაბა შუახევში და სხვა რაიონულ ცენტრებში. მათი დანიშნულებაა სოფლად სიღარიბის დაძლევა, საპილოტე და არასაპილოტე სოფლებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. წლების განმავლობაში ფერმერთა მომსახურების ცენტრებში ტარდება შეხვედრები და სწავლებები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თაობაზე. პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით ფერმერთა მომსახურების ცენტრებში, ნიადაგის სწრაფი და ეფექტური დამუშავებისათვის, შემოყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის მარალპროდუქტიულობას, კერძოდ შემოყვანილ იქნა ჩინური წარმოების მცირე გაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რომლებიც გათვალისწინებულია მცირე ნაკვეთების დასამუშავებლად. ფერმერთა სახლებით ხდება საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა შხამქიმიკატებითა და სათესლე მასალებით, ვეტპრეპარატებით, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობისათვის საჭირო ინვენტარით. ფერმერთა მომსახურების ცენტრების ინიციატივით მემცენარეობის დარგებში დაინერგა მთის სოფლებისათვის ახალი მარცვლეული კულტურის - წიწიბურას თესვის ტექნოლოგია. რაიონებში მოქმედი ფერმერთა სახლები ხელს უწყობენ სოფლად დარგების მიხედვით ასოციაციების ჩამოყალიბებასა და მათ ფუნქციონირებას.

ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პროექტის მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით ისარგებლა 553-ზე მეტმა ფერმერმა, მათ შორის ეს რესურსი დუშეთის რაიონში გამოყენებული აქვს 208 კლიენტ ფერმერს, ამბროლაურის რაიონში 115 კლიენტ ფერმერს, ასპინძის რაიონში 160 კლიენტ ფერმერს, შუახევის რაიონში 70 კლიენტ ფერმერს და ა.შ. პროგრამით გათვალისწინებულ საპილოტე რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით შესრულდა შემდეგი სამუშაოები: დუშეთის რაიონში მოიხნა 78,62 ჰექტარი და გაითიბა 19,4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კულტივაცია ჩაუტარდა 1,1 ჰექტარ ნათესს, მოსავალი დაითესა 10 ჰექტარზე და შეიწამლა 13 ჰექტარი ნათესი. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 122,12 ჰექტარზე. ასპინძის რაიონში მოიხნა 85 ჰექტარი და გაითიბა 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კულტივაცია ჩაუტარდა 5 ჰექტარ ნათესს, მოსავალი დაითესა 41 ჰექტარზე და შეიწამლა 41 ჰექტარი ნათესი. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 115 ჰექტარზე. ამბროლაურის რაიონში მოიხნა 6,8 ჰექტარი და გაითიბა 2,7 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ფრეზირება ჩაუტარდა 1,9 ჰექტარს. პროექტის ფარგლებში სულ ეს რესურსი გამოყენებულ იქნა 11,4 ჰექტარზე. შუახევის რაიონში მოიხნა 7,5 ჰექტარი და გაითიბა 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ფრეზირება ჩაუტარდა 0,6 ჰექტარს.

ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში საქართველოში, ფერმერთა მომსახურების ცენტრების ინიციატივით, შემოტანილი მანქანა-დანადგარებით, სადემონსტრაციო სისტემით ასპინძის რაიონში ნაკვეთებში დაითესა: წიწიბურა 1 ჰექტარზე, ქერი 45 ჰექტარზე, კარტოფილი 2 ჰექტარზე და ა.შ. ასევე პროექტის ფარგლებში მემცენარეობის დარგში მცენარეთა დაცვის საშუალებებით და მინერალური სასუქებით მომარაგდა 1256 კლიენტ ფერმერი, სათესლე მასალით უზრუნველყოფილი იქნა 344, ხოლო კონსულტაცია გაეწია 832 კლიენტ ფერმერს. მეცხოველეობის დარგში ვეტპრეპარატებით უზრუნველყოფილი იქნა 4978 კლიენტ ფერმერი. მეფუტკრეობის დარგში პრეპარატებითა და ინვენტარით მომარაგდა 1175 კლიენტ ფერმერი, ხოლო კონსულტაცია გაეწია 1042 კლიენტ ფერმერს.

3. მცირე გადამუშავება - გრანტის თანხის მაქსიმალური ოდენობა 50 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთია 1:1. მცირე გადამამუშავებელი საწარმოს ტიპური

მაგალითია რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები, მცირე საკონსერვო წარმოება და ა.შ. მცირე საკონსერვო წარმოების კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ გურიაში, ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე დაარსებული კომპანია „ვაგი“. საკონსერვო ქარხნისათვის საკონსულტაციო ოფიცრების მიერ შემუშავებული საგრანტო განაცხადი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ აგრობიზნესის განვითარების პროექტიდან დაფინანსების მოსაპოვებლად მიზნად ისახავდა კომპანიის წარმადობის გაზრდას და ადგილობრივი მოსახლეობიდან ხილისა და სხვა ნედლეულის ჩაბარებას. შემუშავებულმა პროექტმა წარმატებით გაიარა შერჩევის ყველა ეტაპი და საბოლოოდ მიიღო დაფინანსება 10 0000 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში საკონსერვო ქარხანა ახდენს ადგილობრივ ნედლეულზე მურაბების, ჯემების, კომპოტებისა და წვენების დამზადება-რეალიზაციას.

4. საწარმოო ჯაჭვის შექმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანის, შენახვის, გადამუშავების, მისთვის სასაქონლო სახის მიცემისა და ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის დამკვიდრების მიზნით. გრანტის თანხის მაქსიმალური მოცულობაა 150 000 აშშ დოლარი, თანამონაწილეობის მინიმალური განაკვეთი 1:1. საწარმოო ჯაჭვის პროექტის ტიპური მაგალითია საშუალო ზომის რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა, საკონსერვო წარმოება საკუთარი შემგროვებელი ცენტრებით, სადაც ხდება მცირე ფერმერთაგან მიღებული ნედლეულის კონსოლიდაცია, გადამუშავება, დაფასოება და რეალიზაცია. კონკრეტულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ახალციხის რაიონის სოფელ წნისში გახსნილი რძის გადამამუშავებელი ქარხანა. საწარმო შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონას“ ეკუთვნის, რომელმაც ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 124,550 აშშ დოლარის გრანტი მიიღო, რომლის დახმარებითაც შეძენილ იქნა რძის გადამამუშავებელი ახალი მანქანა-დანადგარები, მათ შორის რძის შემგროვებელი ავზები, ყველის შესანახი ავზები, პასტერიზატორი, ყველის საწარმოო ხაზი, არაჟნის საწარმოო ხაზი, მანქანა-რეფრეჟერატორი და სხვა თანამედროვე დანადგარები. ასევე ქარხნის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სხვადასხვა გარემოსდაცვითი, მარკეტინგული ღონისძიებები და ტრენინგები. პროექტის ფარგლებში ასევე გახსნილია რძის შემგროვებელი ორი პუნქტი სოფელ ვახანში და წყალთბილაში, რომელთა მეშვეობითაც მოხდება რძის შეგროვება. სოფელ წნისის რძის გადამამუშავებელ ქარხანაში დასაქმებულია 24 ადამიანი. მათი უმრავლესობა ადგილობრივი მაცხოვრებელია. საწარმოს შექმნით რაიონის 250-ზე მეტ ფერმერს მიეცა საშუალება რძის რეალიზება სოფლიდან გაუსვლელად მოახდინოს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია რძის შემგროვებელი მესამე პუნქტის გახსნა. საწარმოს დღეში 5000 ლიტრი რძის გადამუშავება, ხუთი ტიპის ყველის (ქართული, იმერული, მარმაჟანი, მოცარელა და გუდა) და სამი ტიპის რძის ნაწარმის (ნადუღი, არაჟანი, ყველი) წარმოება, დაფასოება და დისტრიბუცია შეუძლია.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივა საქართველოში დადებითი ტენდენციის მატარებელია. აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2012 წლის ბოლომდე იგეგმება 300-მდე პროექტის დაფინანსება, რის შედეგადაც სოფლად დაახლოებით 2934 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და არაპირდაპირ სარგებელს 70 000-ზე მეტი ადგილობრივი ფერმერი მიიღებს.

ლიტერატურა:

1. ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“, „24 საათი“, №278, 12 დეკემბერი, 2008.
2. ხორბალაძე თამარ, ათასწლეულების განვითარების პროგრამის შესრულება - ტესტი ქვეყნისათვის, „24 საათი“, 23 დეკემბერი, 2008.
3. ივანიძე თამარ, ათასწლეულების გამოწვევის პროგრამა შედეგების დათვლას იწყებს, „24 საათი“, 11 დეკემბერი, 2009.
4. ნატროშვილი ნინო, 15 მილიონი აგრობიზნესის გასავითარებლად, „24 საათი“, 23 აგვისტო, 2006.
5. გრანტები აგრობიზნესისთვის, აგრობიზნესის განვითარების პროექტი, „აგროინფი“, თებერვალი №5 თბ., 2007.
6. მარქუაშვილი ნატა, როგორ ავიღოთ გრანტი ფერმერული საქმიანობისათვის, „ბანკები და ფინანსები“, 15-21 ივლისი, №12, თბ., 2008.
7. მალაციძე აკაკი, წიწიბურა, „ახალი აგრარული საქართველო: სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. აპრილი-მაისი №3, თბ., 2010.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.economy.ge
2. www.osgf.ge

3. https://matsne.gov.ge
4. www.gncc.ge
5. www.bpi.ge

მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები საქართველოში

თამარ ნადირაძე, ლალი მიჩიტაშვილი,
რუსუდან პოღოზაშვილი, მაკა საათაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ერთობლივ მოთხოვნაზე სხვადასხვა არხებით ზემოქმედებს. საქართველოში საპროცენტო განაკვეთების გადაცემა ეკონომიკაზე ხდება შემდეგი არხებით:

- საკრედიტო არხი;
- გაცვლითი კურსის არხი;
- საპროცენტო განაკვეთების არხი;
- მოლოდინის არხი.

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილებები აისახება ეკონომიკაზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანის - მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა, რომლის საშუალებითაც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შემდგომ ინფლაციაზე.

ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის გადაწყვეტილებებს გადასახადებსა და სამთავრობო დანახარჯებზე. ფისკალური პოლიტიკა ძირითადად ერთობლივ მოთხოვნაზეა ორიენტირებული და მასზე ზემოქმედებს პირდაპირი და არაპირდაპირი არხების საშუალებით. ბიუჯეტის დეფიციტი ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას იწვევს, რაც შეიძლება ინფლაციური ზეწოლის გაძლიერების მიზეზი გახდეს თუ ეკონომიკას არა აქვს წარმოების ადეკვატურად გაზრდის პოტენციალი. გადასახადების მატებას კი საპირისპირო შედეგი აქვს.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინირებულ ქმედებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეროვნული ბანკისთვის მისი ძირითადი ამოცანის - დაბალი ინფლაციის მისაღწევად და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის შესანარჩუნებლად, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკა არ წარმოადგენს ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ერთადერთ ინსტრუმენტს. შესაბამისად, ბიუჯეტის ფორმირებისას აუცილებელია, რომ გათვალისწინებულ იქნას დეფიციტის შესაძლო გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ეროვნული ბანკის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რადგან ბიუჯეტის დიდი დეფიციტის პირობებში ეროვნული ბანკის რესურსებით შეუძლებელი იქნება ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვა და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მუხლი 41-ს მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის

პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენამდე ატარებს კონსულტაციებს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა ხდება ეროვნული ბანკის დასკვნასთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობა. ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელზე შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი იყენებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რომლის ცვლილებაც მონეტარული გადაცემის მექანიზმის საშუალებით ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შედეგად იცვლება ფასების დონეც. ამ მიზნის მისაღწევად სებ–ი იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. მათი საშუალებით ეროვნული ბანკი ფინანსურ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთს არეგულირებს. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მცირდება საბანკო რესურსები, რაც, შესაბამისად, ფულის მასის შემცირებას იწვევს და ხდება საბანკო სისტემიდან ჭარბი ლიკვიდობის ამოღება. გარდა ამისა, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სახაზინო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება დაბალი რისკის მატარებელი აქტივების კლასს და კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს შეამციროს საკრედიტო პორტფელის რისკიანობის მაჩვენებელი. ამავდროულად ვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარიც.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სისტემას მოკლევადიანი ლიკვიდობა მიეწოდება. მათი გაცემა ხორციელდება აუქციონების საშუალებით, შესაბამისი გირაოს წარმოდგენის საფუძველზე. ერთკვირიანი რეფინანსირების სესხებით სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გადაეცემა საბანკო სექტორის ჯერ მოკლევადიან და შემდგომ კი გრძელვადიან განაკვეთებს. ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების განაკვეთების საშუალებით იქმნება ე.წ. კორიდორი ბანკთაშორის ბაზარზე, რომელიც ამცირებს ამ ბაზრის განაკვეთის მერყეობას.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები არის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ეროვნული ბანკი გავლენას ახდენს მონეტარულ აგრეგატებსა და ფულის მასაზე. გარდა ამისა, სავალდებულო რეზერვების მოთხოვნის გამოყენებით სებ-ი უზრუნველყოფს ბანკების მიერ საჭირო ლიკვიდური სახსრების არსებობას რეზერვში მოულოდნელი ფულადი გადინების დასაფარად. სარეზერვო მოთხოვნების გაზრდა იწვევს დაკრედიტებისთვის საჭირო ფულადი სახსრების შემცირებას ბანკებისთვის, ხოლო დაწევა კი - პირიქით, გამოიწვევს ფულის მიწოდების გაზრდას.

მონეტარული პოლიტიკის აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების მთავარი მიზანი ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენაა, რაც საბოლოოდ აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე. საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და ის ერთგვარი ორიენტირია საბაზრო განაკვეთებისათვის.

გადაწყვეტილება პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების შედეგად. მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება ხდება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება. თუ პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და აწევს საპროცენტო განაკვეთს, რათა შეზღუდულ იყოს მომავალში ფასების დონის მატება. შედეგად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც ზეგავლენას მოახდენს ფასების ზრდის ტემპზე. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა არის დაბალი და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივზე, ეროვნული ბანკის მიერ გატარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა - შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხების საპროცენტო განაკვეთს და გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას.

ინფლაცია შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. მაგალითად, ფასების დონის მატებაზე მოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, როდესაც ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ხორციელდება ერთობლივი მიწოდებით. შესაძლოა, აგრეთვე ადგილი ჰქონდეს ეგზოგენურ ფაქტორებს. მათზე ზეგავლენის მოხდენა მონეტარული პოლიტიკის საშუალებით შეზღუდულია. ასეთებს განეკუთვნება მსოფლიო ბაზარზე განვითარებული მოვლენები, გადასახადების ცვლილება, სტიქიური უბედურებები, რეგულირებადი ფასების ცვლილება და სხვ. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა, რამაც ზეგავლენა იქონია ქვეყანაში სხვადასხვა პროდუქტების ფასის მატებაზე. ეგზოგენური ფაქტორები ვერ გაკონტროლდება შიდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით, ამდენად ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, არ რეაგირებენ ასეთი ფაქტორების შედეგად ინფლაციის ზრდაზე. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიტუაცია წარმოქმნის ინფლაციის მოლოდინს, რაც ზეგავლენას ახდენს ფასების დონეზე, უნდა მოხდეს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება საპროცენტო განაკვეთის გაზრდით ინფლაციის მოლოდინის

შესამცირებლად. განაკვეთის ცვლილება, გადაცემის მექანიზმის საშუალებით, სხვადასხვა არხებით გადაეცემა ერთობლივ მოთხოვნას, გამოიწვევს მის შემცირებას და შედეგად უნდა ველოდეთ ფასების დონის შემცირებასაც. საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკისათვის სასურველ ინფლაციის დონედ განიხილავს სფი ინფლაციას 6 პროცენტის ოდენობით, რაც არის ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებელი.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ეროვნული ბანკი შესაბამის მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს. 2009 წლიდან ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება, რომლის დროსაც ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთების მართვით ზემოქმედებს ინფლაციაზე. კერძოდ, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და შემდეგ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ზემოქმედებს ქვეყანაში ერთობლივ მოთხოვნაზე, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

იმ შემთხვევაში, თუ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მეტია მიზნობრივ დონეზე, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის აწევით, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხებზე საპროცენტო განაკვეთს და ზღუდავს ერთობლივ მოთხოვნას, რათა ფასების ზრდის ტემპი დაუბრუნდეს სასურველ დონეს. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალია, ეროვნული ბანკი შეამცირებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. შედეგად ერთობლივი მოთხოვნა გაიზრდება და ხელს შეუწყობს ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონემდე დაბრუნებას.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი - ეს არის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქცია ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი შექმნილია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხოლო მისი საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს. კომიტეტში 11 წევრია და მას თავმჯდომარეობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის თანამშრომლები და მოწვეული პირები. სხდომები იმართება თვეში ერთხელ (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე შეხვედრა) წინასწარ ცნობილი კალენდრის მიხედვით. კომიტეტი განსაზღვრავს, თუ რა იქნება მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი შემდგომი პერიოდისათვის და აწესებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევას. კომიტეტის შეხვედრაზე მიმდინარეობს მსჯელობა და მიიღება გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ღია ბაზრისა და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციები, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისია და მიმოქცევა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენა, სებ-ის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა საკრედიტო ოპერაციებზე (გარდა ბოლო ინსტანციის სესხებისა) საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების გამოყენება.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ყოველი სხდომის ჩატარების შემდეგ ხდება კომიტეტის გადაწყვეტილების გამოქვეყნება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და მისი მიღების მოტივაციას.

ლიტერატურა:

1. www.nbg.gov.ge/index.php
2. www.ghn.ge/news-69077.html
3. civil.ge/articlc.php

მომსახურების სფეროს განვითარების პერსპექტივები

ნათია ნასუაშვილი, ეკა მეზვრიშვილი,
ნინო დათუნაშვილი, მარინა ფერაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ხათუნა ბებნაძე,** ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე პირობებში არასამეწარმეო სფეროში ფუნქციონირებადი მომსახურების ბაზარი მოითხოვს ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვას, რომლებიც საშუალებას იძლევიან ადეკვატურად დაკმაყოფილდეს ცალკეული ადამიანის, სოციალური ჯგუფებისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებები მომსახურების დარგების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მაქსიმალურად დაბალანსებით.

დღეს თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის დომინირებული მდგომარეობა უჭირავს მომსახურების სფეროს, რომელიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკის წამყვან სექტორს წარმოადგენს. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში მომსახურების ანუ არასაწარმოო სფეროში ჩაბმულია დასაქმებულთა საერთო რიცხვის 66%-ზე მეტი, აშშ-ში - 73%, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების მატება ამ სექტორში შეადგენს 80-90%-ს. ამჟამად მომსახურების სფეროში იქმნება აშშ-ს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 79%. მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების სფეროს ზრდა მიდის კიდევ უფრო სწრაფად და დაახლოებით შეადგენს საერთაშორისო ვაჭრობის საერთო მოცულობის 37%-ს.

სიტყვა მომსახურება (service) ინგლისურიდან წარმოდგება. ფ. კოტლერის მიხედვით, მომსახურება არის ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. ეს არის არახელშესახები საქმიანობა, რომელიც არ იწვევს საკუთრების უფლების წარმოშობას. იგი არანივთობრივი, არათვალსაჩინოა. შეუძლებელია მისი დანახვა, მოსმენა, შეხება.

მომსახურების ძირითადი მახასიათებლები:

1) არახელშესახებობა;
2) წარმოების და მოხმარების განუყოფლობა;
3) ხარისხის ცვალებადობა;
4) შენახვის შეუძლებლობა;
5) ხანმოკლეობა.

მომსახურების არახელშესახებობა ანუ არამატერიალური ხასიათი ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია მისი დემონსტრირება, დანახვა, გასინჯვა და შესწავლა შესრულებამდე. მყიდველს უჭირს გაერკვეს და შეაფასოს, თუ რა იყიდება მომსახურების შეძენამდე და ზოგჯერ ყიდვის შემდეგაც. ის იძულებულია ენდოს გამყიდველს. ამის გამო მომხმარებელთა მხრიდან ყოველთვის არსებობს იმედის და ნდობის ელემენტი მომსახურების გამყიდველისადმი. გამყიდველს შეუძლია აღუწეროს კლიენტს უპირატესობანი, რასაც მიიღებს იგი მომსახურების შეძენით, ხოლო თვით მომსახურება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მისი შესრულების შემდეგ. არსებობს ისეთი მომსახურებაც, რომლის შეფასება კლიენტს არ შეუძლია მისი შესრულების შემდეგაც (მაგალითად, სამედიცინო მომსახურება), აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მომსახურების მარკეტინგში ძირითადი ცნებაა - სარგებელი, რომელსაც მიიღებს კლიენტი მომსახურების შეძენით.

კლიენტის ნდობის გასაძლიერებლად მომსახურების სფეროს ფირმები იყენებენ რიგ ზომებს:

ა) მომსახურების ხელშესახებობის გაზრდა შეძლებისდაგვარად;
ბ) მომსახურების მნიშვნელობის ხაზგასმა;
გ) ყურადღების გამახვილება მომსახურებისაგან მისაღებ სარგებელზე;
დ) ცნობადი პერსონების გამოყენება მომსახურების პროპაგანდისთვის.

მომსახურების მატერიალობის გაზრდა, მისი უფრო ხელშესახებად ქცევა შესაძლებელია მომსახურებაში სხვადასხვა ფორმით საქონლის ელემენტების შეტანით. მაგალითად: სილამაზის სალონში მისაღები გარეგნობის მოდელირება კომპიუტერის დახმარებით, კლიენტების ინფორმირება პერსონალის კვალიფიკაციის, გამოცდილების შესახებ, ბროშურების, ბუკლეტებისა და სხვათა გავრცელება, რომლებიც დაეხმარება კლიენტებს გაეცნონ მომსახურების პროდუქტებს და შეაფასონ იგი.

მომსახურების შემდეგი მახასიათებელი წყაროსთან განუყოფლობა, რაც წარმოებისა და მომსახურების ერთდროულობას ნიშნავს. მრავალი სახის მომსახურება განუყოფელია იმისგან, ვინც მას

აწარმოებს. მაგალითად, სტომატოლოგის პერსონალური მომსახურება განუყოფელია პაციენტისაგან, ვინაიდან კლიენტი ჩართულია მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პროცესში.

მომსახურების შემდეგი მახასიათებელი ესაა მომსახურების ხარისხი, რომელსაც კლიენტების მოზიდვისათვის დიდი ყურადღება ექცევა. მომსახურების ხარისხი არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, სად და როდის აწარმოებს მას. მაგალითად, ერთ სასტუმროში სერვისი მაღალი ხარისხისაა, მეორეში – არა. მომსახურების ხარისხის ცვალებადობის შესამცირებლად, ხდება მომსახურების სტანდარტების შემუშავება. მომსახურების სტანდარტი არის მომსახურების წესების კომპლექსი, რომელიც იძლევა ყველა წარმოებული ოპერაციის დადგენილი დონის შესაბამისად შესრულების გარანტიას. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარდა მომსახურებას ასევე ახასიათებს ხანმოკლეობა, ანუ განსაზღვრული დროის შემდეგ ის აუცილებლად დამთავრდება.

მომსახურების სფეროს განვითარება

მომსახურების სფერომ განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მომსახურების უძველეს სახეებს მიეკუთვნება სატრანსპორტო, საფინანსო, დაცვის, სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე მომსახურების ცალკეული სახეები (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის კერვა) კვება და ვაჭრობა.

მომსახურების სფერო დღეს ისე ინტენსიურად ვითარდება, რომ საბანკო სექტორი, სავაჭრო ქსელი და სარესტორნო ბიზნესი აჭარბებს მოთხოვნას. თანამედროვე ეტაპზე მომსახურების სფერო მოიცავს შემდეგ დარგებს: ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტირება, ტურისტული ფირმები, ბანკები, მუზეუმები, კავშირგაბმულობა და სხვა. სწრაფად განვითარებადს წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც წვრილი საოჯახო ფირმები, ასევე მსხვილი საბითუმო გამანაწილებელი კომპანიები. ამასთან მიმდინარეობს წვრილი ფირმების გამოძევება ბაზრიდან. მათ ენაცვლებათ მსხვილი სუპერმარკეტები (საქართველოს შემთხვევაში შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ „გუდვილის“, „პოპულის“ მსხვილი სუპერმარკეტების სავაჭრო ქსელი, რომელთაც საკმარის კონკურენციას ვერ უწევენ წვრილი სავაჭრო მარკეტები); სწრაფი ტემპით ვითარდება “სხვა მომსახურება”. აქ შედის: სილამაზის სალონები, დასასვენებელი პარკები, სანატორიუმები, კერძო სკოლები და ა.შ. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ყველაზე მეტი პერსპექტივა გააჩნია ტურიზმს, რომელიც ყველაზე სწრაფად მზარდ და რენტაბელურ დარგს წარმოადგენს. ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიური დარგია. განვითარების სწრაფი ტემპის და ფართო მასშტაბის გამო იგი XX საუკუნის ფენომენადაა აღიარებული. ტურიზმს მსოფლიო ეკონომიკასა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და ადამიანთა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ურთიერთობის ყველაზე მასობრივ და ცივილიზებულ ფორმას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ტურიზმი მაღალშემოსავლიანი დარგია, რომელსაც მესამე ადგილი უკავია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მარტო ზოგიერთ კუნძულოვან ქვეყანაში მისი წილი აღემატება 30%-ს (ანტიგუა – 58%, ბაჰამის კუნძულები – 52%, ბერმუნდის კუნძულები – 35%). ტურინდუსტრიის სექტორების სტრუქტურული შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია მის მრავალმხრივ განვითარებაზე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სხვა დარგებთან მჭიდრო კავშირზე. ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი ტურისტული მომსახურებაა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია: განთავსება, კვება, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახურება. ტურიზმი საქართველოშიც მზარდი ტემპით ვითარდება. ქვეყანას დღეს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ დღეისათვის 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2012 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში საქართველოში 1 299 685 ვიზიტორი შემოვიდა.



ნახ.1 საქართველოში უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლების დინამიკა და პროგნოზული შეფასებები [1]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბიზნესის სუბიექტების 78%-ზე მეტი უკავია ვაჭრობას და ამ სფეროს მიკუთვნებულ სუბიექტებს.



[1] წყარო: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.8&d=HASH3e398f1849f3641df64d4a.11.2



საქართველოს მომსახურების სფეროში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.





თუმცა საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და სტრატეგიული კონსალტინგის კომპანია ACT-ს მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში მომსახურების ხარისხითა და დონით ფარმაცევტული სფერო ლიდერობს. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობა ყველაზე კმაყოფილია აფთიაქების მომსახურებით. აფთიაქებს ოდნავ ჩამორჩება საყოფაცხოვრებო და ტექნიკის მაღაზიები. სადაზღვევო კომპანიები კი უკანასკნელ ადგილას აღმოჩდნენ, თუმცა მათი შეფასება ნეიტრალურია და დადებითისკენ მეტად იხრება, ვიდრე უარყოფითისკენ. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ საჯარო სამსახურები მესამე ადგილზე აღმოჩდნენ 4,08 ქულით და საბანკო სექტორიც (3,92) კი უკან ჩამოიტოვეს.

რაც შეეხება ზოგადად მომსახურების სფეროს ხარისხს, აღნიშნული მონაცემების მიხედვით ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია - არც ერთ სფეროს არ დაუმსახურებია ნეგატიური შეფასება, რაც იმის დასტურია, რომ საჯარო და ბიზნეს სექტორიც მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს საკმაო ყურადღებას უთმობს. მომსახურების სექტორის განვითარების მიუხედავად საკმაოდ ხშირია კერძო მარკეტებში თუ ფირმებში მომსახურების სერვისის დაბალი დონე, თუმცა დღესდღეობით მომსახურების სფეროს განვითარება საქართველოში ნამდვილად შეინიშნება (აღსანიშნავია, რომ ქვეყნის უმეტეს რეგიონებში აქტიურად იხსნება იუსტიციის სახლები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია მომსახურების მაღალ ხარისხზე).

მომსახურების მარკეტინგი

მომსახურებაზე მოთხოვნა ბაზრის საქონლით გაჯერებისა და წარმოების გართულების კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მომსახურების სფერო წინ უსწრებს წარმოების სფეროს ზრდის ტემპითა და მომსახურების ახალი პროდუქტების შექმნით.

თანამედროვე ეკონომიკაში მომსახურების როლის აშკარა ზრდა გამოიწვია უპირველესად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მომსახურების ახალი სახეების შექმნამ, წარმოების გართულებამ და ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით ბაზრის გაჯერებამ, საქონლის გასაღების დამატებითი მომსახურების კომპლექსის აუცილებლობამ, წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული საფინანსო, საინფორმაციო და სხვა სახის მომსახურების გაზრდამ. მომსახურების ბაზრის შესწავლა, მისი დინამიკის პროგნოზირება, მოთხოვნის ფორმირება მომსახურებაზე და მისი გავრცელების სტიმულირება – ეს ყველაფერი მარკეტინგის საშუალებით მიიღწევა. მომსახურების მარკეტინგი ესაა კლიენტების სპეციფიკური მოთხოვნილებების გამოვლენაზე ორიენტირებული მომსახურების შემუშავების, წინსვლისა და რეალიზაციის პროცესი.



მომსახურების სფეროს საწარმოებში ხშირად გარე მარკეტინგთან ერთად, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლებზე, გამოიყენება შიდა მარკეტინგიც და ურთიერთზემოქმედების მარკეტინგიც, რადგან თანამედროვე სერვისული საწარმოები ყურადღებას თანაბრად ამახვილებენ მომხმარებლებზე და იმ თანამშრომლებზე, რომლებიც წარმოადგენენ მომსახურების წყაროს. სერვისული საწარმოების ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ მოგება უკავშირდება, როგორც კლიენტების, ისე საკუთარი თანამშრომლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. როგორც პრაქტიკა უჩვენებს, მოგებაზე ზრუნვა იწყება იმ ადამიანებზე ზრუნვით, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან კლიენტებს. ამრიგად, პრაქტიკაში მომსახურების მარკეტინგის მაქსიმალურად გამოყენებითა და მომხმარებლებზე ორიენტაციით მიიღწევა მომსახურების სფეროს განვითარება.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია მომსახურების სფეროს, რომელიც წამყვან სექტორს წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ამდენად, ამ სექტორის განვითარება აქტუალურია საქართველოშიც.

ლიტერატურა:

1. ფ. კოტლერი, მარკეტინგი, 2006.
2. ი. მესხია, საერთაშორისო ვაჭრობა, 2011.
3. ჟურნალი „ეკონომიქსი“, №7-8, 2011.
4. http://www.economy.ge
5. http://www.tabula.ge
6. http://geostat.ge
7. http://www.nplg.gov.ge

ეკონომიკური პროცესები და ტენდენციები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ფონზე

ნინო ღარიბაშვილი, თამთა ფარეხელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისები კიდევ ერთი მძიმე გაკვეთილია იმისა, თუ რამხელა დარტყმის მიყენება შეუძლია ეკონომიკური პროცესების, ტენდენციების, მოვლენების არასწორად შეფასებას. მიმდინარე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკა განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ღრმა ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის ხდება ახალი იდეებისა და ახალი ინიციატივების "მშობელი", მსოფლიო მასშტაბით უდიდესი რეცესიის შესაბამისმა გამოხმაურებებმაც არ დააყოვნა და წარმოიშვა მრავალი ახალი იდეა. ყველას მიზანია ისეთი ეკონომიკური მოდელების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც შეძლებს სამომავლო კრიზისული მდგომარეობების თავიდან აცილებას თუ არა, მათი ეფექტების შესუსტებას მაინც. მსოფლიო ინდუსტრიის განვითარების თითქმის ორსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ბევრი ქვეყნის ეკონომიკაში ხდებოდა კრიზისები. ამ პერიოდებში შეინიშნებოდა წარმოების დაცემა, ბაზარზე არარეალიზებული პროდუქციის თავმოყრა, ფასების დაცემა, ურთიერთანგარიშსწორების სისტემის რღვევა, საბანკო სისტემების კრახი, სამრეწველო და სავაჭრო ფირმების გაკოტრება, უმუშევრობა და ა.შ. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკურ კრიზისს ახასიათებენ, როგორც პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსისა და თანასწორობის დარღვევას. კრიზისები ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის თანხვედრია. საწყის ეტაპზე ისინი გამოჩდნენ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალმწარმოებლურობით გამოწვეული კრიზისები XIX საუკუნის შუა წლებში. ეს იყო სამრეწველო წარმოებასა და გადახდისუნარიანობას შორის თანასწორობის დარღვევა.

ეკონომიკური კრიზისები XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს სათავეს და ის პირველ ეტაპზე მეორდებოდა რვა-ათ წელიწადში ერთხელ, ხოლო XX საუკუნეში მისი გამოვლინების პერიოდები შედარებით ხანგრძლივია. XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნეში მსოფლიომ რამდენიმე საერთაშორისო ფინანსური კრიზისი გადაიტანა. XX ს-მდე ეკონომიკური კრიზისები ისაზღვრებოდა ერთი, ორი ან სამი ქვეყნის ფარგლებში, მოგვიანებით კრიზისებმა შეიძინეს საერთაშორისო ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მსოფლიო საზოგადოებამ შექმნა მთელი რიგი მექანიზმები მსოფლიო კრიზისების თავიდან ასაცილებლად (სამეურნეო პროცესების სახელმწიფო რეგულირების გამყარება, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების შექმნა, მონიტორინგი და ა.შ.), ნათელია, რომ ეკონომიკური კატაკლიზმების ისტორია უპროგნოზოა და მათი თავიდან აცილება შეუძლებელია. ამერიკაში და მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში მოხდა 20-ზე მეტი ეკონომიკური კრიზისი. მეორე მსოფლიო ომამდე ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემებში რამდენიმე სავალუტო კრიზისს ჰქონდა ადგილი, რაც ხან გამოწვეული იყო იმით, რომ ეს ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ნაციონალური ვალუტის ფიქსირებულ კურსს, ხან ეროვნული ბანკები ფიქრობდნენ თავისი ოქროს რეზერვების შევსებაზე, ხანაც კი სასაქონლო და საფონდო ბირჟებზე სპეკულიაციურ გარიგებებს ჰქონდა ადგილი.

1825 წლის საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი პირველია საერთაშორისო მასშტაბებით. ლათინური ამერიკის ოქროს საბადოებში ჩადებული გახლდათ ბრიტანული კაპიტალი. მოპოვებული ძვირფასი ლითონების რეალიზაცია ხდებოდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. 1820 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დაიწყეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რამაც კაპიტალის დიდი ნაკადი უკან დააბრუნა დიდ ბრიტანეთში. ამას თან დაერთო საექსპორტო ბუმი, ინდუსტრიული რევოლუცია და ლონდონის საფონდო ბირჟაზე სპეკულიაციური გარიგებები. მზარდმა სავაჭრო დისბალანსმა და ინგლისის ბანკის ოქროს რეზერვების ამოწურვამ ლონდონის საფონდო ბირჟის კრახი გამოიწვია, რასაც საბანკო პანიკა მოყვა ქვეყანაში. ინგლისის ბანკი მხოლოდ საკუთარ ოქროს რეზერვებზე ზრუნავდა, რამაც დანარჩენი ბანკები გაკოტრების პირას მიიყვანა. კრიზისი გავრცელდა ლათინურ ამერიკაზეც, რადგან ამ ქვეყნებზე გაცემული კრედიტები არ აღმოჩნდა უზრუნველყოფილი. ინვესტიციების შემცირებამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეამცირა საბიუჯეტო შემოსავლები და გაზარდა სახელმწიფო ვალი. მომავალში ამ სახელმწიფოებს 30 წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ მოეხდინათ ვალების რესტრუქტურიზაცია და მოეზიდათ უცხოური კაპიტალი.

1836-1838 წლების ეკონომიკური კრიზისი სახელდება ანგლო-ამერიკულ კრიზისად და უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ახალ ორლეანში, სიმინდის და ბამბის დაბალ მოსავალს. ამ ბიზნესს აფინანსებდნენ მეწარმეები დიდი ბრიტანეთიდან. ამას თან დაერთო საერთაშორისო ოქროს მარაგების შემცირება და საპასუხოდ ინგლისის ბანკმა განაკვეთების გაზრდის შესახებ გააკეთა განაცხადი. ამ პროცესებმა საბანკო კრიზისი გამოიწვია აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე.

1857 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ძლიერი დარტყმა მიაყენა აშშ-ს, გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის სახალხო მეურნეობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. კრიზისის მიზეზი გახლდათ სარკინიგზო კომპანიების მასიური გაკოტრება. კრიზისმა გამოიწვია აშშ-ში თუჯის წარმოების დაცემა 20%-ით, ბამბაზე მოთხოვნის დაცემა 27%-ით, დიდ ბრიტანეთში დიდად დაზარალდა გემთმშენებლობა, წარმოების მოცულობა 26%-ით დაეცა.

1873-1878 წლების საერთაშორისო ფინანსური კრიზისი ავსტრიასა და გერმანიაში დაიწყო. უძრავი ქონების ბაზრებზე სპეკულიაციურმა გარიგებებმა საფონდო ბირჟებზე - ვენაში, ციურიხსა და ამსტერდამში დიდი პანიკა გამოიწვია. გერმანულმა ბანკებმა გაცემული კრედიტების სასწრაფოდ უკან დაბრუნება მოითხოვეს.

1893 წლის ფინანსური კრიზისი აშშ-სა და ავსტრალიაში უკავშირდება ვერცხლის პაქტის მიღებას, რომელმაც ვერცხლის ბაზარზე თავისუფალ ფასწარმოქმნას გაუკეთა პროვოცირება. ინვესტორები ელოდებოდნენ, რომ ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები უარს იტყოდა ოქროს სტანდარტზე, რაც არ მოხდა. ამიტომ მათ ქვეყნიდან კაპიტალის გატანა დაიწყეს. მკვეთრად დაეცა ფასები ექსპორტზე, რამაც სამი მსხვილი ბანკის გაკოტრება გამოიწვია.

1907 წლის ფინანსური კრიზისი ბევრი რამით ჰგავს სხვა საერთაშორისო კრიზისებს, მაგრამ მასშტაბებითა და შედეგებით უძლიერესია. კრიზისმა 9 ქვეყანა დააზარალა და პროვოცირებული იყო ინგლისის ბანკის მიერ, რომელიც ცდილობდა საკუთარი ოქროს რეზერვების შევსებას. მან მოულოდნელად გაზარდა განაკვეთები და დააზარალა აშშ-სა და მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში გაფანტული კაპიტალი.

1914 წლის საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია. მიზეზი გახლდათ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობების მიერ საზღვარგარეთელი ემიტენტების ფასიანი ქაღალდების ტოტალური გაყიდვა საომარი მოქმედებების დასაფინანსებლად. ეს პროცესები უარყოფითად აისახა როგორც სასაქონლო, ასევე ფულად ბაზრებზე.

1929 წლის დიდი დეპრესია გახლდათ ყველაზე დიდი დარტყმა აშშ-ს ფინანსური ბაზრისათვის, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კრიზისის უმთავრეს მიზეზად ასახელებენ ჭარბწარმოებას გადახდისუნარიანი ფულადი მასის უკმარისობის პირობებში. დოლარი მიბმული იყო აშშ-ს ოქროს მარაგთან, ამიტომ მთავრობას სხვა აღარაფერი რჩებოდა გარდა ფასების დაწევისა. ამ სამთავრობო გადაწყვეტილებამ გამოიწვია კომპანიების დიდი ნაწილის გაკოტრება და მასიური უმუშევრობა. 1929-1933 წლებში კრახი განიცადა 135 000-მა სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსურმა კომპანიამ, გაკოტრდა 5760 ბანკი, კორპორაციულმა დანაკარგებმა მარტო 1932 წელს შეადგინა 3,2 მილიარდი დოლარი, საგარეო ვაჭრობა შემცირდა 3,1-ჯერ და ქვეყნის ეკონომიკა დაეცა 1911 წლის დონეზე. უმუშევრობამ მოიცვა მოსახლეობის ნახევარი. დიდი დეპრესია იყო მასიური გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მან გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება, რეკორდული უმუშევრობა, ისევე, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ინდუსტრიული წარმოების, აქციათა ბაზარზე ფასთა და ასევე პრაქტიკულად ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრის მკვეთრი ვარდნა. ვარდნის პიკი მიღწეულ იქნა უკვე 1933 წელს, თუმცა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგღა იქნა შესაძლებელი ისეთი ინდიკატორების, როგორიცაა ინდუსტრიული წარმოება, საწარმოო აქციათა ფასებისა და გლობალური ერთობლივი შიდა პროდუქტის 1929 წლის დონეზე აყვანა. სახელწოდება "დიდი დეპრესია" ამ მოვლენისთვის დარქმეულ იქნა იმ მიზეზის გამო, რომ ეს იყო ინდუსტრიული ქვეყნების ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ვარდნა წარმოებასა და პროდუქტიულობაში, და რომ მისი ეფექტი საგრძნობლად მტკივნეული იყო მთელ ინდუსტრიულ მსოფლიოსა და მათი სავაჭრო პარტნიორებისთვის განვითარებად ქვეყნებში.

1973 წლის ნავთობკრიზისი მოხდა არაბეთ-ისრაელის ომის დროს. ოპეკის ორგანიზაციის წევრებმა, ასევე სირიამ და ეგვიპტემ უარი განაცხადეს იმ ქვეყნების ნავთობმომარაგებაზე, რომლებიც ომში ისრაელს უჭერდნენ მხარს. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია შავ ოქროზე ფასების უზარმაზარი ზრდა (თითქმის 70%-ით), შემდეგში კი ამას მოჰყვა აშშ-სა და მის მოკავშირე ევროპულ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისი.

2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ცენტრში იყო აშშ-ს ფინანსური სისტემა. ექსპერტები კრიზისის მიზეზად ასახელებდნენ ინოვაციებს იპოთეკურ დაკრედიტებაში დაბალი

საპროცენტო განაკვეთებით და ამერიკული ბანკების მიერ დიდი ოდენობით გაცემულ კრედიტებს. ყველაფერი ეს იქცა ნამდვილ „საპნის ბუშტად“, რომელიც ერთხელ აუცილებლად გასკდებოდა. ჯერ მივიღეთ კრიზისი უძრავ ქონებაში, რადგან ბანკებმა შეწყვიტეს სახლების მშენებლობის დაკრედიტება, ხოლო მოგვიანებით დაიწყო უმუშევრობაც. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა ბიურომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა 14 კომპანიის წინააღმდეგ. კომპანიების ხელმძღვანელებს ბრალი დაედოთ იპოთეკურ ბაზარზე არსებული კრიზისის ხელოვნურ გამწვავებაში. უფრო ზუსტად, ბრალდებები ეხებოდა იპოთეკით დატვირთული ქონების გირაოში ხელახლა ჩადების ფაქტებს. წამყვანმა იპოთეკურმა ბანკებმა Stanley-მ, Golman Sachs-მა და Bear Stearns-მა პროკურატურას სპეციალური თხოვნით მიმართეს. ბანკები დამნაშევეებისათვის სოლიდურ ფინანსურ კომპენსაციას ითხოვდნენ. ეს პროცესები ერთდროულად დაიწყო თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ეკონომიკური უკანსვლა აისახა ნავთობის ღირებულებაზე – დაეცა მოთხოვნა „შავ ოქროზე“. სამომხმარებლო ბაზარზე კრიზისმა უბიძგა ინფლაციის ზრდას. აშშ ცდილობს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოს. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის პერიოდში აშშ-ს კონგრესმა მოიწონა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული ეკონომიკის სტიმულირების გეგმა, რომლის თანახმად აშშ-ს მოსახლეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო ერთჯერადი საგადასახადო კომპენსაცია 600 აშშ დოლარის ოდენობით (ყოველ მოზრდილზე). ოჯახურ წყვილებს გამოეყოთ 1200 დოლარი და კიდევ 300 დოლარი თითოეულ ბავშვზე. კონგრესის გადაწყვეტილებით მოხდა ქვეყნის ეკონომიკის გაჯერება 150 მილიარდი დოლარით, რამაც წაახალისა სამომხმარებლო მოთხოვნილებები. კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ ვარიანტად მოიაზრებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებისათვის ერთიანი ვალუტის შემოღებაც კი, სახელწოდებით - ამერო, რომელიც ჩაენაცვლებოდა დოლარს - 2011 წლიდან. მსოფლიო კრიზისმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ეკონომიკაზეც. საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010 წელს გაიზარდა 145-მდე, ხოლო წლიურმა ინფლაციამ მიაღწია 11%-ს. პირველ რიგში, მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა ის, რომ გაიზარდა ფასები სასურსათო პროდუქტზე. კერძოდ, პურზე ფასმა მოიმატა დაახლოებით 15%-ით, ზეთზე - დაახლოებით 32%-ით, კარტოფილზე – 30-35%-ით, ხახვზე - თითქმის 50%-ით, ასევე - ნავთობპროდუქტებზეც.

ექსპერტების შეფასებები და დასკვნები კრიზისის პროგნოზირების შესახებ ძალზედ განსხვავებულია, უმეტესი მათგანი სიტუაციის გაუმჯობესებას 2012-2013 წლებში ვარაუდობს. მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრიზისების სწორი და დროული პროგნოზირება, რათა წინასწარ შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული კრიზისების სინქრონულად, რბილად გადატანას.

ლიტერატურა:

1. ი. მესხია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, №13-14
2. ლ. ქოქიაური, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, №3
3. რ. პაპასკირი, როგორ დავძლიოთ ფინანსური კრიზისი, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009, №7-8

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.bfm.ge
2. www.chalaepec.wordpress.com
3. www.geworld.ge
4. www.diaspora.gov.ge
5. www.commersant.ge

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები

ვლადიმერ ციცაგი, ამირან ხაბაზიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ჩვენი ქვეყანა უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ამიტომ მიწა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სოფელი ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. ეს ფასეულობები უდიდეს გავლენას ახდენენ მისი ცხოვრების წესზე, მენტალიტეტზე, ქართველთა ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ათასწლეულების მანძილზე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. როგორც დიდი ილია აღნიშნავდა: „მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰკლებია“.

სოფლის მეურნეობა აგრარული ქვეყნის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და აგრობიზნესის ნედლეულით მომარაგებაა. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს ძირითადად იმ ქვეყნებში მიაღწია, სადაც ამ დარგისადმი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვისა და სტიმულირების დონე მაღალია. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭებისა და მასზე მუდმივი ზრუნვის გარეშე.

ტომას ჯეფერსონი, ამერიკული აგრარიანიზმის დამფუძნებელი, ამბობდა: "ხალხი, რომელიც ამუშავებს ნიადაგს, არის ღმერთის რჩეული. თუ კი ოდესმე ღმერთს გამოურჩევია ხალხი, ესენი არიან ადამიანები, რომელთა მკერდიც მან აქცია საგანძურად საიმედო და ჭეშმარიტი ღირსებისა, სადაც ის ინახავს წმინდა ცეცხლს, რომელიც სხვა შემთხვევაში დასტოვებდა დედამიწას".

მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ძნელბედობამ და არასწორმა პოლიტიკამ, რა თქმა უნდა, ძლიერ დააზარალა ქართული სოფელი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, იგი ბოლო დრომდე ინარჩუნებდა საზოგადოების ფუძე-ერთეულის სოციალურ ფუნქციას.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 47% (ორ მილიონზე მეტი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი (მოსახლეობის 60%). ბოლო წლებში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სამაგიეროდ კატასტროფულად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან ეროვნულ დოვლათში 8,3 %-ს არ აღემატება, ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის სასურსათო კალათში, იგი უკვე 2/3-ს აღწევს, დედაქალაქში კი გაცილებით მეტს - დაახლოებით 80%-ს.

სოფლის მეურნეობის თვისობრივი განვითარება შეუძლებელია მრავალმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერის, სწორი დარგობრივი პოლიტიკის გატარების გარეშე. ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროპასა და იაპონიაშიც, სასოფლო-სამეურნეო მიწა აღიარებულია ეროვნულ სიმდიდრედ, რომლის გონივრული განკარგვა სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემის გაუმჯობესებისათვის, წვეთოვანი მორწყვის სისტემის დანერგვა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში სტაბილურად მაღალი მოსავლისა და ხარისხიანი პროდუქციის მიღება კომპლექსური მიდგომის გარეშე შეუძლებელია. წვეთოვანი მორწყვა უზრუნველყოფს ვენახს, ხეხილს, ბოსტნეულს, სანერგე და საჩითილე მეურნეობებს საჭირო რაოდენობის წყლით და მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის დანაკარგსა და ხარჯს.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმების: სტიქიური უბედურებების, წყალდიდობების, მეწყერების, გვალვების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მოსავლის დაზიანება-განადგურების შემთხვევები. ფერმერთა დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის განვითარებას, როგორიცაა დაზღვევა, რომელზე უკეთესიც ჯერ არ

გამოუგონიათ გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენების შედეგად შესაძლო დანაკარგების რისკების შესამცირებლად.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგი საკმაოდ სპეციფიკურია, კერძოდ, დიდი სიძნელეებია რისკების შეფასების, კონტროლისა და ზარალის დაანგარიშების თვალსაზრისით და ამ ყველაფრის გამო სადაზღვევო პრემია სოლიდურ ციფრამდე ადის, ქართული სადაზღვევო კომპანიები ვერ ახერხებენ (და არ ახერხებენ) ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასა და დანერგვას. ალბათ, დროა, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს ამ პროცესების სტიმულირება, გადადგას ქმედითი კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით, ჩართოს პროცესებში სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, დონორები, კერძო კომპანიები და მათი დახმარებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. ამასთან, სახელმწიფომ შესაძლოა მთლიანად (ან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით) იკისროს მომავალი წლის მოსავლის დაზღვევა ისეთი რისკებისგან, როგორიცაა გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა და ა.შ. და ეს თანხები უკვე 2013 წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინოს.

მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი; სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია.

უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

სახელმწიფოსთან ერთად მეცნიერები და ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დარგის განვითარებისთვის აუცილებელი კონცეფციის შექმნაზე, რომელშიც გაწერილი იქნება ის, თუ რა მდგომარეობაა ამ სფეროში, რა პრობლემები არსებობს და რა გვსურს გვქონდეს უახლოეს მომავალში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლს, როგორ დაეხმაროს გლეხებს, რომ მათ მაღალ ტექნოლოგიებსა და ცოდნაზე მიუწვდებოდეთ ხელი. მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. მარტო სომხეთის მაგალითს თუ გადავხედავთ, სადაც კოოპერაციის პრაქტიკაა გავრცელებული და თანამედროვე ტექნოლოგიებია დანერგილი. აღმოჩნდება, რომ თუ საქართველოში ერთ ჰექტარზე 20-25 ტონა კარტოფილის მოყვანა კარგ შედეგად ითვლება, სომხეთში იგივე ტერიტორიაზე გაცილებით მეტი (დაახლოებით 50-60 ტონა) მოსავალი მოდის. „სომხეთში ფერმერები ერთიანდებიან, თესავენ კარტოფილს დიდ ფართობებზე, შედეგად მოსავლიანობა იზრდება და თვითღირებულება მცირდება. ამიტომ სომხეთიდან შემოტანილი კარტოფილი ჩვენს ბაზარზე ქართულ პროდუქციაზე იაფი ღირს" – აღნიშნავს ექსპერტი ლევან კალანდაძე. [1]

აუცილებელია გლეხებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება რა მიმართულებით განავითარონ მეურნეობები, რა ტექნოლოგიები გამოიყენონ, როგორ გაყიდონ და ა.შ. ამ ცენტრების საშუალებით უნდა მოხერხდეს

[1] http://commersant.ge/index.php?id=1803

მიწების და ყველა სხვა რესურსის უფრო ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. უაღრესად მნიშვნელოვანია კადრების მომზადება და გადამზადების სისტემის სრულად ამოქმედება, აგრარულ პროფესიათა სახელობო სასწავლებლების სისტემის შექმნა.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დარგის დაფინანსების სისტემის შექმნაზეც: დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტები, სპეციალური ფონდები და სხვ. 2012 წლის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობას 100 მილიონ 248 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი.

საჭიროა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და ფერმერული პროდუქციის გარანტირებულ შესყიდვას.

ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად ფერმერული მეურნეობის, კოოპერატივებისა და ასოციაციების შექმნა-განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სოფლის სოციალური მდგომარეობის ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა და ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნას გრძელვადიანი პროგრამები.

ამრიგად, სახელმწიფო სტრატეგიითა და ცალკეულ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები უმეტეს ნაწილში ერთმანეთს ემთხვევა. უდავოა ისიც, რომ სოფლისა და აგრობიზნესის გადარჩენა-განვითარებას საგანგებო როლი აქვს ქვეყნის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის სრულყოფილი რეალიზაციითა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკით რეალური შანსი არსებობს საქართველოს მზარდი, სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის, თუნდაც სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობით.

ლიტერატურა:

1. http://european.ge/?page=statistics&id=61
2. http://www.agroinvest.com.ge/index.php?option=com_virtuemart&page=shop.browse&category_id=6&Itemid=1
3. http://commersant.ge/index.php?id=1803
4. http://www.cegstar.ge/files/_1909_814272_STATESTRATEGY2010-2017GEO.pdf
5. http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=82699&Itemid=1

დასაქმების პრობლემები და მისი დარეგულირების გზები

თამარ ხმიადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ლალი სრესელი,** უფროსი მასწავლებელი

გარდამავალ პერიოდში შექმნილ პრობლემებს შორის დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა. წარმოების დონის მკვეთრად დაცემამ, ბუნებრივია, დასაქმების პრობლემისადმი ადრე სოციალისტური ეკონომიკის ფონზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების (მიდგომების) შეცვლა გამოიწვია. საბაზრო პრინციპების დამკვიდრების პროცესში საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის სრულიად ახალი ფორმები გამოიკვეთა. სხვადასხვა ინტერესთა დაპირისპირებამ სოციალური დაძაბულობა გააღრმავა. სახელმწიფომ ვერ შეძლო დაპირისპირებოდა ეკონომიკური კრიზისის გამოწვევებს და დასაქმების რეგულირების პროცესი თვითდინებაზე მიუშვა.

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის დონეზე. ადამიანებს, რომელთაც შრომა სურთ, მაგრამ სამუშაო ვერ უშოვიათ, არ შეაქვთ თავიანთი წვლილი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. მიუხედავად იმისა რომ უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში, უმუშევრობის დონე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დასაქმებულად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ეწევა საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის და იღებს ანაზღაურებას ფულადი ან მატერიალური ფორმით. უმუშევარი არის შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არ აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესრულებისათვის.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2008 წელს შეადგენდა 1917,8 ათ. კაცს.
დასაქმებული -1601,9 ათ. კაცს.
უმუშევარი - 315,8 ათ. კაცს.
უმუშევრობის დონე-%-ში - 16,5
2009 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა -1991,8 ათ. კაცს.
დასაქმებული-1656,1 ათ. კაცს
უმუშევარი - 335,6 ათ. კაცს
უმუშევრობის დონე-%-ში - 16,9
2010 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა - 1944,9 ათ. კაცს
დასაქმებული - 1628,1 ათ. კაცს
უმუშევარი - 316,9 ათ. კაცს
უმუშევრობის დონე-%-ში - 16,3
2011 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა - 1959,3 ათ. კაცს
დასაქმებული - 1664,2 ათ. კაცს
უმუშევარი - 295,1 ათ. კაცს
უმუშევრობის დონე-%-ში - 15,1

საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15,1% შეადგინა. რეგიონულ ჭრილში უმუშევრობის დონე შიდა ქართლის რეგიონში 3,8%–ით, იმერეთის რეგიონში 2,4%–ით, ხოლო კახეთის რეგიონში 2,2%–ით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში უმუშევრობის დონე მამაკაცებსა და ქალებში თითქმის ერთნაირად შემცირდა – ქალებში 1,3%–ით, ხოლო კაცებში 1,2%–ით.

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ნიჭისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებასა და განვითარებას. სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების რეალიზებისათვის ხელის შეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რადგან ისინი წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და ქვეყნის მომავალს. ახალგაზრდებს არა აქვთ სარფიანად დასაქმების შესაძლებლობა. ახალგაზრდების დასაქმება, ისევე როგორც უმუშევრობა, წარმოადგენს ძლიერ მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს თითოეულ მოქალაქეზე. 16-დან 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის და არამარტო მათთვის, სერიოზულ პრობლემას ქმნის სრულყოფილი კოდექსის არარსებობა, რომელიც დაარეგულირებს ორმხრივ ურთიერთობებს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის. ახალგაზრდების დასაქმება კომპლექსური პრობლემაა, რომელიც საჭიროებს მიზანმიმართულ და კარგად დაგეგმილ ქმედებებს სხვადასხვა მიმართულებით. ერთის მხრივ, ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობა და შემდეგ ამ ცოდნისა და კვალიფიკაციის რეალიზების საშუალება.

უმუშევრობა არის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის დროებითი დაუსაქმებლობა – საბაზრო ეკონომიკის განუყრელი თანამგზავრი და საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური მაკროეკონომიკური პრობლემა. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის ბუნებრივ დონედ 6–7% ითვლება. ამასთან განასხვავებენ უმუშევრობის სამ სახეს: ფრიქციულს, სტრუქტურულს და ციკლურს.

ფრიქციული უმუშევრობა დაკავშირებულია შრომით მოწყობაში დროებით გართულებასთან – სამუშაოს ძებნასთან ან მოლოდინთან. მას იწვევს მოსახლეობის დენადობა ერთი რეგიონიდან მეორეში, პროფესიის შეცვლა, ცხოვრების პირობები.

სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო ძალის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ერთმანეთს არ ემთხვევა. იგი ფრიქციული უმუშევრობის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ციკლურ უმუშევრობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მკვეთრად მცირდება ერთობლივი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, ნაწარმი არ იყიდება და უმუშევრობა მასობრივ ხასიათს ღებულობს.

მოსახლეობის სრულ დასაქმებაში არ იგულისხმება ქვეყნის ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის 100%–იანი დასაქმება. სრული დასაქმების პირობებში უმუშევრობის დონე ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევართა ჯამის ტოლია.

უმუშევრობა გლობალური ხასიათის პრობლემაა. იგი უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ნეგატიურ პროცესებთან, როგორიცაა საშიში დაავადებების, თვითმკვლელობის მაჩვენებელთა ზრდა, ქორწინებისა და შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება.

უმუშევრობით გამოწვეულ ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია:

1) ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება;
2) შემოსავლის შემცირება;
3) მიგრაციის დონის ამაღლება;
4) რესურსების სოლიდური დანაკარგები.

შრომის ბაზარზე დასაქმების პოლიტიკა ერთმანეთთან ახამებს აქტიურ და პასიურ დასაქმების პოლიტიკას. აქტიური დასაქმების პოლიტიკა მიზნად ისახავს უმუშევართა ჩაბმას შრომით საქმიანობაში. ამისთვის სახელმწიფო ახორციელებს დასაქმების სამსახურის შექმნასა და მისი მეშვეობით უმუშევართა ჩაბმას შრომაში, ორგანიზაციას უკეთებს სამუშაოს მაძიებელთა მომზადებას, გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დასაქმების პასიური პოლიტიკა ითვალისწინებს ვაკანტური სამუშაო ადგილების დაკავებაში ხელშეწყობას, შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში უმუშევრებისათვის შემწეობის გაცემას.

თანამედროვე პირობებში საქართველოში სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა – ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპითა და სრული დასაქმებით. რაც შეეხება უშუალოდ დასაქმების პრობლემას, მისი გადაწყვეტა მიზნობრივი პროგრამებით უნდა განხორციელდეს. ამისთვის საჭიროა უმუშევრობის პრობლემის მიზეზშედეგობრივი კავშირების ანალიზი და ობიექტური შეფასება. უნდა გაანალიზდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე. ამ მიზნით ქვეყანაში უნდა ჩატარდეს არსებული სამუშაო ადგილების სრული ინვენტარიზაცია როგორც დასაქმების სახეების, აგრეთვე დარგებისა და რეგიონების მიხედვით. კერძო და სახელმწიფო სექტორში მდგომარეობის ობიექტური შეფასება საშუალებას მოგვცემს სამუშაოს ოპტიმიზაციასთან ერთად განვსაზღვროთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა. ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი. საქართველოში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში დიდი რეზერვები გააჩნია მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, ტურიზმს, აგრარულ სექტორს.

არცთუ იშვიათად უმუშევრობას ადგილი აქვს ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში და არა ყველგან. ამის მიზეზია ამ რეგიონების სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები (მცირე მიწიანობა, სამუშაო ადგილების უკმარისობა და ა.შ.). ქმედითი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია რეგიონული უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანა.

შიდა ქართლის რეგიონში ძირითადი სექტორები, სადაც არსებობს დასაქმების დიდი პოტენციალი, არის კვებისა და სასმელი პროდუქტების წარმოება, მშენებლობა, სამშენებლო და ხის მასალების წარმოება. აღნიშნული სექტორებიდან კვებისა და სასმელების წარმოების სექტორი არის ყველაზე დიდი დამსაქმებელი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და დამოკიდებულება სამთავრობო დახმარებებზე გაიზარდა. მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა კიდევ უფრო გაართულა. რეგიონს დაემატა 6,600 ახალი იძულებით გადაადგილებული პირი. ჰუმანიტარული დახმარების დიდი ნაწილი ამოიწურა. აუცილებელია რეგიონში განვითარების პროექტების დაწყება, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას.

ბიზნესის განვითარება - ეს არის მთავარი რამ, რაც გადამწყვეტ როლს შეასრულებს დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრაში შიდა ქართლის რეგიონში. ამიტომ აუცილებელია სამთავრობო მხარდაჭერა ყველა იმ პრობლემის გადაჭრაში, რასაც ბიზნესის განვითარება აწყდება ქართლის რეგიონში.

შიდა ქართლის გარეთ საქონლის გატანით დაბალი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ სირთულეს წარმოადგენს ბაზრების ათვისება.

მოსახლეობის დასაქმების პროგნოზის შემუშავება განპირობებულია სამუშაო ძალასა და სამუშაო ადგილებზე მოთხოვნასა და მიწოდებაში მოსალოდნელი ცვლილებებით.

დასაქმების სტრუქტურაზე გავლენას ახდენენ შემდეგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები:

1) შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა;
2) საქონელმწარმოებლების დაბეგვრა და სოციალური შეთანხმებები;
3) შემოსავლების მოცულობა;
4) პროდუქციის ხარისხზე მოთხოვნა.

დასაქმების დონის ზრდა მიიღწევა ნოვატორული საქმიანობის განვითარებით, რისკის საერთაშორისო და ეროვნული კომპენსაციის მოცულობის გაზრდით. დასაქმების შემცირების გამომწვევი ფაქტორებია: ჯგუფური სამუშაოების ფორმებისა და იერარქიული დონეების გამოყენებით რეორგანიზაციის განხორციელება.

დასაქმების შემცირების არგუმენტებია: განსაზღვრული სპეციალობისა და კვალიფიკაციის მუშახელზე დეფიციტი, მომუშავეთა ვიწრო სპეციალიზაცია ამცირებს ახალი სპეციალობის ათვისების შესაძლებლობებს.

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა სრულად შეცვალა დასაქმების სტრუქტურა. მისი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში შედის. ბოლო მონაცემებით უმუშევრობის დონე 5,8%-ის ფარგლებშია.

ლიტერატურა:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.
2. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.
3. ე. ბარათაშვილი, შ. ვეშაპიძე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2002.

ინტერნეტ - რესურსები:

1. http://european.ge/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A/
2. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=1168
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

მარკეტინგული კომუნიკაციების როლი ბიზნესში

მარიამ ჯღირაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი ბიზნესისათვის, მიუხედავად იმისა, წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში მოქმედებს, უაღრესად მნიშვნელოვანია მომხმარებელთან და ბაზართან ეფექტური კომუნიკაციის აწყობა და წარმართვა. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა კლიენტთათვის კომერციული ინფორმაციის მიწოდების საშუალებები. ამ მხრივ ბიზნესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენებას. სულ უფრო ადვილი ხდება წარმატების მიღწევა კომუნიკაციის ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა რეკლამა, პიარი, გაყიდვების (გასაღების) სტიმულირება. ასევე მნიშვნელოვანია პირადი გაყიდვებიც და, საერთოდ, პირდაპირი მარკეტინგი.

მარკეტინგული კომუნიკაცია არის აუდიტორიამდე პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიტანის პროცესი. კომუნიკაცია ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მომხმარებელი არ წუხდებოდეს და არ ჰქონდეს შეგრძნება, რომ ძალით ახვევენ თავს შეთავაზებულ პროდუქტს. კარგად ორგანიზებული აღნიშნული კომუნიკაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გაყიდვებზე. იგი გულისხმობს მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირებასა და კარგად კოორდინირებული მასტიმულირებელი პროგრამის ფორმირებას, რომელიც გამოიწვევს აუდიტორიის სასურველ რეაქციას.

მარკეტინგულ კომუნიკაციებს მიეკუთვნება ფირმის ყველა სახის კავშირი მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან და ბაზრის ყველა მონაწილესთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფირმის

საქმიანობითა და მასში მონაწილეობის მიღებით. კომუნიკაციების დამახასიათებელი თავისებურებებია: გავრცელების მიზანმიმართულება, კომპლექსური ხასიათი, ზემოქმედების გარემოება, სისტემური მარკეტინგული კვლევებისა და ინტერნეტის აქტიური გამოყენება.

კომუნიკაციების ერთობლიობა მიმართულია საქონლის წინ წაწევისთვის, რისთვისაც საჭიროა ისეთი პოლიტიკის გატარება, სადაც პრიორიტეტული იქნება:

- საქონლის ან მომსახურების პრესტიჟული სახის შექმნა;
- საქონლისა და მისი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლამდე მიტანა;
- ახალი საქონლითა და მომსახურებით პოტენციური მომხმარებლების დაინტერესება;
- მყიდველისადმი დახმარების გაწევა საქონლით (მომსახურებით);
- ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ფირმისათვის დადებითი იმიჯის შექმნა;

კომუნიკაციური პოლიტიკის ჩამოთვლილი მიზნები განსაზღვრავენ საქონლის წინ წაწევის მეთოდებს, რომელთა დანიშნულებაა სამომხმარებლო მოთხოვნების შექმნა ან გაზრდა, მყიდველთა ინფორმირება, მათი დაინტერესება, სურვილი აღუძრას მყიდველს ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მარკეტინგული კომუნიკაციები რეკლამის, პერსონალური გაყიდვის, გაყიდვის ხელშეწყობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციფიკური კომპლექსია, რომელსაც კომპანია იყენებს სარეკლამო და მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად.

საქონლის წინ წაწევის მნიშვნელოვანი ელემენტია კომუნიკაციის განსაზღვრული ფორმების შერჩევა, რაზეც გავლენას ახდენს საქონლის სასიცოცხლო ციკლიც. საქონლის ბაზარზე დანერგვისა და ზრდის ეტაპებზე მთავარ როლს თამაშობს რეკლამა და პიარი, სიმწიფის ეტაპზე სტიმულირების მნიშვნელობა იზრდება რეკლამასთან შედარებით. დაცემის ეტაპზე რეკლამას შემახსენებელი ფუნქცია ენიჭება, პიარი ნულს უტოლდება, მაგრამ გასაღების სტიმულირება რჩება აქტიური.

მარკეტინგული კომუნიკაციების არსსა და მათ დანიშნულებაში უკეთ გასარკვევად განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

რეკლამა ლათინური სიტყვაა და ზუსტი განმარტებით ნიშნავს შეძახილს, დაძახებას. დღეს მეცნიერება რეკლამის შესახებ მიჩნეულია ბიზნესის უმნიშვნელოვანეს სფეროდ. რეკლამა ჩამოყალიბდა როგორც მარკეტინგის ორგანიზაციულ-მწარმოებლური კომპონენტი, რომლის ეფექტურობა განსაზღვრავს წარმატებას თუ წარუმატებლობას მარკეტინგის სტრატეგიის სფეროში. სწორედ კარგად ორგანიზებულ რეკლამაზეა დამოკიდებული როგორც საქონლის ბაზარზე შეღწევა და იქ მყარად დამკვიდრება, ისე მომხმარებელთა ფულისა და თავისუფალი დროის დაზოგვა სასურველი საქონლის ყოველგვარი ძებნის გარეშე შეძენის გამო. სხვაგვარად, რეკლამა არის საკუთარი საქონლის ღირსებების მომხმარებლისათვის გაცნობა, მოწონება და მისი ყიდვის მონდომება. იგი კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც ფირმას აძლევს საშუალებას გადასცეს შეტყობინება პოტენციურ მყიდველებს, რომლებთანაც პირდაპირი კონტაქტი არ გააჩნია.

მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემაში რეკლამას უკავია განსაკუთრებული ადგილი, რომლის ძირითადი მიზანიცაა მოთხოვნის ფორმირება, საქონლის გაყიდვისა და გასაღების სტიმულირება. იგი წარმოადგენს მყიდველის ქცევის რეგულირების, საქონელზე ყურადღების მიპყრობისა და თვით პროდუქტის დადებითი იმიჯის შექმნის აქტიურ ინსტრუმენტს.

რეკლამის გამოყენებას თან ახლავს გარკვეული სირთულეები. იგი ძვირადღირებულია და არ შეიძლება იყოს ერთნაირად ქმედითი ყველა სახის საქონლისათვის.

რეკლამა წარმოებასა და მოხმარებას შორის კომუნიკაციური კავშირების სახეობაა გაყიდვების სტიმულირების მიზნით. რეკლამის სტრატეგიული ამოცანა ემთხვევა საქონელზე მოთხოვნის მოტივირებასა და სურვილის შექმნას. ეს არის მომსახურების, ნაწარმის ან იდეის შესახებ ფასიანი ინფორმაციის არაპერსონალური გზით მიწოდება მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით. რეკლამა ავსებს პიარის მთლიან პროგრამას, რომელთა მიწოდება ნდობის ჩამოყალიბებაა, რის ნიადაგზეც შეიძლება წარმოიქმნას დადებითი ურთიერთობები. გასაგებად თუ ვიტყვით, რეკლამასა და პიარს ადარებენ სატრანსპორტო საშუალებებს, სადაც ერთი ნავია, მეორე კი – მანქანა. ორივე ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილას მიდის, მაგრამ სხვადასხვა მარშრუტითა და სისწრაფით. ძირითადი განსხვავება პიარსა და რეკლამას შორის არის ის, რომ პიარი ესაჭიროება ყველა კომპანიას, რეკლამა კი არა. რეკლამისგან განსხვავებით პიარი ხანგრძლივი მოქმედებების სტრატეგიებს შეიმუშავებს, რეკლამის პრიორიტეტი კი მისი ლაკონურობა და სწრაფი შედეგია. თუ რეკლამას მხოლოდ ერთი ფოკუს ჯგუფი ჰყავს, ანუ მყიდველი, პიარის ფოკუს ჯგუფს წარმოადგენს ყველა ის იურიდიული თუ კერძო პირი, ვისთანაც კომპანიას აქვს, ჰქონია ან ექნება ურთიერთობა. ესენია: კლიენტები, მასმედიის წარმომადგენლები, პარტნიორები და ა. შ.

გაყიდვების (გასაღების) სტიმულირება მარკეტინგული კომუნიკაციის ისეთი სისტემაა, სადაც საჭიროა დაწვრილებითი ინფორმაცია მყიდველებზე, გამყიდველებზე, ფირმის მიერ გამოყენებულ ზემოქმედების საშუალებებზე.

მყიდველებისადმი მიმართული სტიმულირება იმაში მდგომარეობს, რომ მყიდველი უნდა გავაცნობიეროთ საგრძნობი კომერციული მოგების არსში, რომ მას გაუჩნდეს სურვილი სისტემატურად და დიდი რაოდენობით შეიძინოს საქონელი.

გასაღება დამოკიდებულია არა მარტო საქონლის სამომხმარებლო თვისებებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორი ფორმით, გარეგნული იერსახით ვთავაზობთ მას მყიდველს, ანუ როგორია პროდუქტის დიზაინი, გაფორმება, შეფუთვა, ეტიკეტი და სხვ.

მრავალი მასიური მოხმარების საქონელი, მაგალითად, საპონი, კბილის პასტა, ღვინო, პური და სხვა, არსებითად ჰომოგენურია, მაგრამ საკმარისია სპეციალისტებმა მათზე ჩაატარონ ლაბორატორიული გამოკვლევა, რომ მოვლენათა ზედაპირზე ამოტივტივდება მრავალი ორიგინალური სასარგებლო თვისება საქონლისა, რომლის შესახებ უწინ თვით მათმა მწარმოებლებმაც კი არაფერი იცოდნენ. ცხადია, ასეთ სიტუაციაში გასაღება მაშინვე წახალისდება.

აღსანიშნავია, რომ საქონლის გასაღების სტიმულირების მიზნით გამოიყენება, პროდუქციის უფასო ნიმუშების გავრცელება, პრემიები, კონკურსები, საქონლის დემონსტრაციები და სხვ.

გაყიდვების პროცესი შედგება პიროვნებებს შორის ურთიერთობისაგან, რაც ხშირად კეთდება პირდაპირი შეხვედრებით, სატელეფონო ზარებითა და ინტერნეტის საშუალებით.

აღნიშნული პროცესები დაკავშირებულია პერსონალურ ანუ პირად გაყიდვებთან, რომლებიც განეკუთვნებიან პირდაპირი მარკეტინგის სახეს.

პერსონალური გაყიდვა ზეპირი წარდგენაა საქონელზე საუბრისას ერთი ან რამდენიმე პოტენციური მომხმარებლისათვის გაყიდვის განხორციელების მიზნით. ასეთ სიტუაციას აქვს ადგილი, როდესაც ფირმის წარმომადგენელი უთანხმდება შეხვედრაზე პერსონალურ კლიენტს, მიდის მასთან და პირადად წარუდგენს მას თავისი კომპანიის პროდუქციას. პერსონალური გაყიდვები პროდუქტის რეალიზაციის გაზრდის ყველაზე ეფექტიანი ხერხია, რადგან პროფესიულად მომზადებული გამყიდველი ყველაზე კარგ წარმოდგენას უქმნის კლიენტს მწარმოებლისა და პროდუქტის შესახებ, მაგრამ საკმაოდ ძვირადღირებულია, რამდენადაც მოითხოვს გამყიდველების შერჩევას, მათ მომზადებას, გადაადგილების ხარჯების დაფარვას.

რეკლამასთან შედარებით პერსონალური გაყიდვების ტექნიკისათვის ნიშანდობლივია განსაზღვრული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები. გამყიდველი ცდილობს კლიენტთან ნდობა დაამყაროს, რის შედეგადაც მყიდველს უჩნდება მოვალეობის გრძნობა მასთან წარმოებული საუბრის გამო რეაგირება მოახდინოს, თუნდაც იგი მადლიერებით იყოს გამოწვეული.

პირდაპირი მარკეტინგის დროს კი ფირმა უშუალო მონაწილეობას იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციის გავრცელებაში და სხვა აუცილებელ მოქმედებათა განხორციელებაში.

პირდაპირი მარკეტინგი შედარებით ეფექტურია მაშინ, როცა:

- ფირმა პატარაა და მარკეტინგული კომუნიკაციების სრული კომპლექსით მუშაობს;
- მყიდველები კონცენტრირებულნი არიან ერთ ტერიტორიაზე და სხვ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი) ორმხრივი ურთიერთობები და ორმხრივი კომუნიკაციაა, როდესაც მოსაუბრეები ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და ერთმანეთს უზიარებენ აზრებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა დიდ როლს ასრულებს ბიზნესის ეფექტიან წარმართვაში. იგი რეკლამისაგან განსხვავებით მიმართულია არა პროდუქტის, არამედ უპირატესად საწარმოს პოპულარიზაციაზე. პიარის სპეციალისტებსა და მენეჯერებს შესაძლებლობა ეძლევათ ბეჭდვითი სიტყვით, ფირმის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს ორგანიზებით, პრესკონფერენციებით, საფირმო ბუკლეტების გამოცემით, კონკურსებში მონაწილეობით, რადიო და ტელე საშუალებებით, ასევე ინტერნეტით დადებითად იმოქმედონ საზოგადოებრივ აზრზე, რაც ამაღლებს საწარმოს რეპუტაციას. ამის შედეგად ჩქარდება საქონლის რეალიზაციის პროცესი და, შესაბამისად, მატულობს მომგებიანობა.

საქართველოში PR-ს საკმაოდ მცირე გამოცდილება აქვს. 1990 წლამდე ტერმინი "საზოგადოებასთან ურთიერთობა" არც არსებობდა და მისი ფუნქციაც, რაღა თქმა უნდა, უცხო იყო საქართველოსთვის. ათწლეულების მანძილზე არ არსებობდა ანგარიშვალდებულების აუცილებლობა საზოგადოებასთან, ამიტომაც საზოგადოებასთან ურთიერთობებიც ისეთივე იყო, როგორც ზოგადად სახელმწიფოს მართვის სისტემა. მართალია, არსებობდა გაზეთები, ჟურნალები, სახელმწიფო დაწესებულებების პრესსამსახურები, მაგრამ მათ ზუსტად განსაზღვრული ინფორმაციის გაცემის უფლება ჰქონდათ. საზოგადოებასთან ურთიერთობა სჭირდება როგორც ქვეყნის კერძო სექტორს, ასევე სახელმწიფო სექტორს. საქართველოში სერიოზული პრობლემები ჰქონდათ და დღემდე აქვთ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს.

დღესდღეობით საქართველოში ბევრი ბიზნეს კომპანია, თავის შესაძლებლობებთან შეფარდებით, საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს ქველმოქმედებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ სასიკეთო საქმიანობაზე. თუმცა, ამგვარი ინიციატივები ხშირად უსისტემო, სპონტანურ ხასიათს ატარებს. ბოლო წლებში შეინიშნება უფრო სისტემურ, სტრატეგიულ მიდგომებზე და გრძელვადიანი, მდგრადი შედეგების მქონე დაგეგმილ საქმიანობაზე გადასვლის ტენდენცია. კომპანიები, რომლებსაც ქართული ბიზნესის ლიდერთა როლზე აქვთ პრეტენზია, აცნობიერებენ, რომ წარმატების მისაღწევად და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მათ უნდა იხელმძღვანელონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით და აწარმოონ ანგარიშგება საზოგადოების წინაშე.

ასე რომ, ბიზნესის განვითარება პიარ ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოში დღეს თითქმის არ არსებობენ შედარებით ძლიერი ბიზნეს ორგანიზაციები, რომლებსაც საკუთარი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება არ ჰქონდეთ და პიარ საქმიანობას არ ეწეოდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მრავალი კომპანია დილეტანტურად უდგება პიარის თემას, რაც შემდგომში იწვევს სირთულეებს საზოგადოებასთან და კომუნიკაციების დამახინჯებას, რაც შესაბამისად აისახება კომპანიის მუშაობაზე. როცა ესა თუ ის კომპანია იყენებს პიარ ტექნოლოგიებს საზოგადოებასთან ურთიერთობაში, აუცილებელია, რომ მან საზოგადოებას აუხსნას რა მიზნით მოქმედებს იგი, რის მიღწევას ცდილობს. როგორც წესი, მისია წარმოშობს სოციალურ ვალდებულებებსა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, არის პროფესიონალი პიარისტების არარსებობა. შეზღუდულია ასევე ლიტერატურა პიარის თემაზე. შესაბამისად აუცილებელია, გარდა საუნივერსიტეტო სწავლებისა, შეიქმნას სპეციალური ცენტრები, სადაც მოამზადებენ პროფესიონალ პიარის სპეციალისტებს.

დიდ პრობლემას წარმოადგენდა მედია ბიზნესიც. მედიის რთული მატერიალური მდგომარეობა აიძულებდა ჟურნალისტებს შემოსავლის დამატებით წყაროებზე ეზრუნათ. შესაბამისად ნებისმიერი ახალი ამბავი, რომელიც კერძო სექტორიდან მომდინარებდა, ხშირად რეკლამად აღიქმებოდა და გაშუქების სანაცვლოდ ჟურნალისტები პიარმენეჯერს ფულად ანაზღაურებას თხოვდნენ. ეს ზოგადად გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი პრობლემაა ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს ბიზნეს ნიუსის პრაქტიკა. სამაგიეროდ მოთხოვნა არის სკანდალურ ამბებზე, ხოლო ყველაზე კარგად ჭორები იყიდება.

ეკონომიკის განვითარებაში პიარ ტექნოლოგიების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის პირდაპირ კავშირშია მოთხოვნის ზრდასთან, წარმოების ზრდასთან და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებასთან. ნებისმიერ ფირმას, რომელიც ახლად იწყებს საქმიანობას, სჭირდება აქტიური კავშირი მომხმარებელთან. სხვა შემთხვევაში ის განწირულია გაკოტრებისთვის. შესაბამისად, თუ არ არსებობს პიარი კომპანიის საქმიანობაში, არ არსებობს მისი წარმატებით მუშაობის საფუძველი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანია. პიარის როლი იმდენად დიდია საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში, რომ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში გადამწყვეტი ხდება ხოლმე. როგორც ვთქვით, საქართველოში ამ დარგს არსებობის რამდენიმე წელი აქვს მხოლოდ. პიარი საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და ბოლომდე ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც უნდა ასრულებდეს, თუმცა აშკარად შეიმჩნევა პროგრესის ელემენტები, თუმცა ეს საკმარისი, რა თქმა უნდა, არ არის. უფრო მეტია გასაკეთებელი მომავალი პიარ-სპეციალისტების მოსამზადებლად.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მარკეტინგული კომუნიკაციები მოკლედაა ჩამოყალიბებული და ნათელია მათი მნიშვნელობა და გავლენა ბიზნესის წარმატებისთვის. სწორედ მათ კარგ ორგანიზებაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ კომპანიის წარმატება და მომგებიანობა, რაც მასში არსებული პროფესიონალი მარკეტოლოგების გამოცდილებითა და ცოდნით მიიღწევა.

ლიტერატურა:

1. უ. სამადაშვილი, ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2007.
2. მარკეტინგის საფუძვლები, პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 2009.
3. გ. ერქომაიშვილი, ბიზნესი, თბ., 2007.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.gceducentre.com/index.php?act=programs&id=359
2. http://buzinessnews.ge
3. http://media.ge
4. http://wordpress.com

ენა როგორც ყოფიერების სახლი

თეონა კაკაშვილი, ფიქრია გოგიაშვილი, ნინო ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეიმურაზ მთიბელაშვილი**, დოქტორი

ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი ვითარცა გონება და სიყვარული. უდიდესი საუნჯეა ქართული ენა, იგი უძველესი და უტკბილესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოსილი. როდის წარმოიშვა იგი? როდესაც ქართველი კაცი გაჩნდა ამქვეყნად, აი მაშინ წარმოიშვა ქართული ენაც, ის დიდებულია თავისი სიღრმით და ფილოსოფიური დატვირთვით.

ენა ცოცხალი მუზეუმია, ის ქართველი ერის ყველაზე დიდი მონაპოვარია. მასში დაცული ,,ენობრივი ექსპონატები" მანიშნებელია ხალხის ცხოვრების რეალობისა, საუკუნეთა სიღრმეში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა. ხალხის მდიდარი წარსული, მისი კულტურის ინტენსიური განვითარება თავდებია ენის მძლავრი განვითარებისა და აღორძინებისა, ამიტომაა ენა ჩვენი ხალხის საგანძური. ,,ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზროვნების ცნებები.

ქართველმა ხალხმა ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიული ქარტეხილის გზებზე და მოიტანა დღემდე, როგორც უპირველესი ნიშანი ეროვნული თავისთავადობისა და თვითმყოფობისა.

მეტაფორულად რომ ვთქვათ, ქართული ენა ის ,,სახლია", რომელშიც ქართველი ადამიანი და მთლიანად ქართველი ერი ისტორიულ ცხოვრებას ახორციელებს. საერთოდ, ნებისმიერი ადამიანის, როგორც გონითი არსების, არსებობისთვის აუცილებელია ის საცხოვრისი, ის ,,სახლი, რომელშიც იგი იბადება და რომელშიც იგი შემდგომ ცოცხლობს და მოქმედებს. ასეთი რამ ვერ იქნება ობიექტური, თვით ადამიანისგან სრულიად დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე საგნობრივი სინამდვილის. საგნობრივი სინამდვილის სახით, ადამიანს საქმე აქვს ისეთი მიზეზობრივად ურთიერთდაკავშირებული, შესაბამისად დროსა და სივრცეში გაფანტული და დანაწევრებული საგნებისა და მოვლენების უსასრულობასთან, რომელშიც არ მოიპოვება არავითარი მყარი და უცვლელი მომენტი, არავითარი ისეთი ,,პრივილეგირებული წერტილი", რომელიც ყველა სხვა ,,წერტილების" შემკრებ ძალად გამოდგებოდა და თავის თავზე იტვირთებდა ყველა იმ ფუნქციას, რასაც ჩვეულებრივად სახლის ნაგებობაში მისი დედაბოძი ასრულებს, ამიტომ, ასეთ ,,დედაბოძსაც" და მთლიანად ,,სახლსაც" ადამიანი თვითონ ქმნის და აგებს მთლიანად კულტურის, უპირველესად კი „ჭეშმარიტი" სიტყვისა და ასეთ ,,სიტყვათა კონის" დედაენის სახით.

დედაენა ისეთი ბუნებისაა, რომ მის შექმნას ადამიანი ვერ შესძლებს, ვერც მხოლოდ საკუთარი თავიდან და ვერც ინდივიდუალურად. ქართული ენა, რომელშიც აღბეჭდილია ხალხის განვითარების ყველა ეტაპი, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ყოველთვის იყო ცივილიზაციის ძლიერი იარაღი, ძირითადი ფაქტორი ერის სულიერი განვითარებისა, მისი შემოქმედებისა ეროვნული თვითშეგნებისა. ამ ვითარების ინტუიციების ხედვით ნაკარნახევი ცნობიერი, დამოკიდებულება საკუთარი ცნობისადმი ქართველმა ხალხმა ნათლად აღბეჭდა თვით გონშივე, როცა მას ,,დედაენა" უწოდა. მშობლიური ენის გატოლება დედის ცნებასთან თავისთავად ძალზედ მრავლისმეტყველი და საგულისხმოა.

თანამედროვეობის მრავალი ენათმეცნიერი ყოველ ბუნებრივ ენას ადამიანსა და გარე ობიექტურ სამყაროს შორის არსებულ განთავსებულ ,,შუაფენად მიიჩნევს. ენის ასეთი, ადამიანის შინაგან და გარე მოვლენების სამყაროებს შორის ,,მდებარე" საკუთრივ ადამიანის მიერ შექმნილ სამყაროდ გააზრება წინა პლანზე ბუნებრივად წამოსწევს მისი ობიექტურობის პრობლემას, იმის საჭიროებას, რომ მონახოს რაღაც ისეთი თავისი ბუნებითა და ხასიათით ობიექტური მომენტით თუ გამაშუალებელი ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ენის ქმნადობის პროცესში და რომელშიც იმავდროულად,

შენარჩუნებული იქნებოდა ადამიანის, როგორც ენის შემოქმედი სუბიექტისა და სინამდვილის, როგორც ენობრივ სამყაროში,, გარდასახული“ ობიექტის ურთიერთკავშირი და თუ შეიძლება ასე ითქვას ,,თანაპარტნიორობა“.

ასეთი რამ ვერ იქნება მხოლოდ ადამიანის გონება, მისი შინაგანი სამყაროს რაციონალური ფენა. ემპერიასთან უფრო „ახლოს“ მყოფი და ამდენად ამ ემპირიით უფრო მეტად ,,დამძიმებული“ ადამიანის გონება მუდმივადაა მიდრეკილი იმისკენ, რომ მთელ ენას მთლიანად რეფერანტული ხასიათი მისცეს. ვ. ჰუმბოლტი წერდა: ,,სიტყვა მართლაც არის ნიშანი, ... ყველა სიტყვათა ჯამი ენა - მართლაც ეფუძნება პირობითობას, რადგანაც ადამიანთა მოცემული ერთობის წევრებს ესმით ერთმანეთისა, მაგრამ ცალკეული სიტყვები ჩნდება, უპირველესად, მოლაპარაკის ბუნებრივი გრძნობიდან და გაიგება მსმენელის შესაბამისი გრძნობების წყალობით“, ხოლო ენა კი, თავის მხრივ, ,,სხვა არაფერია, თუ არ ამ აზრის დანამატი, სწრაფვა იმისკენ, რომ გარესამყაროსმიერი შთაბეჭდილებები და ჯერ კიდევ ბუნდოვანი შეგრძნებები ამაღლებული იქნას ცხად ცნებებიდან“. ამიტომ თუ შემოქმედებას გავიგებთ ფართო აზრით, ეს ეროვნული გონი არ დაიყვანება არცერთ თავის კერძო ინდივიდუალურ გამოვლენაზე (ანუ ყოველი ცალკეული ადამიანის გონზე) ის გაცილებით უფრო მეტია ვიდრე ნებისმიერი ცალკეული ადამიანის გონი, ან თუნდაც აწმყოში არსებული ერის ყველა ინდივიდის გონთა ჯამი: ისაა მთელი ეროვნული გონის (პირველ რიგში კი ენის) შემქმნელი და როგორც ასეთი ზედაპირულია, იმ აზრით, რომ თავის თავში მოიცავს ერის მთელ ისტორიას, განსაზღვრავს და განაპირობებს ამ ისტორიის მრავალ აწმყოში მოცემულობას. სწორედ ამ აზრით არ არის ენა „ცალკეული ადამიანის თვითნებური ქმედება, არამედ ყოველთვის ეკუთვნის მთელ ხალხს“.

ქართველი ერის იმ ინტუიციაში, რომელშიც იშვა და ენაში დამკვიდრდა არაჩვეულებრივად ტევადი და მდიდარი სიტყვა ,,დედაენა“, ნათლად ჩანს ადამიანის ფორმირების საქმეში ნებისმიერი ეროვნული ენის უდიდესი როლისა და მნიშვნელობის გენიალური ხედვა. ყოველი ბუნებრივი ენა წარმოადგენს იმ ,,ცოცხალ“ და მის მოხმარების სივრცეში უწყვეტი სულიერი ერის ,,მარეგულირებულ“ გონით წარმოქმნა, რომლის წიაღში და რომლის მზრუნველობითაც იბადება და ფორმირდება იმ ადამიანის გონი, რომლის დედაენაც ისაა. დედაენა როგორც მიზეზი, განსაზღვრავს ჩვენი გონის სპეციფიკას და შესაძლებლობებს.

ნებისმიერი დედაენა შეიძლება შევადაროთ თავისი ინდივიდუალური ხელმოწერის მქონე იმ შემსრულებელს, რომელიც, როგორღაც ბუნებრივად და თავისთავად, თანაც გარკვეულ, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ ,,ტონალობაში ააჟღერებს ჩვენს სულს, - ჩვენშივე დავანებულ ,,მუსიკალურ ინსტრუმენტს“ და თანაც ის, რომ ეს ჟღერადობა სიცოცხლის ბოლომდე თითქმის არასოდეს არ წყდება. ასეთია ყველა ეროვნული ენა, მათ შორის, ცხადია ქართულიც და მასში დაბადებული ნებისმიერი ადამიანი, უკვე ამ თავისი დაბადების აქტით არის ქართველი და ესაა სწორედ მისი ბედი, ან თუ გნებავთ, ხვედრი, რომელსაც ის უკვე თავიდან ვეღარ აიცილებს და ვერც შეცვლის. ვ. ჰუმბოლდტი წერდა: ,,ადამიანი ადამიანია მხოლოდ ენის წყალობით, ხოლო იმისთვის, რომ შექმნას ენა, ის უკვე უნდა იყოს ადამიანი. როცა ფიქრობენ, რომ ეს ხდება თანდათანობით და თანმიმდევრობით, ... მხედველობიდან უშვებენ ადამიანის ცნობიერებისა და ენის განუყოფლობას ... ენა აუცილებლობით წარმოიშობა ადამიანისგან“, მაგრამ არა თანდათანობით, არამედ ისე, რომ ,,პირველი სიტყვა უკვე გულისხმობს მთელი ენის არსებობას“.

ენის ასეთ გაგებაში ის წარმოსდგება, როგორც სინამდვილის ისეთი აზრობრივი ხატი, რომელიც უაღრესად დემოკრატიულია თავისი ბუნებით, თუ დემოკრატიას გავიგებთ, როგორც სისტემას, რომელშიც იმთავითვეა გამორიცხული, რომ ,,პრივილეგირებული წერტილების“ გამოყოფის საფუძველზე ამ სისტემას ნაწილების ასე თუ ისეთი იერარქიზირება და რომელშიც არსებობს მხოლოდ ერთი პრივილეგია – პრივილეგია კანონისა. ბუნებრივი ენის წიაღში ფორმირებულ აზრობრივ ხატში ასეთი კანონის როლს ასრულებს თვით ენა: უფრო კონკრეტულად კი ის პირველი ,,ჭეშმარიტი“ სიტყვა, რომელიც უკვე გულისხმობს მთელი ენის არსებობას და რომელიც, რაღაც მკვდარი მასის სახით კი არ ძევს ადამიანის სულის სიღრმეში, ,,არამედ კანონის ხარისხში განსაზღვრავს ადამიანის სააზროვნო ძალების ფუნქციას“.

გრძნობები, რომლებზეც აქ ჰუმბოლტერი მსჯელობს, მტკიცებითი უფრო მეტია, ვიდრე ესთეთიკური, ან ვთქვათ, ეთიკური გრძნობა. ესაა სინამდვილის საგნებისა და მოვლენების, საერთოდ სამუშაოს, ასეთის გრძნობა წმინდა გონითი აქტია და რომელიც ამ გონისაა და შეხვედრის ,,წერტილში“ ჩნდება. ჰუმბოლტის ცალკეული გამონათქვამები, იმის გამო, რომ ისინი თვითონ არის გასაშიფრი, სტიმულად უფრო გამოდგება ახლებურად კვლევისათვის, ვიდრე იმად, რომ ისინი მივიჩნიოთ მზა დებულებების წყებად. ჰუმბოლტიდან ,,ამოსვლა“ გულისხმობს მისი რთული კონცეფციის ღრმა და მთლიან ცოდნას, რაც არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ის მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული ენა (ანუ დედაენა) მის მიერ განიხილება, როგორც სასიცოცხლო ძალა და არა როგორც გრამატიკული წესების

კოდექსით წარმოდგენილი უსიცოცხლო პროდუქტი; მისი სიტყვებით, ენა ცოცხალი ძალა და არა ერგონი ასეთი მიდგომა სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ენის მიჩნევა მხოლოდ გამოხატულების, მზა აზრების ბგერითად აღბეჭვდისა და გაგებინების საშუალებად, რაც უფრო გამოყენების ასპექტს გულისხმობს და რამდენადმე სწორიცაა. ეს განმარტებანი გავრცელებულია, მაგრამ შორსაა იმ ამოცანისგან, რომელიც ჰუმბოლტმა უმთავრესად მიიჩნია. ეს არის მსოფლხატის ცნება, რომლის მეშვეობითაც ხდება სამყაროს გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად. ენობრივი მსოფლხატის აგება ხორციელდება ენისა და ერის შინაგანი ერთიანობის საფუძველზე.

ენა არ არის ,,კულტურის სარკე", არამედ კულტურული შემოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. იგი ,,შეჭრილია" მთელს კულტურაში და ზოგჯერ მისი ზოგიერთი ფორმის მესაძირკველეთაც გვევლინება. პოეზიასა და საერთოდ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ენა თავისი შესაძლებლობების მწვერვალს აღწევს. დედაენით გაერთიანებული ერი კულტურის სუბიექტია. ენის შესწავლა არის ინდივიდის გარდაქმნა დედაენის ძალით და მისი ჩართვა თითქმის მთლიანად ენობრივი საკრებულოს ცნობიერებაში. ეს შეზრდა ინდივიდისა დედაენაში არის აუცილებელი პირობა იმ პროცესების გასაცნობად, რითაც ადამიანის ცნობიერება ხანგამძლე ღირებულებებს ქმნის.

ადამიანი ენით აგებულ სივრცეში ცხოვრობს; იმ სივრცეში, რომლის სტრუქტურაც ენას დაუდგენია და ადამიანს ამ გზით ეძლევა. დედაენის ძალმოსილება გაუცნობიერებლად უკვე ადრეული ბავშვობიდანვე მოიცავს ყოველ პიროვნებას; გაცილებით ადრე გამოიკვეთა ბავშვის ენობრივ ცოდნაში ბგერა და მისი შინაარსი, თანაც ისე საგულდაგულოდ, რომ დედაენის სფერო სიცხადეს იძენს.

ამ თავისთავად მოცემულობაში ,,ჩაკირული" დედაენის მსოფლგაგება და ცალკეული ინდივიდის ცნობიერება ისე მყარად ფორმდება, სხვა აზრით სფეროს მასზე წინ ვერც დააყენებ.

ეს ენის აზრითი შუაფენაა და არ გამოიყოფა წინასწარი იდეებისგან და საზოგადოდ არსებული და სავალდებულო „აზროვნების ფორმებისგან", მათში ჩართულია ადამიანისეული ,,გონის საგნები" აზროვნებისა, რაშიც რეალური საგნები და ფაქტები გარესინამდვილისა ადამიანური წესრიგით, ღირებულებებით და შეცნობით არის მოპოვებული დ შემდეგ გაფორმებული. ესაა შუაფენა, რომელიც ამოქმედებულია ადამიანში, როგორც ,,ობიექტური ყოფისა" და ,,ცნობიერი ყოფისა" ერთიანობა, რაც განუყოფელ კავშირშია ენასთან, მის მსოფლმხედველობასთან.

სწორედ ამიტომ, ენა ისტორიული გამოცდილების უზარმაზარი რეზერვუარია. ენა, როგორც შუამავალი, დედაენის გზით ხდის ადამიანს გარკვეული საზოგადოების წევრად. დედაენა ის ენაა, რომელიც მეტყველების ზოგად ადამიანურ ჟანრს ემპირიულად განახორციელებს და ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ ენობრივ სოციუმის წევრს, ჩართავს საგანთწვდომის აქტებში, ათასწლობითი ისტორიის მანძილზე, რომ შემუშავებულა. ენა ჩართულია ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგებაში მონაწილე ფაქტორია. ეს საგნობრივი ცნობიერებისა, როგორც ითქვა უკვე აღარ არის არც წმინდა ცნობიერება (წმინდა აზრი) და არც ობიექტური და ამ ცნობისგან სრულიად დამოუკიდებელი საგანი, ის, რასაც ი. კანტი ,,ნივთს თავისთავადს" უწოდებდა, ეს არსებითად არის აზრისა და მისი კორელაქტის, იდეისა და საგნის, საბოლოო ჯამში კი ,,მე"-სა და ,,არა-მე"-ს ორგანული მთლიანობაა ანუ ყოფიერება, რადგანაც ეს უკანასკნელი ფაქტის მიერ განიმარტება, რაც სწორედ ,,მე" -სა და ,,არა-მე"-ს ერთიანობაა. ასე გაგებული ენა კი მართლაც რომ ,,ყოფიერების" სახლია, ,,ყოფიერების პირველსაცხოვრისია" (მ. ჰაიდეგერი).

ლიტერატურა:

1. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, გამომცემლობა „ქრონოგრაფი", თბ., 2000.
2. თეიმურაზ მთიბელაშვილი, მერაბ მამარდაშვილი, გამომცემლობა „ინტელექტი", თბ., 2007.
3. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
4. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
5. ფილოსოფია, კულტურა, ისტორია (კრებული), თბ., 2000.

მტკიცებულებანი და მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში

თამარ ეცადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სალხინაშვილი,** სრული პროფესორი

შესავალი

ყოველი კონკრეტული სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან.

ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე.

ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა შორის, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი და ა.შ.

მტკიცებულების არსი, მტკიცებულების ფარგლები

მტკიცებულებებია კანონით განსაზღვრული მტკიცების საშუალებები, რომელთა გამოყენებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტიური გარემოებები. [1]

მტკიცებულებათა ფარგლებს განსაზღვრავს როგორც სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, ასევე ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი.

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა ფარგლებს შემდეგნაირად განსაზღვრავს (მუხლი 97), კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო გამოითხოვს დოკუმენტებს, შეაგროვებს ცნობებს, მოუსმენს დაინტერესებულ მხარეებს, დაათვალიერებს მოვლენის ან შემთხვევის ადგილებს, დანიშნავს ექსპერტიზას, გამოიყენებს აუცილებელ დოკუმენტებსა და აქტებს, მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი მტკიცებულებათა ფარგლებს ასე განსაზღვრავს:

გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მოთხოვნა თუ შესაგებელი შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით (მუხლი 102). აქ არაა გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პროცესში გამოყენებული ისეთი მტკიცებულებები, როგორიცაა შემთხვევის ადგილის ან მოვლენის დათვალიერება, აუცილებელი დოკუმენტები და აქტები კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები.

მტკიცებულების სახეები და მათი თავისებურებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში

- მოწმე და ექსპერტი

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში გათვალისწინებულია ისეთი მტკიცებულებები, როგორიცაა მოწმე და ექსპერტიზა. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში არ არის მოცემული მოწმის და ექსპერტის ცალკე განმარტებები.

მოწმის ჩვენებისა და საექსპერტო დასკვნის ამოღება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან ნიშნავს იმას, რომ ამ მტკიცებულებათა მოწესრიგება უნდა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მოწმე შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. მოწმის ჩვენება ერთ-ერთი მტკიცებულებაა როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო პროცესში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მოქმედებები მოწმეთა თვალწინ ხდება,

[1] სამოქალაქო საპროცესო სამართალი - თ. ლილუაშვილი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბ., 2005, გვ. 235

თუმცა ისინი მოქმედების მონაწილენი არ არიან. მოწმედ გამოძახებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს და მისცეს სწორი ჩვენება. თუ იგი არ გამოცხადდა მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს მისი იძულებით მოყვანა.

კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ როგორც მოწმე (სსსკ 141-ე მუხლი). გარდა ამისა კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს, თუმცა მიუხედავად ამისა მოწმემ შეიძლება მისცეს ჩვენება.

„ჩვენებაზე უარის თქმა ადამიანის პირადი უფლებაა და დაკავშირებულია სიტყვის, აზრის თავისუფლებასთან. ამიტომ მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმა ნებისმიერი მოტივით არ უნდა ისჯებოდეს“.[1]

მოწმეს, როგორც საპროცესო ურთიერთობის მონაწილეს, აქვს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე მოწმეთა დაკითხვის წესსაც.

სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია პირობები, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს არასრულწლოვნის დაკითხვა.

სასამართლომ ჩვენების მიცემამდე 3 დღით ადრე მაინც უნდა აცნობოს მხარეს მოწმის ვინაობა, მის მიერ ჩვენების მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მოწმე შეიძლება გამოძახებულ იქნას არა მარტო მხარეთა მოთხოვნით, არამედ სასამართლოს ინიციატივითაც, განსხვავებით სამოქალაქო პროცესისგან, სადაც მოწმე შეიძლება დაასახელოს მხარემ, ხოლო სასამართლოს არ შეუძლია თვითონ დაასახელოს მოწმე, გამოუძახოს და დაკითხოს იგი. მოწმის გამოძახება წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა სპეციალისტის აზრის გათვალისწინება ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად. ამ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნისთვის როგორც მხარეების, ასევე სასამართლოს ინიციატივით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს დასკვნისთვის აუცილებელი ინფორმაცია. ექსპერტი კი ვალდებულია განსაზრვრულ ვადებში წარადგინოს საექსპერტო დასკვნა. ექსპერტი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

- მხარეთა ახსნა-განმარტება, ფაქტის აღიარება.

მხარე ესაა პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა, ამიტომ მან ყველაზე კარგად იცის იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც აქვს მნიშვნელობა საქმისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკმაო სისრულით განსაზღვრავს მხარეებისაგან ახსნა-განმარტების მიღების წესებს, მათ შორის მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის, აგრეთვე მოსამართლის მიერ მხარისათვის შეკითხვის მიცემის წესებს (სსკ 127-ე, 128-ე მუხლები).

ფაქტის აღიარება ესაა მხარეთა ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახესხვაობა, მტკიცებულება, რომლებსაც ზოგჯერ მტკიცებულებათა მეფესაც კი უწოდებენ. აღიარება, როგორც მტკიცებულება ითვლება უტყუარ მტკიცებულებად, რადგან იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ამღიარებლის ინტერესის საწინააღმდეგოდ.

აღიარება მხარეს შეუძლია გააკეთოს წერილობით ან ზეპირი ფორმით. ზეპირი ფორმით მხარის აღიარება შეიძლება გაკეთდეს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე ამ სხდომის ოქმში აუცილებელი შეტანით.

ფაქტის აღიარება უნდა გამოხატავდეს ამღიარებლის თავისუფალ ნებას.

- წერილობითი მტკიცებულება

სსკ 134-ე მუხლის თანახმად წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

თავისი შინაარსის მიხედვით წერილობით მტკიცებულებებს ყოფენ განმკარგველ და შემატყობინებელ წერილობით მტკიცებულებებად.

თავისი ფორმის მიხედვით განასხვავებენ უბრალო ანუ მარტივ და კვალიფიციურ წერილობით მტკიცებულებებს.

---

[1]საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი (მესამე) - მ. სალხინაშვილი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 94

წარმოშობის ხერხის ანუ წყაროს ხასიათის მიხედვით განასხვავებენ დედან (ორიგინალ) დოკუმენტებსა და ამ დოკუმენტების ასლებს.

სუბიექტების მიხედვით განასხვავებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ წერილობით საბუთებს.

წერილობით მტკიცებულებებს სამოქალაქო პროცესში წარუდგენენ მხარეები, ხოლო ადმინისტრაციულ პროცესში, წერილობითი მტკიცებულებები შეიძლება წარადგინონ არა მარტო მხარეებმა, არამედ მათი გამოთხოვა შეუძლია სასამართლოსაც.

- ნივთიერი მტკიცებულება

სსკ 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ნივთიერი მტკიცებულებებია ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებებით ან არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირი, ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია გადაუგზავნოს სასამართლოს მის მიერ დადგენილ ვადაში. ნივთიერი მტკიცებულება ინახება საქმეში ან სასამრთლოს შესანახ კამერაში, ხოლო თუ მათი სასამართლოში მიტანა შეუძლებელია, მაშინ ისინი ინახება ადგილზე.

- ადგილზე დათვალიერება

1997 წლის სსკ-ი მტკიცებულებათა დათვალიერებას და მათ შორის ამ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერებას უშუალოდ სასამართლოს მიერ, განიხილავს ორი მნიშვნელობით: როგორც მტკიცებულებათა შემოწმების საშუალებას და როგორც სასამართლოს მიერ უშუალო შემეცნების გზით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.[1]

ადგილზე დათვალიერება შეიძლება საჭირო გახდეს, როდესაც ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში შეუძლებელია. მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის შეუძლებლობა ან სიძნელე შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მაგ., თუ აღძრულია სარჩელი ნათესების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ადგილზე დათვალიერება შეიძლება მოხდეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით, რომელსაც, როგორც წესი, ატარებს მოსამართლე.

მტკიცების ტვირთი

დამტკიცების ტვირთის სუბიექტები შეიძლება იყვნენ საქმეში მონაწილე ის პირები, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები, ანუ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. ასეთი პირებია უწინარეს ყოვლისა, მხარეები და თანამონაწილეები, კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხე, თანამოსარჩელე, თანამოპასუხე.

რაც შეეხება კანონიერ წარმომადგენელს, ისინი მოწოდებულნი არიან დაიცვან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული პირების, აგრეთვე მცირეწლოვნებისა და არასრულწლოვნების უფლებები, ამიტომ ისინი წარმოადგენენ დამტკიცების ტვირთის სუბიექტებს.

განსხვავებით სამოქალაქო პროცესისგან: რამდენადაც ყველა ადმინისტრაციული საქმე დაკავშირებულია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის განხორციელებასთან, მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების რეალიზაციასთან, ბუნებრივია ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას, ე.ი. მტკიცების ტვირთი მას არ ეკისრება.

მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

სსსკ-ის 103-ე მუხლით დადგენილია მტკიცებულებათა შეგროვების ნაწილში სასამართლოსათვის მინიჭებული ორი უფლებამოსილება: 1. მხარეებს შესთავაზოს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და 2. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს ისინი. განსხვავებით სამოქალაქო პროცესისგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი სასამართლოს ანიჭებს დამატებით უფლებამოსილებას, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი მტკიცებულებები და გარემოებები.

[1] სამოქალაქო საპროცესო სამართალი - თ. ლილუაშვილი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბ., 2005, გვ. 263

დასკვნა

განსხვავებით საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსისგან, რომლის თანახმადაც მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით (მუხლი 53), საქართველოს 1997 წლის სსკ-ის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით. ამრიგად, შინაგანი რწმენა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედებისგან, წარმოადგენს სასამართლო პროცესში მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს.

შინაგანი რწმენა არ ნიშნავს თვითნებობას, სასამართლოს შინაგანი რწმენა - ეს შეფასების შინაგანი, სუბიექტური კრიტერიუმია, რომელიც ყოველთვის უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ობიექტურ მონაცემებს, ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული ამ ობიექტური მონაცემით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2011.
2. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბ., 2005.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2008.
4. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კომენტარი, ვ. ლორია, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბ., 2006.

დამნაშავის შეპყრობა

თამარ ეცადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

საერთოდ, დამნაშავის შეპყრობა ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას შეადგენს, მაგრამ ამის უფლებას სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოქალაქეებსაც აძლევს. დამნაშავის შეპყრობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა თუ დაცულია მართლზომიერების სათანადო პირობები.

კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.

დამნაშავის შეპყრობისას, მართალია, სახეზეა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების შემადგენლობა, მაგრამ იგი მოკლებულია მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და ამიტომ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, დაცული იქნება მართლზომიერების პირობები. დამნაშავის შეპყრობის მიზანია დაიცვას მართლმსაჯულების ინტერესები.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა საერთოდ მოუთითებს იმ პირობებს, რომლებიც წარმოშობენ დამნაშავის შეპყრობის უფლებას და რა ზიანი უნდა მიადგეს შეპყრობისას დამნაშავეს.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1) დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენებისა და შეწყვეტის პირობები;

2) დამნაშავის შეპყრობის დროს ზიანის მიყენების მართლზომიერების პირობები.

დამნაშავის შეპყრობის უფლების აღმოცენების პირველ პირობას წარმოადგენს ის, რომ ასეთი ვითარება წარმოიშობა დანაშაულის ჩადენის დროს.

იბადება კითხვა: ყოველგვარი დანაშაულის ჩადენა წარმოშობს დამნაშავის შეპყრობის უფლებას, თუ კანონი რაიმე შეზღუდვას ადგენს?

ი. ბაულინი მიუთითებდა, რომ მოქალაქემ შეიპყროს მხოლოდ დამნაშავე, რომლის დანაშაული ეჭვს არ იწვევს.[1] ი. ტიშკევიჩი ცდილობს გადაწყვიტოს ეს საკითხი საპროცესო კანონმდებლობის მოშველიებით.[2] "გაუმართლებელია მოქალაქეს უფლება ჰქონდეს შეიპყროს დამნაშავე ისეთი მსუბუქი დანაშაულისათვის, – აღნიშნავდა თ. შავგულიძე, – რომლისთვისაც კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამგვარმა უფლებამ ხშირად შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავის გაუმართლებელი დაშვება ან სახიფათო კონფლიქტი დამნაშავესა და მოქალაქეს შორის."[3]

ჩვენი აზრით, მოცემული შეხედულებები არასწორია. მოქალაქე ნამდვილად ვერ გაარკვევს პირმა ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა და მით უფრო ვერ მიხვდება ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თუ არა თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, მოქალაქესა და დამნაშავეს შორის სახიფათო კონფლიქტი შეიძლება მოყვეს ყოველ შეპყრობას. დამნაშავე ყოველთვის ცდილობს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, კონფლიქტითა და ძალადობით დააღწიოს თავი შეპყრობას. კოდექსის 29-ე მუხლი ადამიანს ანიჭებს უფლებას შეიპყროს დამნაშავე და არავითარ შეზღუდვას არ აწესებს დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.

დამნაშავის შეპყრობის წარმოშობის პირობას მხოლოდ კერძო ნაწილში აღწერილი ქმედების შესრულება წარმოადგენს. დამნაშავის შეპყრობის უფლებას ვერ წარმოშობს დანაშაულის მომზადების სტადია. ასეთმა შემთხვევებმა შეიძლება აუცილებელი მოგერიების ვითარება შექმნას. მცდელობისას დამნაშავის შეპყრობის უფლება წარმოიშობა მაშინ, როცა მცდელობის ჩადენის შემდეგ დამნაშავე ცდილობს მიმალვას. მაგალითად, დავუშვათ, პირმა მკვლელობის მიზნით მსხვერპლს ესროლა იარაღი და გაარტყა. სროლის შედეგად მსხვერპლმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. დამნაშავეს ეგონა, რომ მსხვერპლი მოკლა და გაიქცა. ასეთი მცდელობა წარმოშობს დამნაშავის შეპყრობის მდგომარეობას. დაუმთავრებელი მცდელობის მაგალითია, როდესაც მამაკაცი ძალადობით ცდილობს სქესობრივი კავშირის დამყარებას, მაგრამ სხვებს შენიშნავს, თავს დაანებებს ძალადობად და ეცდება მიმალვას. ასეთი ვითარებაც წარმოშობს დამნაშავის შეპყრობის ვითარებას.

სისხლის სამართლის თეორიაში აუცილებელი მოგერიებასა და დამნაშავის შეპყრობას სწორედ იმ ნიშნით მიჯნავენ, რომ რეალური საფრთხის არსებობის დროს წარმოიშობა აუცილებელი მოგერიების ვითარება, ხოლო დამნაშავის შეპყრობის უფლება კი აღმოცენდება ასეთი საფრთხის შეწყვეტის შემდეგ[4], ე.ი. მას შემდეგ, როდესაც სამართლით დაცულ ობიექტს საფრთხე აღარ ემუქრება და დამნაშავე მიმალვას ცდილობს.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის უფლების წარმოშობის მომენტს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ვითარების შეწყვეტა, ე.ი. როდესაც შეწყდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა.

სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა ხელყოფის შეწყვეტას არ უკავშირებს დანაშაულის იურიდიულ დამთავრებას. "ამ საკითხის გადაწყვეტა სხვაგვარად არც კი შეიძლება, – წერდა თ. შავგულიძე, – რადგან სიმართლით დაცული ობიექტის დაზიანების საკითხის შეწყვეტა ყოველთვის არ ემთხვევა ქმედების შემადგენლობის შესრულებას."[5] მაგალითად, კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის დროიდან, მაგრამ აუცილებელი მოგერიების ვითარება არ შეიძლება შეწყდეს თავდასხმის მომენტში, რადგან ამ ვითარებასთან დაკავშირებული არ არის ნამდვილი საშიშროების შეწყვეტა. აქედან გამომდინარე, ყაჩაღობის იურიდიული დამთავრების შემდეგაც თავდასხმა სახეზეა და წყდება მხოლოდ მისი ფაქტობრივად დამთავრების შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ, რაც დამნაშავისათვის ზიანის მიყენება აღარ გამოდგება კონკრეტული სამართლებრივი ობიექტის დასაცავად. სწორედ ამ მომენტიდან შეიძლება წარმოიშვას დამნაშავის შეპყრობის უფლება.

ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის სამართლებრივ მდგომარეობას ქმნის ორი მომენტი: კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედება უნდა განხორციელდეს და დამნაშავე მას შემდეგ უნდა შეეცადოს მიმალვას.

---

[1] Баулин Ю., Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981, стр. 10.

[2] Тишкевич И., Право граждан на задержание преступника, Москва, 1974, стр. 183.

[3] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 163.

[4] Шавгулидзе Т., Необходимая оборона, Тбилиси, 1966, стр. 138;

[5] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 163.

დამნაშავის შეპყრობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც კონკრეტულ ვითარებაში შეუძლია შეიპყროს დამნაშავე ისე, რომ სისხლის სამართალი არ ზღუდავს დამნაშავის შეპყრობის სუბიექტების წრეს მხოლოდ დაზარალებულით. დამნაშავე შეიძლება შეიპყროს ნებისმიერმა პირმა.

კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, დამნაშავის შეპყრობა ხორციელდება ხელისუფლების ორგანოში წარმოდგენის მიზნით. ამიტომ, დამნაშავის შეპყრობის ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესები.

დამნაშავის შეპყრობა უნდა განხორციელდეს შებოჭვით, ოთახში ან სხვა სათავსოში დამწყვდევით და ა.შ. შებოჭვისას არ არის გამორიცხული დამნაშავემ მიიღოს ჯანმრთელობის დაზიანება ან სულაც დამთავრდეს ლეტალური[1] შედეგით.

მაგალითად დამნაშავის შეპყრობისას შემპყრობმა დამნაშავეს გამოკრა სარმა, რომელიც დაცემისას დაარტყამს თავს და გარდაიცვლება ან ჯანმრთელობის დაზიანებას მიიღებს.

დამნაშავის შეპყრობისას შემპყრობის მოქმედებასა და დამნაშავისათვის თავისუფლების აღკვეთას ან ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთისას ან ჯანმრთელობის დაზიანების ან სიკვდილის გარეშე ქმედებით დამნაშავის შეპყრობა ვერ განხორციელდებოდა.

კოდექსის 29-ე მუხლისათვის არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავეს თავისუფლება რა ვადით აღეკვეთება. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ი. ბაულინის აზრს, რომ დამნაშავის დაკავება ეს არის აშკარა დამნაშავისათვის თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთა მისი სათანადო ორგანოებში წარდგენის მიზნით.[2]

დამნაშავის შეპყრობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ე.ი. შემპყრობი ითვალისწინებს, რომ დამნაშავეს აღუკვეთავს თავისუფლებას და სურს კიდევაც იგი ხელისუფლების სათანადო ორგანოში წარდგენის მიზნით.

კოდექსის 29-ე მუხლი ზუსტად მიუთითებს დამნაშავის შეპყრობის მიზანზე. ეს მიზანია დამნაშავის ხელისუფლების ორგანოში წარდგენა.

დამნაშავის შეპყრობის მოტივი შეიძლება იყოს მრავალნაირი. იგი შეიძლება იყოს როგორც ზნეობრივი, ისე არაზნეობრივიც.

დამნაშავის შეპყრობა მართლზომიერია მხოლოდ მაშინ, თუ არ არის გადაცილებული შეპყრობისათვის საამისოდ აუცილებელი ზომა.

კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

როგორც კანონიდან ჩანს, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებას ახასიათებს ორი ძირითადი პირობა:

1) შემპყრობის მიერ გამოყენებული ზომის აშკარა შეუსაბამობა შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან;

2) შემპყრობის მიერ გამოყენებული ზომის შეუსაბამობა შეპყრობის გარემოებებთან.

დამნაშავის შეპყრობის დასაშვები ფარგლების გადამეტების საკითხი მაშინ დაისმება, როდესაც არსებობს ყველა პირობა, რომელიც წარმოშობს დამნაშავის შეპყრობის უფლებას და ამავე დროს დამნაშავეს აყენებს ისეთ ზიანს, რომელიც სცილდება დამნაშავის შეპყრობისათვის დადგენილ ფარგლებს.

ლიტერატურა:

1. Баулин Ю., Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981.
2. Тишкевич И., Право граждан на задержание преступника, Москва, 1974.
3. თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988.
4. Шавгулидзе Т., Необходимая оборона, Тбилиси, 1966.

[1] ლეტალური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სიკვდილის გამოწვევას, სასიკვდილოს.

[2] Баулин Ю., Право граждан на задержание преступника по советскому уголовному законодательству, Москва, 1981, стр. 10.

ცივილიზაცია და ევოლუცია

ნანა შავშიშვილი, ნათია მინდიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ადამიანი, სხვა ორგანიზმების მსგავსად, თავის საარსებო გარემოზეა დამოკიდებული. ეს ურთიერთობა რთულია და წინააღმდეგობრივი. იგი ადამიანის ევოლუციის პარალელურად მუდმივად იცვლებოდა.

ენერგიის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა გარემოსთან ადამიანის ურთიერთობის ფორმები. ანთროპოგენური ფაქტორი თანდათან იკრებდა ძალას. თუ საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან შედარებით, სუსტი იყო, შემდეგ თავისი მასშტაბებით გადააჭარბა მნიშვნელოვნად.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ბიოსფეროს ლოკალური თუ გლობალური ცვლილებების არაერთი მაგალითია ცნობილი. რაც შეეხება გლობალურ ანთროპოგენურ ცვლილებებს, ის ათწლეულების მანძილზე შედარებით ნელა, შეუმჩნევლად ვითარდება და თავის მაქსიმუმს მხოლოდ ჩვენს დროში აღწევს.

ეს ცვლილებები გარემოს ყველა პარამეტრშია ასახული. ბუნებაში არსებობს ევოლუციის სამი ფორმა: არაორგანული, ბიოლოგიური და სოციალური. არაორგანული ევოლუცია მიმდინარეობს ძალიან ნელა.

ბიოლოგიური ევოლუცია წარმოებს ჩქარა და მისი განვითარების ტემპები თანდათან იზრდება. ყველაზე პრიმიტიული არსებები გაჩნდა დედამიწაზე დაახ. 2 მლრდ წლის წინ. 1 მლრდ წლის წინათ გაჩნდა პირველი მრავალუჯრედიანი ორგანიზმები. 600 მლნ წლის წინ იყო ნაირგვარი ფლორა და ფაუნა; 400 მლნ წლის წინათ ვითარდება ხმელეთის ცხოველები; პირველი ფრინველები გაჩნდა 70 მლნ წლის წინათ; დედამიწაზე ადამიანის არსებობა კი მხოლოდ 3,3-4 მლნ წელს ითვლის.

სწრაფად მიმდინარეობს სოციალური ევოლუცია. საზოგადოების განვითარების სისწრაფე იმდენად დიდია, რომ ორგანული და არაორგანული სამყარო თითქმის ადგილზეა გაჩერებული. ბუნება ვერ ეგუება მასზე მოქმედების დაჩქარებულ ტემპებს.

დარღვეულია გეოლოგიური წრებრუნვაც, რაც უმეტესად გარემოში ტოქსიკურ ნივთიერებათა დაგროვებით აისახება. ხომ არ აღმოჩნდა ბიოსფერო ეკოლოგიური კრიზისის წინაშე? ხშირად ეკოლოგიური კრიზისი ამა თუ იმ რესურსის ამოწურვასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ეს არის ადამიანისა და გარემოს ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც საზოგადოების საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარება ვერ თავსდება გარემოს რეალურ შესაძლებლობებში.

გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები სხვადასხვაგვარია. კონკრეტული ობიექტებისა და შედეგების მიხედვით ეს ზემოქმედება პირობითად სამგვარი შეიძლება იყოს:

I - ლოკალური, როდესაც საქმე გვაქვს სახეობრივ პოპულაციასთან, ან თანასაზოგადოებასთან;

II - რეგიონალური, როდესაც ზემოქმედების ობიექტი მთელი რეგიონია;

III - გლობალური, როდესაც ზემოქმედებას პლანეტარული მნიშვნელობა აქვს.

ყოველთვის შეუძლებელია კორელაციის დადგენა გარემოზე ზემოქმედებასა და საბოლოო შედეგებს შორის. ანთროპოგენური ზემოქმედება მრავალმხრივია, ასევე მისი შედეგებიც განსხვავებული შეიძლება იყოს. გარემოს ლოკალური ცვლილებები უფრო მასშტაბურ მოვლენებს უდევს საფუძვლად, საბოლოოდ კი ანთროპოგენური ცვლილება გლობალურ ხასიათს იძენს (ტემპერატურის მატება, ცვლილება ოზონურ შრეში და ა. შ.).

მე-18 საუკუნიდან დაწყებული მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ძვრები აღინიშნება: ტექნიკური პროგრესი და ინდუსტრიალიზაცია, ევროპის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის ცვლა. მრეწველობის პარალელურად ვითარდება სოფლის მეურნეობა, წარმოების ზრდა, მოსახლეობის რიცხოვნობის მატება, ურბანიზაციის პროცესი და ა. შ.

ანთროპოგენური ფაქტორის მძლავრი განვითარება შედარებით ახლო წარსულში დაიწყო, როდესაც ერთმანეთს ორი მოვლენა დაემთხვა: ტექნიკური პროგრესი და მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს წინ უსწრებდა წარმოების საშუალებათა, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების ხანგრძლივი ისტორია, რომელიც ტექნოგენეზის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი საზოგადოების განვითარების თანმხლები პროცესია, რომელიც მისი კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს ხელს. ტექნოგენეზი მოიცავს აგრარული ცივილიზაციის, მექანოენერგეტიკის და თბოენერგეტიკის პერიოდს.

ტექნოლოგია არის მეცნიერება იმ იარაღების, პროცესებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საგნების და ობიექტების დამზადებისათვის, რაიმეს წარმოების მიზნით. სხვაგვარად, ტექნოლოგია ეს არის ნივთიერების, ენერგიის და ინფორმაციის გადამუშავების ხერხი. ტექნოლოგია არის სფერო, რომელშიც ხდება სხვა მეცნიერებების კვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენება საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად.

დღევანდელ პერიოდში, როდესაც მსოფლიო ტექნოლოგიური სიახლეების და მეცნიერული აღმოჩენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდში იმყოფება, ეს სადაო საკითხი ნამდვილად არ გახლავთ. XV საუკუნეში ჩვენს წინაპრებს წარმოდგენაც კი არ ექნებოდათ თუ კაცობრიობა შექმნიდა აპარატს, რისი საშუალებითაც დედამიწის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში დაუკავშირდებოდა, თან ადამიანის დანახვას შეძლებდა ან კოსმოსში ხელოვნურ თანამგზავრებს თუ გაუშვებდა. ეს, რა თქმა უნდა, ზღაპრად მოეჩვენებოდათ, მაგრამ გადის დრო და მეცნიერები თანდათან დიდ მეცნიერულ სიახლეებს გვთავაზობენ, დღევანდელ ადამიანს ალბათ ზღაპრად მოეჩვენება, როდესაც შესაძლებელი გახდება მთვარეზე ასვლა მხოლოდ იმიტომ, რომ კარგ რესტორანში კარგად მოილხინოს. ეს არცთუ შორეული პერსპექტივაა, მაგრამ თუ გადავხედავთ ტელეფონის გამოგონებას, რომლის გამოყენება საზოგადოებამ თავიდან ისე შეაფასა, როგორც ბავშვებისთვის გასართობი საშუალება ანუ წარმოდგენაც არ ჰქონდათ თუ ესოდენ უმნიშვნელოვანეს მოწყობილობასთან ჰქონდათ საქმე და ესოდენ დაიქსაქსებოდა მთელი დედამიწა სატელეფონო ხაზებით.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მთავრობები და კერძო სექტორის წარმომადგენლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. საქართველო, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ნაწილი, ფეხდაფეხ მიჰყვება საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური განვითარების პარალელურად მიმდინარე პროცესებს.

მომხმარებელი იმაზე არ ფიქრობს, რა ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას ასეთი აპარატების ხანგრძლივი გამოყენება. ჩვენს ქვეყანაში მობილური ტელეფონის მოხმარების კულტურა არ არსებობს. ადამიანმა ასეთი აპარატით ხმამაღლა არ უნდა ილაპარაკოს, რადგან რაც უფრო მეტად ვუწევთ ხმას, მით უფრო მეტ გამოსხივებას გამოსცემს აპარატი. დღეს უკვე საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა - დაცულია კი მომხმარებელი ამ ტელეფონის მავნე ზემოქმედებისგან? მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მობილურის გამოყენებით გამოწვეული დაავადების სიმპტომები მომხმარებელს რამდენიმე წლის შემდეგ გამოაჩნდება.

დღევანდელი კაცობრიობა მოგეხსენებათ იმყოფება ატომური კვლევების ეპოქაში. ეს გახლავთ პერიოდი როდესაც შესწავლა მიმდინარეობს ატომების, მოლეკულების, ნეიტრონების და ყოველი უმცირესი ნაწილაკების, რომლის შეკავშირებით მეცნიერები ძალიან დიდ აღმოჩენებს აკეთებენ. ჩვენ, უბრალო ადამიანები, ვთვლით, რომ კაცობრიობამ მართლაც მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს, მეცნიერები კი თვლიან, რომ ჯერჯერობით ძალიან ბევრი ამოცანა რჩება ამოუხსნელი და დღევანდელი მიღწევა მხოლოდ საძირკველია უახლესი მეცნიერული მოვლენებისა, რომლებიც შემდეგი თაობისათვის ხელმისაწვდომი იქნება. ადამიანთა მოდგმა მართლაც სწრაფი ნაბიჯებით მიისწრაფვის მომავლისაკენ. ამის მთავარი მიზეზი ისიც გახდა, რომ კაცობრიობა არასოდეს დამდგარა მნიშვნელოვანი გლობალური ცვლილების წინაშე. შესაბამისად ვერც ათვითცნობიერებდნენ თუ როგორი საფრთხის წინაშე შეიძლება დამდგარიყვნენ.

ჩვენც ვცხოვრობთ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში. ვითარდება და ვითარდება იგი და ამ პროცესის შეჩერება წარმოუდგენელია. ეს არის შედეგი ადამიანის გონების „ზეიმისა“. ტექნოლოგია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ის შემოიჭრა თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებასა და აბსოლუტურად ყველა სფეროში აქტიურად ვიყენებთ მას. უამრავი დადებითი რამ მოგვიტანა.. და მთავარი - ვიგებთ დროს მისი დახმარებით. მაგრამ ნუ გავაიდეალებთ ზედმეტად ტექნოლოგიურ განვითარებას, რადგან მისი შედეგები არა მხოლოდ დადებითია!!! სწორედ ამიტომ, ტექნოლოგიურმა განვითარებამ ბევრი ჩვენთაგანისაგან აბმივალენტური დამოკიდებულება დაიმსახურა.

ადამიანის გონებრივმა განვითარებამ ტექნოლოგიური თუ მეცნიერული თვალსაზრისით უკვე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია: გარემოს დასაცავად ჰოლანდიელი მეცნიერების მიერ შემუშავებული პროექტი, რომლის მიხედვითაც ცხოველის ხორცი ლაბორატორიაში დამზადებული ხელოვნური ხორცით ჩანაცვლდება. ჰოლანდიელების განცხადებით, ხელოვნური ხორცი 35%-ით უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე მოკლული ცხოველის

ხორცი. ამ უსათნოესი მეცნიერული პროექტის მიხედვით, ლაბორანტები ცხოველიდან ამოიღებენ ღეროვან უჯრედებს, რომლებსაც შემდგომ გარდაქმნიან კუნთოვან ქსოვილად. ეს უკანასკნელი კი დამუშავების შემდეგ სრულფასოვან ხორცად იქცევა.

ჰოლანდიას არ ჩამორჩება სამხრეთ კორეა, რომლის მთავრობამ მოიფიქრა, რომ სკოლებში ბავშვებს უცხო ენა შეასწავლონ ინგლისურენოვანი რობოტით და არა მასწავლებლით. გასულ წელს სამხრეთ კორეის რამოდენიმე სკოლაში უკვე დაინერგა ეს პროექტი და საკმაოდ წარმატებითაც. ეს პატარა ანდროიდები გაცილებით კონკურენტუნარიანს ხდიან სამხრეთ კორეელ ბავშვებში ინგლისური ენის შესწავლას.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ მსოფლიოში ტექნოლოგიური პროგრესის თვალსაზრისით პირველი ქვეყანაა იაპონია. ამომავალი მზის ქვეყანა გეგმავს შექმნას ლიფტი, რომელიც დედამიწას მისივე კოსმოსურ სადგურთან დააკავშირებს. კოსმოსური სადგური კი დედამიწიდან 35400 კილომეტრით მაღლა მდებარეობს.

სწორედ იაპონიაში 80-იანი წლებიდან კორპორაცია „Honda Research Institute Japan“ ცდილობს შექმნას რობოტი ადამიანი, მსგავსად ადამიანისა მასაც რომ შეეძლოს სიარული, სირბილი და უფრო მეტიც – დამოუკიდებლად აზროვნება. ეს უკანასკნელი იაპონელი მეცნიერებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესია, რათა ტექნოლოგიური გარღვევა მოახდინონ მთელ მსოფლიოში.

სწორედ ამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა განაპირობა მსოფლიოს უამრავი კატასტროფის წინაშე დაყენება. ამის თვალსაჩინო მაგალითია იაპონიაში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებიც. მეუფე იობი თავის ქადაგებაში თუ პირად საუბრებში ხშირად ბრძანებს:

,, მართლაც, ურთულეს დროში გვიწევს ცხოვრება. იაპონიის მიწისძვრით მოგეცათ თვალნათელი მაგალითი, თუ რა მოხდა, როგორ დაინგრა მთელი ქვეყანა. ამან გამახსენა ბიბლიიდან ეზდრა მესამე, რომელიც შესთხოვს უფალს - მაჩვენე ბოლო ჟამის ადამიანთა ცხოვრებაო, უფალი კი ეუბნება, რომ ბოლო ჟამის ადამიანები შემეწინააღმდეგებიან, გაამაყებულნი იქნებიანო. რითი ვართ გაამაყებულნი? ან იაპონელები რით იყვნენ გაამაყებულნი? ტექნოლოგიური მიღწევებით. მათ ეგონათ, რომ ეს ყველაფერია, რომ ყველაფერს მიაღწიეს და ტექნოლოგიაა მთავარი, მაგრამ დავრწმუნდით, რომ არაფერი ყოფილა არც ტექნოლოგიური მიღწევები, არც ფული, არც სიძლიერე. ათწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა იაპონია და უცბად, ერთ დღეში დაინგრა. აი, ეს შეუძლია უფალს! მინდა გაგახსენოთ ეზდრა წინასწარმეტყველს რას პასუხობს უფალი - **„გაამაყებული ხალხი ჩემი კანონებით აღარ იცხოვრებს და მათ საწინააღმდეგოდ მაქვს სასჯელები - მიწისძვრით, ცეცხლით, ქარიშხლებით, წყალდიდობით დავსჯიო“.** და ასეც ხდება მთელ მსოფლიოში. ამიტომ ჩვენ გონს უნდა მოვეგოთ, რომ არ მივიღოთ ის სასჯელი ღვთისაგან, რაც იაპონიას და სხვა ქვეყნებს დაემართა. დროულად უნდა დავიწყოთ ღვთის მცნებებით ცხოვრება, დროულად გავხდეთ ერთგულნი საეკლესიო სწავლებისა და ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენი წინაპრები და წმინდა მამები მოგვიწოდებდნენ. თუ ასე არ მოვიქცევით, სასჯელი არც ჩვენ აგვცდება.

ჩვენი აზრით ტექნოლოგიური განვითარება და წინსვლა კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. ტექნოლოგიური ინოვაციები ადამიანების ცხოვრებას მნიშვნელოვნად ცვლის და უადვილებს ყოფას, თუმცა რის ფასად?!!! ეს ყოველივე უამრავი ბუნებრივი თუ ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე აყენებს კაცობრიობას, როგორიცაა გარემოსა და ჰაერის დაბინძურება, ბუნებრივი კატაკლიზმები და ოზონის შრის გათხელება. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. დღეს გაჩნდა ისეთი სიცოცხლისთვის საშიში დაავადებები, რომლებიც სწორედ ,,ადამიანის გონების ზეიმის“ შედეგია.

ტექნოლოგიური განვითარება იწვევს უამრავ უარყოფით მოვლენას ეკონომიკური თვალსაზრისითაც, იგი პირდაპირ კავშირშია უმუშევრობის დონის ზრდასთან, რაც ადამიანურ რესურსზე მოთხოვნის შემცირებით გამოიხატება.

გამოსავალი ერთადერთია. მსოფლიო დროულად უნდა მოეგოს გონს და დაკმაყოფილდეს იმით, რასაც უკვე მიაღწია, თორემ შედეგი მართლაც სავალალო იქნება.

ლიტერატურა:

1. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური საფუძვლები, თბ., 2008.
2. გ. ქაჯაია, ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ., 1999.

ინტერნეტ-რესურსი:

1. www.ambebi.ge
2. www.orthodoxy.ge
3. www.wcg.org.ge
4. www.polity.ge

მართლზომიერი რისკი

ზურაბ ტოროშელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე**, სრული პროფესორი

მართლზომიერი რისკი არის მართლსაწინააღმდეგო გამომრიცხველი გარემოება და რეგლამენტირებულია კოდექსის 31–ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.

რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

მართლზომიერი რისკის მართლზომიერების პირობები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) პირობები, რომელიც არის რისკითი მოქმედების გამომწვევი მიზეზები და 2) პირობები, რომელიც დამახასიათებელია რისკითი მოქმედებისათვის.

<u>პირობები, რომელიც არის რისკითი მოქმედების გამომწვევი მიზეზები</u>

პირველი პირობა, რომელიც დამახასიათებელია რისკითი მოქმედების გამომწვევი მიზეზისათვის, არის ის, რომ რისკითი მოქმედება შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა ძალამ: ადამიანის მოქმედებამ, ბუნების სტიქიურმა ძალებმა, საშიში ცხოველის მოქმედებამ და სხვა.

ადამიანის მოქმედება, რომელიც იწვევს რისკით მოქმედებას, შეიძლება იყოს მართლზომიერიც და არამართლზომიერიც (მართლსაწინააღმდეგოც). მაგალითად, ექთანმა გააკეთა ნემსი ექიმის დანიშნულებისამებრ, ავადმყოფს ნემსმა მისცა საწინააღმდეგო ჩვენება. გარდაუვალია მისი დაღუპვა თუ ასეთ დროს ექთანი ავადმყოფს ვენაში არ შეუშხაპუნებს გამანეიტრალებელ სითხეს. მისი მოქმედება იქნება მართლზომიერი რისკი, მაგრამ რისკითი მოქმედება გამოწვეულია ექთნის მართლზომიერი ქცევით.

მართლზომიერი რისკის პირობა შეიძლება წარმოშვას ადამიანის მართლსაწინააღმდეგო ქცევამაც. მაგალითად, დავუშვათ ან–ს დანით მოსაკლავად გამოეკიდა ბან–ი. ეს შენიშნა გან–მა და მათი მიმართულებით ან–ის გადასარჩენად გაისროლა რკინის ნაჭერი , რომელიც შეიძლებოდა მოხვედროდა ან ან–ს ან ბან–ს. რკინის ნაჭერი მოხვდა ბან–ს და ან–ი სიკვდილს გადაურჩა. ასეთ შემთხვევაში გან–ი იმყოფებოდა მართლზომიერი რისკის პირობებში.

მართლზომიერი რისკის პირობა შეიძლება შექმნას საშიში ცხოველის თავდასხმამ. მაგალითად, დავუშვათ ან–ს ტყეში გამოეკიდა დათვი. ეს შენიშნა ბან–მა და ან–ის გადასარჩენად მათი მიმართულებით იარაღიდან გახსნა ცეცხლი. ტყვია მოხვდა დათვს და ადგილზე მოკლა. ბან–ი იმყოფებოდა მართლზომიერი რისკის მდგომარეობაში.

მართლზომიერი რისკის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მანქანის დეტალიც. მაგალითად, უღელტეხილზე მომავალ ავტობუსს გაუფუჭდა სამუხრუჭე სისტემა და სადაცაა ხრამში გადავარდება. გარდაუვალია მგზავრების დაღუპვა. პაპამ შვილიშვილი ფანჯრიდან გადააგდო. ავტობუსი ხრამში გადაიჩეხა და ორ ხეს შორის გაიჭედა. მგზავრები უვნებლები გადარჩნენ, ხოლო ბავშვმა ფანჯრიდან გადმოგდების შედეგად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. პაპა მოქმედებდა მართლზომიერი რისკის პირობებში.

საერთოდ მართლზომიერი რისკის შემქმნელი პირობების წყაროს ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია.

მეორე პირობა, რომელიც წარმოქმნის მართლზომიერი რისკის მდგომარეობას ის არის, რომ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე უნდა არსებობდეს ნამდვილად.

საფრთხე ნამდვილია, რეალურია თუ იგი უკვე მოქმედებს და გარდაუვალია სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.

მომავალი და განვლილი საფრთხე ვერ წარმოქმნის მართლზომიერი რისკის მდგომარეობას. ისე, როგორც უკიდურესი აუცილებლობისას, თუ მომავალი და განვლილი საფრთხე არ იწვევს მართლზომიერი რისკის მდგომარეობას, ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხე უნდა იყოს იმწუთიერი, რომ გამოიწვიოს მართლზომიერი რისკის მდგომარეობა.

ამრიგად, ნამდვილი, იმწუთიერი საფრთხე წარმოქმნის მართლზომიერი რისკის პირობებს.

მართლზომიერი რისკის სუბიექტთა წრე არ არის შეზღუდული. ამაზე მიუთითებს კოდექსის 31–ე მუხლი, რომლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.

<u>პირობები, რომელიც დამახასიათებელია რისკითი მოქმედებისათვის</u>

პირველი პირობა, რომელიც დამახასიათებელია რისკითი მოქმედებისათვის, ის არის, რომ რისკით კაცი ცდილობს სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

მართლზომიერი რისკი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აქტიური ქმედებით, ე.ი. მოქმედებით. ამაზე მიუთითებს თვითონ კოდექსის 31 –ე მუხლის ის სიტყვები, სადაც აღწერილია, რომ "მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის" – კანონი მიუთითებს მხოლოდ მოქმედებაზე და ამიტომ მასში მხოლოდ აქტიური ქცევა იგულისხმება.

მართლზომიერი რისკი იმით ხასიათდება, რომ სამართლებრივ სიკეთეს ზიანი ადგება, რომელიც სხვა შემთხვევაში დანაშაულს წარმოადგენს.

კანონი მიუთითებს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე. ამიტომ მართლზომიერი რისკი შედეგიანი ქმედებაა. მართლზომიერი რისკის უფლების რეალიზაციას შედეგად უნდა მოჰყვეს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, ამავე დროს პირმა უნდა მიიღოს ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

მართლზომიერი რისკისას პირის მოქმედებას და სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად განხორციელებული გამართლებული რისკი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ერთადერთ საშუალებას, რომლის გარეშეც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი ვერ მიიღწეოდა.

მართლზომიერი რისკი მიუთითებს მიზანზე, სახელდობრ, საზოგადოებრივი სასარგებლო მიზნის მიღწევაზე. როცა კანონი მიუთითებს მოქმედების მიზანზე, ასეთი ქმედება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. განზრახვა მოიცავს ორ მომენტს: 1) საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევის ცოდნა და 2) სურვილს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევისა. არ არის გამორიცხული, პირი ითვალისწინებდეს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევის გარდუვალობას.

მართლზომიერი რისკის მიზანია საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგის მიღწევა.

მოტივი, რომელიც პირს უქმნის გადაწყვეტილებას იმოქმედოს გამართლებული რისკის პირობებში, შეიძლება იყოს კეთილსინდისიერიც და არაზნეობრივიც.

და ბოლოს, რისკითი მოქმედება მართლზომიერი ვერ იქნება, თუ დარღვეულია ის პირობები, რომელიც დამახასიათებელია გამართლებული რისკითი მოქმედებისათვის.

მოვიყვანოთ მართლზომიერი რისკის კიდევ ერთი მაგალითი. დავუშვათ, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. გარდაუვალია დაზიანებული მგზავრის დაღუპვა თუ ადგილზე არ ჩაუტარდება ქირურგიული ჩარევა. თუ ადგილზე გააკეთებს ექიმი ქირურგიულ ჩარევას, ადგილი ექნება მართლზომიერ რისკს.

ლიტერატურა:

1. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008.
2. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2002.
3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976.

ათენის სამართალი და ძველი სპარტა

ირმა ღვინიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შალვა ვანიშვილი**, აკადემიური დოქტორი

შესავალი

საერთოდ არის თუ არა საჭირო ვისწავლოთ სახელმწიფოთა სამართლის მსოფლიოს ისტორია?

ამ კითხვაზე დადებით პასუხს გვაძლევს მსოფლიო მნიშვნელობის ორი გენიოსი იოჰან ვოლფგანგ გოეთე და ნიკოლოზ ჩერნიშევსკი. ფაუსტის ავტორმა ბრძანა ,,ვინც ათასწლედის ამბავ მწველი, არ იცის აღარც აწმყო ახარებს, მისთვის ბნელია ყოველის წელი ზის და უმიზნოდ ათენ აღამებს", ხოლო დიდმა სოციალ-დემოკრატმა, სარატოველმა გენიოსმა ,,რა ვაკეთო"-ს ავტორმა აღნიშნა, შეიძლება ფიზიკა და ქიმია არ იცოდე, მაგრამ განათლებულ გერქვას, ისტორიის უცოდინარობა კი თქვენს გაუნათლებლობაზე მეტყველებს, მითუმეტეს ათენისა და რომის სამართალმა უნივერსალური გავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების სამართლის კოდიფიცირებაზე. დღევანდელი ჩვენი მოხსენების თემა გახლავთ ათენის სამართლი და ძველი სპარტა.

ძველი ათენური სამართლის შესახებ დღეს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ამავე დროს ისიც ცნობილია, რომ ძველი საბერძნეთიდან ჩვენამდე არ მოუღწევია ისეთ დიდმნიშვნელოვან კაპიტალურ ძეგლს, როგორიც იმპერატორ „იუსტიანეს სჯულებაა" ან კიდევ ცნობილი ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებია. ხშირად გაგვიგონია სამართლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ საფუძვლის გარეშე, როგორც საბერძნეთმა და რომმა ჩაყარა არ იქნებოდა თანამედროვე ევროპა, თანამედროვე კულტურა. ასევე მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძველი საბერძნეთი იყო ევროპისათვის, იგივე იყო მიკენი საბერძნეთისათვის. ძველი მიკენური ხანის ტრადიციების გავლენით და თვით ათენის და სხვა რეგიონების შინაგანი სოციალურ ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგად ძველ საბერძნეთში აქა-იქ ჩნდებოდა დაწერილი კანონები, უკვე ანბანური დამწერლობის მეშვეობით ფიქსირებული.

ბერძნული კანონმდებლობის უძველეს ძეგლად ითვლებოდა დრაკონის კანონები, მისი ტექსტი დაკარგულად ითვლება. ჩვენ მხოლოდ მოთხრობით, ნარატიული ხასიათის წყაროების მიხედვით შეგვიძლია მის შესახებ მსჯელობა. მკვლევართა ნაწილის აზრით დრაკონის კანონები შესაძლოა ქალაქის წრეების როლის გაძლიერების შედეგი იყოს. ეს წრეები დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმით, რომ შექმნილიყო კანონთა წიგნი, რომელიც, ასე თუ ისე, მთელი ხარისხის ინტერესებს გამოხატავდა და არა მხოლოდ ევპატრიოტებისა და მდიდრების ინტერესებს. მანამდე ევპატროიდები სასამართლოს თავის მონოპოლიად რიცხავდნენ.

რას წარმოადგენდა დრაკონის კანონები?

მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ დრაკონმა ახალი კანონები კი არ შექმნა, არამედ მოქმედი ჩვეულებებიდან – სამართლის ნორმებიდან შეარჩია სასურველი ნორმები და მათი ფიქსაცია მოახდინა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დრაკონს რაღაც ხალი ნორმებიც უნდა შემოეღო.

ასეა თუ ისე დრაკონის კანონები იყო ძველი ათენური სამართლის პირველი კოდიფიციკაცია და იგი დრაკონს ძვ. წ. 621 წელს უნდა შემოეღო სამოქმედოდ. დრაკონმა, როგორც ჩანს შერჩეული ჩვეულებებიდან ზოგიერთი გადაამუშავა და გადაასხვაფერა.

დრაკონის კანონების შემონახული ფრაგმენტები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჟღენთილი იყო სისასტიკით. მაგრამ მიუხედავად ასეთი სისასტიკისა და ტექნიკური შესრულებების მხრივ დიდი ნაკლისა, დრაკონის კანონებს მაინც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი გამოქვეყნება მზარდი მონათმფლობელური პოლისის გვაროვნული წყაროების ელემენტებზე ერთგვარ გამარჯვებას მოასწავებდა.

ამასთანავე დრაკონის კანონები ზღუდავდა სისხლის აღებას, პასუხისმგებლობა მკვლელობებისათვის არ უნდა გავრცელებულიყო გვარზე (როგორც ძველად იყო) და პასუხს მხოლოდ თვით დამნაშავე აგებდა. დააკანონა მკვლელთან და მის გვართან გამოსყიდვით (კომპოზიციით) შერიგების პრაქტიკა. შერიგება რომ კანონიერად იქნეს ცნობილი, მკვლელის უახლოესი ნათესავის

შვილის, ძმის, ბიძაშვილის, სიძის და სიმამრის თანხმობაა საჭირო. მათ გარეშე, მაშინ მოკლულის ფრატრიის სულ ცოტა 10 თანხმობაა აუცილებელი.

დრაკონის კანონები განასხვავებს განზრახ ჩადენილ მკვლელობას განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობისაგან და ამ უკანასკნელისათვის აწესებს არა სიკვდილით დასჯას, არამედ გაძევებას ქონების კონფისკაციის გარეშე, ე.ი. ისეთივე სასჯელს, როგორიც გათვალისწინებული იყო სხეულის დაზიანებისათვის. კანონმდებლობა პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა მკვლელს, უკვე მისი მოქმედება თავდაცვით იყო გამოწვეული. წამქეზებელი კი ისევე აგებდა პასუხს, როგორც აღმსრულებელი.

რაც შეეხება ქურდობისათვის დაწესებულ სასჯელების სიმტკიცეს, მის უკან იფარება მესაკუთრეთა ისტორიულად დადგენილი სწრაფვა დაიცვან თავიანთი ქონება პირველყოფილი კოლექტივიზმის დროს გაბატონებული გადმონაშთებისაგან. ამდენად დრაკონის კანონები საერთო წესიდან გამონაკლისს არ წარმოადგენს.

სოლონის დროს გაუქმებული იქნა დრაკონის კანონები გარდა მკვლელობის შესახებ ზოგიერთი დადგენილებისა. იმ დროიდან ათენის სამართალი რჩებოდა არასისტემატიზირებულად. როგორც ადრე, ამჟამადაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაუწერელი ჩვეულებები იყო. საქმის განხილვისას ჰელიას, სასამართლო ხელმძღვანელობდა რა თავისი რწმენით, ყოველთვის შეეძლო ახალი ნორმის შექმნა.

აქტიურ როლს ათენის სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფო თამაშობდა. უშუალოდ მის საკუთრებაში იყო საბადოები, ხომალდის საშენები, სახნავი მიწები, საძოვრები, სხვადასხვა სახის ნაგებობანი და სხვა ხასიათის ქონება. ყველაფერი ეს, საზოგადოებრივი და საკულტო შენობების გარდა, კერძო პირებს გადაეცემოდათ იჯარით. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა იჯარით გაცემული ქონების სამკურნალო მდგომარეობაზე, საქონლის შემოტანასა და გატანაზე, გემთმშენებლობაზე, დაპყრობილ მიწებზე კოლონიების დაარსებაზე და ვაჭრობის მდგომარეობაზე ბაზრებში.

განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწია ათენში ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივმა რეგულირებამ. მიუხედავად აღნიშნულისა, აქ მაინც ვერ შემუშავდა საკუთრების უფლების განსაზღვრება, როგორც ეს გააკეთეს რომელმა იურისტებმა. სხვაზე რომ არა ითქვას რა, ტერმინოლოგიაც კი არ არის, რომლებიც საკმაო სიცხადით გამოხატავდეს საგანზე (ფლობის ობიექტზე) პირის ფაქტიური ბატონობისა (ფლობის) და მასზე საკუთრების უფლებას შორის არსებულ განსხვავებას. თქმული იმას ნიშნავს, რომ ათენის ორატორები და მწერლები ნათლად არ ანსხვავებდნენ მათ ერთმანეთისაგან.

ათენის სამართალი ანსხვავებს ხილულ და უხილავ საკუთრებას, ასეთი განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, წარმოშვა, არც თუ ისე იშვიათად, სახელმწიფოს სასარგებლოდ კერძოდ საკუთრების კოდიფიკაციის შედეგად. ფული და ძვირფასეულობა ადვილად უსხლტებოდა კოდიფიკაციას და ამდენად აღმოჩნდნენ ისინი ,,უხილავნი''.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფას ბე და გირაო და მესამე პირს თავდებობა ემსახურებოდა. ვალაუვალ მოვალე კრედიტორის მეურნეობაში შრომით ანაზღაურებდა ვალს. სახელმწიფო ქონების მოიჯარეები, გარკვეულ ვითარებაში გადახდის ვალის გადაცილებისას მოქალაქეობრივ ურთიერთობებს კარგავდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ერთი ან სამი წლის ვადით გაიცემოდა. სახელმწიფოს პრაქტიკაში იჯარის უფრო ხანგრძლივი ვადებიც იყო. სახელმწიფოებრივი – 40 წელი და სიკვდილამდეც კი. იჯარით ის მაინც გაიცემოდა, რომელიც რომელიმე შორეულ კოლონიაში მდებარეობდა. ხოლო მათი მესაკუთრე თუ ათენში ცხოვრობდა იჯარით გაიცემოდა სახლები, სახელოსნოები, საერთო წესის მიხედვით, საიჯარო გადასახადის შეუტანლობა საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა მოიჯარისათვის საზიანოდ.

ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულება გარკვეულ ფორმალობის დაცვას არ საჭიროებდა, მყიდველს უფლება ეძლეოდა დაერღვია ხელშეკრულება თუ ნივთის დაფარული ნაკლოვანებანი აღმოჩნდებოდა, მაგალითად თუ მონას დაფარული ავადმყოფობა აღმოაჩნდებოდა.

როგორც სასამართლოში, ისე პრაქტიკაში ცნობილი იყო თავისუფალ ადამიანთა დაქირავება. ჩვენს წ. აღრიცხვამდე V საუკუნის დასასრულის დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ ათენის ერთ–ერთი ტაძრის მნიშვნელობაზე დაკავებული იყო 35 მეტიკი, 20 მოქალაქე და 16 მონა. როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, მუშები და არქიტექტორები ერთნაირ საზღაურს – დღეში ერთ დრაჰმას ღებულობდა. ქირით მონის გადაცემაც შეიძლებოდა.

ძველი ათენის საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით ცოლი არა მარტო შვილების გამჩენი, არამედ უფროსი მოსამსახურეც იყო. ათენელები ჩვეულებრივ იმით ტრაბახობდნენ, რომ მათი ცოლები იმდენად ზრდილები არიან, ყოველ უცხოს, მათ შორის ნათესავების დანახვა რცხვენიათ. ცოლი სახლის განსაკუთრებულ ნახევარში ცხოვრობდა. პლატონის სიტყვებით, იგი იყო მაქოს და სართავი

ჯარის ქალბატონი. ტყუილად კი არ ატანდნენ მას საფლავში სართავ ჯარას. საქორწილო ხელშეკრულების დადება საპატარძლოს მამას ეკითხებოდა. ქორწინების შემდეგ ცოლის კანონიერი წარმომადგენელი ქმარი ხდება. ცოლთან განსაქორწინებლად მტკიცებულებად მოწმეები იყო საკმარისი.

კანონი ცოლისაგან მოითხოვდა უბიწობას, ეს მაშინ, როცა ქმარი არ იზღუდებოდა საყვარელთა ყოლაში. ნებადართული იყო მოღალატე ცოლის სახლიდან გაგდება და მისი მზითვის მითვისება. ასევე ქალს არ შეეძლო როგორც მორთვა, ისე ტაძარში შესვლა. მემკვიდრეობის უფლება მხოლოდ ვაჟებს ეკუთვნოდა, ისინი თანაბარწილად იყოფდნენ ქონებას. თუ ვაჟიშვილები არ იყვნენ, მემკვიდრეობას ქალიშვილები ღებულობდნენ, რომლებსაც ,,მემკვიდრე ვაჟიშვილებს'' უწოდებდნენ. მათ გათხოვებასთან დაკავშირებულ მზრუნველობას სახელმწიფო კისრულობდა, იმისათვის, რომ ქონება სხვა გვარის საკუთრებაში არ გადასულიყო, მემკვიდრე–ქალიშვილის ქმარი, როგორც ჩანს, ცოლის მამის უახლოესი ნათესავი ხდებოდა.

ძველი ათენის სისხლის სამართლის მიხედვით სისხლის აღებისა და თვითგასამართლების ჩათვლით ზოგიერთ შემთხვევაში ათენი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სახელმწიფომდელი ეპოქის მრავალ თავისებურებას.

დაჭრის, დასახიჩრების, შეურაცხყოფის, ქურდობის, ასევე ყველა საქმე მკვლელობისა და მრუშობისას, დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნით, სასამართლო განხილვას ექვემდებარებოდა. რელიგიის წინააღმდეგ დანაშაულად ითვლებოდა: ელჩის შეურაცხყოფა და მოკვლაც. ელჩი ღმერთების დაცვის ქვეშ მყოფ პიროვნებად მიაჩნდათ.

სახელმწიფო დანაშაულთა შორის უფრო მძიმედ ითვლებოდა: სახელმწიფოს ღალატი, მმართველობის დემოკრატიული წყობის ხელყოფა და უღმერთობა. აღნიშნულში მხილებულნი სიკვდილით და განდევნით ისჯებოდნენ. ცნობილ ათენელ ფილოსოფოსს სოკრატეს უღმერთობის ბრალდებით მიესაჯა სიკვდილი. ფილოსოფოსი ანაქსაგორე სამშობლოდან იქნა გაძევებული იმისთვის, რომ ამტკიცებდა მზე აპოლონი კი არა გავარვარებული სფეროაო.

როგორც ითქვა, განზრახი მკვლელობა სიკვდილით დასჯას იმსახურებდა, ხოლო გაუფრთხილებელი ანუ შემთხვევითი - სახელმწიფოდან განდევნას. ღამის ქურდი დანაშაულის ადგილზე შეიძლება მოეკლათ. ციხეში დამწყვდევა მხოლოდ წინასწარი პატიმრობის სახით იყო ცნობილი. როგორც პლუტარქე წერს, ციხეები წარმოადგენდა უფანჯრო და უკარო მიწისქვეშეთს, რომელშიც შუქი და ჰაერი არ აღწევდა. ფართოდ გამოიყენებოდა მოქალაქეობის ჩამორთმევა.

სიკვდილით დასჯა სხვადასხვა ხერხით ხორციელდებოდა, რომელთა შორის ყველაზე ჰუმანური იყო მოწამვლა, სწორედ ასე დასაჯეს სოკრატე. სასჯელის მიზანს ტანჯვის, წამების მიყენება წარმოადგენდა. სასჯელის ზომის განსაზღვრა დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმეზე, ასევე დანაშაულებრივი ქმედების ისეთ ნიშნებზე: მომზადება, წაქეზება, მცდელობა.

ნაფიცი მოსამართლეები ისმენდნენ მხარეთა და მოწმეთა მოსაზრებებს. თავმჯდომარე-მოსამართლე აკეთებდა დასკვნას და შემდგომი განსჯისათვის მოსამართლეს ულოცავდა გზას. თავდაპირველად წყდებოდა საკითხი პირის ბრალეულობის შესახებ. თუ ნაფიცთა მოსაზრება გამამტყუნებელი იყო, მიმართავდნენ სასჯელის შერჩევას. სასჯელის სახის შემოთავაზების უფლება ჰქონდა როგორც ბრალმდებელს, ისე ბრალდებულს. სასჯელის განსაზღვრისათვის კენჭისყრა ფარული იყო.

განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი არეოპაგში. აქ ღამით ასამართლებდნენ, რათა მოსამართლეებს არ დაენახათ სახეები. ქვა, რომელზეც იდგა ბრალდებული, უპატიებლობის ქვად იწოდებოდა, ბრალდებულის ქვა კი წყენის ქვად. განაჩენი მესამე დღეს დგებოდა. მის გამოქვეყნებამდე ბრალდებულს სასჯელის აცილება შეეძლო ქვის დატოვებით.

ძველ ათენის საპირისპიროდ ძველი სპარტა თავისებურ არისტოკრატულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ამის მიზეზი შორეული წარსულიდან მომდინარეობს.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე XII-XI საუკუნეებში პელოპონისის ნახევარკუნძულის მცირე ოლქში - ლაკონიკაში დორიელთა ტომები შეიჭრნენ. ჰომეროსის მიხედვით ეს ოლქი აქაელთა 12 თემს ჰქონდა დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი სპარტა იყო. ,,მეფე მენელისის მეთაურობით. სპარტის კანონები აწესებდნენ ყოფის უბრალოებას და საკვების ზომიერებას. სპეციალური თანასწორობის გამოხატულებას წარმოადგენდა კოლექტიური ტრაპეზი, რომლის მოსაწყობადაც თავის შემოსავალს გაიღებდა თვითოეული სპარტელი.

სპარტის წესების ფუძემდებლად ლიკურგე ითვლებოდა. სპარტაში ოჯახი თითქოსდა გაყინული იყო წყვდიადი ქორწინების სტადიაზე, ზოგიერთ შემთხვევაში მოგვაგონებდა უფრო ადრეულ საფეხურს - ჯგუფურ ქორწინებას. დაქორწინება და განქორწინება სირთულეს არ წარმოადგენდა. შესაძლებელი იყო ორი ცოლის ყოლა. რამდენიმე ძმას შეეძლო საერთო ცოლი ჰყოლოდათ. კაცს, რომელსაც მოსწონდა მეგობრის ცოლი, შეეძლო მასთან გაეყო სარეცელი.

საპატარძლოები ჯერ კიდევ მოტაცებით მიჰყავდათ, რაც ფაქტიურად დაკანონებულიც იყო. სახელმწიფოს საქმიანობის არსებით ნაწილს ახალგაზრდობის აღზრდა შეადგენდა. ჭაბუკებს უმუშავებდნენ გამბედაობას, დისციპლინურობის და უსიტყვო მორჩილების ჩვევებს. ვაჟები შვიდიდან ოც წლამდე თავიანთ ოჯახების გარეთ იზრდებოდნენ, ერთად ჭამდნენ და ერთად ეძინათ, ერთად სწავლობდნენ ფიზიკურ ვარჯიშებს და სამხედრო საქმეს, მოსავდნენ მოუხეშავი ტანსაცმლით, აიძულებდნენ ფეხშიშველი ევლოთ ზამთარ-ზაფხულს. ავალებდნენ მძიმე სამუშაოს და მცირედ თუ გამოამჟღავნებდნენ, მკაცრად დასჯიდნენ, ყოველგვარი შეცდომა სასჯელს იწვევდა.

დასკვნა

ჩვენ წელთაღრიცხვამდე V საუკუნის შუა ხანებში ათენისა და სპარტის მეტოქეობას მოჰყვა ომი, რომელმაც მთელი თაობის სიცოცხლე შეიწირა 404 წელს. ათენი იძულებული შეიქმნა დამამცირებელ ზავზე დასთანხმდებოდა სპარტას. ზავის ერთი პირობა იყო დემოკრატიული წყობის განადგურება. დადგა ტერიტორიული დიქტატურის პერიოდი. დემოკრატიის დამხობას ათენში, კატასტროფული მნიშვნელობა ჰქონდა მმართველობის დემოკრატიული ფორმის მქონე ყველა სხვა ბერძნული პერიოდისთვის.

ბოლოსდაბოლოს ათენში აღდგენილ იქნა დემოკრატია. აღდგა ათენის საზღვაო კავშირიც (მაგრამ უკვე თანასწორობის საფუძველზე) მიუხედავად ამის, ათენმა დაკარგა ყოფილი სიდიადე და განიცადა ღრმა ეკოლოგიური კრიზისი, რაც დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა.

ღრმა კრიზისი შეეხო სპარტასაც. პელოპონისის ომის შემდეგ ბოლო მოეღო მის ერთობლივ თანასწორობაზე დამყარებულ ადრინდელ სოციალურ წყობილებას. ჩვენ წ. აღრიცხვამდე 400 წ. კანონით ნებადართული იქნა მიწის ერთი ოჯახიდან მეორეზე გადასვლა. ამასთანავე მტკიცდება კერძო საადგილმამულო საკუთრება. ერთი-ორი ათასწლეულის შემდეგ სპარტის თითქმის მთელი მიწა და მასთან ერთად სახელმწიფოს მართვა, რამდენიმე ათეულის ხელში აღმოჩნდა.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე 338 წ. მაკედონი იმორჩილებს საბერძნეთს. სპარტა კიდევ რამოდენიმე ხანს ინარჩუნებს დამოუკიდებელ მდგომარეობას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ისიც იქნა დამორჩილებული. ასე იქცა ბერძნული სამყარო რომის სახელმწიფო პროვინციად.

ლიტერატურა:

1. ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბ., 2003.
2. პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1957.
3. ა. წერეთელი, ძველი რომის ისტორია, თბ., 1992.
4. მ. ალექსიშვილი, გაიუს იულიუს ცეზარი, თბ., 1961.
5. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1996.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების და აღსრულების თავისებურებანი

სოფიო ძიძიგური

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაკა სალხინაშვილი,** სრული პროფესორი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) IV თავი დეტალურად მიმოიხილავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თავისებურებებს. სზაკ-ის მიხედვით ინდივიდუალური აქტის ზოგადი სახელწოდებაა „ადმინისტრაციული აქტი“, სწორედ ასეთი აქტები შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტების უმრავლესობას.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ისეთი ადმინისტრაციული ღონისძიება, რომელიც განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად:

„ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ორგანო და დაწესებულება, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ყველა ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის მიხედვით შექმნილი იურიდიული პირები (გარდა პოლიტიკური და რელიგიური დაწესებულებებისა), და სხვა ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.“

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ყველა აქტი „ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად“ იწოდება. ეს არის ორგანოს მიერ შესრულებული აქტის ყველაზე უფრო ფართო განსაზღვრება, რომელიც შეიძლება გამოიცეს შემდეგი სახეებით: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი - ნორმატიული აქტი. ცნებების ასეთ გამიჯვნას, აკეთებს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სამართლებრივ აქტებს უწოდებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს.

„ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიგებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე ან განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოყვეს სამართლებრივი შედეგები.“

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახეზეა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება მიმართულია პირის ან პირთა შეზღუდული წრისკენ. ინდივიდუალური აქტი განსაზღვრული პირებისკენ უნდა იყოს მიმართული, ან უნდა შეეხებოდეს ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევას. ასევე ინდივიდუალურია აქტი, როდესაც ის მიმართულია კონკრეტული პირისკენ და ამის მაგალითია პირისთვის კერძო სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემა. აქტი ინდივიდუალური ხასიათისაა მაშინაც, როდესაც ის არა ერთ პირს, არამედ ობიექტურად განსაზღვრულ პირთა ჯგუფს მოიცავს, მაგ.: პოლიციელის მოთხოვნას, რომ პირებმა რომლებიც იმყოფებიან შენობაში დატოვონ შენობა, ადრესატია ყველა, ვინც შენობაში იმყოფება, ადრესატთა რაოდენობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია საერთო ნიშანი კონკრეტული შემთხვევა, იმ დროისათვის შენობაში ყოფნა.

ინდივიდუალური აქტი ერთჯერადია (მაგ.: საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, თანამდებობის პირის დანიშვნა, ლიცენზიის გაცემა და ა.შ.). ასეთი ინდივიდუალური აქტები გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობისას, როცა ისინი ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც ეს ქმედება ცალმხრივად მკაცრად განსაზღვრული შედეგისკენ არის მიმართული. (ცალმხრივობა გამიჯნავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ადმინისტრაციული ხელშეკრულებისგან). ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ეს ელემენტი აღწერს მის ბუნებას, როგორც ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. სამართლებრივი მოწესრიგების არსი კი იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული ღონისძიება, ადმინისტრაციული ორგანოს ნების შესაბამისად, იქითკენ არის მიმართული, რომ ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ახდენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციას. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების დეფინიციის მეორე ნაწილი შედეგია იმ ცვლილებებისა, რომლებიც ზოგად ადმინისტრაციულმა კოდექსმა შემდგომში განიცადა. ამ დებულების თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში

შემავალი საკითხის დაკმაყოფილებაზე. განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. ინდივიდუალური აქტის ცნების ლეგალური დეფინიციის ეს ნაწილი არაფერს ამბობს ახალს და იმაზე მეტს, რაც ნათქვამია ცნების პირველ ნაწილში.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსის მიხედვით შესაძლებელია შემდეგი სახის ინდივიდუალური აქტების გამოყოფა:

- მბრძანებლური (იმპერატიული) ხასიათის ინდივიდუალური აქტი ადგენს გარკვეული ქცევის წესს და ავალდებულებს მის ადრესატს იმოქმედოს ამ ნორმის შესაბამისად.
- უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა არ არსებობის დამდგენი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს პირის სამართლებრივად მნიშვნელოვან თვისებებს. მაგ.: არჩევნებში მონაწილეობის უფლების დადგენა.

ადრესატის სამართლებრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ: - აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. და - შემზღუდველი ინდივიდუალური აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რაც შეიძლება კონკრეტული ქმედების აკრძალვით ან კონკრეტული ქმედების განხორციელების ვალდებულებაში გამოიხატოს.

საქართველოს ზოგადი ადნინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური აქტი გამოცემის ფორმის მიხედვით შეიძლებს იყოს წერილობითი ან ზეპირი. კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში ზეპირი ინდივიდუალური აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით. სზაკ-ის 52-ე მუხლი განსაზღვრავს იმ რეკვიზიტებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

ა) ინდივიდუალური აქტის სახეს, ბ) ინდივიდუალური აქტის გამომცემ ორგანოს, გ) აქტის სათაურს, დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის სახელს, გვარსა და ხელმოწერას, ე) გამოცემის დროსა და ადგილს, ვ) ინდივიდუალური აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს.

წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომლის საფუძველზეც გამოცემულია ეს აქტი. აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას. აქტის გამოცემის ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა, რომ ამ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდეს უფლებამოსილება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს და აქტი პასუხობდეს მისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდივიდუალური აქტების გამოცემა და საერთოდ სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობა აზრს დაკარგავდა, თუ სახელმწიფო ორგანოები შემდგომში ამ გადაწყვეტილებებს პრაქტიკულად არ განახორციელებდნენ, ანუ არ მოხდებოდა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული აქტების აღსრულება. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი თუ იძულებითი აღსრულების პროცედურებსა და წესებს.

აღსრულების პროცედურის თანმიმდევრობა ასეთია: ჯერ მიიღება გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, შემდეგ კი ხდება აღსრულების საშუალებათა გამოყენება. ინდივიდუალური აქტის იძულებითი აღსრულების საშუალებები შემდეგია: - სხვა პირისთვის აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა და უშუალო იძულება. ისმის კითხვა ვისი მეშვეობით ახდენს სახელმწიფო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას? ცხადია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, უნდა განახორციელოს იმ ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელმაც ეს აქტი გამოსცა. რადგან მან სხვაზე უკეთ იცის საკითხის არსი და სპეციფიკა, რის გამოც უკეთესად შეარჩევს აღსრულების ვადას, აღსრულების სახეს და წესს. სწორედ ამიტომ, საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა დაადგინა საერთო წესი, რომლის მიხედვითაც თუ კანონმდებლობა სხვაგვარად არ გაითვალისწინებს, აქტის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ეს აქტი გამოსცა. აქვე საჭირო აღვნიშნოთ, რომ ეს იძულებითი აღსრულების წესები არ ვრცელდება ყველა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე. არსებობს ისეთი სახის აქტებიც, რომელთა აღსრულებაც არ საჭიროებს „იძულებითი აღსრულების“ მექანიზმების გამოყენებას. ასეთია, მაგალითად აღმჭურველი აქტების ძირითადი ნაწილი, ანუ ის აქტები, რომლებიც სხვადასხვა პირებს ანიჭებს ამა თუ იმ უფლებებსა და პრივილეგიებს (ასეთია ნებართვა, ლიცენზია და სხვ.) ასეთი სახის აქტები პირს უდგენს რაიმე უფლებას, რომლითაც მას საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ისარგებლოს ან არ ისარგებლოს. მაგ.: სამშენებლო კომპანიას ვერავინ აიძულებს გამოიყენოს მისთვის მიცემული მშენებლობის ნებართვა და საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ააშენოს საცხოვრებელი სახლი.

ინდივიდუალური აქტები სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ ამ აქტით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ანუ არ მოქმედებს საყოველთაოდ და მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისაა.

ლიტერატურა:
1. პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბ., 2010.
2. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. პ. ტურავა, VI თავი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თბ., 2005, გვ. 107.
3. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, V თავი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია და ადგილობრივი ადმინისტრაციული წარმოება, თბ., 2005, გვ. 78.
4. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, დ. ქიტოშვილი, XII თავი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, თბ., 2005, გვ. 272.

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

სუფიქსური წარმოების ნიშნები
(დაკვირვება სოფელ ლოპანის მცხოვრებთა მეტყველებაზე)

მერი ყულიაშვილი, ლიკა ბერიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

შესავალი

შიდა ქართლის სოფლებს ბევრი საერთო აქვთ დასავლურ დიალექტებთან. თუ გადავხედავთ ისტორიულ წარსულს, ლიხის ქედი მაინცდამაინც არ იყო ხელისშემშლელი, რომ დასავლეთიდან წამოსული მოსახლეობა ქართლის მახლობელ სოფლებში ან კიდევ ნასოფლარებში ჩასახლებულიყო.

ქართლისა და იმერეთის მომიჯნავე ადგილებში ბევრი რამ გვხვდება ისეთი, რაც საერთოც არის ორივე დიალექტისათვის, მაგრამ სხვაობაც საკმარისზე მეტია.

ადგილობრივ მკვიდრთა ზეპირი გადმოცემით ირკვევა, რომ ფრონეს ხეობის სოფლებში სხვადასხვა მხრიდან მოსული ხალხი არის დასახლებული, მაგრამ უფრო მეტია იმერული, რადგან ზემო ქართლი ჩრდილოეთის და დასავლეთის მხრიდან იმერეთის სამეფოს ესაზღვრებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ნაწარმოები და რუკები გვიდასტურებს, რომ ამ ორი მხარის (ქართლისა და იმერეთის) პოლიტიკური საზღვარი გაცილებით დასავლეთით მებოძირამდე და ვერტყილამდე (ვერტყვიჭალა) გადადიოდა და ქართლის სამეფოში შემოდიოდა. სურამის დასავლეთით დღევანდელი ხარაგაულის რაიონის ნაწილი ტერიტორია ქართლის სამეფოში შედიოდა, რასაც აღნიშნავს ვახუშტი. (ვახუშტი, 1997)

დაზუსტებას მოითხოვს ბევრი საკითხი, მათ შორის ლექსიკა, თუ ზემო ქართლის სოფლების დიალექტი გაიმერულდა და თუ პირიქით იმერული დიალექტი განიცდის ქართლურის გავლენას? ვფიქრობთ სამომავლოდ ამ მიმართულებითაც მოვიძიოთ მასალები.

პოლიტიკური მოვლენების გამო მასალების მოპოვება მოგვიხდა ქარელის რაიონის სოფელ მოხისის სიახლოვეს გაშენებულ დასახლებაში, რომელიც დღეს „ახალსოფლის“ სახელით არის

დაფიქსირებული. სოფელში ცხოვრობენ უკიდურესად დასავლეთით, ლიხის ქედის სიახლოვეს სოფელ ლოპანიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებსაც შეიძლება დროებითი მიგრანტებიც ვუწოდოთ. როგორც გაჩეჩილაძეები, სამხარაძეები აღნიშნავენ მათი მოგვარეები დღესაც არიან სოფელ ლოპანში, მათთან კავშირი კი გაძნელებულია.

ჩვენს ინფორმატორთა შორის ყველაზე ხანდაზმულია ილუშა გაჩეჩილაძე და მისი მეუღლე მინადარ კაპანაძე, ჟორა (გიორგი) სამხარაძე, სეროჟა (სერგო) ლაბაძე და სხვები, რომლებიც დაგვთანხმდნენ ზოგიერთი ცნობის მოწოდებაზე.

ხსენებულ ინფორმატორთა მეტყველებაში დიდია ზემო იმერული კილოს გავლენა, მაგრამ კარგად იგრძნობა ქართლურიც, რადგან ამ ხეობის მცხოვრებთ, ურთიერთობა ყოველთვის ჰქონდათ ქართლის სოფლებთან – კოდასთან, ოქონასთან, აბისთან და სხვებთან. უფრო ადრე კი ზემო იმერეთიდან გამოსული ჩვენი ინფორმატორების წინაპრები უკავშირდებოდნენ მშობლიურ ადგილებს და შესაძლებელია ამ გზითაც ინარჩუნებდნენ იმერული კილოს თავისებურებებს.

ორივე კილოსათვის უნდა იყოს დამახასიათებელი – ამ სუფიქსიანი ზმნები აწმყოში, მრავლობითსა და მხოლობით რიცხვებში.

ვთოხნამ – ვთოხნამთ

ვაკეთამ – ვაკეთამთ

ასეთი მოვლენა ზემო იმერულის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ასევე დამახასიათებელია ქართლური კილოსათვის. შესაძლებელია ის იყოს დიალექტების ურთიერთგავლენაც, რასაც მეტი დაკვირვება სჭირდება.

ხსენებულ ინფორმატორთა მეტყველებაში გამოვყავით -ავ სუფიქსის ნაცვლად გამოყენებული -ევ სუფიქსი, რომელიც რელიეფურად არის წარმოდგენილი.

მათ მეტყველებაში ჩავიწერეთ სიტყვა „ვხნამ“, მაგრამ ასევე დავაფიქსირეთ – „ზევით ხნევენ“, ასევე დავადასტურეთ „ხნამენ“. აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ავ სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -ევ-იც, რაც საზიარო წარმოებად ჩანს.

აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ „-ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არეალად შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუაწელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველად სამი ენის ფარგლებში იყო მოქცეული: ქართულის, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას –ევ-ის სუფიქსის გარდა სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომლებიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისინიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახული იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ეს ნაშთები უნდა ვეძებოთ როგორც ენის აგებულებაში, ისე ლექსიკაში. (შანიძე, 1941)

სანამ აკაკი შანიძის ხსენებულ კვალიფიკაციას განვიხილავთ, ხსენებული მხარის შესახებ მოვიყვანოთ ბატონ არნოლდ ჩიქობავას შეხედულებას –ავ და –ამ სუფიქსიანი მოქმედი სახელების წარმოებაზე. იგი აღნიშნავს: „აქ ორი განსხვავებული წარმოება უნდა გვქონდე: ერთი ევ-სუფიქსიანი, მეორე –ავ სუფიქსიანი. ორივე სუფიქსი აწმყოსია, ოღონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი – ი დართვოდა“. (ჩიქობავა, 1948)

ამ თეორიის მიხედვით ლოპანელთა მეტყველებაში გამოიყოფოდა:

ვხნ-ევ - ვხნ-ევ-თ

ხნ-ევ ხნ-ევ-თ

ხნ-ევ-ს ხნ-ევ-ენ.

მეტყველებაში უფრო გავრცელებულია –ავ სუფიქსი, მაგრამ –ევ-ც დასტურდება.

ისევ აკაკი შანიძის დასკვნით – ევ კილოს, რომელიც ძველ ქართულში უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემო და შუა იმერეთში დაეტოვებია. ეს ასეა, მაგრამ ქართლის სოფლებშიც არის დაცული, როგორც ზმნებში ისე სახელებში.

მიგრაცია უნდა იყოს მიზეზი, რომ მთელ რიგ ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება -ევ სუფიქსიანი სახელები, რაც საერთო ქართულის წარმოებაზე უნდა მიუთითებდეს. ხშირია გეოგრაფიული სახელების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში. ისევ მიგრაციის ან იძულებით გადაადგილების გამო, და ჩანს ესეც არის მიზეზი, რომ ბევრი ლექსიკური ერთეულები სეხნიებად გვხვდება.

–ევ სუფიქსიანი სახელები, როგორც ჩანს მრავლობითობას აღნიშნავენ და გვხვდება, მაგალითად, როგორც თიხები, ისე თიხრევი. ასევე ქართულში დავადასტურეთ: დიცევი, ნაქალაქევი, ოტრევი, ზაწევი, ნადარბაზევი, რომლებიც ჯავის, გორის, ქარელის რაიონეში დასტურდება.

ქსნის ხეობაში: ძეგლევი, ოფნევი, ნაქალაქევი, აბრევი, ნადარბაზევი. ალევი . . .
ხმოვნის შეცვლით გვხვდება ასეთი ლექსიკური ერთეულები: ფლავი-ფლევი, საიდანაც გვაქვს ცნობილი ისტორიული გვარი ქვენაფლაველი.

ფრონეს ხეობაში დავადასტურეთ: ავნევი, ფრინევი, და მისი სახეცვლილი ფორმა – კნოლევი, ავლევი, ნაბახტევი, აწლევი, ბეღლევი და ბეღლეთი, ასევე ბევრი ერთეული გვხვდება მიგროტოპონიმიკაშიც.

-ავ-იანი, -ევ-იანი და –ამ-იანი წარმოება დამახასიათებელია ლოპანელთა მეტყველებისათვის და ის ზემო იმერულის გავლენად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ლოპონელთა მეტყველებაში გვხვდება უსუფიქსო წარმოებაც. მაგალითად დავაფიქსირეთ რამდენიმე –ევ სუფიქსიანი და უსუფიქსო ზმნები: ვზოგავდე- ვზოგევდე – ვზოგდი. ამ ძველ ფორმაში გაუჩინარებულა, როგორც –ევ, ისე –ავ ნიშნები. ეს გაუჩინარება ძირითადად პირველი სერიის დროებში არის მოსალოდნელი. მაგალითად:

უწყვეტელი: ვზოგდი – ვზოგდით
ზოგდი – ზოგდით
ზოგდა – ზოგდნენ

აწმყოს კავშირებითი: ვზოგდე – ვზოგდეთ
ზოგდე – ზოგდეთ
ზოგდეს – ზოგდენ

უწყვეტელში საერთოდ სუფიქსი არ გვხვდება იმიტომ, რომ ის აწმყოშიც არ გვხვდება.

ასევე უსუფიქსო და სუფიქსიანი ფორმებია: ბოჭს, რაც წაბლის მოგროვებას ნიშნავს.

ხერხს – გახერხავს
რეცხს – გარეცხავს
ჭაჭმა ამოუა – ამოიწევს და სხვა.

ფრონეს ხეობის ზემო წელის სოფლებში შემონახული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი – ევ სუფიქსი ადრე გავრცელებული ფორმანტის გადმონაშთი ჩანს.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, „მეცნიერება“, 1997, გვ. 84
2. აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, №8, თბ., 1941, გვ. 766
3. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948, გვ. 99
4. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974.
5. ვ. თოფურია, არილი, 1924.

დიალექტოლოგიური მასალები სოფელ მეჯვრისხევიდან

ნინო მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს მთელ მეჯუდის ხეობას და ასახელებს რიგ დასახლებულ პუნქტებს, ხოლო მხარეს უწოდებს მთის ადგილებს, ხოლო მოსახლეობას მთიულნ და მათნი მიმსგავსებულნი.

1774-1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში, სადაც მეჯუდის ხეობაც შედიოდა. დასახელებულია სოფლები და შიგ მცხოვრებნი გვარებით. მაგალითად ისროლის ხევის სოფელ ჯავახთაში, ატენში, ბიყარში ცხოვრობენ: ელიაურები, ხახაშვილები, ციცაგები, გინტურები, ფოსური, დუდაური, ჟამურელი, ილურიძე და სხვები, რომლებიც ძირად მთიულები არიან და დღესაც, როდესაც სოფელ მეჯვრისხევში მასალებს ვიწერდით, ჩვენი ინფორმატორები: ალიოშა, ყაზბეგ, ვასილ ციცაგები, სერგო ელიაური, ვლადიმერ გინტური და სხვები თავს მთიულებად თვლიან და ზოგიერთ მათგანს

ჯერაც არ მოუშლია მთიულური ცხოვრება, რადგან თვითონაც თავიანთ საქონლით ზაფხულობით ისროლის ხევში არიან.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ დვალიანთ კარში, სადაც ორი კომლი დვალიშვილი დღესაც ცხოვრობს ოკუპაციის მიუხედავად.

ზემოხსენებული ინფორმატორების მიერ ჩაწერილი მასალები შეეხება მათ ცხოვრებას მეჯუდის ზემო წელზე, ძველ და ახალ ამბებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ლექსებს, ჩამოსახლებას სოფელ მეჯვრისხევში, გაჭირვებასა თუ დალხინებას.

მათ მეტყველებაში აღსანიშნავია (ჲ), რომელიც ი-ს დასუსტების შედეგად არის მიღებული და გვხვდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ფირუზა (ჲ), ჟორა(ჲ), სერიოჟა(ჲ). ა ხმოვანს ენაცვლება ო: ჩვენ წისქვილშ საფქოვი არასდროს ილეოდა. ჩვენ სოფელ, ხან ისმის ჩუენნ სოფელ მაღლა ტბი (ტბის) მთაში, ამბობენ მთაზე დიდი საყდარია და ზედ ჯუარია, ჯვარია გამოსახული. ცხორი-ცხვარი უთვალავი გვყანდა ზაფხულში ხოც ზოვში-ზვავში ვინახავდით.

ძველ ქართულში უ ხმოვანი წარმოითქმებოდა და იწერებოდა მთელ რიგ სიტყვებში, ახლა კი შეცვლილია ვ თანხმოვნით, ხუალი-ხვალ, წყლის კუალი-კვალი, ასეთ სიტყვებში უ ხმოვანი ყრუდ გამოითქმის და ძირითადად ვ-ში გადადის.

მაგალითად ინფორმატორები მეჯუდის ხეობის სოფელ ივრეთს წარმოთქვავენ, როგორც იურეთი, ჯვარეთს, როგორც ჯუარეთი, ასეთი განსხვავების დროს ყურადღების გამოჩენაა საჭირო, რომ ყოველივე ეს დააფიქსირო.

ოვი-ოი: ზოი-ზოვი-ზვავი, რაც ღრმა ხევებში, ჩრდილებში დაკარგული შემორჩენილი თოვლის აღსანიშნავად იხმარება. მოვი-მოი; მოვიდ-მოვიდა.

მე მოედი, შენ მოხედი, მე შემოიარე, მე მოიტანე და სხვა. მაგალითებში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია, ასევე არ იხმარება მენ ნაცვალსახელების, დროს მენ არ უთხარი, შენ არ აუდექი, მენა, შენა და ასეთი ფორმები შეიძლება უფრო ქართლურის გავლენად იყოს გავრცელებული. თვით მკვიდრი ქართლელებიც ასეთი ფორმებით საუბრობენ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეჯვრისხევში მკვიდრი, ძველი ქართლური გვარების მოძიება რთული საქმეა. აქ ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან რაჭიდან, იმერეთიდან, გურიიდან, მესხეთიდან ჩამოხიზნულები სახლობენ და მათი მეტყველების შესწავლა სხვადასხვა ნიშნებს შეიცავს.

მეორე სუბიექტური პირის ნიშნები ჰ და ს გაუჩინარებულია მოხუცთა მეტყველებაში, მაგალითად: დაიბძანო, გაჲსწორე, მოჲტანე, დაჲრჩინა აქ - იოტა უფრო ისმის, მაგრამ ჰ ბგერაც თავისუფლად აღიქმება.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი იკარგება და ძირითადად ეს ხდება თანხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეებთან: აშატურ (ნასოფლარია) საქონით (საქონლით) ვიდექით. ბენდერ (სოფელი) ჩვენი ხალხი ს(ცხოვრობდა), ბიყარ (ი) ორი იყო, ახლა ვიღა (სახლობს?, ვირებ(ჲ)), ცხენებ(ჲ) თვითან მიდიოდნებ ბინაში, ჩვენ უკან მივყვებოდით ხოლმე.

ზოგჯერ ისმის ჲ- იოტას შემონახვის შემთხვევები:

სარდიონაჲ ძველი სარქალი იყო თიკო(ჲ) ცხვრებ წველიდა ხოლმე, წისქვილ პატრონი ვასო(ჲ) იყო, არჩილა(ჲ) და სერგო(ჲ) ძმებ(ჲ) იყვნენ. ზურა(ჲ) (ზურაბი) ციმბირ იყო გასახლებული, გადასახლებული ათი წელი.

ჩანს, რომ (ჲ)-ს შემონახვის შემთხვევებში ს დასუსტებულია ზოგჯერ სიტყვებში: შოთაჲ (ს)ეუბნებოდა, მათოჲ (ს) დედა ჩვენებური ქალი იყო, კოწოჲ გოგოა ქვეშია (ქვეშშია) გათხოილი.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგება მაშინაც როცა ამ ბრუნვაში დასმული სახელი ზმნას წინ უძღვის: საქონელ(ს) მიხედე, მწყერ (ს) ესროლა, კურდღელ გამაუდგა, ცხენ ძალიან გაოფლილია.

როცა ზმნა წინ უძღვის სახელს მაშინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი აღდგება და გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი: დაუძახე მეთქი სტუმრებსა, ვიყავით დვალაანთ დღეობასა, ცხვარი ავიყვანეთ ქოლთებსა (ნასოფლარია), ბარისა ზემო ვილდასა სცხოვრობდა. ადრე სკოლა იყო ისროლისხევსა და სხვა.

ინფორმატორთა მეტყველებაში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მან ჯერ კიდევ შემორჩენილია რეალურად: ცხენმან წიხლი ჩაჰკრა, ჩვენმან ღვთიშობელმან შეგეწიოთ, ვილდებმან და ქოლოთებმან.

ინფორმატორთა მეტყველებაში ძირითადად დაცულია-ებ-იანი მრავლობითი ფორმები: გვარი ელიაური ჩვეულებრივ მეტყველებაში დაჩნდება, როგორც - ელიაურები, დვალიშვილი, გინტურები, კვირიკაშვილები, ფისაძეები, გენგიურები, ციცაგები რაც კრებითობას გამოხატავს. ასეთი წარმოება კი ერთობ გავრცელებულია მთელ რიგ დიალექტებში: იმერულში, რაჭულში, მესხურში, გურულში, აჭარულში.

როცა რომელიმე კონკრეტული პირის დასახელება უნდათ მაშინ მრავლობითის ნიშნად დაჩნდება -ან, -ენ ნიშნები: ელიაურიაანთ (ელიაურები), დვალია-ანთ-ი, ბიჩენაანთი, ციცაგიაანთი, ხახაანთი... -ან, ენ სუფიქსიან სახელებთან ჩვეულებრივ გვხვდება -თ მრავლობითი ნიშანი. ასეთ შემთხვევაში არსებითად ორმაგ წარმოქმნასთან გვაქვს საქმე.

მრავლობითის წარმოება თავისებურია ხსენებული სოფლების მეტყველებაში როცა მესამე პირი დაჩნდება: აქ გვხვდება: ისინი, ეგენი, ესენი, იმათი თავისებურია იმიტომ, რომ ორმაგ ფუძეს გვიჩვენებენ. ერთი ფუძე სახელობითისათვის ორსავე რიცხვში და მეორე ფუძე დანარჩენი ბრუნვებისთვის ორსავე რიცხვში. ნართანიან მრავლობითში მოთხრობითი ბრუნვის აღნიშვნისას ბრუნვის ორმაგ ნიშანს დაირთავენ, ესენია - თ და მა. იმათმა, ამათმა, მაგათმა, გვხვდება-მაგენმა, იმგენმა-იმენმაც-ებ და - ობ თემის ნიშნები სახეცვლილებას განიცდის და არქაულობის იერი დაჰკრავს. თუმცა ესეც ძნელად შესამჩნევია: მაგალითები: ოცი ცხვარი დაჰკლა მგელმა და მე უთხარი ჩემ ძმასა ნუ იდარდებ მეთქი, მე გაჩუქეფ მეთქი.

ლოლაძე რომ მოჰკლეს დაიბარებდა ხოლმე მამასახლისი თურმე გიორგისა მეჯვრისხევშია და ათ ხარსა თხომდა. ეძება, ეძება თავისი ცხენები სერგომა ყოფთაში (ადგილის სახელია) დაბმულებ მიაგნო და წამოიყვანა.

ჩვენთან ვილდაში ყველა იარაღს აკეთებდნენ. ეს ქოლოთელი თავჯდომარე მარტო ქეიფობდა ხოლმე. ჩვენთან ქოხი იყო შიგ წიგნებით და კითხულობდა ხოლმე. ჩანს, რომ ასეთი თემის მონაცვლეობა სხვა მხარებშიც დასტურდება.

თავისებურება შეიმჩნევა ზმნისწინისა და ზმნების, ასევე ტოპონიმების წარმოებაში, რომელთა შემდგომი გადამოწმება აუცილებელია, რათა სხვა ელემენტებთან ერთად სრულყოფილად წარმოვაჩინოთ სოფლისა და ხეობის მასალები.

ლიტერატურა:

1. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიის ნარკვევები („შიდა ქართლი“), „მეცნიერება“, თბ., 1983.
2. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „სახელგამი“, თბ., 1915.

„დაჰბადა“ და „მოვიდა“ ზმნების უღვლილების თავისებურებანი II ბრძანებითში

თეონა ქაჯაია
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია**, სრული პროფესორი

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში იყო ისეთი მწკრივები, რომლებიც ახალ ქართულში არ გვხვდება (სამაგიეროდ ახალ ქართულში არის ისეთი მწკრივები, რომლებიც ძველ ქართულში არ იყო).

მწკრივი ისტორიულად ისეთივე ცვალებადი კატეგორიაა, როგორც სხვა გრამატიკული კატეგორიები.

საუკუნეების მანძილზე ქართულში იცვლებოდა როგორც მწკრივების რაოდენობა, ისე მათი ფუნქციები. სხვა იყო მწკრივები და მათი ფუნქციები ძველ ქართულში და სხვაა ახალში.

ძველ ქართულში ზოგიერთ სხვა მწკრივთან ერთად იყო ორი მწკრივი, რომლებიც ახალ ქართულში აღარ არის. ესენია I და II ბრძანებითი.

I ბრძანებითი იყო I სერიაში, II კი II სერიაში. არც ერთ ამ მწკრივთაგანს არ გააჩნდა საკუთარი ფუძე. I ბრძანებითი იყენებდა უწყვეტელის ფუძეს, II ბრძანებითი კი – წყვეტილისას. II ბრძანებითი ერთგზისი ბუნებისაა, I კი მრავალგზისისა. ორივე ბრძანებითი შეიძლება გვქონდეს მესამე პირისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ მეორე ბრძანებითი შედის II სერიაში და იწარმოება წყვეტილის ფუძისაგან.

II სერიაში II ბრძანებითის გარდა ძველ ქართულში იყო შემდეგი მწკრივები: წყვეტილი, მეორე ხოლმეობითი, II კავშირებითი და შერეული კავშირებითი.

II სერიაში ზმნებს თემის ნიშანი არ გადაჰყვება. II სერიაში გარდამავალი ზმნის ფორმულაა მან იგი. ჩვენ აქ განვიხილავთ „დაჰბადა“ და „მოვიდა“ ზმნების II ბრძანებითის წარმოებას „ოთხთავი“-ს, „სინური მრავალთავი“-ს და “წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი”-ს მიხედვით.

II ბრძანებითი, ისე როგორც I ბრძანებითი, მხოლოდ II და III პირისა შეიძლება გვქონდეს. რაც შეეხება I პირის ბრძანებითს, ის მხოლოდ მაშინ შეიძლება გვქონდეს, როცა ზმნის ფორმა მრავლობითშია: ამ შემთხვევაში I პირს შეიძლება ებრძანოს მხოლოდ სხვებთან ერთად: <u>წარვიდეთ, მივიღოთ, ვჭამოთ, ვიხარებდეთ.</u> მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ბრძანებითს საკუთარი ფორმა არა აქვს, იგი სესხულობს I და II კავშირებითის ფორმებს.

<u>II ბრძანებითი II პირისა</u>

“ბრძანებით კილოს ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს: მას მეორე პირში არავითარი თავსართი არ სჭირდება, არამედ იგია წმინდა ფუძე ნამყო სრულისა და ნამყო უსრულისაგან აღებული უპრეფიქსოდ. რადგანაც სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა (ჰაე და სანი), რომელიც აუცილებლად საჭიროა სხვა კილოებში, ბრძანებით კილოს არ უნდა, ამიტომ ამ კილოს მეორე პირის ფორმები ჩვეულებრივ გარეგნულადაც განსხვავდება იმავე პირების თხრობითი კილოს ფორმებისაგან ნამყო სრულსა და ნამყო უსრულში”. (1, 119-120)

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ წყვეტილი და მისგან ნაწარმოები ბრძანებითი.

გარდამავალ ზმნებში II პირის II ბრძანებითის წარმოების ოთხი სახე გამოიყოფა: 1) როცა მეორე სუბიექტური პირი და პირდაპირი ობიექტიც მხოლობით რიცხვშია, 2) მეორე სუბიექტური პირი მხოლობით რიცხვშია და პირდაპირი ობიექტი – მრავლობითში, 3) მეორე სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვშია, პირდაპირი ობიექტი კი მხოლობითში და 4) როცა მეორე სუბიექტური პირიც და პირდაპირი ობიექტიც მრავლობით რიცხვშია.

გარდაუვალ ზმნათათვის მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს: როცა მეორე სუბიექტური პირი მხოლობით რიცხვშია (წარვედ შენ) და როცა იგი მრავლობითში გვხვდება (წარვედით).

<u>A. “დაჰბადა”-ს ტიპის ზმნები</u>

პირდაპირი ობიექტი I სერიაში მიცემით და II სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას.

როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია მას ნიშანი არასოდეს არა აქვს, მაგრამ არის ისეთი ზმნები, რომელთაც მხოლოდ პირდაპირი ობიექტი შეეწყობა და ობიექტის ნიშანი ჰ‖ს მაინც აქვთ. ეს ზმნები ფორმით სამპირიანი და შინაარსით ორპირიანია, ან ფორმით ორპირიანი და შინაარსით ერთპირიანია. მათ სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება “დაჰბადა”-ს ტიპის ზმნები.

ასეთი ზმნები რამდენჯერმე გვხვდება სამივე ზემოთ დასახელებულ ძეგლში.
1) ფორმით სამპირიანი და შინაარსით ორ პირიანია: აღვედ და <u>დაჰფალ</u> მამაჲ შენი: დაბ. 50,6.
განაგე სახლი შენი <u>განჰმზადე</u> სამკუდროჲ შენი: სინ. 96,8.
წარვედით და <u>დაჰკრძალეთ,</u> ვითარცა იცით. მ. 27,65.
სასმენელნი თქუენნი საჩინოდ მომიპყრენით და საჩინონი ეგე <u>განჰმარტენით</u>: სინ. 247,26.
2) ფორმით ორ პირიანი და შინაარსით ერთპირიანია:
<u>დასცხერ</u> სავლე, მდევარო ღვთისმსახურებისაო: სინ. 60,11

მოყვანილ ზმნებში ჰ‖ს დაკარგული ირიბი ობიექტის ნიშანია: ირიბი ობიექტის ნიშანი “ჰ” ს, ზ, შ, ხ, ღ, ჴ, - ბგერების მეზობლობაში იკარგება ხოლმე. ამის მაგალითია: <u>განმზადეთ</u> გზაჲ უფლისაი: მ. 3,3 (c)

სხვაგან კი ამავე ზმნაში გვაქვს “ჰ”.

შესაძლებელია ჩვენ ერთდროულად გვქონდეს ორი ნიშანი “ჰ” და “ს”, მაგრამ ამგვარი ფორმები აქ არ გვხვდება. ამას გარდამავალი ხანის ნიშანს უწოდებენ ჰაემეტობიდან სანნარევზე.

ფორმით სამპირიანი და შინაარსით ორ პირიანი ზმნები ახალმა ქართულმა გაუთანაბრა ყველა სხვა ორ პირიან ზმნას. ფორმაც და შინაარსიც ამ ზმნებისა ახალ ქართულში ორპირიანია.

<u>B. “მოვიდა” ზმნასთან დაკავშირებული</u> <u>საკითხები</u>

“მოვიდა” – ზმნას მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად საზოგადო წესის მიხედვით “ჰ” სპირანტი უნდა ჰქონოდა, მაშასადამე, უნდა ყოფილიყო <u>მოჰვედ</u> (როგორც დავარდა - დაჰვარდი), მაგრამ ამ ზმნას <u>ჰაეს</u> ნაცვლად <u>ხანი</u> აქვს. ეს გარემოება კი სხვა ფონეტიკურ ცვლილებებსაც იწვევს: ზმნის ფუძის თავკიდური <u>ვ</u>ინი ხანის გვერდით “უ”-დ იქცევა, რომელიც მომდევნო <u>ინთან</u> შეერთებით “ჳ”-ს გვაძლევს”. (1,130)

ვიღებთ მეორეს პირის ფორმას: მოხუედ (მხ.რ.) და მოხუედით (მრ.რ.). მათი ბრძანებითებია: მოვედ (მხ.რ.) და მოვედით (მრ.რ.).
ასევე იქნება:

თხრობითი კილო	ბრძანებითი კილო
წარხუედ შენ	წარვედ შენ
შემოხუედ შენ	შემოვედ შენ
მიხუედ შენ	მივედ შენ
წარხუედით თქუენ	წარვედით თქუენ
შემოხუედით თქუენ	შემოვედით თქუენ
მიხუედით თქუენ	მივედით თქუენ და სხვა.

ჩვენ მიერ განხილულ წყაროებში ამ ზმნის მრავალი ფორმა გვხვდება:

მივედ და განისუენე სიკუდილსა შინა: სინ. 263,24.
მოვედ და ვასუათ მამასა ჩუენსა ღჳნოი: დაბ. 19,32.
მოვედით და შემომიდეგით მე: მ. 4,19. (c)
შევედ და დაწევ მისთანა: დაბ. 19,34.
წარვედ და მოუწოდე: გამ. 2,8.
აღდეგ და მოვედ მოყუასო ჩემო: სინ. 158,32.
წარვედ ჩემგან ‖ მართლუკუნ, ეშმაკო: მ. 4,10.
წარვედ, ეტყოდე ძეთა ისრაჱლთასა: გამ. 6,6.
შევედ უკუე მჴევლისა ჩემისა: დაბ. 16,2.
აღდეგ და მივედ დიდსა მას ქალაქსა ნინევედ: სინ. 102,25.
ლაზარე, აღდექ და გამოვედ გარე: სინ. 131,5.
აღდექ და აღვედ შენ ბეთელდ: დაბ. 35,1.
წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა: მ. 20,7.
განვედით ერისაგან ჩემისა: გამ. 12,31.
მივედით თქუენ პირველად კარად ეკლესიისა: სინ. 70,25.
აღიმსთუეთ და წარვედით გზასა თქუენსა: დაბ. 19,2.
მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო: სინ. 176,25.
მოვედით უკუე აწ, საყუარელნო: სინ. 20,23.
წარვედით წინაშე ჩემსა: დაბ. 36,16.

მაგრამ ამ ზმნების II ბრძანებითის II პირის ფორმა ემთხვევა წყვეტილის I პირის ფორმას. რამდენიმე მაგალითია, სადაც ეს ზმნები I პირის ფორმით გვხვდება:
შემეშინა და წარვედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა: მ. 25,25 (D).
შემოვედ სახლსა შენსა და წყალი ფერჴთა ჩემთა არა მეც: ლ. 7,44.
და შემეშინა, მივედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა მ. 25,25. (c)

იმისთვის, რომ განესხვავებინათ II პირის ბრძანებითი (მოვედ შენ) წყვეტილის I პირისაგან (მოვედ მე), ბრძანებითის ფორმებს აღარ უწერდნენ "ვ"-ს (შეიძლება იგი I სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გაგებული) და, ამგვარად ამ ორ სხვადასხვა მწკრივისა და პირის ერთმანეთს დამსგავსებულ ფორმას ფორმალურადაც ასხვავებდნენ:
მოვედ (მე-წყვ I პ.), მოედ (შენ-ბრძ. II პ.).

ამ სახით ეს ზმნები გვხვდება ტაბეთის (995 წლის) და მესტიის (1033 წლის) ოთხთავებში.
1) მეორე სუბიექტური პირი მხოლობით რიცხვშია
პირი დაიყავ და განედ მაგისგან: ლ. 4,35.
წარედ და უჩუენე თავი შენი მღვდელსა: ლ. 5,14.
განედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარი მე, უფალო: ლ. 5,8.
და ვჰრქჳ მას: წარედ! და წარვიდის; და სხუასა მოედ! და მოვიდის: ლ. 7,8.
განედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა: ლ. 14,21.
აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარედ სახიდ შენდა: ლ. 5,24.
მოედ და შემომიდეგ მე: ლ. 18,22.
აღდეგ და წარედ: ლ. 17,19.
2) მეორე სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვშია
წარედით! აჰა ესერა, მე წარგავლინებ თქუენ: ლ. 10,3.
მოედით და არქუთ მელსა მას: ლ. 13,32.

<u>წარედით</u> და მომიმზადეთ ჩუენ პასქაი: ლ. 22,8.
<u>მოედით</u> ჩემდა ყოველნი დამაშურალნი: მ. 11,28 (c)

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ამოღებულია ტბეთის ოთხთავიდან (გარდა უკანასკნელისა, რომელიც ადიშის ოთხთავიდანაა დამოწმებული).

ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920 (თხზულებანი, ტ. I, 1957);
2. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართულ ზმნებში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940.
3. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970, ტ. II, ნაწ. II, თბ., 1971.
4. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959 (თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5)
5. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართულ ზმნებში, ენიმიკის მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940.
6. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1, თბ., 1947.
7. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, თბ., 1948.

ლურჯ ფერთა პალიტრა (ცისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი, იისფერი) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

თამარ ცერაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** სრული პროფესორი

"გალაკტიონის პოეზიაში, როგორც პროფესიული მხატვრის სახელოსნოში, ფერების დიდი სიუხვეა: თეთრი, შავი, ლურჯი, ყვითელი, წითელი, ლალისფერი, მწვანე, სუროსფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, ლაჟვარდისფერი, მტრედისფერი, ზურმუხტისფერი, ქარვისფერი... და სხვანი". (1,141)

ამ შემოქმედის პოეტურ თხზულებებში თითოეული ფერის ხმარება-გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული ადგილი გააჩნია.

ენობრივი შესაძლებლობების გარეშე არ არსებობს მხატვრული სიტყვა. ამ უკანასკნელის შესაქმნელად თითოეული მწერალი საკუთარ ენაში მოქმედი კანონზომიერების სრული დაცვით მაინც ახერხებს თავის გარშემო შეიქმნას საკუთარი მიკრო-ენობრივი სამყარო.

გალაკტიონის პოეზიაში ფერთა მეტყველებას, გარდა მათი ვიწრო ენობრივი მნიშვნელობებისა, თან დაჰყვება ფართო ცნებითი მნიშვნელობებიც, რომლებიც მათ ქართულ ენაში არსებული მრავალრიცხოვანი ფერთა პალიტრა ორ მნიშვნელოვან ჯგუფად ნაწილდება.

პირველი ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია, მაგრამ ძირეული ზედსართავი სახელებისგან შედგება. ესენია: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და რუხი. ხოლო მეორე ჯგუფი თავისი აგებულებით რთულია და აღწერით წარმოებას მისდევს. კერძოდ, ამგვარ კომპოზიტთა პირველი ნაწილი ყოველთვის მართული მსაზღვრელია, ე.ი. წარმოგვიდგება, როგორც ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი და სემანტიკურად იგი ფერისათვის შესადარებელ ობიექტს წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილი გადმოიცემა მარტივი არსებითი სახელით „ფერი" (ვარდისფერი, ცისფერი, ყავისფერი და სხვა), ეს უკანასკნელი შესადარებელ საგანს ფერის მნიშვნელობას ანიჭებს.

ჩვენი დაკვირვების ობიექტია გალაკტიონის პოეზიაში ლურჯი ფერი და მასთან დაკავშირებული ფერთა პალიტრა (ცისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი და იისფერი).

ლურჯი - სასიამოვნო ფერი, ხალისიანი, რომელიც უმეტესად კარგ განწყობილებაზე აყენებს პოეტსაც და მკითხველსაც.

გალაკტიონ ტაბიძესთან ლურჯი ფერის გამოყენებას ზოგჯერ ემპირიული მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად მისი სიმბოლური დანიშნულებისა ლურჯი შეიძლება იყოს: „ცა“, „ზღვა“, „თვალები“.

ლურჯი, სიმბოლისტური ნაკადისათვის დამახასიათებელი ფერია. ლურჯ ფერს გალაკტიონთან ცისა და ზღვის სიღრმე გააჩნია. ეს ფერი სადღაც შორს, უსასრულო სიამოვნებისაკენ მიგვაქანებს:

„გეყოფა ლურჯი ნაკადი ცისა
ხალისიანი და გამჭვირვალე“ (III. 111)

ან:

„ლურჯ მთების ზოლი,
ლურჯ ცის სივრცეში
შორს... უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება“ (I. 159)

ან კიდევ:

„შორს-სადღაც იალქანია,
ახლო გემები...თოლია.
ზღვა ლურჯად გადაფენილა,
ცა ლურჯად გადასწოლია“ (V. 126).

გალაკტიონ ტაბიძისათვის ლამაზია და სპეტაკი „ლურჯი თვალები“, რომლის მზერაც აღტაცების გარეშე შეუძლებელია: „მან თავისი დიდი, ფართო, ლურჯი თვალები ჩემს თვალებს გაუყარა ისეთი სიძლიერით, რომ მე დიდხანს არ შემეძლო თვალების გაშტერება“(XII. 300).

ზოგჯერ „ლურჯი“ მსაზღვრელ სახელად ისეთ შემთხვევაში გვხვდება, სადაც ნაკლებად არის მოსალოდნელი. მაგ.: „ლურჯი კომში“, „ლურჯი მოგონება“, „ლურჯი ფუტკარი“, „სპილო-ლურჯი“, „ლურჯი სარეცელი“ და სხვა:

„არა ველური გორავდა სპილო,
არამედ ლურჯი, როგორც ველები“. (VII. 341)

ან:

„მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“ (მეთორმეტე 280)

„გალაკტიონის ფერთა სამყაროში ყველაზე უფრო სრულფასოვანი გამები ლურჯ ფერთან არის დაკავშირებული.“ (1, 142)

გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონში აღნუსხულია ლურჯი ფერის გამოყენების 209 შემთხვევა. (2, 1146-1148)

აღსანიშნავია ის, რომ ყველაზე ხშირად ლურჯი არის: „ზეცა“, „ზღვა“, „ტალღა“, „თვალები“. გვხვდება აგრეთვე: „ლურჯი წიგნი“, „ლურჯი ცხენები“, „ლურჯი წყალი“, „ლურჯი თენება“, „ლურჯი ნისლი“, „ლურჯი ბურუსი“ და მრავალი სხვა.

შინაარსობრივი ფორმულირებით ლურჯ ფერთან ყველაზე ახლოს დგანან: ცისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი, იისფერი.

ცისფერი - „რაც ფერით ცას მოგვაგონებს, ღია ლურჯი“ გალაკტიონ ტაბიძისათვის ცისფერი, ისევე როგორც ლურჯი, ყველაზე სასურველი ფერია. იგი აღმნიშვნელია ყოველივე კარგისა და ძვირფასისა, ამიტომ გალაკტიონის პოეზიაში მერის სახელი ცისფერის ასოციაციას იწვევს:

„აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
„როგორც ქალწულის სახელი მერი
არის ცისფერი და მწუხარება“.(I.316)

„ცისფერი“ შეიძლება იყოს როგორც რეალური, ისე აბსტრაქტული მნიშვნელობის მატარებელი, მაგ.: „ცისფერი ლანდები“, „ცისფერი ხვამლი“, „ცისფერ თვალთა ცქერა“ და სხვა. „ცისფერი მდინარება“, „ცისფერი სახელი“ - ტროპული აზროვნების ნაყოფია.

„სულ რაღაც ორიათას
წლის ცისფერი მდინარება“. (VI. 252)

ან:

„რომელ მიწას სტკეპნიდნენ ნაბიჯები,
ჯარისკაცნი ბნელში იგინებოდნენ,
იქნებ თვით ჩვენ, ან იქნებ თვით მტრები,
გახვეულნი ცისფერ ფარაჯებშია... (III. 602)

მტრედისფერი - ღია ლურჯი, მოცისფრო ცის მუდმივი ეპითეტია. გალაკტიონ ტაბიძისათვის მტრედისფერია ცა, რომელიც მუდამ ლამაზი, ღრმა და ხალისიანია. მაგ.:

„იმ წელს, მახსოვს,
პირველ ივნისს

მზე ბრწყინავდა ძლიერი
ცა მტრედისფერ სიახლით
ელავდა, მშვენიერი“. (VIII. 204)

ან:

„აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით
ენთება შენი შარავანდედი,
მტრედისფერ ცაზე სიხარულია,
მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა გედი“. (III. 181)

გალაკტიონთან მტრედისფერი ლურჯის სინონიმია, ამიტომ თვით გალაკტიონი რამდენიმე ადგილას წერს:

„ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით
ისე არის დასერილი...
ვით რითმებით ეს წერილი“ (I. 151)

ან:

„ისინი ხან უზარმაზარ ცისფერ, მტრედისფერ, ლურჯ ზვინებად და გროვებად გამოცურდებიან შორს. ინთქმებიან, იკარგებიან, იძირებიან რა ჰაეროვან ბურუსში და თითქოს მზად არიან გაჰქრნენ“. (XII. 576)

გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონში აღნუსხულია „მტრედისფერის“ გამოყენების 21 შემთხვევა (2,443)

გალაკტიონთან მტრედისფერია: „ცა“, „გზა“, „სივრცე“, „განათება“. გალაკტიონის პოეზიის გაცნობისას ჩვენ დავინახეთ, რომ მის პოეზიაში მტრედისფერი ძირითადად ცაა. მაგ.:

„ისმოდა ჩქარი გრგვინვით „ოსანა“,
„ოსანნა“ ხალხი იმეორებდა.
და მტრედისფერი სიღრმე გუმბათის
ვარსკვლავთა შორის სინათლეს ჰკრებდა“... (VII. 69)

ან:

„მტრედისფერ ცისქვეშ ველს მოერტყა,
ვით არყა ფრთხილი,
თუთუნი, ტუნგო, გერანები
და ზეთისხილი“ (V. 84)

ან კიდევ:

„უღრუბლო მტრედისფერ ციდან ცეცხლოვანი მზე დაგავდა მცენარეებს, ახურებდა ქვაფენილს და სახლებს, რომლებიც ვერ ასწრებდნენ ღამღამობით გაცივებას“. (მეტორმეტე 635) და სხვა.

ზღვისფერი - „ეს არის ფერი, რომელიც ზღვას მოგვაგონებს, - ლურჯი, ლაჟვარდი“. გალაკტიონ ტაბიძესთან ზღვისფერი გამოყენებულია ექვსჯერ და ყველა შემთხვევაში მშვიდ, კარგ და ხალისიან განწყობილებას ქმნის. ზღვისფერი არის ღრმა, უძირო და უსრული ფერი. ამიტომაა, რომ გალაკტიონთან ზღვისფერია: თვალები, დილა, მთები, ქარი და სხვა.

„ის მიყურებდა
იდუმალების
ცქერაში ძგერით
უზარმაზარი
ზღვისფერ თვალების
საოცარ მზერით“. (IX. 261)

ან:

„ტალღებთან ერთად ბევრი
იყო ზღვისფერი ქარი:
ჟღერდა ოცნება-მჭევრი,
ძვირფასი ოქროს ქნარი“. (VI. 143)

ან კიდევ:

,,ავიღებ ხელში ისევ დიკენს,
წავალ ზღვის პირად,
ღრუბლებმა მთები მოათივთიკეს
ზღვისფერ-ცისფერად.“ (VI. 476)

აღსანიშნავია, რომ ზღვისფერი გამოყენებულია ლურჯისა და ცისფერის სინონიმად.

იისფერი - ,,რაც ფერით იას მოგვაგონებს, - მოწითალო-ლურჯი“.

იისფერი ფერთა ძირითად შვიდეულში შედის, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ იისფერი, ისევე როგორც სხვა „ფერით“ ნაწარმოები კომპოზიტები, ქართული ენისათვის ძირეული არ არის.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ნაწარმოებებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ იისფერი შეიძლება იყოს:

„საღამო“, „დღე“, „ფურცლები“, „ჩქერი“.
„ღვრის იისფერი დღე ლბილი
ოცნებას ცისფერ რამეზე,
ნანგრევზე არის გაშლილი
დიდება და სილამაზე“.(V. 21)

ან:

„აგერ პატარა,
იისფერი
ფურცლების გროვა“ (V. 176)

„გალაკტიონის ენის ლექსიკონში“ აღნუსხულია იისფერის გამოყენების 19 შემთხვევა. (2, 781)

პოეტურ შესიტყვებებში არის როგორც პრეპოზიციული, ასევე პოსტპოზიციური წყობა, თუმცა, ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებად გვხვდება.

გალაკტიონ ტაბიძისათვის იისფერია: „თოვლი“, „მზერა“. ეს გალაკტიონისეულია, მისი ინდივიდუალური თვალთახედვაა:

„ან და ზამთარში, როდესაც თოვდა,
„იისფრად თოვდა"
და ამ თოვამ
შეგვყარა თმენა უსაზღვრო. (VII. 174)

ან:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ (I. 301)

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ „იისფერი თოვლი“ აშკარად პოეტის მხატვრული აზროვნებით დანახული სინამდვილეა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თოვლი ფიზიკურად მხოლოდ თეთრი არსებობს, მაგრამ: თოვლი გალაკტიონთან ხან იისფერია, ხან ლურჯი, ხან დაღლილი თითებივით მკრთალი, ხან ზამბახისფერი, ხან ბროლივით გამჭვირვალე, ხან მარმარილოსავით ცივი და თეთრი, ხან ვარდისფერი, ხან კიდევ:

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს
ივლისისფერი ყინვის თასებით!
სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლო ფარჩა და ალმასები“ (3, 128)

„გალაკტიონი ფერს ხედავს, გრძნობს, ისმენს („და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს“). იგი ფერების მოძრაობით ქმნის საოცარ სურათებს, ფერების სიმფონიით ხატავს სახალხო ზეიმსა და სიხარულს:

„გამარჯვების დღე ყველას ძმობილობს,
არის მშვენიერ ფერთა შეხვეწა“ (1, 145)

ლიტერატურა:

1. ა. ხინთიბიძე, გალაკტიონის პოეტიკა, თბ., 1987.
2. თ. სანიკიძე, ც. სანიკიძე, გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993.
3. გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
4. თ. ჭილაძე, გალაკტიონ ტაბიძე, თბ., 1973.
5. გ. ტაბიძე, ტ. I-XII, 1966-1973.

უკავშირო შეერთება კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მიხედვით

მარიამი ხარიბეგაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** სრული პროფესორი

ერთგვარ წევრთა შეერთება ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.

კავშირიანი შეერთების დროს ერთგვარ წევრთა გადასაბმელად გამოიყენება საგანგებო სიტყვები - მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი.

მაჯგუფებელი კავშირებია: და, თუ (და-ს მნიშვნელობით), ც-ც, არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც, კიდეც-კიდეც, როგორც-ისე, არა მარტო-არამედ, არა თუ-არამედ.

მაცალკევებელი კავშირებია: ხან-ხან, (ხან-ხანაც), ხან-ხან კიდავ, ან-ან (ან-ანდა, ან-ან კიდევ), თუ, გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ.

მაპირისპირებელი: მაგრამ, ხოლო, კი, ოღონდ, თუმცა, არამედ.

მაიგივებელი: ანუ, ესე იგი.

უკავშიროა შეერთება თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად არ არის გამოყენებული საგანგებო სიტყვა-კავშირი. ასეთ შემთხვევაში „არაერთგვარ წევრთა შეერთების მთავარ საშუალებას წარმოადგენს ინტონაცია: ყოველი ერთგვარი წევრი თანაბარმახვილიანია, ერთმანეთს შორის კი პაუზაა, ე.ი. ერთგვარ წევრთა წარმოთქმისათვის დამახასიათებელია ე.წ. ინტონაცია“. (1. 230)

„ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთება ქმნის ღია, დაუხშავ კონსტრუქციას. ახლავს იერი ერთგვარ წევრთა ჩამოთვლის დაუმთავრებლობისა, ე.ი. ქმნის შესაძლებლობას, დაემატოს ახალი ერთგვარი წევრი. უკავშირო შერწყმულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, ჩამოთვლა-დაჯგუფებაა ერთგვარი წევრებისა, ამიტომ მათ შორის შეიძლება ჩავსვათ მაჯგუფებელი კავშირი „და“.

უკავშიროდ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები ერთდება, რომლებიც ავსებენ და აზუსტებენ ერთმანეთს.

„რთული ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან და აზრობრივ-ინტონაციურად ერთ მთლიან დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს (2, 445).

სამეცნიერო ლიტერატურაში რთული წინადადება სინტაქსურ კავშირთა და საერთოდ გრამატიკული მნიშვნელობით ორ სტრუქტურულ ჯგუფად იყოფა: რთულ თანწყობილად და რთულ ქვეწყობილად. წინადადებათა თანწყობას პარატაქსს უწოდებენ, ქვეწყობას - ჰიპოტაქსს.

„თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეკავშირება-შეერთებას, ხოლო თანწყობის შედეგად მიღებულ წინადადებას თანწყობილი წინადადება ჰქვია.“ (1; 306)

ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც გრამატიკულად არ არიან ერთი მეორის მიმართ თანასწორნი, ერთი გაბატონებულია, მეორე მასზე დაქვემდებარებული.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებია: მთავარი და დამოკიდებული წინადადება.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს მაერთებელი კავშირები აერთებენ. რთული ქვეწყობილისას კი - მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები (წევრ-კავშირები).

რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი.

მაჯგუფებელი: და, თუ.

მაცალკევებელი: ან-ან, ან-ანდა, არადა, ან-ან კიდევ.

მაპირისპირებელი: მაგრამ, ხოლო, კი.

მაიგივებელი: ანუ, ესე, იგი.

კავშირების გარდა თანწყობილში გამოყენებულია უკავშირო შეერთება. ეს მოვლენა გვხვდება ხალხურ მეტყველებაში, სალიტერატურო ენასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

„უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებად გვესმის ისეთი რთული წინადადება, რომლის შემადგენელი მარტივი წინადადებები გრამატიკულად გაფორმებულია, როგორც დამოუკიდებელი წინადადებები. ასეთი წინადადება კავშირიანი თანწყობილი წინადადებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ კავშირის ადგილს პაუზა იკავებს.“ (1, 28)

ტრადიციულად, როცა რთული წინადადების ნაწილები წარმოდგენილია ერთ მთლიან სინტაქსურ ოდენობად ინტონაციის საშუალებით, კავშირისა და საკავშირებელი სიტყვების დაუხმარებლად, ე.ი. გარეგანი გაფორმების გარეშე, ასეთი წინადადება იწოდება უკავშირო რთულ წინადადებად (3, 178).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგანგებო კავშირებისა და მაკავშირებელი სიტყვების გარდა, რთული წინადადების შემადგენელი წინადადებები ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს ფორმალური კავშირის გარეშე, მხოლოდ ინტონაციით, ე.ი. უკავშიროდ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უკავშირო რთული წინადადება შედგება ერთმანეთთან ინტონაციით დაკავშირებული ნაწილებისაგან, ცნობილია, ასევე, რომ მარტივი წინადადება წარმოშობილია უფრო ადრე, ვიდრე რთული წინადადება, ხოლო რთულ წინადადებათაგან რთული თანწყობილი უფრო ადრეა წარმოშობილი, ვიდრე რთული ქვეწყობილი და, რაც მთავარია, უკავშირო რთული წინადადების ჩამოყალიბება წინ უსწრებდა კავშირიანი წინადადების ჩამოყალიბებას.

მაგრამ ასეთი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ ვამტკიცოთ რთული წინადადების განვითარებისათვის მხოლოდ ეს გზები არსებობდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უკავშირო რთული წინადადებით უფრო მდიდარია ცოცხალი მეტყველება, ხოლო დაკავშირების მრავალფეროვნებით ხასიათდება სალიტერატურო ენა.

რა განსხვავებაა კავშირიანსა და უკავშირო წინადადებას შორის?

მათ შორის განსხვავება სცილდება საკავშირებელი სიტყვების არსებობას. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უკავშირო რთული წინადადებისათვის დამახასიათებელია ოთხი ძირითადი ტიპი ინტონაციისა. ესენია: ჩამოთვლის, დაპირისპირების, დაქვემდებარების და ახსნის (4, 64).

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოდ, უკავშირო შეერთება დამახასიათებელია ზეპირი, სასაუბრო მეტყველებისათვის და სალიტერატურო ენა უფრო მეტად იყენებს კავშირიან შეერთებას. იგივე აზრი შეიძლება გავრცელდეს მხატვრულ ლიტერატურაზეც, მაგრამ ზოგიერთი მწერლის შემოქმედება საგანგებოდ იპყრობს ყურადღებას სწორედ უკავშირო შეერთებით. ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით შემჩნეულია ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის და, განსაკუთრებით კი, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.

ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება.“

რომანში მწერალი იყენებს კავშირიან და უკავშირო წინადადებებს.

განვიხილავთ უკავშირო შეერთებას.

„მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიას უხვად აქვს გამოყენებული უკავშირო შერწყმული, უკავშირო თანწყობილი და უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები.

<u>უკავშირო შერწყმული წინადადება</u>

წინადადებები შერწყმულია შემასმენლების, განსაზღვრებების, ქვემდებარეების, დამატებებისა და გარემოებების მიხედვით.

<u>ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადება</u>

რომანში ყველაზე ხშირია შემასმენლის მიხედვით შერწყმული წინადადება:

1. ძაღლი <u>შემოვიდა</u> ოთახში, თაფლისფერი კეთილი თვალებით <u>შემოხედა</u> თარაშს (6, 762).

2. <u>მიდიოდა</u> ფეხშიშველა ლუკაია, <u>მიტოპავდა</u> მუხლამდის ჭოჭყოში (6, 769).

3. ჭილისქუდიანი კამეჩზე <u>იჯდა, მოიმღეროდა,</u> ზანტად <u>უტლაშუნებდა</u> სახრეს მარქაფად მომავალ კამეჩს (6, 284).

<u>ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადება</u>

1. მიდიოდნენ... <u>ბარდები, ძეძვები, ჯაგები.</u> (6, 182)

2. წამოვიდოდნენ აფხაზეთიდან <u>შარვაშიძეები, ემხვარები</u> (6, 35).

<u>ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება</u>

1. <u>ცაცხვების, ნაძვების, კოპიტების</u> წვეროკინებზე მოყვითანო შუქი კიანთობდა (6, 310).

2. საკურთხევლის წინ უმწეოდ დაბორიალებდა <u>დაჩიავებული, ტანმორჩილი</u> მოხუცი მღვდელი. (6, 524)

<u>რამდენიმე მაგალითია პირდაპირ დამატებითი შერწყმული წინადადებისა</u>

1. აქებს მის <u>სიკარგეს,</u> მის <u>სინაზეს</u>, <u>გულითადობას.</u> (6, 581)

2. აჩვენებდა თამარს სპორტის <u>სურათებს</u>, ტენისის მოედნის, დერბის სანახებს, ახალი მოდის კაბების <u>ფოტოგრაფიებს.</u> (6, 83)

<u>ირიბი დამატებითი შერწყმული წინადადება</u>

1. სიქსტიის კაპელლაში კიდევ ერთხელ შევხედე პერუჯინოს „კლიტეების გადაცემას“, მიქელანჯელოს, „ჯიუდეციო უნივერსალეს“ (6, 337).

<u>უკავშირო თანწყობა</u>

„მთვარის მოტაცებაში“ უკავშირო თანწყობა რიცხვობრავად სჭარბობს უკავშირო ქვეწყობას.

1. უკავშირო თანწყობილი წინადადებების ნაწილები გამოხატავს მოვლენათა დაპირისპირებას:

1. კატო გათხოვდაო, ჯოღორიას ცოლი შევრთეთო (6, 322).

2. თარაში შინ შემოვიდა, ძაღლმა ყმუილი მიატოვა, მუხნარისაკენ შეუტია (6, 739).

3. ლოიდ ჯორჯ პითიასავით ლუღლუღებს, ჰინდერბურგი იმუქრება (6, 317).

2. უკავშირო თანწყობილი წინადადებების ნაწილები გამოხატავს მოვლენათა თანმიმდევრობას:

1. წვერი მკერდამდის უწევს, თმა გაჟღალებია, დაბერებულა, მოტეხილა ბედშავი (6, 734).

2. გაწოლილიყო სიგრძეზე შავი ძუ ძაღლი, შვიდი ფერად-ფერადი ლეკვი დასეოდა ვაგლახად გაძვალტყავებულ ცხოველს (6, 57).

3. სახეზე წამოწითლდა თამარი, თვალის უპეები გაუგანიერდა, ბალიშები გამოაცალეს (6, 724).

თანწყობილ წინადადებაში ყველაზე ხშირად „და“ კავშირია გამოტოვებული.

<u>უკავშირო წინადადების სტილური დანიშნულება</u>

„მთვარის მოტაცებაში“ წინადადებათა და სიტყვათა უკავშირო შეერთებას აქვს თავისი მხატვრული, სტილური ფუნქცია. კავშირის გამოტოვება არის ერთგვარი საშუალება რიტმის შესაქმნელად.

როდესაც მწერალს სურს, რომ თხრობას მისცეს მეტი ბუნებრიობა, ამიტომ სტოვებს კავშირს.

რთულ წინადადებაში რიტმს ქმნის: ა) „შემადგენელი ნაწილების მარცვალთა თანაბარი რაოდენობა“.

1. შეირთავდა ლამარიას, ტარბებს წორს გაუგზავნიდა. (6, 698)

2. მივედი დილით, დიდხანს ვაღვიძე (6, 716)

3. თოფი გავმართე, შევეხმიანე. (6, 575)

ბ) რთულ წინადადებებში შემავალი თითოეული მარტივი წინადადების შემადგენელი სიტყვების ტოლი რაოდენობა.

1. მიდიოდა ფეხშიშველა ლუკაია, მიტოპავდა მუხლამდის ჭოჭყოში. (6, 769).

2. მაიას ელდა ეცა, კოვზი გაუვარდა ხელიდან. (6, 516)

3. გვასალიას ბიჭმა იდროვა, გვერდით მიუჯდა თამარს. (6, 256).

<u>ორწეტილის ფუნქციისათვის</u>

„მთვარის მოტაცებაში“ უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში კავშირის ნაცვლად გამოყენებულია ორწერტილი. იგი უმეტესად „რომ“ კავშირის როლს ასრულებს.

„რადგან მთავარ წინადადებასთან დაკავშირების საშუალებად გამოყენებულია ორწერტილი, ხოლო ორწერტლის შემდეგ ველოდებით რაღაც ახალს, უცნობს, ძირითადს და არა დამოკიდებულს, ამიტომ ყურადღება რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულებაზე მახვილდება.“ (5, 146).

ორწერტილი გვხვდება ქვემდებარულ, პირდაპირ, ირიბ და უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში.

<u>პირდაპირი</u>

1. ვგონებ, ისიც შენიშნა არზაყანმა: ნიკაპი უტოკავდა დამწუხრებულ თამარს. (6, 230)

2. თარაშმა შენიშნა: უკვე მიჩვეოდა ლუკაია ალკოჰოლს. (6, 743)

<u>ირიბი</u>

1. არზაყანმა თვალი ჰკიდა: გაქცეულ თამარის ფეხთით რაღაცამ იელვა. (6, 185)

2. ერთს ვერ შეურიგდა კაროლინა: აფხაზური წესით ქმრის სახელზე დადებულ ტაბუს. (6, 61)

<u>უბრალო</u>

1. დარწმუნებული იყო: არზაყან მის გვარს არ შეარცხვენდა. (6, 204)

2. კაროლინა დარწმუნებული იყო: ლუკაიას მოძებნა გამოარკვევდა ყოველივეს. (6, 281)

<u>ქვემდებარული</u>

1. აღმოჩნდა: მისი ხარი მთლად თეთრი ყოფილა. (6, 227)

როგორც ვნახეთ, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ გამოყენებული აქვს უკავშირო შერწყმული, უკავშირო თანწყობილი და უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები. იგი ხშირად იყენებს შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებებს. გამოყენებული აქვს რამდენიმე წევრის მიხედვით შერწყმული წინადადებები. ასევე, უკავშირო თანწყობა სჭარბობს უკავშირო ქვეწყობას. იყენებს უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებს, დამოკიდებულის სახეებს: ქვემდებარულს. დამატებითს, გარემოებითსა და განსაზღვრებითს. უკავშირო შეერთებას აქვს თავისი სტილური ფუნქციაც. გამოიყენება თხრობის ექსპრესიულობისა და დინამიურობისათვის. უკავშირო შეერთება კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ერთ-ერთი საშუალებაა თავისებური სტილის შესაქმნელად.

ლიტერატურა:
1. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
2. А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956.
3. ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბ., 2004.
4. ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969.
5. თ. ინჯია, „დიდოსტატის მარჯვენის“ ენა და სტილი, თბ., 1974.
6. კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, "ქართული რომანი", "მერანი", თბ., 1990.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ნიკო ლომოურის ხალხოსნურ-განმანათლებლური მოღვაწეობა და ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსი

ეველინა თარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე,** უფროსი მასწავლებელი

ნიკო ლომოური (1852-1915) თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართლის სოფლებთან, გლეხობასთან. თავის ნიჭს უანგაროდ ახმარდა ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. იგი დიდი ქართველი პედაგოგისა და მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი იყო. დიდ მოღვაწეს ნიკო ლომოურის მითითებით არაერთი შესწორება შეუტანია თავის „ბუნების კარში“. თბილისის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროს ნიკო ლომოურისათვის იაკობ გოგებაშვილს გაუცვნია დიდი ილიას „გლახის ნაამბობი“ და სხვა თხზულებები, რასაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მომავალ მწერალზე: „ენით გამოუთქმელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე ილიას „გლახის ნაამბობმა“, რომელშიც ისეთის გრძნობით არის აღწერილი გლეხკაცი... მოხსენებულმა წიგნმა ახლა სხვაგვარი პატივისცემა აღძრა ჩემს გულში გლეხებისა“ ... როგორც ვხედავთ, ნიკო ლომოურის შემოქმედების ეროვნულ-ხალხური ხასიათი დიდად განსაზღვრეს დიდმა სამოციანელებმა. თავის ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „შედგა გარკვეული მიმართება... მის გზას დავადექი და მას აქეთ ამ გზისთვის არ გადამიხვევია ...ხალხოსნობა გადაიქცა ჩემი სიცოცხლის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად“... შემორჩენილია ნიკო ლომოურის და „დედაენის“ ავტორის მეგობრობის ამსახველი წერილი, რომლის მიხედვითაც იაკობ გოგებაშვილს ერთი გამხელილი ანტირუსული წერილის გამო ციმბირში გადასახლებას უპირებდნენ: „მოახლოვებულია ჩემი გამგზავრება ჩრდილოეთისკენ და ეს ხომ სიკვდილით დასჯაზე უარესია ჩემისთანა სნეულისთვის... გეთაყვა, ჩემი და ანუგეშე, ჩემს ძმისწულსაც ყური უგდე...“

როგორც მწერლის მემკვიდრეებმა და სოფლის უხუცესებმა გადმოგვცეს, ნიკოს ძალიან უყვარდა მშობლიური არბო. მისი სოფელში ყოფნა დღესასწაულს უდრიდა. მთელ დროს ხალხში ატარებდა. კვირაობით ხშირად დადიოდა ეკლესიაში. პატარა ლიახვის სოფლები იყო მისი შემოქმედების წყარო. მეზობელი მერეთიდან მასთან ხშირად სტუმრობდა ნიჭიერი მწერალი ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ცნობილი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი და სხვები. ნიკო ლომოურის საგანმანათლებლო საქმიანობის მთავარი დასტური არბოში მის მიერ გახსნილი სკოლა

იყო, რომელსაც თავადვე ამარაგებდა წიგნებით და სხვა სასწავლო ნივთებით. იგი გლეხთა ნამდვილი ქომაგი და მოამაგე იყო.

1884 წლიდან ნიკო ლომოური გორის საოსტატო სემინარიაში მასწავლებლობს. ე. ქარელიშვილი მწერლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში წერს, რომ მას არასაიმედოდ მიიჩნევდნენ რუსი მოხელეები. „ერთ დღეს სასწავლებელში მოსწავლეებს დემონსტრაცია გაემართათ სამართლიანი მოთხოვნით, დაუმტვრევიათ ფანჯრები და ავეჯი. სასწავლებლის მმართველს სლოვინსკის ნიკოსთვის უთქვამს მოსწავლეები შენი წაქეზებულიაო. „ქაჯანას“ ავტორს გვარიანი სილა გაურტყამს რუსი მოხელისათვის. ამ ფაქტმა ერთი ორად გაზარდა ნიკო ლომოურის ავტორიტეტი მოსწავლე-მასწავლებლებში. სიძნელეები მრავლად იყო მწერლისა და პედაგოგის ცხოვრებაში. სემინარიაში ნიკო ლომოურის მოსწავლეები იყვნენ ი. რუხაძე, თ. რაზიკაშვილი, შ. მღვიმელი, ნ. აზიანი, ა. ერისთავ-ხოშტარია, ია ეკალაძე და სხვები.

„ალის“ ავტორს დიდი წვლილი მიუძღვის გორის თეატრალურ ცხოვრებაში. იგი იყო გორის დრამატული წრის აქტიური წევრი. გორის თეატრის მოყვარენი ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს გორსა და მის მიმდებარე სოფლებში, რითაც ხალხში შეჰქონდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები. ნიკო ლომოური თავად იყო შემფასებელი დადგმების ავკარგიანობისა.

ათეული წლების განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ნიკო ლომოურის შემოქმედება ანტირელიგიური იყო. ასეთი გაგება მისი თხზულებებისა არასწორად გვეჩვენება. პირველ რიგში იმიტომ, რომ მწერალი სამღვდელო ოჯახიდან იყო. მისი ძმაც და ბიძაც სასულიერო პირები იყვნენ. წერა-კითხვა სოფლის დიაკვანმა შეასწავლა. მან დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მანამდე კი პირველდაწყებითი სასულიერო განათლება გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მიიღო. იგი ახლოს ურთიერთობდა ქართული ეკლესიის ისეთ სახელოვან მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ წმინდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), წმინდა კირიონი (საძაგლიშვილი), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი – შემდეგში საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ლეონიდი და სხვები. გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმში მათი ურთიერთობის ამსახველი არაერთი წერილია დაცული. 1915 წელს ეპისკოპოსი ლეონიდი მეტად საინტერესო წერილს წერს მწერალს: „უღრმეს მადლობას მოგიძღვნით კეთილი ხსოვნისა და თქვენი მშვენიერი მოთხრობების მოწოდებისათვის... თქვენი პიროვნება მუდამ გაცისკროვნებული იყო ჩემს სინამდვილეში... უკანასკნელ დღეებში ერთმა გარემოებამ კიდევ გამიორკეცა ესეთი ჩემი წარმოდგენა... ცნობილმა ბელეტრისტმა დ. კლდიაშვილმა მიამბო, რომ ქართული ენა შემაყვარა და კალამი ამაღებინა ნ. ლომოურმა, როდესაც ის კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდაო... თქვენ რომ სრულებით არა დაგეწერათ რა, მაინც დაუვიწყარი იქნებოდით ქართველი ერისათვის, რადგან დ. კლდიაშვილი თავის მწერლობას თქვენი პირადი გავლენით ხსნის...“(ლიტ. მუზეუმი, ხ№.19760). მნიშვნელოვანია დიდი სასულიერო მოღვაწისაგან ასეთი შეფასება მწერლის შემოქმედებისა. რა თქმა უნდა, ეპისკოპოსი ლეონიდი ღვთის მგმობ ნაწარმოებებს „მშვენიერ მოთხრობებს“ ვერ დაარქმევდა. თუ კარგად დავაკვირდებით მის მოთხრობებს და წერილებს, პირიქით, მასში ღვთისმოსაობას დავინახავთ. ის, რომ მწერალმა საბავშვო ნაწარმოებებში მკაცრად გაამათრახა ცრუმორწმუნეობა, გლეხთა გულუბრყვილობა, სულაც არ ნიშნავდა ღვთის უარყოფას.

ჭეშმარიტი სარწმუნოება მუდამ ემიჯნება მკითხავ-მჩხიბავებს, ცრუწინასწარმეტყველებს. ავტორი ამ პოზიციიდან აკრიტიკებს ხალხში არსებულ მავნე ტრადიციებს, უსულგულო მამასახლისებს და ვერცხლის მოყვარე სასულიერო პირებს. ზემო აღნიშნულ თემას ეხება მწერლის პირველი მოთხრობა „ალი“. „ამ მოთხრობამ განუხრელი სიხარული გამოიწვია ჩვენში“- წერდა დ.კლდიაშვილი. „ალი“ ძალიან მოწონებია ილია ჭავჭავაძეს და ავტორისთვის ქების წერილიც მიუწერია. მოთხრობაში რეალისტურადაა დახატული ქართველი გლეხის ცხოვრება. მწერალი სულიერად იტანჯება სოფელში გამეფებული სიბნელითა და ჩამორჩენილობით, გმობს ცრუმორწმუნეობას. ნიკო ლომოურის მონოგრაფიის ავტორი ე. ქარელიშვილი წერს, რომ „ამ მოთხრობით მწერალმა ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობასო“. მისი აზრით, ქრისტიანობა იყო „ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის საფუძველი“. ასეთი შეხედულება მცდარია. მკვლევარი ე. ქარელიშვილი ათეულობით სხვა მეცნიერ–ავტორთა მსგავსად იძულებული იყო დამორჩილებოდა კომუნისტ იდეოლოგთა დოქტრინას: ესა თუ ის მწერალი, ამ შემთხვევაში ნიკო ლომოური და მისი ნაწარმოებები ანტიქრისტიანულად მიაჩნია. ეს იყო კომუნიზმის ტოტალური ბრძოლა მართლმადიდებლობასთან, რაც საბედნიეროდ პირველის კრახით დასრულდა. თუ „ალი“ მართლაც ღვთის მგმობი ნაწარმოები იყო, როგორ მოეწონებოდა იგი ილია მართალს? უსწავლელი და გაუნათლებელი კაცის მძიმე ხვედრს კიდევ უფრო აუარესებდა გამოგონილი სიყალბე და ვითომ ტრადიცია. მწერალმა მოთხრობაში ცხადად უჩვენა ის მავნეობა, რომელიც მოსდევდა ბრმა

მორჩილებასა და მკითხავებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებას. ნიკო ლომოური გულმხურვალედ ესარჩლება მშრომელ გლეხებს და ცდილობს დაანახოს თავისი უძლურებისა და გაჭირვების მიზეზი. მწერლის მიერ უსარგებლო და მავნე ჩვევების დაგმობა, ბნელი ძალების – ქაჯების, ალების, ეშმაკების და სხვათა არარსებობის მტკიცება იმავდროულად ნიშნავდა მოწოდებას ჭეშმარიტი რწმენის აღდგენისა.

ხალხში გავრცელებული შეხედულებანი და წარმოდგენები აპარტახებს არაშენდაათ ერთ დროს ძლიერ ოჯახს. სიტყვა ,,არაშენდა" სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ ასეთი ცრურწმენებით ვერც ოჯახი და ვერც ქვეყანა აშენდება.

შეცდომას შეცდომა მოსდევს – გლეხები არა ჭეშმარიტ ღმერთს სთხოვენ შველას, არამედ კიდევ უფრო ეხვევიან მკითხავ-მატყუარათა ხლართებში. მუქ ფერებშია დახატული სოფლის მღვდელი და დიაკვანი, რომელთაც ევალებათ სათნოებისა და თანაგრძნობის გამოჩენა. ისინი პირიქით იქცევიან, სარგებლობენ გლეხთა უმწეო მდგომარეობით - დავიწყებიათ რისთვის გამოარჩია ისინი უფალმა.

როდესაც მოთხრობას ,,ალი" ვკითხულობთ, შეიძლება ვიფიქროთ, ხელოვნური ხომ არ არის ეს ყველაფერი? მაგრამ თუ გადავხედავთ მე-19 საუკუნის შუა წლების ქართულ სოფელს, სადაც ჩამკვდარი იყო სწავლა-განათლება, ღვთის მსახურება, რუსი ჩინოვნიკების წყალობით მოშლილი იყო საერო თუ სასულიერო ცხოვრება, მაშინ იგი აღარ მოგვეჩვენება გაზვიადებულად. უღმერთობა უზნეობას ბადებს. უზნეობა კი ათასგვარი სისაძაგლის წყაროა. მწერალი იმიტომ ააშკარავებს ამ მანკიერებებს, რომ დამპყრობლის მიერ უფლებააყრილი ერი ქრისტიანობისკენ მოახედოს. ესაა მწერლის თხზულებათა მთავარი ტენდენცია.

,,ქაჯანა" აგრძელებს ,,ალში" წამოჭრილ პრობლემას. ავტორი აქაც მთავარ ყურადღებას აქცევს განმანათლებურ შეხედულებების ქადაგებას. „ქაჯანას" მოქმედებაც ქართლის ჩამორჩენილ სოფელში ხდება, სადაც თავისუფლად ბატონობს ადამიანისთვის ყველაზე ვერაგი რამ - ცრუმორწმუნეობა. ბნელი ძალების გავლენისაგან გლეხის ხსნა მხოლოდ ქრისტიანულ საწყისებზე დაფუძნებულ სწავლა-განათლებას შეუძლია. ამ მოთხრობაშიც ქაჯები, ეშმაკები და ჭინკები ,,მოქმედებენ", მაგრამ მოთხრობის ფინალი უფრო თავისებურია. ცრუ ტრადიციას აყოლილი მშობლები არწმუნებენ პატარებს, რომ ჭიაკოკონას დანთება აუცილებელია, რათა ავი სულები განიდევნონ. ქაჯანას შიში დაეუფლება, რასაც შეატყობს მისი და კატო და უცნაურად ჩაცმული შეაშინებს მას. ქაჯანას ენა ებმევა შიშისგან. ხალხი უცერემონიოდ ამ ფაქტს ავ სულებს მიაწერს და მაშინვე მკითხავთან მივლენ. მკითხავი კი კიკოლას ოჯახს წმინდა გიორგის ეკლესიაში გზავნის: დარჩით იქ, სანამ წმინდა გიორგი არ დაგითხოვთო. ცელქი ბავშვები გადაძვრნენ საყდარში და დაიძახეს: ,,წადით, წადითო" და მოხდა სასწაული - ქაჯანამ შიშისგან ენა ამოიდგა. რა შეიძლება ითქვას?

ნაწარმოებში ერთად მოიხსენიებიან მკითხავები და ეკლესიის მსახურნი. რაც თითქოს გაუგებრობას იწვევს მკითხველში. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ მკითხავის ,,რჩევამ" გასჭრა და ენა ამიტომ ამოიდგა ბავშვმა. დაკვირვებული მკითხველი დაინახავს, რომ მკითხავი ეშმაკურად ეუბნება კიკოლას - იქამდე დარჩი, სანამ წმინდა გიორგის მოესურვებაო. კიკოლა, რა თქმა უნდა, მაინც წამოვიდოდა ეკლესიიდან. მომხდარი, ბუნებრივია, ისე უნდა აღვიქვათ, როგორც სასწაული, რომელიც არაერთხელ მომხდარა მორწმუნეთა თვალწინ. უფალმა მიანიშნა სოფლელებს, რომ მკითხავ-მჩხიბავი აქ არაფერ შუაშია და სასწაული წმინდა გიორგის ყოვლისშემძლეობის შედეგია.

ნიკო ლომოურის ხალხისნურ–განმანათლებლური იდეებია გამოხატული მოთხრობაში ,,გიგო ღრუბელაშვილი". მთავარ პერსონაჟს, გიგოს, რომელიც უმეტესწილად ავტორს განასახიერებს, მიზნად დაუსახავს თავისი ცხოვრება ხალხის განათლებას მოახმაროს. გლეხობა იხსნას გაჭირვებისაგან. გიგოს ვაჟას მინდიასავით ესმის ბუნების ენა, ტკივილი. იგი იტანჯება ამ მძიმე სანახაობით, მას ებრალება ხე, ბალახები, ფრინველი, მაგრამ ყველაზე მეტად - ადამიანი. გმირი მზადაა მოიაროს მთელი სოფლები, შეისწავლოს სიმართლის კანონები, რომ ხალხი არავის დააჩაგვრინოს.

ავტორის ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსის გამომხატველია მოთხრობა ,,ბერუა ქრისტესიაშვილი", ნაწარმოების მთავარი გმირის, ბერუას სახეს მწერალი რომანტიკული ფერებით ხატავს.

ბერუა ძველი ყაიდის ტრადიციული ოჯახის უფროსია. ეს პატრიარქალური ოჯახი 22 წევრისაგან შედგება და ,,გამოხატავს ერთობის, კოლექტიური შრომისა და თანაცხოვრების ხალხისნურ იდეალს". ნაწარმოებში დეტალურადაა აღწერილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. აქ ყველა კითხვა იხსნება ავტორის ქრისტიანობასთან მიმართებაში.

,,...მშვენიერი მაღალი ხმით იწყო გალობა მღვდელმა - ,,ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი". ...შემდეგ დაიწყო ლიტანია, მღვდელმა შესძახა: ,,ქრისტე აღდგა, შვილებო, ქრისტე აღდგა!"...

მწერალი თავის ქრისტიანულ ხედვას აყალიბებს პუბლიცისტურ წერილებშიც. სტატიაში, „ქვემო ნიქოზისა და არბოს ეკლესიები“ (ქრთ. ლიტ. მუზეუმი, ხ.№19699) გამოთქმულია ამ ეკლესიების გავერანებით გამოწვეული გულის ტკივილი. ერთ-ერთ წერილში იგი ეხება სოფელ არბოს დაარსებას და მასთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემას. გადმოცემის მიხედვით (არბოში ეს ვერსია საკმაოდ გავრცელებულია) წმინდა აბოს ძვლები აქაა დაკრძალული და ამიტომ უწოდებიათ ამ მიდამოსთვის აბო (იგივე არბო).

როგორც ვხედავთ, ნიკო ლომოურის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უკავია განმანათლებლურ იდეებს, ცრუ მორწმუნეობასთან ბრძოლას. იგი დაუნდობლად ამხელს ყალბისმქნელებს, მედროვე საერო და სასულიერო პირებს. მწერალი ზნეობრივი სრულყოფისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტი ღვთისმოსაობით მიიღწევა.

ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბ., 1974.
2. ე. ქარელიშვილი, ნიკო ლომოური, თბ. 1986.
3. თ. გოგოლაძე, მეცხრამეტე საუკუნის 60-90-იანი წლების ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბ. 2012.
4. ც. ბაბლოვანი, საბავშვო ლიტერატურა, თბ. 1996.
5. გ. ლომოურის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ნიკო ლომოურის ფონდი ხ.№19699, .№19760.
6. ნ. ლომოური, მოთხრობები, ქართული პროზა, წიგნი 22, თბ., 2011.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ხალხური და ანტიკური სათავეები

ნათია ტერტერაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანი დათუაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

იგავ-არაკი ალეგორიული ფორმისა და დიდაქტიკური ხასიათის პატარა სიუჟეტიანი ნაწარმოებია. იგავი დაიბადა რამდენიმე ათასი წლის წინ და იმ დროიდანვე გახდა ლიტერატურის შემადგენელი ნაწილი და თავისი სიცოცხლისუნარიანობით დღემდე მოაღწია. უძველეს იგავ-არაკებში გამოყვანილნი არიან ცხოველები, ბუნების ძალები; მათი მოქმედება და ხასიათი თვით ადამიანის ბუნებასა და ხასიათს გვიხატავს. შემდგომი დროის არაკებში თვით ადამიანებიც მოქმედებენ. თავის განვითარების საფეხურზე იგავ-არაკში იგულისხმებოდა მოთხრობები ცხოველების შესახებ (ცხოველთა ეპოსი) გარეგნული შეხედულებით, მას არ ჰქონდა კავშირი ადამიანის ცხოვრებასთან, არ იყო მითითებული არაკში გამოყვანილი შინაარსის მსგავსებაზე ადამიანის ბუნებასთან, მას ახასიათებდა ეპიკური სიმშვიდე და მოკლებული იყო დაცინვის ხასიათს. თავის განვითარების შემდგომ საფეხურზე იგავ-არაკის ავტორებმა მასში გააძლიერეს დიდაქტიკური ელემენტი, მიუთითეს იგავში მოთხრობილის დედააზრზე, მის დამოკიდებულებაზე ადამიანის ბუნებასთან ან ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენასთან და იმ მორალზე, რომელიც იგავის შინაარსიდან გამომდინარეობს.

დიდაქტიკური ელემენტი იგავ-არაკში ყველაზე ადრე განვითარდა აღმოსავლეთის ქვეყნებში და შემდეგ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. აღმოსავლური იგავ-არაკების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მოთხრობების კრებული ცხოველთა ცხოვრების შესახებ, რომელსაც „ჰიტოპადესა'' ეწოდება. უძველეს იგავ-არაკებში გამოყვანილი პირუტყვები არ გამოხატავენ ადამიანის ყოფა-ცხოვრებას. ადამიანები ასეთი ხარისხის არაკებით ისევ პირუტყვებს ახასიათებენ. უძველესი დროის ადამიანებს სწამდათ პირუტყვების კანონზომიერი მოქმედება, ზოგჯერ აღმერთებდნენ კიდეც მათ და ამიტომ მოთხრობებს პირუტყვთა შესახებ იგავ-არაკების განვითარების პირველ საფეხურზე არ ჰქონდა ალეგორიული მნიშვნელობა და არც გარკვეულ მორალზე მიუთითებდა.

ძველი საბერძნეთის ლიტერატურაში იგავ-არაკების განმავითარებელი იყო ეზოპე. არსებობდა თუ არა რეალურად ეზოპე - უცნობია; ზოგი მას მითიურ პიროვნებად მიიჩნევს. თუმცა არსებობს მოსაზრება,

რომ ის იყო ფრიგიელი მონა, რომელიც გამოირჩეოდა მოხერხებულობითა და ჭკუით. ფიზიკური ნაკლის მიუხედავად (იგი კუზიანი ყოფილა), ეზოპე სასურველი სტუმარი იყო მეფეთა სასახლეებში. იგი განსაკუთრებით ხიბლავდა დიდებულებს ძნელი გამოცანების განმარტებებით. ეზოპე ტრაგიკულად დაღუპულა: იგი კლდიდან გადმოუგდიათ დელფიელ ქურუმებს, რომლებსაც ანგარებაში სდებდა ბრალს. გადმოცემის თანახმად, ამ უკეთური საქმით აღშფოთებულ აპოლონს შავი ჭირი მოუვლინებია დელფიელთათვის. საბოლოოდ დელფიელებს მოუნანიებიათ თავიანთი საქციელი და ეზოპესათვის ძეგლიც დაუდგამთ.

ძველ რომაულ ლიტერატურაში იგავ-არაკების ოსტატები იყვნენ: ფედრი და ჰორაციუსი.

შუა საუკუნეებში კიდევ უფრო გაძლიერდა იგავ-არაკების დიდაქტიკური მხარე. ამ დროს იგავ-არაკებში მოთხრობილ ამბავს ხშირად უმატებდნენ არაკიდან გამომდინარე მოძღვრებას, სწავლა-დარიგებას ან მორალს. გერმანულ ლიტერატურაში ეს მხარე განსაკუთრებით განავითარა ბონერმა. იგი ისე შორს წავიდა, რომ ზოგჯერ მას არაკებში მოცემული მორალი სრულებით არ გამომდინარეობს არაკის შინაარსიდან.

ფრანგულ ლიტერატურაში იგავ-არაკების ჟანრი განავითარა ლაფონტენმა. მან მთავარი ყურადღება არაკის შინაარსს (სიუჟეტს) და მის გარითმული ლექსის ფორმით გამოხატვას მიაქცია. იგავ-არაკების დიდი ოსტატი რუსეთში იყო კრილოვი.

საქართველოში, ხალხურ ეპოსში, იგავ-არაკების ჟანრი ძველი დროიდანვე გავრცელებული იყო ცხოველთა ეპოსის სახით. რუსთაველი ,,ვეფხისტყაოსანში" სარგებლობს ხალხური იგავ-არაკით, რომელშიც მოქმედ პირად ცხოველების ნაცვლად გამოყვანილნი არიან ადამიანები.

საქართველოში იგავ-არაკების უდიდესი ოსტატი იყო სულხან-საბა ორბელიანი. სულხანი ორბელიანთა დიდად შეძლებული და გავლენიანი გვარის წარმომადგენელია.

სულხანს დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის განვითარებაში. სასულიერო მწერლობის დარგში უნდა დავასახელოთ ქადაგებათა (46) საყურადღებო კრებული, რომელსაც ეწოდება ,,სწავლანი და მოძღურებანი".

საერო მწერლობიდან აღსანიშნავია, პირველყოვლისა ,,მოგზაურობა ევროპაში", რომელშიც ის გასაოცარი დაკვირვების ნიჭს იჩენს და, რომელშიც იმ ეპოქაში აღმოცენებული ,,მემუარული" ჟანრის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. საბას დიდი შრომა გაუწევია ,,ქილილა და დამანას" პროზის გაჩალხვასა და ლექსების გაწყობაში. მას დაუწერია აგრეთვე რამდენიმე ტიპის ,,ანბანთქება" და სამი სტროფი დაუმატებია თეიმურაზ პირველის მიერ დაწერილი ,,ქეთევანიანისათვის". ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი იგავ-არაკთა კრებული ,,სიბრძნე სიცრუისა", რომელიც ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ნიმუშია.

,,სიბრძნე სიცრუისა" შეიცავს 110-მდე იგავ-არაკსა და 60-მდე სენტენცია-აფორიზმს, ანეგდოტსა და ამოცანას. კრებულის სახელწოდება - ,,სიბრძნე სიცრუისა" - გულისხმობს, რომ ის შეიცავს სიბრძნეს, ესე იგი გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას, სიცრუისას ან ცრუ, მოგონილ ზღაპრისა და იგავებისას.

როდის დაწერა სულხანმა ეს შრომა? პროფესორი ა. ცაგარელი ფიქრობდა, რომ სულხანს ეს წიგნი უნდა დაეწერა მოხუცებულობაში, სახელდობრ - ევროპიდან მობრუნების შემდეგ, რაც, სხვათა შორის, იქიდან ჩანს, რომ წიგნში მოხსენიებულია ისეთი სიტყვები, რომლებსაც ის მხოლოდ ევროპაში მოგზაურობისას შეითვისებდაო. ასეთი მოსაზრებით ამის დამტკიცება არ შეიძლება, ვინაიდან ხელნაწერებში, რომელთაც შემოუნახავთ ამ თხზულების სათაური, სადაც ნათქვამია: ,,წიგნი ,,სიბრძნე სიცრუისა", ნათქვამი სულხან ორბელიანისაგან ჟამსა სიჭაბუკისასა მისისა". სავარაუდოდ, ნაშრომი დაწერილია 1686-1695 წლებში.

ზოგადად, დიდაქტიკურ-მორალისტური ჟანრის ნაწარმოებთა მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, არსებული ნაკლის, მანკიერების, სიმახინჯის გაკიცხვა-გაკილვა, ხოლო მეორე, სწავლა-დარიგება მათ გამოსასწორებლად, გასაუმჯობესებლად. იგავ-არაკის ნიშანდობლივი თვისება მაინც მხილებაა. მისი მიზანია გამოსწორდეს ის, რაც ან ვინც მხილებულია. ,,სიბრძნე სიცრუისაც" დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სენს: მეფესა და მის უკანასკნელ მოხელეს, საეროსა და სასულიეროს. მამაკაცსა და დედაკაცს. გაკიცხულია მასში სიძუნწე, ფარისევლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება უმადურობა, სხვისი ყვლეფა, სარწმუნოებრივი პირმოთნეობა და ა.შ. განსაკუთრებით გამათრახებულია იგავ-არაკში უღირსი მეფე, უვარგისი მსაჯული და სამღვდელოება. ამავე დროს, ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, ავტორი იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს. მისი მიზანია დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული მეფის იდეალი. ეს ტენდენცია თავს იჩენს თხზულების თავშივე, მის ქარგაში, სადაც ლეონი იცავს და ამართლებს საკუთარ აღმზრდელობით სისტემას. იმდროინდელი ცხოვრების შესასწავლად თხზულება წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანსა და საყურადღებო დოკუმენტს.

ძალზე მნიშვნელოვანია ,,სიბრძნე სიცრუისას" ორიგინალობის საკითხი და, აგრეთვე, ხალხური და ანტიკური სათავეები ამ ნაშრომში, თუ კი საერთოდ შეინიშნება ის.

,,სიბრძნე სიცრუისას" ენა არის მარტივი, დარბაისელური, ადვილად გასაგები, ბარბარიზმებისაგან განტვირთული და შესამჩნევად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან. კორნელი კეკელიძე ვარაუდობს, რომ ამის მიზეზია მასალის ხალხის წიაღიდან ამოღება. მისი აზრით, ,,სიბრძნე სიცრუისა" ის მიჯნაა, საიდანაც ქართულ პოეზიაში დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება მისი ენის ხალხურ მეტყველებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, აღმოსავლური ყვავილობა მაინც თან სდევს ამ ენას. ამის მაჩვენებელია ისეთი ადგილები, როგორიცაა, მაგალითად: ,,ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლის ალისა მსგავსისა მზისა შუქით დაიხია, მისი ელვარე მოციქული ხმელეთს გამოგზავნა". ,,ქილილა და დამანას" სტილთან შედარებით, რომელიც საბოლოოდ საბას კუთვნილებაა, ,,სიბრძნე სიცრუისა" მაინც სულ ახალსა და არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

კორნელი კეკელიძე ადასტურებს, რომ საბას კრებულს სხვა კრებულებთანაც აქვს მსგავსება. თუმცა, მისი აზრით, საქმე ის არის, რომ ერთი და იგივე იგავ-არაკული სიუჟეტი შეიძლება მოიძებნოს ისეთ ერებსა და ტომებში, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. სიუჟეტური დამთხვევა სოციალური ნათესაობის შედეგია. ერთსა და იმავე სოციალურ პირობებს სხვადასხვა ერთიმეორისგან დაშორებულ ქვეყანაში, შეუძლია მსგავსი იდეოლოგიურ, ზედნაშენობრივი მოვლენები, კერძოდ, სიუჟეტი წარმოშვას.

კორნელი კეკელიძის აზრს იზიარებს პროფესორი ა. ცაგარელი. მას ,,სიბრძნე სიცრუისას" იგავ-არაკები შეუდარებია ,,პანჩატანტრას", ,,ჰიტოპადესასა" და სხვა არაკებთან და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ,,სიბრძნე სიცრუისა" არ არის დასახელებული არაკების არც თარგმანი, არც მიბაძვა, არამედ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, მისი შინაარსი მთლიანად ამოღებულია პირდაპირ ხალხის წიაღიდან.

ცაგარელისა და კეკელიძისგან განსხვავებით, ლევან ბრეგაძე სულხან-საბას იგავ-არაკების სათავეების ძიებისას ანტიკურ და ხალხურ შემოქმედებამდე მიდის. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ მსგავსება ორბელიანისა და ეზოპეს იგავ-არაკებს შორის დიდია. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ციტატა ს. ი. რადციგის ,,ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიიდან": ,,უამრავი იგავი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში ტრიალებდა ხალხში, მიეწერება ვიღაც ფრიგიელ კუზიან მონას. ეზოპეს სახელით ჩვენამდე მოაღწია პროზაულ იგავთა მთელმა კრებულმა (426-მა იგავმა). ამ კრებულის შემადგენლობა ერთობ ჭრელია: კარგად ნაცნობ სიუჟეტებთან ერთად მასში ანეგდოტებიც გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებს გაკუთვნება. ერთ ავტორზე ლაპარაკიც შეუძლებელია". ,,სიბრძნე სიცრუისას" იგავ-არაკების ავტორად, ლევან ბრეგაძის ვარაუდით, ერთ ადამიანს ვერ მივიჩნევთ. მელასა და წეროს იგავიც ეზოპეს მიეწერება. აგრეთვე, ის გვხვდება პლუტარქესთან; მეორე საუკუნეში გალექსა ბაბრიოსმა, ლათინური ვერსია ეკუთვნის ფედრუსს, ფრანგული - ლაფონტენს, ქართული - ორბელიანს. ამით მტკიცდება, რომ ორბელიანის იგავ-არაკებს ანტიკური საფუძვლები აქვს.

მაგალითისთვის ერთმანეთს შევადაროთ საბას ,,სოფლის მაშენებელნი", ეზოპეს ,,ძაღლი, მელა და მამალს" ჩანს საბამ არსებითად გადაამუშავა ფაბულა, რომელიც ასევე ეზოპეს მიეწერება. ის გვხვდება ვარდანთანაც, გაბრიელ ფერნესთანაც. ოღონდ არც ეზოპესთან და არც სხვებთან სოფლის შენებაზე არაფერია ნათქვამი. ამ მოტივის შემოტანით მან თვისებრივად განსხვავებული ნაწარმოები შექმნა. ერთი მამალი და ერთი ძაღლი დაძმობილდნენ. ისინი ყივილითა და ყეფით აპირებდნენ სოფლის აშენებას. მამლის ყივილზე მელა მოვიდა და მისი მიტყუება უნდოდა, მაგრამ ძაღლმა ასწავლა ჭკუა.

არსებობს მოსაზრება, რომ იგავის შექმნას საფუძვლად დაედო ხალხური შემოქმედება. უფრო მეტიც, ი. ლევინი არ განასხვავებს ცხოველთა ზღაპარს იგავისაგან. იგი არა მხოლოდ იგავსა და ცხოველთა ზღაპარს არ განასხვავებს ერთმანეთისაგან, არამედ მათთან აიგივებს ანდაზასაც. მათი განუყოფლობის დამტკიცებას ის ხედავს არა მხოლოდ ლიტერატურულ სიტუაციებსა და ფოლკლორში, არამედ, ასევე სასაუბრო მეტყველებაშიც. თუმცა, არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ სრულიად სხვადასხვა ეპოქის, აზროვნების სხვადასხვა სფეროს - ლიტერატურისა და ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშები. ცხოველთა ზღაპარი და იგავი აზროვნების სხვადასხვა საფეხურზეა შექმნილი. იგავი, როგორც ვიცით, დიდაქტიკური ნაწარმოებია და მასში მორალი, ეთიკა წინა პლანზეა წამოწეული. ცხოველთა ზღაპარში კი მთავარია ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რაც შეეხება იგავ-არაკებისა და ზღაპრის კავშირს - ცხოველთა ეპოსი და იგავი სულ სხვადასხვა აზრს გადმოსცემენ და, შესაბამისად, სხვადასხვა მიზნებსაც ემსახურებიან. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი - პირველი ხომ კოლექტივის მიერ არის შექმნილი, მეორე კი გაცილებით უფრო გვიან ცალკეულ ავტორთა შემოქმედებით, თუმცა ეს იმას არ ნაშნავს, რომ მათ შორის არსებითი კავშირი არ არსებობს. მაგალითად

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებსა და ქართულ ხალხურ ზღაპრებს შორის კავშირი არსებობს. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

ერთი მელა შემთხვევით შავი მელნით შეღებილა, ამით უსარგებლია და მამლისთვის მოუტყუებია, ვითომ ბერად შემდგარიყო და იერუსალიმს მიდიოდა. მამალს ეს იდეა მოსწონებია და თან გაჰყოლია. გზად მიმავალ ,,ბერსა და მომლოცველს" შეხვედრიათ ძერა და შემდეგ ოფოფი. მელამ ცოდვის შესანდობად ისინი საკუთარ სოროში მიიყვანა. ორი ცოდვის შენდობა აღუთქვა, მაგრამ მეტი ცოდვებისა გამო მამალსა და ძერას თავები წააცალა. მოხერხებულმა ოფოფმა მელას ჭკუით აჯობა, პირველივე ცოდვაზე თავი იმართლა და მოწმედ ერთი მსუქანი იხვი დაუსახელა, თან მელას მასთან შეხვედრას დაჰპირდა. სიხარბითა და მსუნაგობით ჭკუა გაეფანტა მელას და მოწმეების შეჭმაც დაგეგმა, მაგრამ ოფოფის წყალობით იგი მონადირეებს გადააწყდა და შავი დღეც დაადგა.

ეს იგავ-არაკი ძალიან ჰგავს ერთ ქართულ ხალხურ ზღაპარს, ,,მელიის ზღაპარი იერუსალიმს რო წავიდა". აქაც მელამ, ვითომ იერუსალიმში მიდიოდა სულის საცხონებლად, თან წაიყვანა მამალი, ბატი, ძერა და ოფოფი. თავის სოროში მიიყვანა ვითომ ის იყო იერუსალიმი და საბას იგავ-არაკის მელიის მსგავსად თავები წააცალა. ოფოფის დრო რომ მოვიდა, მელს დაჰპირდა გაძღომას, სიცილს და სირბილს. ეს პირობები მართლაც რომ უკლებლივ შეუსრულა-სადილით გაუმასპინძლდა, ბევრი აცინა, მონადირეები დაადევნა და არბენინა. მოხერხებულმა ოფოფმა მელი მონადირეებს მოაკვლევინა.

ამ ნაშრომებში სიუჟეტი თითქმის ერთნაირია. განსხვავება მცირედ დეტალებშია. ორივეგან ერთი და იგივე ამბავია მოთხრობილი, დაცულია ეპიზოდთა თანმიმდევრულობა. დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ს.ს. ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში თავმოყრილი მრავალფეროვანი მასალის პარალელები მოიპოვება მრავალი ხალხის იგავ-არაკულ კრებულებში.

ერთი მხრივ ტრადიციულმა წყობამ, მეორე მხრივ, ხალხური მასალის სიუხვემ, ბუნებრივია თავი იჩინა ,,სიბრძნე სიცრუისაში", სადაც სულხან-საბამ თავი მოუყარა იმ დროისათვის ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებებს. ამაზე თვით საბა გვამცნობს ერთ ლექსში:

,,ეს რა შევკრიბე, მიქებდნენ"

საბოლოოდ გვინდა დავასკვნათ, რომ მართალია ერთი და იგივე შინაარსის არაკები გვხვდება როგორც ეზოპესთან, ისე ქართულ ზღაპრებში. საბამ ხალხში გაბნეული მარგალიტები შეკრიბა და შექმნა საერთოდ ახალი და სრულიად ორიგინალური, დიდაქტიკური არაკების კრებული ,,სიბრძნე სიცრუისა".

ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძე, ტომი II, ,,მეცნიერება", თბ., 1981.
2. ლ. ბრეგაძე, ,,მელიების საკითხი", http://lib.ge/book.php?author=237&book=7545
3. მ. მირესაშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბ., 2008.
4. სულხან–საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1970.

ღვინისა და ვაზის კულტი ქართულ ლეგენდებში

მარიამ ქელეხსაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანი დათუაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

მცირე ფორმის ზეპირ მოთხრობებში ლეგენდას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მითისაგან განსხვავებით ლეგენდა სასულიერო რელიგიურ შინაარსს შეიცავს. მას აქვს აგრეთვე ტენდენცია დაუკავშირდეს ისტორიულ პირებსა და მოვლენებს და ამით თქმულებად იქცეს. ეს ჟანრი ჩვენში საშუალო საუკუნეებში გაფორმდა, როცა დიდი გასაქანი მიეცა ე.წ. აპოკრიფებს.

ბუნების ძალების ამსახველი პატარ-პატარა ამბები ბიბლიური ლიტერატურის გავლენით გარდაიქმნენ და ძველი შინაარსი გამოიცვალეს, გაჩნდნენ ახალი პერსონაჟები. ასე რომ იმ ქვეყნებში,

სადაც მონისტურ სარწმუნოებას ფეხი ჰქონდა მოკიდებული, ხშირ შემთხვევაში მითის დაშლის საფუძველზე ლეგენდა გაჩნდა.

ქართული ლეგენდები შეეხებიან ქვეყნის გაჩენას, ადამიანის წარმოშობას, წმინდა გიორგისა და ელია წინასწარმეტყველის თავგადასავალს და სხვა. ლეგენდა უხვად შეიცავს დიდაქტიკურ-მორალურ ელემენტებს.

ბიბლიური ლეგენდების დიდი უმრავლესობა წარმართული სიტყვიერების საფუძველზე აღმოცენდა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ წარღვნის ლეგენდა, რომელიც შესაქმეშია გადმოცემული, ამ ებრაულ ლეგენდას საფუძვლად დაედო გილგამეშის ეპოსი; ასეთი გადმოცემა მოეპოვებათ თვით ყველაზე პრიმიტიულ ტომებსაც, აქედან გამომდინარე ლეგენდას საფუძვლად უდევს ნამდვილად მომხდარი ამბავი და სწორედ ამით აიხსნება ლეგენდის დამოუკიდებლად წარმოშობა სხვადასხვა კულტურის ხალხებში.

ასევე საუბარია სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთგავლენაზე. ასეთია მაგალითად ქართულ-ბერძნული ლეგენდები, რომელთა წარმოშობის სიძველეზე არაერთი მეცნიერული პოლემიკაა გამართული. ასეთია მაგალითად ქართული ამირანისა და ბერძნული პრომეთეს მითები.

შემოვიდა თუ არა ღვინისა და ვაზის კულტი საქართველოში საბერძნეთიდან დიონისეს კულტის ზეგავლენით? დიონისე ძველ საბერძნეთში, ღვინის, მხიარულების, თავაშვებული ექსტაზის, სიხარულისა და შვებისმომგვრელი ღვთაება იყო, მას ორგზის შობილ ღმერთს ეძახდნენ, დიონისეს ღვთიური მცენარე იყო ვაზი და სხვადასხვა მითის თანახმად ის ვაზს იყენებდა იმისათვის, რათა გადაელახა დაბრკოლებები (ხიდის აგება, საპატიმროს კარის გაღება გემის იალქნებზე ვაზის ამოსვლა და სხვა), ვახუშტი კოტეტიშვილი წერდა, რომ დიონისეს წრემ შეითავსა მრავალ სხვა მოდგმათა კულტები სხვადასხვა ღვთაებათა ატრიბუტიკით, 127 სხვადასხვა დიონისე არსებობდა, ისევე როგორც ჩვენში 365 წმინდა გიორგი. ,,დიონისეს შესახებ არსებული ბერძნული ლეგენდები ძალიან უთავსდებიან ჩვენში არსებულ გერისთავის წმინდა გიორგის თქმულებებს“. (ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, 1967) ვახტანგ კოტეტიშვილის კვლევაში ,,საგაზაფხულო დღეობათა წრე“ აღწერილია ის ქართული დღესასწაულები, რაც სამეურნეო საქმიანობასთანაა დაკავშირებული და წელიწადის დროთა ცვლილების კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს. ქართული დღესასწაულები თავისი გარეგნული და შინაარსობრივი მხარით ძალიან ჰგვანან დიონისესადმი მიძღვნილ ბერძნულ დღესასწაულებს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ბერძნული კულტურის ზეგავლენით შემოვიდა ვაზის კულტი საქართველოში, მაგრამ ისტორიული წყაროები გვიამბობენ, რომ ეს კულტი გაცილებით ძველია და რომ ვაზი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა და ვარაუდობენ, რომ ის ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტიდან შემოვიდა საქართველოში.

თავის კაპიტალური ნაშრომის ,,საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მეორე ტომის დასკვნით ნაწილში აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერდა: ,,უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზის-ყურძნის ჯიშების სიმრავლე, ისევე როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომჟღავნებული ვაზ-ყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას როგორც ვიცით მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია... ყველაფერი მაინც ცხადჰყოფს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგან უცილობლად საქართველოც უნდა იყოს მიჩნეული“

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უამრავმა მასალამ მოიყარა თავი, უამრავი ახალი მასალა იქნა მოძიებული არქეოლოგების, ბიოლოგების, ისტორიკოსებისა და სხვათა მიერ, ქართველი ხალხის მიერ ემპირიული ცოდნის საფუძველზე გამომუშავებულ საწარმოო საშუალებებზე ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების დარგში, ამ მხრივ ქართველი ხალხის ცოდნა გამოცდილება დაუშრეტელი წყაროა, მაგრამ ჩვენ ამჯერად შევჩერდებით ლეგენდებზე ვაზის კულტურისა და ღვინის შესახებ. ომარ ხაიამის მოგვიანებით აღმოჩენილ უცნობ ნაწარმოებში ,,ნაურუზნამე“ შეტანილი აქვს ლეგენდა ძველი ირანული გადმოცემა ვაზისა და ღვინის წარმოშობის შესახებ და ავტორის თქმით ის რეალურ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა: ლეგენდის შინაარსი შემდეგია: ,,სახელგანთქმული მეფის შამირამის შვილმა უფლისწულმა ბადამმა სიკვდილს გადაარჩინა ფასკუნჯი, რომელსაც უზარმაზარი გველი აღრჩობდა. მადლიერმა ფასკუნჯმა ვაჟს ყურძნის წიპწები აჩუქა. მეფემ ეს წიპწები დათესა. ამოვიდა ვაზი, რომლის ნაყოფისაგან გამოწურული წვენი აღიარეს სიტკბოების მომნიჭებელ წყაროდ. მეფემ ბრძანა გაეშენებინათ ვაზი მთელს ქვეყანაში ადამიანთა საკეთილდღეოდ. ლეგენდის თანახმად ფასკუნჯმა წიპწები მოიტანა ჩრდილოეთიდან, რომელსაც ირანელები ,,ქუსტი ფახტარს“ ეძახდნენ და რომელშიც ამიერკავკასია იგულისხმებოდა.

არ გაუვლია ქართულ მიწაზე მოგზაურს, ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქება დიდებით რომ არ მოეხსენებინა იგი, ვაზმა და ღვინომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ერისათვის და მისი კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ღვინოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქრისტიანულ რელიგიაში, ღვინით მიღებული ზიარება ქრისტეს სახელთან ასოცირდება, ვაზი ფიგურირებს საქართველოს გაქრისტიანების ლეგენდაშიც, წმინდა ნინომ ვაზისაგან შეკრული ჯვრით უქადაგა ქართველებს ქრისტიანობა, ვაზის ჯვრად ქცევა და მისი ასოცირება რელიგიასთან ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი". ვაზს მიეძღვნა მრავალი საგალობელი, რომელთა შორის გამოირჩევა დავით აღმაშენებლის ვაჟის დემეტრე უფლისწულის საგალობელი, რომელიც ღვთისმშობელს ეძღვნება და ეწოდება „შენ ხარ ვენახი". საქართველოში ვაზი მუდამ ღვთაებრივ მცენარედ იყო აღიარებული.

საქართველო ლეგენდების ქვეყანაა. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო ქართული ლეგენდის თანახმად ღვინის შექმნას ქართველები მამა ღმერთს მიაწერენ ,,ღმერთი დედამიწაზე დაეძებდა ადგილს სადაც ვაზი უნდა გაეშენებინა. მრავალი ადგილი შეარჩია, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ისეთ ადგილზე გააკეთა, სადაც დამარხული იყო ბულბულის, ლომისა და ღორის ძვლები. ასეთი ადგილი საქართველო აღმოჩნდა (არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ ოდესღაც ევრაზიასა და აფრიკას სახმელეთო საზღვარი ჰქონდათ და ამით აიხსნება ლომის ძვლების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე), როდესაც ღმერთმა აქ ვაზი დარგო და მოსავალი მოიწია, მოსავლიდან მიღებულ ღვინოს ამ სამი სულიერის თვისება გამოჰყვა, რომელთა ძვლებზეც ვაზმა იხარა. როდესაც ადამიანი ცოტას სვამს, მისი საუბარი ბულბულის გალობას მოგვაგონებს და საამო მოსასმენია, როდესაც ზომაზე მეტს სვამს, ლომსა ჰგავს და ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის ილუზია უჩნდება, უკიდურესი გადათრობისას კი ღორს ემსგავსებაო - ამბობს ლეგენდა.

უხსოვარ დროს, როცა ღმერთი დედამიწაზე ცხოვრობდა გადაწყვიტა საიქიოდან გამოძევებული და შრომისაგან დაქანცული ადამიანების ცხოვრება უფრო საინტერესო გაეხადა. დაჯდა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა ისეთი სასმელი შეექმნა, რომელიც კაცს თუნდაც მცირე ხნით, მაგრამ მაინც დააბრუნებდა სამოთხეში. ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ ღმერთმა ღვინო სამოთხის რამდენიმე საათიანი ილუზიის შესაქმნელად გააკეთა და ღვინის გასასინჯად ანგელოზი და ეშმაკი მიიწვია. ეშმაკი რისი ეშმაკი იქნებოდა ღმერთს რომ არ გაჯიბრებოდა, მანაც ბევრი იფიქრა და რაკი სხვა ვერაფერი მოიფიქრა ადგა და ღმერთის მიერ მოგონილი სასმლის ნარჩენებით ანუ ჭაჭით სხვა უფრო მაგარი სასმელი დააყენა, მერე ამ სასმლის გასასინჯად ღმერთი მიიწვია, მოვიდა ღმერთი და დალია ერთი ჭიქა, ორი, სამი და მეოთხე რომ დალია, ეშმაკს უთხრა ვინც ერთი ჭიქა დალიოს ჩემსკენ იყოს და მეოთხე ჭიქის მერე შენთვის დამითმიაო. თიანეთში მოხუცები არაყს რომ სვამენ მეოთხე ჭიქას ახლაც საეშმაკოს ეძახიან.

ლეგენდას კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანზე მთელს მსოფლიოში მრავალი ინტერპრეტაცია აქვს, მაგრამ სვანეთში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაციას მოისმენთ. სვანეთში არსებობს ერთი პატარა მთა, რომელიც მეტად უცნაური ფორმისაა და იმერულ მოგრძო ჭურსა ჰგავს. სვანური ლეგენდის მიხედვით ღმერთმა ამირანი (პრომეთე) ბოლომდე არ გასწირა და სწორედ ამ კლდეზე მიაჯაჭვა. ეს კლდე იყო ღვინით სავსე უზარმაზარი ჭური, რომელიც მუდამჟამს ღვინით იყო სავსე ეს მთა ჭურის ლეგენდა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიცია უძველესია.

აკა მორჩილაძე წერს: ,,მე ასე მჯერა, რომ ღვინო რომ არ იყოს საქართველო არ იქნებოდა, თუკი საქართველო რამეს უჭირავს ერთ-ერთი ამათთაგანი არის ღვინო იცინი - სვამ, ტირი - სვამ, სვამ დილიდან ნაშუაღამევს, ღვინო აერთიანებს და აცალკევებს, ღვინო მალავს დარდებს და აღვიძებს მსახიობობის სურვილს, ღვინო შვებას გვრის ამტან კაცს და ეხმარება მას მოქნილ აზრთა დალაგებაში, საქართველოში ყველაზე დიდი საოცრება არის ქვევრიდან ამოვარდნილი სურნელი, ამაზე კარგი ამაზე ნამდვილი, ამაზე ბებერი და უბერებელი არაფერია. ღვინო უკვდავია და მასზე ვერავინ ამბობს უარს ღვინო კალიფორნიაშიც იწურება, მაგრამ იქ იმას არ ნიშნავს, რასაც ჩვენთან, საქართველოში. ღვინო მარადიულია და მასში მთელი ქვეყნის პოვნა შეიძლება."

ქართველი კაცი ვენახს სულიერად თვლიდა, თუ ქართველის ოჯახს რაიმე უბედურება დაატყდებოდა ამბობდა „სულიერთაგან მხოლოდ ვაზი დაგვეღუპაო". ვაზი იყო, არის და იქნება საქართველოს ეკონომიკური და სულიერი ძლიერების წყარო.

ტერმინი ,,შიოს მარანი" ღვთიური საზრდოს ზეციური მადლის განსახიერებაა... ჯადოსნური ზღაპრის უნივერსალურ არსს ჯადოსნური სუფრის შესახებ შეხვდებით ,,ათას ერთ ღამესა" თუ ,,კალევალაში", გრიმების ზღაპრებში, ქართულ ზღაპრებში. „შიოს მარანი" დალოცვის ტექსტებში გვხვდება ახალი წლისა და შობის სადიდებლად.

,,ღმერთმა ისე აგაშენოთ, როგორც შიოს მარანიო

პური-ღვინო ბევრი მოგცეთ, პურმარილი მრავალიო“.

,,მარანი“ რომ ქრისტიანობამდელია, ამას ადასტურებს უძველესი კერამიკული ნიმუში ,,შიოს მარანი“ -სასმისის სახეობა.

ასევე სიღრმისეულია ასურულ-ანტიოქიური საღვთისმეტყველო სახისმეტყველების კვალი ასურელ მამათა ცხოვრებაში და ხალხის რწმენა-წარმოდგენებში, ყოფით რეალობაში, ,,შიოს მარანი“ „ამის ნათელი დადასტურებაა“.

ახალგაზრდა გამოუცდელ ადამიანებზე ჩვენში იტყვიან „ეს ჯერ დაუღვინებელიაო“. საქართველოში, კერძოდ კი იმერეთში, არსებობდა გამოთქმა ,,დამღვინებელი კაცი“. ახლა ამ ტერმინს აღარავინ ხმარობს და არც მისი მნიშვნელობა იციან. ამასთან დაკავშირებით ზესტაფონელი გლეხი კობა ტაბატაძე იხსენებს მოხუცებისაგან მოსმენილ ლეგენდას დამღვინებელ კაცებზე, ეს მითიური ადამიანები თეთრწვერა მოხუცებად აღიქმებოდნენ, რომლებიც გზიდან აცდენილ ადამიანებს ეცხადებოდნენ და ასწავლიდნენ როგორ უნდა ეცხოვრათ. კობა ტაბატაძე იხსენებს: ერთხელ ჩემს სოფელში ერთი ახალგაზრდა ძალიან დათვრა და ლამის მთელი ოჯახი გალახა, ჩემმა დიდმა ბაბუამ თქვა ახია მაგაზე დამღვინებლების გამოცხადებაო. მე ვერ გავიგე რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ბაბუამ მიამბო შემდეგი ლეგენდა: დამღვინებლები თეთრწვერა კაცები არიან, რომლებიც მაშინ ეცხადებოდნენ ადამიანებს, როდესაც ისინი რაღაცას აშავებდნენ და ისე აშინებდნენ, რომ ვისაც დამღვინებელი გამოეცხადებოდა, ის მეორედ ცუდის ჩადენას ვეღარ გაბედავდა, ხოლო თუ მაინც გაიმეორებდა, მისი საქმე სულ უკან უკან წავიდოდა და შეიძლება მომკვდარიყო კიდევაც. დამღვინებლის დასიზმრება უკვე იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი ძალიან ცუდად მოიქცა. ბაბუა ამბობდა, რომ ვისაც დამღვინებლები ეცხადებოდა, რცხვენოდა ამის აღიარება და ცდილობდა ყველაფერი თავად გამოესწორებინა.

ღვინოსთან დაკავშირებული ლეგენდები, შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე ქართველების ცხოვრებისა და ქვეყნის ისტორიის თანამდევი იყო. მკვლევარები თვლიან, რომ საქართველოს ისტორია არის ლეგენდების ისტორია, რომელშიც გასაკვირი არ არის, რომ დიდი ადგილი ვაზისა და ღვინის ლეგენდებს უკავია.

ხოლო დისკუსია იმის შესახებ შემოვიდა თუ არა ბერძნული მითოლოგიიდან დიონისეს კულტის გავლენით ღვინის კულტი საქართველოში, ისევე რთული გასარკვევია, როგორც კვერცხისა და ქათმის დაბადების ამბავი. მითში არგონავტების შესახებ მოთხრობილია კოლხეთის უძლიერესი სახელმწიფოს შესახებ, სადაც ღვინის შადრევნები ამოდიოდა, ასე რომ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის ქვეყანა იყო.

,,დიონისეს სახით მსოფლიო ფოლკლორში მრავალი გარდაცვლილი თუ გამქრალი ღვთაება ხმაურობს, ამიტომ მე ვცდილობ ამ საერთო დიონისეს ხმებში მოვძებნო ქართული ხმაც“ - ამბობდა ვახტანგ კოტეტიშვილი... საინტერესოა რა ერქვა ქართულ დიონისეს და ისიც - ღვინო უფრო ძველია თუ თავად საქართველო.

ლიტერატურა:

1. ქართული ფოლკლორი, ტ. IV, შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 1969.
2. ვ. კოტეტიშვილი, ,,რჩეული ნაწერები“, გამომც. ,,საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967
3. ივ. ჯავახიშვილი, ,,საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, ტ. II, 1934
4. მეფე ჯემშიდთან დაკავშირებული გადმოცემა, “ივერია”, 1892 წ., №52.
5. http://icode.ge/2010/05/01/ძველი-ლეგენდები
6. http://vinoge.com/istoria/legendebi

მგელი კავკასიურ ფოლკლორში

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანი დათუაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

ზღაპარი ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ჟანრია; ეპიკური, უმეტესად პროზაული სახის ჯადოსნური, ან ყოფითი ხასიათის მოთხრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მხატვრული გამონაგონი. ზღაპრის საწყისი ფორმაა მოკლე მოთხრობა. მითის საპირისპიროდ ის მოგვითხრობს არა ბუნების ძალებზე, არამედ ცალკეულ ადამიანებზე, გმირებზე. ტერმინი „ზღაპარი“ პირველად ქართულ ბიბლიაში გვხვდება. თხრობით ჟანრებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ზღაპარს. არსებობს ზღაპრის ნაირნაირი განმარტება. ჩვენ მისი სახით მხატვრული შემოქმედების დასრულებულ ჟანრს ვგულისხმობთ. ზღაპარი გონიერი მოთხრობაა და სიბრძნის მასწავლებელი. ასეთი აზრი არსებულა ამ ჟანრის მნიშვნელობის შესახებ ადრინდელ ფეოდალიზმის ხანაში. მომდევნო პერიოდში შეიცვალა ზღაპრის გაგება. ახალ პერიოდში სხვანაირად იყო გააზრებული ზღაპრისა და სინამდვილის ურთიერთობა. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განმარტავს: „ზღაპარი არის მოგონებული ტყუილი, ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით“. ქართული ზღაპრების ყველაზე ძველი ხელნაწერი XVII საუკუნიდან მოგვეპოვება. შემდეგ კი რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი XIX საუკუნის დასაწყისიდან არის ცნობილი. ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, როგორც დიდ ეროვნულ საგანძურს, სერიოზული ყურადღება პირველად სამოციანელებმა მიაქციეს. ჩვენი ცნობილი კლასიკოსები ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ალ. ყაზბეგი, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი თვითონ იყვნენ პირველი ინიციატორები და ჩამწერები ზეპირსიტყვიერი მასალებისა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ზეპირსიტყვიერების მასალების სისტემური გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ მაინც დაგვრჩა ზღაპრების რამდენიმე მნიშვნელოვანი კრებული, რომელთა გამოცემაც დიდი გაჭირვებით მოუხერხებიათ. 1891 წელს ზღაპრების მცირე კრებული გამოუცია ლადო აღნიაშვილს. 1897 წელს აკაკი წერეთელმა თავის „კრებულში“ დაიწყო ქართული ზღაპრების სისტემურად ბეჭდვა. 1901-1903 წლებში „ქართველ ქალთა წრესაც“ დაუბეჭდავს ზღაპრების ორი კრებული. 1909 წელს თ. რაზიკაშვილს გამოუცია ქართლ-კახეთსა და ფშავში ჩაწერილი ზღაპრების ორი კრებული. ქართული ზღაპრები აგრეთვე გამოქვეყნდა საზოგადოებათა კრებულშიც, მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც შესაკრები და გამოსაცემი რჩება.

ზღაპრის საფუძველზე ან ამ ჟანრის გამოყენებით მრავალი მხატვრული ნაწარმოებია შექმნილი (გამსახურდია, ო. უაილდი). ჯადოსნურ ზღაპრის პერსონაჟები არიან: მზეთუნახავი, დევი, ქაჯი, ავი ბებერი. მასში ბოროტს მუდამ სძლევს კეთილი, დაჩაგრული საბოლოოდ გამარჯვებული რჩება. ცხოველთა თვისებები ზღაპრებში: მელია - ეშმაკობა, სიცრუე, მოხერხებულობა. მგელი - მტაცებელი, დათვი - ბრიყვი. მგელი მტაცებელთა რიგის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძუძუმწოვარია, ძაღლისებრთა ოჯახის. დღესდღეობით მგლის ორი სახეობაა გავრცელებული: წითელი მგელი, რუხი მგელი.

„ბიბლიურ ენციკლოპედიაში“ მგელი ხასიათდება, როგორც ველური, დაუნდობელი მტაცებელი ცხოველი, უსასტიკესი მტერი ცხოვართა. დამოწმებულია ამონარიდი მათეს სახარებიდან, სადაც ცრუ წინასწარმეტყველნი მგლებს არიან შედარებულნი: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნეს მგელი მტაცებელნი“. ტყის ეს მოუთვინიერებელი მხეცი ქრისტიანულ სიმბოლიკაში ბოროტებისა და ძალადობის სიმბოლოა. ცხვრების საპირისპიროდ, რომელნიც ეკლესიის მსახურებს განასახიერებენ, მგელი გამოცხადდა ეშმაკისა და ერესის სიმბოლოდ. „ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში“ ისრაელის მომსრველთა სისასტიკე მგლის დაუნდობლობასაა შედარებული: „შეთქმულნი მისი წინასწარმეტყველნი, ლომებივით ბრდღვინავენ... მისი ღმერთები აკუღმართებენ ჩემს რჯულს და ბღალავენ ჩემს სიწმინდეებს... მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის“. ცნება „მგელს“ ურთავს მინიშნებას: იოანე 10,12. სახარების აღნიშნულ მუხლში თქმულია: „ხოლო სასყიდლით დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თვისანი, იხილის რა მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი დაივლტიან და მგელმან წარიტაცის იგინი და განაბნინოს“. სოფონია წინასწარმეტყველის „გაჯიუტებული, წაბილწული, მოძალადე ქალაქი“ უღმერთოებით არის განთქმული,

„მისი მთავრები მბრდღვინავი ლომებია მის შუაგულში, მისი მსაჯულები საღამოს მგლებია, დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია, 3, 1-3) (8,848). მგელი როგორც მტაცებელი გვევლინება, მაგრამ მისი მოთვინიერება მხოლოდ წმინდა მამებს შეუძლიათ. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ აღწერილია ზემოთქმულის დამადასტურებელი სასწაული: „მგელი შესჩვევია უდაბნოს სახედრებს. როცა ეს ამბავი მამა შიოს აცნობეს, ილოცა და ბრძანა, რათა მგელი იგი შემდეგ ამისა გამხდარიყო მწყემსად სახედართა. ბრძანება მისი აღსრულდა, მგელი არათუ ხელს აღარ ახლებდა სახედრებს, პირიქით, მწყემსავდა და ერთგული ძაღლივით იქცეოდა. ქართული მწერლობის პირველსავე ძეგლში „მგლად“ და „ცოფად“ მოიხსენიება ჭეშმარიტი ღმრთის უარმყოფელი მგელი.

სკანდინავიურ მითებში ქაოსის სიმბოლო უშველებელი მგელი ფენრირი, სამყაროს არსებობის ბოლოს ყლაპავს მზეს. იგივე მოთხრობილია ერთ-ერთ კელტურ მითშიც. სხვა რეგიონებში მგლის სიმბოლიკა რადიკალურად იცვლება ის ხდება მეომარი, სიმბოლო. მგელი წმინდა ცხოველია ძველ საბერძნეთში და ოდინისა ძველ სკანდინავიურ მითოლოგიაში. ძველ რომში იგი გამარჯვების სიმბოლოდ ითვლებოდა, თუ მას შენიშნავდნენ ბრძოლის წინ. მგელმა გამოკვება რომის დამაარსებელი ძმები - ამ შემთხვევაში მგელი მხურვალე დედობრივი სიმბოლო გახლდათ. მგელი იგივე სიმბოლური დატვირთვით გვხვდება ინდურ ფოლკლორში. ეს ხსნის ამ მრავალრიცხოვან ისტორიებს, რომლის თანახმადაც ზოგიერთ ადამიანს მგლები ჰყავდათ წინაპრებად. მაგალითად: „ლეგენდა ჩინგისხანზე“. მექსიკასა და ამერიკის ინდიელთა ტომებში მგელი სიმბოლო იყო ცეკვის (როკვის), ისევე როგორც ძაღლი ასოცირდება ბნელ, ჯოჯოხეთურ ძალებთან.

კავკასიელთა საცხოვრისი შედარებით მცირე ტერიტორია, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად ჰყოფს, მაღალი მთებით არის შემოჯარული და ღრმა ხეობებით დასერილი. ასეთი ლანდშაფტი აფერხებდა მის ბინადართა ურთიერთკავშირს, იწვევდა ეთნიკურ დაქუცმაცებას, უძველესი საზოგადოებრივი ფორმების კონსერვაციას. ამით ხსნიდნენ ეთნოლინგვისტურ სიჭრელესაც და წარმართობისდროინდელ რწმენა-წარმოდგენის არსებობასაც კავკასიაში, თუმცა ის კულტურული ერთობა, რომელიც კავკასიელ ხალხს ჰქონდა ერთმანეთში, იმის დასტურია, რომ მაღალი მთები და ღრმა ხეობები არც ისეთი გადაულახავი უნდა ყოფილიყო. არც რელიგიური სხვაობა ქმნიდა დიდ დაბრკოლებას.

კავკასიის ხალხებს ერთმანეთთან ჰქონდათ ამა თუ იმ სახის ურთიერთობა. ეს მდგომარეობა დიდად უწყობდა ხელს ზღაპრების მოძრაობას და ამ ხალხთა შორის ერთნაირსიუჟეტიანი ზღაპრების დამკვიდრებას. აი, ამიტომ ამბობენ ზღაპარი ინტერნაციონალური ჟანრიაო. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეროვნული ზღაპრები არ არსებობდეს. ზღაპართა ურთიერთგაზიარება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ სახის ზეპირ მოთხრობათა მეტნალკები მარაგი. ამასთან ერთად მკვლევარები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მსგავსებამ დამოუკიდებლად წარმოშვა მსგავსი სიუჟეტები და მოტივები. კავკასიაში ზღაპრებისადმი დამოკიდებულების ერთი თავისებურებაც უნდა აღინიშნოს. ჯადოსნური ზღაპარი საკმაოდ პოპულარულია ბარში, მაგრამ ნაკლებად გვხვდება მაღალმთიან რეგიონების მთქმელთა რეპერტუარში. აღიარებულია, რომ მსოფლიო ხალხთა ზღაპრები საერთო წყაროდან საზრდოობდნენ და, ამდენად, კავკასიური ზღაპრები ზოგად საკაცობრიო ფონდის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომაა, რომ ხშირად გვხვდება საერთაშორისო სიუჟეტები და მოტივები. ლაკურ ზღაპარში „ზაზა, ლამაზი ძროხუნა“ მეორდება მსოფლიოში გავრცელებული სიუჟეტის კონკიას შესახებ.

ახლა კი მიმოვიხილოთ რამდენიმე კავკასიური ზღაპარი. მაგალითად, თაბასანარული ზღაპარი „მარიფათიანი ბეღურა“ აგებულია ცნობილ სიუჟეტზე მოხერხებული ჩიტის შესახებ, რომელიც დიდძალი ქონების პატრონი გახდა. სომხურ ზღაპარში „ხელობას ოქროს ფასი აქვს“ მოთხრობილია ცნობილი ამბავი გონიერი ქალისა, რომელიც ხელობის შესწავლას მოსთხოვს თავის საქმრო ხელმწიფეს, შემდეგ კი სწორედ ამ ხელობის წყალობით გადაარჩენს მას. აზერბაიჯანულ ზღაპარში „უშთაჯან აჰმედი“ საუბარია ბაქია კაცზე, რომელმაც ბუზები და ვირთხები დახოცა და თავისი „გმირობა“ ზუჩზე გაკეთებული წარწერით ამცნო საზოგადოებას. მერე კი თავისდაუნებურად მიაღწია ნამდვილ წარმატებებს და ბედსაც ეწია. აბაზურ ზღაპარში „სამი ძმის სახედარი“ მდიდარი კაცი ღარიბ ძმების მოტყუებას აპირებს იმ პირობით, რომ ქუდი ზღაპრებით უნდა აუვსონ. უმცროსი ძმის გონიერების წყალობით, რომელიც დაუჯერებელ ამბების მთელ წყებს ჰყვება, ძმები დიდ ქონებას შოულობენ. ასევე ჩეჩნურ ზღაპარში „სამი ძმა და გველეშაპი“ გმირი ზღაპრების მოყოლით იხსნის ძმებს დაღუპვისაგან. კავკასიურ ეპოსში დიდი ადგილი უჭირავს ცხოველთა ზღაპრებს, რომლებშიც ასევე ხშირად ვხვდებით უნივერსალურ შტრიხებს. მელია, დათვი და მგელი -ცხოველთა ეპოსის ცენტრალური პერსონაჟები - აქაც ტრადიციული სახით წარმოდგებიან. მათთან ერთად არიან სხვა ცხოველებიც, რომლებიც საინტერესო სახეების გალერეას ქმნიან. ცხოველთა ზღაპრებში შემონახულია უძველესი კულტურა და ცხოვრებისეული გამოცდილება. აქ

ხდება მოდელირება იმდროინდელი შრომითი საქმიანობებისა, ურთიერთობებისა, წეს-ჩვეულებებისა, როცა ის შეიქმნა.

ახლა კი განვიხილოთ რამდენიმე კავკასიური ზღაპარი, რომელშიც მხატვრული სიმბოლოა მგელი. მაგალითად ლაკური ზღაპარი „სულელი მგელი“, ოსური ზღაპარი „ბებერი მგელი“, ქართული ზღაპარი „დათვისა, მგლისა და მელიის ამბავი“ და აზერბაიჯანული ზღაპარი „მშიერი მგელო“. მაგალითად, მგელი ბევრჯერ ფრიად დაღონებული ყოფილა შიმშილისაგან. მისი ეს თვისება მოცემულ ოთხივე ზღაპარში ჩანს, ლაკურში: „მშიერი მგელი ტყე-ტყე დადიოდა“.

ასევე კარგად ჩანს მგელის სიბრიყვე, როდესაც მას მოატყუებს როგორც ცხენი, ასევე დეკეული და მელია. მაგალითად ლაკურში: „ყარა ცხენმა ტლინკი და ამ საცოდავ მგელს სული გააფრთხობინა“. ოსურში: „დეკეულმა დაიბღავლა, მგელმა შეყმუვლა. ამ ხმაზე ხალხი გამოცვივდა და მგელს კეტები დაუშინეს“. ქართულ ზღაპარში: „ მორცხილა მელიამ, მაგრამ მგელი ძალიან დამწვარი იყო და ვეღარ მოეწია“.

მგელი ცდილობს ვითომ თავის ცოდვების მონანიებას. მაგალითად, ოსურ ზღაპარში: „ტყის პირას ორი ერკემალი სძოვდა. მგელმა იფიქრა: მოდი, ამ ორ ერკემალს შევჭამ, ჯერ ხომ ცაბამდე დიდი მანძილიაო“. ასევე მგლის ეს თვისება ნათლად არის გამოხატული ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „მგელი“, როდესაც ნანობდა: „ეს საცოდავი ნადირი, უნდა გენახათ, მაშინ რა საზარელი შეხედულება ჰქონდა მასთან საბრალო. თუმცა ორივე თვალი ცისაკენ ჰქონდა მიმართული, მასთან ერთად თვალით მაინც ალმაცერად იცქირებოდა: მიწას, ტყეს არ აშორებდა“. მგლის ამ თვისებას ნათლად გამოხატავს აგრეთვე ქართულ ხალხურ ანდაზა: „მგელი არ მოიშლის მგლობასო“.

ასევე კარგად ჩანს მგლის გაუმაძღრობა, როდესაც სხვა ცხოველებს თავს აცოდებს, რომ მშიერია და მისმა ასეთმა საქციელმა სიცოცხლეს გამოასალმა. ეს არის გამოხატული აზერბაიჯანულ ზღაპარში „მშიერი მგელი“: „მელამ მიაყარა და მიაყარა ბელტ-ბელტი მიწა. მგელი გაიგუდა, ჩვენი ჭირი წაიღო“.

მგელი არის მტაცებლობის სიმბოლოც, ეს თვისება ყველა კავკასიურ ზღაპარშია. მაგალითად, ქართულ ზღაპარში „დათვისა, მგლისა და მელიის ამბავი“, როდესაც მგელი სთხოვს მელიას დახმარებას. „თუ ღმერთი გწამს, მე გადამაქსოვე თავზედ გოდორიო, უთხრა მგელმა, - ცხვარი რომ ჩანს, იქითკენ დავგორდებიო“.

ოსურ ზღაპარში „ბებერი მგელი“, აქაც მისი მტაცებელობა ჩანს: „ერთი სოფლის ბოლოს დეკეული დაინახა და შეჭმა დაუპირა“. აგრეთვე ლაკურ ზღაპარშიც „სულელი მგელი“. „კამეჩო, აბა, სიცოცხლეს გამოეთხოვე. ისე მშია ახლავე უნდა შეგჭამო“.

როგორც უკვე ნახსენებ მაგალითებიდან ჩანს, რომ მგელი მტაცებელი ცხოველია. მგლის სახეზე ხაზი ესმება ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა დაუნდობლობა, სიბრიყვე.

როგორც ცნობილია: „მედალს ორი მხარე აქვს“ . ასევე შეიძლება ითქვას მგელზეც, როგორც ნებისმიერ ცხოველსა თუ ადამიანზე კარგიც და ცუდიც გააჩნია, მისი ბუნებიდან რომელ თვისებაზე გვექნება საუბარი. ამიერკავკასიის სხვა პროზაულ ნაწარმოებში და ლექსებში მგელი ასევე წარმოჩდება, როგორც კეთილი ცხოველი. მაგალითად უბიხურ პროზაულ ნაწარმოებში „სასრიყვას სიკვდილი“, როდესაც სასრიყვას ბორბალმა ბარძაყი მოჰკვეთა, სწორედ ამ ეპიზოდში ჩანს მგელი, როგორც კეთილი: „შეებრალა სასრიყვა და ხორცისთვის პირი არ დაუკარებია, ჭრილობას ულოკავდა“.

ასევე აფხაზურ პროზაშიც „რატომ ყმუიან მგლები“ კარგად არის გამოხატული მგლის თავგანწირვა, როდესაც კაცს გადაარჩენს გველისგან: „ახლა თავისუფალი ხარ, შენ გზას ეწიეო - უთხრა მგელმა.

ვაჟა-ფშაველამ მგლის უარყოფით თვისებებთან ერთად მისი დადებითი თვისებებიც გვიჩვენა, არაა შემთხვევითი. ესაა სწორედ ნიშანი იმისა, რომ ამა თუ იმ სიმბოლოს მრავალწახნაგნაგოვანება ბედნიერებაა შემოქმედისათვის; მას საშუალება ეძლევა, სხვადასხვა მხრიდან შეხედოს სიმბოლოს და მთლიანობაში გვიჩვენებს იგი.

ვაჟა-ფშაველა თუ ერთგან მგლის სისასტიკესა და დაუნდობლობას გვიჩვენებს (ამოდის, ნათდება), მეორეგან ამ ნადირის უფრო კარგი თვისებაა წარმოჩენილი: „გაჯავრდა ალუდაური, ფერი დაედო მგლისაო“.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზღაპრებისგან განსხვავებით კავკასიურ ფოლკლორში მგელი უკეთესად წარმოგვიდგება, მგელი სიმბოლოა შემდეგი თვისებებისა: სიავე, მზაკვრობა, სიხარბე, ბოროტება.

ასევე: მგელი, როგორც გამძლეობის და გაუტეხელობის სიმბოლოა.

მგელი, როგორც გაუწვრთნელობის სიმბოლო.

მგელი, როგორც ფეხმარდობის სიმბოლო.

მგელი, როგორც უშიშრობისა და მეტოქესთან შეურიგებლობის სიმბოლო.

მგელი, როგორც დაუნდობლობის სიმბოლო.

მგელი, როგორც მტაცებლობის სიმბოლო.

საინტერესოა, რატომ მიანიჭა კავკასიელმა ხალხმა მგელს, დაუმორჩილებელ მტაცებელს, დადებითი იმიჯი და იმავე ხალხმა რატომ შერაცხა საძაგელ არსებად, სიხარბისა და გაუტანლობის სიმბოლოდ მგელი. ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიბლიურმა წარმოდგენებმა მოგვიანებით შეცვალა მგლის სახე და, ამიტომ, ზღაპრებში მოგვიანებით გამოჩნდა ის, როგორც ბრიყვი და ხარბი პერსონაჟი.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1981.
2. ოსური ზღაპრები, გამომცემლობა ,,ირისტონი“, 1972.
3. აზერბაიჯანული ზღაპრები, ,,ნაკადული“, 1973.
4. კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, თბ., 2008.
5. ს. გაჩეჩილაძე, ლიტმცოდნეობის შესავალი, თბ., 1957.
6. ლ. სორდია, ,,გოდერძი ჩოხელის მგელი“, თბ., 2009.

„ბედი-მდევარი“ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების „ორი შვილისა“ და „ხუთის ამბავის“ მიხედვით

ციცინო ღუღუნაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანი იმნაძე,** მოწვეული სპეციალისტი

„არსენა მარაბდელის” ეპილოგში მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადა“. მისი ნათქვამი გამართლდა. ოდესღაც ყველაზე ჩამორჩენილი მხარე, ძველად ბორჩალოდ წოდებული ორი მივარდნილი სოფელი - წერაქვი და სიონი, სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, რადგან იქ დიდი მწერალი და მოღვაწე მიხეილ ჯავახიშვილი დაიბადა. ეს 1880 წლის 8 ნოემბერს მოხდა.

მიხეილ ჯავახიშვილი მტკიცე ნებისყოფის ადამიანი გამოდგა. ოჯახში შექმნილი დიდი ტრაგედიის გამო (1899 წელს ჯავახიშვილის ოჯახს წერაქვში თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომელთაც მისი დის – სოფიოს გატაცება სურდათ. თავდამსხმელებმა ყველანი ამოხოცეს - დაც, დედაც და მოჯამაგირენიც, მამა ამ დროს შინ არ იყო) არ მოეშვა, არ დაძაბუნდა. პირიქით, სწავლა-განათლებას დაეწაფა და მომავალზე ფიქრს შეუდგა. საჭირო იყო თვითონვე ეზრუნა თავის მომავალ ბედ-იღბალზე და მარტოს გაეკაფა ცხოვრების რთული გზა. სად და რა პროფესიით არ უმუშავია მას. ცხოვრება დიდ სკოლად ექცა. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება საფუძვლად დაედო მომავალი მწერლის შემოქმედებით შრომას.

მრავალმხრივ განათლებული, ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხებში მყარი შეხედულებების მქონე პიროვნებისათვის ყველაზე მთავარი და მტკივნეული ეროვნული საკითხი იყო, რომლის მიმართაც გამძაფრებული დამოკიდებულება ჰქონდა, ტკივილამდე მისული. (1, 3)

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი მრწამსი მკვეთრად განსაზღვრა, იგი სისხლსავსე ცხოვრებას იწყებს. აქტიურად ეხმაურება ცხოვრების ყოველ წვრილმანს.

ერთი მხრივ, მკითხველთა დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი, მეორე მხრივ კი, პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები უტევენ და მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებენ, რის გამოც მიხეილ ჯავახიშვილს ერთ-ერთი გამოსვლის დროს მათი მისამართით უთქვამს: „ჩვენი ადმინისტრაციული დაშინებითა და მუქარით პროლეტარულ მწერლებს წინ ვერც წასწევთ. გაუნათლებელი და უშრომელი მწერალი კლასიკოსი ვერ გახდება. თქვენ მწერლის ფსიქოლოგიას არავითარ ანგარიშს არ უწევთ. შემოქმედებითი შეჯიბრის გეშინიათ და ამიტომ მებრძვით. კვაჭი დავხატე, მითხარით: ეს შენ ხარო; ჯაყო და თეიმურაზიც შენ თვითონ ხარო, გივი შადური შენი პორტრეტიაო. ახლა ისღა დამრჩენია, ორსული დავხატო და იმაზეც მეტყვით, ესეც შენ ხარო“. (1, 5)

მიხეილ ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. დიდია მისი ღვაწლი მშობელი ხალხის წინაშე. არ ყოფილა ეპოქისათვის დამახასიათებელი არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც არ ასახულიყო მის შემოქმედებაში. თავის რომანებსა თუ მოთხრობებში იგი ერთნაირი სიმძაფრით აღწერს სოციალურსა თუ ეროვნულ საკითხებს. ფასდაუდებელია მისი ამაგი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. მიხეილ ჯავახიშვილი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა მშობლიური ენის სიწმინდის, მისი დახვეწისა და განვითარებისათვის. (1, 6)

XX საუკუნის I ნახევარში ქართულ ლიტერატურას ორი მძლავრი ნაკადი მსჭვალავდა, ერთი მხრივ, მოდერნიზმი, თავისი სხვადასხვა განშტოებით (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი...) და, მეორე მხრივ, ნეორეალიზმი - ჯავახიშვილის პროზით. ეს ორი ნაკადი ერთმანეთს ავსებდა და წარმოაჩენდა ეპოქის მაჯისცემას. (6, 36)

მოდერნიზმი იყო ერთგვარი პროტესტი რეალიზმის წინააღმდეგ. ერთგვარი, რადგან ეს იყო ლიტერატურული ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელიც იმეორებდა წარსულის გამოცდილებას და ახალი კუთხით ავითარებდა. მოდერნიზმი ითვალისწინებდა წინაპართა გარკვეულ გამოცდილებას. მოდერნიზმის ესთეტიკას საქართველოში ქმნიდნენ გამორჩეული მწერლები: გრიგოლ რობაქიძე, ცისფერყანწელები, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვასილ ბარნოვი, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი. (6, 45)

მიხეილ ჯავახიშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა ყველასაგან. მისი პირველი მოთხრობები ამხელდნენ სრულიად სხვაგვარ ინტერესს თემისა თუ სტილის თვალსაზრისით. ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის რეალიზმზე, როგორც მოდერნიზმის ერთგვარ ალტერნატივაზე. შემდეგ, მოგვიანებით, 1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა ის ნაკადი, რომელიც მის სახელს უკავშირდებოდა, უპირველესად, შეაფასა, როგორც ნეორეალიზმი. (5, 15)

მწერალი ნათლად გამოკვეთდა ძირითად დებულებას: ხელოვნება მიწისთვის, ჩვენთვის, ხალხისთვის ეს იყო ერთგვარი მიბრუნება ილიასეულ და აკაკისეულ პრინციპთან („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“ (ილია), „მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“ (აკაკი). (6, 46)

ოციანი წლების გარდამავალი პერიოდის სპეციფიკა (როცა მიხეილ ჯავახიშვილი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაბრუნდა ლიტერატურულ ასპარეზზე) უხვად ასაზრდოებდა სხვადასხვა ლიტერატურულ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მიმართულებებს. „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები - 1921-1925 წწ. ქართულ ლიტერატურაში მწვავე ბრძოლების გამოხატულებით აღინიშნება: ისე, როგორც არ წყდებოდა ჩვენში იდეოლოგიური ბრძოლა, ასევე არ წყდებოდა ის ლიტერატურულ ფრონტზე. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩვენში კვლავ განაგრძობდა არსებობას ან ახლად იქმნებოდა ანტირეალისტური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური იდეების გამომხატველი ლიტერატურული ჯგუფები“ (ს. ჭილაია). ასეთმა გარემოებამ გარკვეული წინააღმდეგობებით აღბეჭდა იმ წლებში მოღვაწე ქართველ მწერალთა და, რასაკვირველია, მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიაც. „ყველაზე რთული მწერლის შემოქმედებაში ეს პერიოდი იყო“. ეს სირთულე კი, უპირველესად, შემოქმედების ამ მონაკვეთზე შექმნილ მოთხრობებში და რომანებში დამუშავებული პრობლემების გადაწყვეტის მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური მრავალფეროვნებით გამოიხატება. (6, 51)

შემოქმედებითი პროცესი თავისი ბუნებით წინააღმდეგობრივია, რადგანაც იგი თავის თავში სხვადასხვა ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ შეხედულებათა მინარევებს შეიცავს, რომელთა მეტ-ნაკლებად მწყობრ სისტემაში მოქცევით მწერალი თავად „ამოდელირებს“ მისთვის მისაღებ სამყაროს. ალბათ, ამ ფაქტორების გავლენით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა ერთ ნაწილში მწერალმა სერიოზული ყურადღება დაუთმო „ბედის“ ირაციონალურ-მეტაფიზიკური ფენომენის გავლენას ინდივიდის ნების თავისუფლებაზე, მისი ცხოვრებისეული გზის განსაზღვრაზე. (4, 45)

„ბედი-მდევარის“ ფატალურ რწმენას შემოქმედებაში არაერთი გმირი ატარებს. თითქმის ამითაა შეცვლილი ზოგჯერ მოვლენებისა და გმირის ცხოვრების ბედუკუღმართობის სოციალური მოტივირება და ახსნა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლის რიგ მოთხრობებში ნაკლებად შეიმჩნევა მათი სოციალური მოტივირებით ახსნა და მხატვრული დასაბუთება. ამ მყარ, დამაჯერებელ საფუძველს კი ვერ შეიცვლის ფატალური „ბედი-მდევარი“, რომელსაც არაიშვიათად მიმართავს მწერალი“. (4, 45)

დამუშავების ნაცვლად ფანტაზია მუდამ მიისწრაფვის შეუცნობადისაკენ და ეს შეუცნობადი არც თუ იშვიათად გრძნობადი სამყაროს მიღმაა მოთავსებული. ირაციონალურისაკენ ინტელექტის სწრაფვის ამგვარი სურვილი უფრო მეტ სააზროვნო სივრცეს უქმნის მაძიებელ გონებას ასეთი ძიებების შედეგები, არც თუ იშვიათად, სრულიად სხვა წახნაგებს მატებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიას. ამ

გარემოებით უნდა აიხსნას მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში გაბატონებული რეალისტური ტენდენციების გვერდით მწერლის შემოქმედებითი მეთოფისათვის ერთი შეხედვით „ალოგიკური“, „ბედის“ ირაციონალურ-მეტაფიზიკური კატეგორიის არსებობაც. მოთხრობების „ორი შვილის“, „ხუთის ამბის“, „ლამბალო და ყაშას“ მთავარი პერსონაჟების მოქმედება სწორედ ამ ფენომენით, „ბედით“ მოტივირდება და დროსა და სივრცეში მათი გადაადგილების მექანიზმიც მისი „ენერგიით იკვებება“. „ბედი-მდევარი“, განურჩეველი და უპიროვნო - უმაღლესი სამართლიანობაა, რომლის გარდაუვალობაც გრძნობადი სამყაროს მიღმა გატანილი ძალების მიერაა განსაზღვრული. (4, 46)

„ბედი მდევარით“ „მართულ“ სამყაროში კი, სამართლიანობის აღმდგენ მექანიზმს აკონტროლებს და წარმართავს გრძნობადი სამყაროს მიღმური ძალა, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში „ცოდოსა“ და „ბედი-მდევარის“ ვარიაციებითაა წარმოდგენილი და რომელიც მოქმედების განვითარების საბედისწერო წრეშია ჩაკეტილი. მისი კონკრეტულ-სუბიექტურ პლანში გადატანა და ტრაგიკულობის ფოკუსში მოქცევა კი ოციანი წლების ქართული ლიტერატურისათვის ცნობილი მოტივია.

მიხეილ ჯავახიშვილის ამ პირობითი რკალის მოთხრობების პერსონაჟებისათვის, მათ მიერ შეცნობილი სამყარო, ამ სამყაროზე მიმდინარე პროცესები ისე გაიაზრებიან, როგორც ცნობიერების მიღმა მდებარე უპიროვნო ძალის გამომვლენი მედიუმები და ეს ძალა - „ბედი-მდევარი“ - იმ დამოუკიდებელი აბსოლუტის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც „ადამიანის პირადი თავისუფლების წინასწარგანჭვრეტას, როგორც მსოფლიო ცხოვრების ფაქტორების სრულ გამოხატვას ემყარება. ამიტომ მთელი მსოფლიო პროცესი ემორჩილება ბრმა ძალის - ბედის თვითნებობას ან კიდევ მის შეუქცეველ აუცილებლობას“. ეს ძალა განაპირობებს ამ სამყაროს ფარგლების ზუსტ რეგლამენტირებას, ყოველი მოვლენისათვის, საგნისთვის განმსაზღვრელი ადგილის მიჩენას. ასეთი სამყაროს სტრუქტურა მიხეილ ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობების მთავარი პერსონაჟებისათვის ამ ძალის, „ბედი-მდევარის“ მიერ წინასწარ ლოგიკურად გააზრებულ მიზანდასახულობათა უშუალო პროდუქტია. ასეთად აქვს წარმოდგენილი გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა მოთხრობა „ხუთის ამბის“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ალვა ჯავრიძეს. (4, 50)

„ყმაწვილებო! ჩვენს ირგვლივ რაღაც უხილავი და საშინელი ძალა არსებობს. შენი შეგრძნება დღემუდამ ებრძვის მას. არ გინდა ჩავარდე უჩინარის პირში. იცი, რომ დაიღუპები, მაგრამ ამავე დროს ჰგრძნობ, და ხედავ, რომ ჯადოსანი ძალა თანდათანობით გიზიდავს დაღუპული პირისაკენ. ჰკივი, მაგრამ მისცოცავ, კვნესი, მაგრამ მიეთრევი. მწარედ ებრძვი საკუთარ თავს, - ამაოდ! ისევ მიფოფხავ, მაინც მიდიხარ! ასე ვებრძოლე ოცდაათი წელიწადი ჩემს თავს და იმ დაღუპულ ძალას, მაგრამ უნაყოფოდ, რადგან თავის ფეხებამდე უკვე გველეშაპის კბილებში ვიყავი გაჩხირული“. ალვა ჯავრიძის ცხოვრებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით დატრიალებული მოვლენები (რევოლუცია, ძველი ოჯახის დანგრევა, მშობლების სიკვდილი, ერთადერთი შვილის - მზეხას დაკარგვა, გადასახლება თეთრი ზღვის სანაპიროზე, შეხვედრები როსტომ რეტიანთან, მირიან ბორინთელთან, მზეხას აღმოჩენა, დაბრუნება მშობლიურ დორინთაში, კონფლიქტი მის ყოფილ მეზობლებთან, ლოექსოს ეპიზოდი და ბოლოს ამ ტანჯვა-წვალების მაკომპენსირებელი „ჰეპი-ენდი“) მისთვის სრულიადაც არ არის განპირობებული კონკრეტულ-სოციალური ვითარებით. პირიქით, იმ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ქარტეხილებს, ალვა ჯავრიძე, მხოლოდ და მხოლოდ არსთგანმრიგეს მიერ წინასწარდაგეგმილ მოვლენათა რიგს აკუთვნებს. ასე, რომ „ბედი-მდევარის“ ფატალური კატეგორია ალვა ჯავრიძისათვის სწორედ კონკრეტულ-სოციალური ვითარებისაგან გამოუცხობელ ფაქტორად გვევლინება.

„ბედი-მდევარი“ ალვა ჯავრიძისათვის მის წინაპართა მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ მორალურ-ეთიკურ ნორმათა ძირითადი პრინციპების დარღვევის გამოა საშიში: „დავაშავე წინაშე წინაპართა ჩემთა“ - წაიბურტყუნა მამაჩემმა და ამ სიტყვებით ბევრი რამ გამაგებინა. მეც დავაშავე. ჩვენი ძალ-ღონე სხვა შევწირეთ და ჩვენი ბებერი მშობელი: ღარიბ-ღატაკი, მიტოვებული და უპატრონო მაშინღა გავიხსენეთ, როცა იქ, სხვის ქვეყანაში, უკლებლივ ყველაფერი დავკარგეთ, ლხინი სხვაგან და ჭირი დედასთან - ასე დაგვემართა ჩვენ გადახვეწილებს, ჩვენი ბებრუცანაც დედინაცვალივით დაგვხვდა. (2, 51)

როგორც მოთხრობის ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, „ბედი-მდევარი“ მიხეილ ჯავახიშვილისათვის ის უნივერსალური და საჭიროებისდა მიხედვით ცვალებადი ინსტრუმენტია, რომელსაც მწერალი თავისი სათქმელის უფრო ზუსტად გამოსახატავად იყენებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი - „ხუთის ამბავში“ მკითხველს აჩვენებს თუ რაოდენ დიდი დრამატიზმითაა აღბეჭდილი სამშობლოდაკარგული კაცის ცხოვრება მისი, როგორც პიროვნების, რღვევის „ისტორია“.

მწერალი შეუძლებელია გულგრილი დარჩეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უზნეოდ გაივლიან ცხოვრების გზას და ბოლოს ,,ბედი-მდევარით“ წამოწეულებს სამუდამოდ ეკარგებათ ამქვეყნიური მონაპოვარიცა და სულიერი სიმშვიდეც. ამ ტიპის ადამიანების ცხოვრების აღწერისას მწერალი გულგრილი როდია, ის მტკივნეულად განიცდის გარკვეულ სოციალურ გარემოში მოქცეული

ადამიანის ბედის თვითნებობას. ბედისას, რომელსაც საბოლოოდ დაუმახინჯებია ადამიანთა სული. (4, 52)

მოთხრობაში „ორი შვილი“ ასახულია სოციალური ყოფით შეშინებულ ადამიანთა ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა და გადაგვარება, ბოლოს კი მათი ფსიქოლოგიური კრიზისი, რითაც ,,მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები ერთ საპატიო ადგილს იჭერს ქართულ ლიტერატურაში. უფრო მეტიც, მან მოთხრობების ფორმა ბევრი ახალი, ორიგინალური თვისებებით გაამდიდრა. სიუჟეტის სიმძაფრე და თხრობის ფრიად პლასტიკური ხასიათი რეალიზმით აღსავსე პერსონაჟებთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილს ანიჭებს ორიგინალური მწერლის სახელს“. (3, 44)

მიხეილ ჯავახიშვილი მოთხრობებში დასმული პრობლემებით მკითხველში ერთდროულად აღძრავს სიძულვილსაც და სიბრალულსაც.

„ბედი-მდევრის“, როგორც საზოგადოებრივ და ადამიანურ ურთიერთობათა უმაღლესი რეგულატორის, პრობლემის გაშუქების თვალსაზრისით საყურადღებოა მოთხრობა ,,ორი შვილი“. სოფლის მედუქნე ზაქროს, რომელსაც დუქანში მიღებული მოგება არ აკმაყოფილებს, ფულისათვის ბევრი ფარული მკვლელობა ჩაუდენია. მან თევდორე დიდზვარელს, რომლისგანაც ცხენი იყიდა, ერთ უდაბურ ადგილას უყელა და სიცოცხლეს გამოასალმა. შემდეგ კი არასასურველი მოწმის თავიდან მოსაშორებლად დაედევნა თევდორეს შვილს. ბავშვი სოფლისაკენ გაიქცა და ზაქროს გომურში დაიმალა. სიბნელეში და სიჩქარეში ისე მოხდა, რომ ზაქრომ თევდორეს შვილის ნაცვლად თავისი უმცროსი ვაჟი მოკლა. ამავე დროს ზაქროს მეუღლე ნატო კლავს მათ დუქანში ჩამომხტარ ფულიან სირაჯს, რომელიც სინამდვილეში ომში დაკარგულად მიჩნეული მათი უფროსი შვილი ანტონი აღმოჩნდება. თევდორე დიდზვარელის ცოცხლად დარჩენილი ბავშვი, შიო, გომურიდან გაიპარება და ცოლ-ქმარს სოფელს იმ დროს დააყენებს თავზე, როცა ისინი თავიაანთ ბოროტების ნაყოფს – მოკლულთა გვამებს მარხავენ. შიოს მოყვანილი გლეხები გადააბრუნებენ მიცვალებულებს და ზაქროსა და ნატოს თავიანთი ხელით დახოცილ საკუთარ შვილებს - ანტონსა და ზურაბს დაანახვებენ. (4, 47)

ასე იხსნება ის ტრაგიკული კვანძი, რომელიც ,,ბედი-მდევრის“ მიერაა წინასწარ განსაზღვრული. მან დაუყოვნებლივ იძია შური მოთხრობის მთავარ გმირზე, ზაქროზე. რომელმაც რამდენიმე ათეული თუმნისათვის ადამიანი სასიკვდილოდ გაწირა. ფულის გულისთვის გამეტებული მეცხვარის სიკვდილმა თავისებური ბიძგის როლი შეასრულა უბედურებათა იმ ჯაჭვის გაშლაში, რომელიც მკვლელობის შემდეგ დატრიალდა მედუქნე ზაქროს სახლში და დრამატული გზით წარიმართა მისი შემდგომი ცხოვრება.

დგება მომენტი, როცა კაცისმკვლელი თავის სისხლიან წარსულს გადახედავს. ეს გარდატეხა, რომელიც მკვლელის ცხოვრებაში მოხდა, სავსებით კანონზომიერია, რადგანაც „ბევრი მსგავსი აგონდება ზაქროს: ქვრივ-ობოლთა წყევლა-კრულვა, მუქარა და სიძულვილი, აღარ იცის, რომელი ერთი გაიხსენოს... ცოდვილია ზაქრო, ცოდვილი! მაგრამ ამასაც მოინანიებს, მოირეცხავს: შუამთაში წავა, ალავერდსაც ეწვევა, მცხეთასაც - ყველას თითო საკლავს მიუტანს, საწყლებს დაურიგებს და შენდობას მიიღებს“. თვითგანწმენდის ეს სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ქვეცნობიერში მიმალული ცხოველური შიშის დათრგუნვის ცდაა, მაგრამ „დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა! - უცებ გაახსენდა მეცხვარის ბღავილი, როცა ერთხელ... ერთხელ, ერთი სიტყვით ის მეცხვარე შემოაკვდა“. ეს „ცოდო“, რომელიც მედუქნე ზაქროსთვის უკვე მუდმივ, მისი ცხოვრებისათვის ტრაგიკულ სიდედ გაფორმდა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გრძელი ჯაჭვის უშუალო გამოვლენაა და, რადგანაც ყოველი მოვლენა გარკვეული მიზეზით ჩნდება, ეს ცვალებადობა, რომელიც ზაქროსათვის შეუქცევად ღირებულებად იქცა, მისი სამყაროს წარმმართველი მუდმივი კანონების არსებობითაა განპირობებული. სწორედ ამ ლოგიკურმა მიზეზ-შედეგობრივმა კავშირმა, ფატალურმა გარდაუვალობამ განსაზღვრა ის, რომ ზაქრომ თავის ხელით მოკლა საკუთარი შვილი. ფატალური გარდაუვალობა მიხეილ ჯავახიშვილის ამ პირობითი რკალის მოთხრობების პერსონაჟებისათვის, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ყოვლისმომცველი და შეუვალი დეტერმინაციაა, რომლისაგანაც შეუძლებელია გაქცევა, რადგანაც იგი ამ ადამიანებისათვის „შექმნილი“ სამყაროს საფუძვლებშია ჩამარხული. (4, 48)

მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობა ერთგვარი თანადროულობაა ბედის თვითნებობისა, რომელსაც დაუმორჩილებია და წინასწარ განუსაზღვრავს მისსავე კაბალაში მოქცეული ადამიანის ბედი, რომლის პრინციპიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ფატალური გამოვლენაა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ „ბედი-მდევარი“ როგორც მოვლენა შემთხვევით არ გამოჩენილა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში. ძირითადად ეს უკავშირდება წარსულ ცოდვას, რომელიც მწერალს მთელი ცხოვრება თან სდევს, ხან შენიღბულად, ხან ხმალამოწვდილი, რომელიც ანგრევს როგორც სულიერებას, შინაგან სამყაროს, ფსიქიკას, ისე ფიზიკურ სხეულს.

იყო თუ არა მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახის ტრაგედია „ბედი-მდევარი“ ეს რთული სათქმელია, მაგრამ ეს ფაქტი იმდენად ტრაგიკული იყო, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება სწორედ ამ

მოვლენის გარშემო ტრიალებს. „ბედი-მდევარში“ ბიოგრაფიული მარცვლის ძიება უკვე სხვა თემის საქმეა.

ლიტერატურა:
1. დ. ბენაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1959.
2. მ. ჯავახიშვილი, წერილები, თხზულებანი, ტ. VI, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980.
3. მ. ჯალიაშვილი, ბედისწერის ორი ინტერპრეტაცია (მიხეილ ჯავახიშვილის „ორი შვილი“), ჟ. ,,კრიტერიუმი", თბ., 2003.
4. ნ. შავგულიძე, ჩანჩურადან არსენამდე, თბ., 1988.
5. ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანწებით, „დია“, თბ., 2002.
6. ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე, „ლიტერატურის ინსტიტუტი“, თბ., 2010.

აშოტ დიდი კურაპალატი როგორც პერსონაჟი

ხატია ტეტუნაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანი იმნაძე**, მოწვეული სპეციალისტი

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა მხატვრული ლიტერატურის ყურადღებას. მწერლებს ხშირად გაუცოცხლებიათ რომელიმე კონკრეტული ისტორიული ეპოქა ან ისტორიული პირი და მხატვრული სიმშვენიერის დართვით მოუტანიათ მკითხველამდე.

სამი მწერლის გიორგი მერჩულეს, ვასილ ბარნოვისა და ოთარ ჩხეიძის ყურადღების ღირსი გამხდარა აშოტ დიდი კურაპალატის მეფობის პერიოდი. აღნიშნულმა მწერლებმა ერთმანეთისაგან განსხვავებულად, სხვადასხვა ეპოქაში, სულ სხვადასხვა კუთხით დაგვანახეს აშოტ კურაპალატი, როგორც მეფე, პიროვნება, მეუღლე, მამა და ა.შ.

გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ვასილ ბარნოვმა „ტრფობა წამებულში“ და ოთარ ჩხეიძემ „მეფე აშოტ დიდი კურაპალატში“ დროის სიშორის მიუხედავად, შესანიშნავად მოახერხეს VIII- IX საუკუნეების აღდგენა.

ზემოთ ხსენებული ნაწარმოებები მოიცავს მრავალ, თემატურად განსხვავებულ პრობლემას, მაგრამ ჩვენი მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ აშოტ კურაპალატის პერსონაჟზე და გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი ისტორიულად არსებული პერსონაჟის შესახებ ცნობებსა და ნაწარმოებებში წარმოდგენილ მხატვრულ სახეს შორის, რამდენად განიცადა ტრანსფორმაცია აშოტ დიდის პერსონამ, როგორც პერსონაჟმა.

თუმცა, სანამ კონკრეტულად ნაწარმოებების განხილვას დავიწყებდეთ, გავეცნოთ, თუ რა ისტორიულ პერიოდში უწევდა აშოტ კურაპალატს მოღვაწეობა (787-826 წწ.).

არაბთა ლაშქრობა საქართველოში 643-645 წლებში დაიწყო, აქედან მოყოლებული, როგორც ჟამთააღმწერლის „მატიანე ქართლისა“-დან ვიგებთ, „არაბებმა თანდათანობით საქართველოსა და კავკასიაში ფეხი კარგად მოიკიდეს, „დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგრიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თვისად და მოიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამის განნ, რომელსა ჰრქვიან ხარაჯა“ (10, 217).

ორი სამყარო, ბიზანტია და არაბები დაუპირისპირდა ერთმანეთს და ამ ორის ზღვარზე იმყოფებოდა პატარა საქართველო, საიმედო დასაყრდენი ბიზანტიისა, მაგრამ ამჯერად არაბთაგან დაპყრობილი. ბიზანტია იცავდა საკუთარ ინტერესებს და ყველანაირად ცდილობდა ხელი გაემართა საქართველოსათვის სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ საუკეთესო საშუალება იყო გაემაგრებინათ ქრისტიანული სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, რათა პირველი ტალღები მტრისა სწორედ მათზე მოსულიყო. ბიზანტიელები კი თვალს არ აშორებდნენ პატარა საქართველოს, ქართველი ხალხი კი მუდამ მათი დახმარების მოლოდინში იყო, რეალური დახმარება კი არსაიდან ჩანდა.

უცხოელების ხანგრძლივი ბატონობის შემდგომ, VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საქართველომ გამოცოცხლება დაიწყო.

მაშასადამე, VIII საუკუნის დასასრულს საქართველოს მიწა-წყალი ოთხ სხვადასხვა მფლობელს ეჭირა: თბილისი მისი მიდამოებით და ქართლის სამხრეთი ნაწილი არაბ ამირას ალი შუაბის ძეს ჰქონდა; საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი კახთა მთავარს ეპყრა, რომელსაც „ქორეპისკოპოსი“ ეწოდებოდა; დასავლეთი ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთის მხარე აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა, სამხრეთი აშოტ კურაპალატსა და მის ჩამომავლობას (11, 94).

თავისი კეთილი განწყობა და მფარველობა კეისარმა იმითაც დაამტკიცა, რომ „ბერძენთა მეფემან მიუბოძა კურაპალატობა აშოტს“ (10, 219).

სიტყვა cura Palatiae ლათინურიდან მომდინარეობს და ქართულად ნიშნავს „სასახლის დაცვას“. კურაპალატობას გარკვეული დამსახურებისთვის იღებდნენ და მისი მატარებელნი ითვლებოდნენ სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (12, 1434).

მერვე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ერისთავად ქართლში აშოტ დიდი ყოფილა. წინამორბედი ერისთავების მსგავსად ვერც აშოტ კურაპალატმა გაუძლო არაბების დევნას. როგორც ჟამთააღმწერელი გვამცნობს „იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერა უძლო წინააღმდეგად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან და წარემართა რათა წარვიდეს საბერძნეთად“. იგი დაესახლა არტანუჯში და „მისცა ღმერთმა გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“, ხოლო აქ „განემტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“.

აშოტი ცდილობდა გაეფართოებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები და ერთი ნაწილი ქსნის ხეობამდე დაისაკუთრა. მაგრამ არც აშოტის ბატონობა ყოფილა ქართლში ხანგრძლივი: „მოვიდა ხალიდ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხეთი, ქართლი და ჰერეთი“ (10, 220). მალე ჯერი აშოტზეც მიდგა.

იმ დროს, როცა იგი ცდილობდა „რაითამცა შეიკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა“ და ომის სამზადისში იყო, „დაესხნენ მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი“. გაქცეულ კურაპალატს არაბები კვალდაკვალ დაედევნენ, მოეწივნენ და 29 იანვარს 826 წელს ეკლესიაში ზედ საკურთხეველზე მახვილით მოჰკლეს (10, 220).

ასეთია აშოტის გარდაცვალების ოფიციალური ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი რამის გაკეთება აღარ დასცალდა, აშოტ დიდი საქართველოს ისტორიაში ითვლება ერთ-ერთ ძლიერ მმართველად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშოტი იყო პირველი ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლობიდან, რომელმაც საქართველოში მეფობას მიაღწია, მეცხრე საუკუნის დასაწყისში. მერვე საუკუნის ბოლოდან 809 წლამდე მას ქართლის ერისმთავარი ეწოდებოდა, 809/813 წლებიდან გარდაცვალებამდე (826 წ.) ქართველთა მეფე და კურაპალატის ტიტული მოიპოვა (2, 103).

არსებობს უძველესი ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც გადმოცემულია თქმულება ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის შესახებ. ეს წყაროები ეკუთვნის IX-X საუკუნეებს. მათ შორის მთავარია:

1. ქართული - გიორგი მერჩულის თხზულება - 950 წლისა.
2. ბერძნული - კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება - 952 წლისა (2, 84).

გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ მეფეს:

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან...“ (4, 40)

VIII საუკუნის გასულს და IX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობასა და სამონასტრო ცხოვრებას.

გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ 951 წელს ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, გიორგი მერჩულს დაუწერია გრიგოლის „ცხოვრება“, რომელსაც ეწოდება: „შრომაი და მოღვაწეობაი ღირსად ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაი“. (3, 102)

ნაწარმოები ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა, ჰაგიოგრაფია კი ბერძნული წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს წმინდანთა, ანუ ქრისტიანობისათვის თავდადებულ პირთა წამებისა თუ ცხოვრების აღწერას. ამ ნაწარმოებებს მრევლში უნდა დაემკვიდრებინა ადამიანის ქრისტიანული იდეალი. მის გვერდით ცხოვრებისეული დეტალები შეიძლება მხოლოდ დამხმარე მასალა იყოს, ამ მხრივ, ჰაგიოგრაფია ძალიან უახლოვდება ისტორიულ ლიტერატურას, ის გაჟღენთილია ისტორიულობით (5, 27).

აქედან გამომდინარე, გიორგი მერჩულეც თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ეხება ისტორიულ პირებს, მისი მიზანი არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების ღვაწლის წარმოჩენა. აქ აღწერილია იმ დიდი

ეროვნული მოძრაობის ისტორია, რომელიც წმინდა გრიგოლ ხანძთელმა წამოიწყო და მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

მეფე-დიდებულები მუდამ ზრუნავდნენ მონასტრების ეკონომიკური ძლიერებისათვის, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ ამით, ფაქტობრივად, სახელმწიფოს საფუძველს ამაგრებდნენ. ამ მხრივ, გამონაკლისს არც აშოტ დიდი წარმოადგენდა. როდესაც კურაპალატმა გაბრიელ დაფანჩულისაგან, რომელიც მეფესთან დაახლოებული დიდებული იყო, შეიტყო გრიგოლის საქმიანობის შესახებ, მაშინვე წერილი აახლა და თავისთან მიიწვია ხანძთის წინამძღვარი. სასახლეში წმინდა გრიგოლს დიდი პატივით დახვდნენ. მეფემ და მისმა სამმა ვაჟმა მიწები შესწირეს მონასტერს, მაგრამ ამ შეხვედრას სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის.

ქართლიდან არაბებისგან დევნილი აშოტ კურაპალატი კლარჯეთში გამაგრდა და იქიდან განაგრძო ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. მის მიერ აღდგენილი არტანუჯი მაშინდელი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად იქცა. ასევე კლარჯეთში დაიწყო საქართველოს სულიერი გაერთიანებისათვის ბრძოლა წმინდა გრიგოლ ხანძთელმა.

ამ ორი პიროვნების ხვედრი იყო საქართველოს ხორციელი და სულიერი წინამძღვრობა და ისინი წლების მანძილზე სხვადასხვა გზით, მაგრამ ურთიერთშეთანხმებულად იღვწოდნენ ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

აღნიშნული ნაწარმოები შესანიშნავად აღწერს წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის როგორც კულტურულ, ისე ისტორიულ ეპოქას და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს თხზულება ერთ-ერთ ლიტერატურულ პირველწყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელშიც გადმოცემულია VIII საუკუნის ბოლო და IX საუკუნის დასაწყისის ცხოვრება.

გიორგი მერჩულე თითქოს ზედაპირულად ეხება აშოტ კურაპალატის პერსონაჟს და მხოლოდ გარკვეულ ფაქტებს წარმოგვიდგენს. იგი ყურადღებას ამახვილებს აშოტის გამიჯნურების ამბავზე.

ამავე დროს, „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ პირველად დაისვა გრძნობისა და მოვალეობის დაპირისპირების საკითხი.

აშოტ კურაპალატი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად „კეთილად ცხოვნდებდა მრავალთა წელიწადთა“, მოულოდნელად „ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა“, თუმცა კი მას „პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩვეულებაი“, მრავალთა ქუეყანათა მპყრობელ“ და მუდამ სამეფოს კეთილდღეობაზე მზრუნველ ხელმწიფეს „გარდარეული სიყუარული“ შეეყარა.

ხანძთის წინამძღვარი ხედავდა, რომ ქვეყანაში გარკვეული სასიკეთო ძვრები ისახებოდა და „მძლავრებასა ქუეშე დამონებული და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრული“ ერი საკუთარი ძალების რწმენას იბრუნებდა, ამ დროს ყოველგვარი ზნეობრივი კომპრომისი, მით უმეტეს, ხელმწიფის მხრიდან, შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო. წმინდა გრიგოლი დაძაბული ადევნებდა თვალს სასახლის კარის ცხოვრებას და როცა იგრძნო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, დაუფარავად ამხილა მეფე.

გრძნობისა და მოვალეობის შინაგან ჭიდილში გაორებულ აშოტი, ჩანს, თვითონაც კარგად ხედავდა, რომ საქვეყნო საქმეს ღალატობდა და ამით არღვევდა იმ დაუწერელ პირობას, რომელიც მასსა და საქართველოს სულიერ მამას შორის არსებობდა. ამიტომ მან წინააღმდეგობა ვერ გაბედა და „აღითქვა ცოდვისა მის განტევებაი და დედაკაცისა მის წარგზავნაი ვითარცა მოეყუანა იგი“, მაგრამ ძალა არ ეყო დანაპირების აღსასრულებლად, „რამეთუ იგი დაემონა გულის თქმას“.

„ძღუდედ შჯულისად“ წოდებული წმინდა გრიგოლი ვერ შეიწყნარებდა ამგვარ სულმოკლეობას, ამიტომ თვითონ აღასრულა ის, რის გაკეთებაც აშოტს ჰმართებდა, რათა უფლის ნათესავი ხელმწიფის ხატი არ დაჩრდილულიყო, სასახლეში მივიდა და ქალი მერეს დედათა მონასტერში წაიყვანა და ფებრონიას ჩააბარა. ფებრონიასთან საუბრის შემდეგ სასოწარკვეთილ კურაპალატს აღმოხდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“, მაგრამ იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა.

მიუხედავად შეცოდებისა, აშოტი დიდბუნებოვან პიროვნებად გვევლინება, რომელსაც ეყო კეთილგონიერება მიმხვდარიყო, რომ წმინდა გრიგოლი მისი და ქვეყნის ინტერესებისათვის მოიქცა ასე. ჩანს, სწორედ კეთილგონიერების გამო აფასებდა წმინდა გრიგოლი აშოტ კურაპალატს.

სახელმწიფოში დამყარდა ორგვარი იერარქია: მიწიერი, რომლის სათავეშიც ხელმწიფე იდგა და სულიერი, სადაც უმაღლეს საფეხურზე მეუდაბნოე ბერს ვხედავთ. ეს საქართველოში ქრისტიანობის სრულ გამარჯვებასა და უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს. ქვეყანაში შეგნებული ჰქონდათ ქრისტიანობის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში და როგორც თხზულებიდან ვხედავთ წმინდა გრიგოლსა და აშოტ კურაპალატს შორისაც იყო ფარული წინააღმდეგობა.

ზემოთ როგორც უკვე ვახსენეთ, ვასილ ბარნოვმაც შეაჩერა თავისი ყურადღება აშოტ კურაპალატზე და მისი მოღვაწეობის პერიოდს უძღვნა რომანი „ტრფობა წამებული“.

ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, ისევე როგორც მთელი მისი მხატვრული შემოქმედება, ერთ მიზანს ემსახურება: წარმოადგინოს კეთილსა და ბოროტს შორის საბედისწერო ბრძოლა საუკუნეთა მანძილზე და დაასაბუთოს კეთილის მორალური ტრიუმფი.

თუმცა, შესაძლოა, ქართველი სამოციანელების მსგავსად, ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებშიც წარსულის ლანდები მოწვეულ იყვნენ იმედშერყეული ქართველი საზოგადოების გულის გასამაგრებლად, მათში ნაციონალური შეგნების გასაღვივებლად, ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათ ჩასაბმელად.

რომანის თემაა წინააღმდეგობა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის, რომელმაც თავი იჩინა საქართველოში VIII- IX საუკუნეებში. რომანში აღწერილი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა VIII- IX საუკუნების მიჯნაზე, ვასილ ბარნოვის შემოქმედების პრინციპული მხარეა.

რთული და დაძაბული სიტუაციის ფონზე ვასილ ბარნოვი კვეთს სახეს აშოტ კურაპალატისას პატრიოტი მეფის, ჭკვიანი პოლიტიკოსის, შემმართებელი ვაჟკაცის, სათუთი გრძნობის, ფაქიზი სულის ადამიანისას.

აშოტი ვასილ ბარნოვის საყვარელი გმირია. რა გასაკვირია, რომ „ტრფობა წამებულში“ აშოტი იდეალური ტიპის განსახიერებაა, მისი სახე რომანში საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ნაწარმოების გმირისა, არამედ თავისი მდიდარი კოლორიტით. აშოტ კურაპალატი რთული ფსიქოლოგიური წყობის ადამიანია. ასეთია ის, რა თქმა უნდა, ვასილ ბარნოვის გააზრებაში და არა მემატიანის ქრონიკებში.

აშოტი არის ჭკვიანი მმართველი, ამავე დროს დიდი სარდალი და უშიშარი მებრძოლი. ფარავნის ტბასთან დამარცხებულმა აშოტმა კვლავ შეძლო შეეკრიბა დაქსაქსული ძალები და საბედისწერო კონტრშეტევა მოეწყო მტრისათვის.

ამ მართლა გასაოცარ გამარჯვებას მემატიანე „ღვთის წყალობით ხსნის: „შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა მას ლაშქარსა მისსა, მოსცა ღმერთმან ძლევა მათ ზედა და მოსრნეს სამრავლენი ურიცხვნი“ (6, 244).

ვასილ ბარნოვი იძლევა რა ცოცხალ ბატალურ სცენას, იგი წარმოგვიდგენს აშოტის დიდ სტრატეგიულ ნიჭს.

გმირის ხასიათი ძირითადად იშლება მისი ოჯახური ცხოვრების ფონზე. ბარნოვი შეგნებულად ამუქებს ფერებს, რომ მათ უკან შემდეგ ნათელი გამოჩნდეს აშოტის გულის ჭეშმარიტი მისწრაფება.

მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ილტვოდა აშოტი, რათა საშუალება ჰქონოდა პირადი ბედნიერებისათვის ებრძოლა, მაგრამ ყოველთვის წინ ეღობებოდა მოვალეობის გრძნობა და ისიც იძულებული იყო დაეთმო. უნახავად მოჰგვრიან იოანე ხოსროიანელის ქალს გურანდუხტს საქართველოს მეფეს.

გურანდუხტმა ვერ იგრძნო მეუღლეში ნაზი მამაკაცი, რომელიც ელოდა მოყვარული ქალის ალერსს. აშოტი მისთვის მეფე იყო, სახელმწიფოს მმართველი, მისი დიდი ხნის პატივმოყვარე ოცნებების განმახორციელებელი. გურანდუხტს სურდა ერთიანი საქართველოს ტახტზე ასვლა და ამ მიზანს აშოტის გარდა ვერავინ მიაღწევინებდა. აშოტმა ყველაფერი გააკეთა, რათა გურანდუხტის გული მოეგო და მისი სიყვარული დაემსახურებინა, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ აშოტს ვეღარავინ გაამტყუნებს, თუ მისი გული სხვისკენ გაიწევს.

ამის შემდეგ იწყება წამებული ტრფობის ისტორია.

ისტორიული რომანის გარკვევისას ჩვენს წინაშე ჩნდება რამდენიმე კითხვა: რა ადგილი უჭირავს ისტორიას რომანში? რა ურთიერთობაა ისტორიულ და გამოგონილ ფაქტებსა და პერსონაჟებს შორის?

ისტორიული მასალა ვასილ ბარნოვის რომანებში მწერლის მიერ უდიდესი სიზუსტითაა დაცული. ერთადერთი ცნობა, რომელიც ბარნოვს თავის რომანში შეუცვლია და რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, ესაა ცნობა აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის ნათესაური კავშირის შესახებ. რომანით გრიგოლი „დედის დის შვილია“ აშოტისა და მისი დედის გაზრდილი, ხოლო გრიგოლი კი გაზარდა ნერსე ერისთავის ცოლმა, გრიგოლის დეიდამ. გამოდის, რომ აშოტი ნერსე ერისთავის მემკვიდრეა, ყველა მემატიანის ცნობით აშოტი ადარნასეს შვილია და გრიგოლს გაიცნობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სამონასტრო მშენებლობას გაშლის და დახმარებისთვის მიმართავს ადგილობრივ თავადებს და შემდეგ აშოტსაც.

მეორე ძირითადი წყარო, რომელსაც ეყრდნობა ვასილ ბარნოვი, არის მერჩულეს თხზულება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ. ამ თხზულების ყველა ფაქტი, რომელიც კი შეეხება გრიგოლის მოღვაწეობას აშოტის პერიოდში, აშოტის დახასიათებას, გრიგოლისა და აშოტის ურთიერთობას და სხვა - ბარნოვის მიერ გამოყენებულია რომანში.

ვასილ ბარნოვის რომანმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოთარ ჩხეიძეზე, იმდენად დიდი, რომ შთააგონა დაეწერა პიესა „აშოტ დიდი კურაპალატი“. როგორც ვასილ ბარნოვი, ასევე ოთარ ჩხეიძეც დადებითადაა განწყობილი და აღფრთოვანებული აშოტ დიდის მეფობითა და პიროვნებით.

მწერლის შთამაგონებელი გახდა „ქართლის ცხოვრების“ ეპიზოდები, ხოლო „მეფე აშოტ დიდ კურაპალატისთვის“ ამას დაემატა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“.

ოთარ ჩხეიძის ტრაგედიის ხერხემალი ეყრდნობა იმგვარ უცვეთელ თემებს, როგორიცაა: ერის ერთიანობა, თავისუფლება, ღალატი. აქ ამ მწერლისთვის ჩვეული ოსტატობით და შეუფარავი ირონიითაა წარმოდგენილი დღევანდელი ქართველობის სულიერი კრიზისი. წარსული ოსტატურადაა გადახლართული აწმყოსთან.

ტრაგედიაში სხვაც ბევრია საგულისხმო, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც, მაგრამ თვალს მაინც ეს სჭრის, სულს კი ეს უფრო აშფოთებს, ერთი ტრაგიკულად დასრულებული სიყვარულის ამბავი.

„ასე განსხვავებულნი და მაინც, საოცრად მსგავსნი“... დაწერს რუსუდან ნიშნიანიძე „შეხვედრებში“ ოთარ ჩხეიძესთან საუბრისას. მაგრამ იქ საუბარი XX საუკუნის ქართველ მწერლებზეა, აქ კი სხვადასხვა ეპოქის სამი მოღვაწეა ერთი სატკივარი რომ აერთიანებთ – სახელმწიფოებრიობის განცდა, „სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა“.

ასე გადაეჯაჭვებიან ერთმანეთს გიორგი მერჩულეს, ვასილ ბარნოვის, ოთარ ჩხეიძეს ინტერესები და ყველამ ერთად შეადგინა „ქართული ეპოსი, VIII საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე“, სადაც ოთარ ჩხეიძე ღირსეულად აგრძელებს ქართლის მატიანეს, დაწყებულს გიორგი მერჩულეს მიერ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: აშოტ კურაპალატი, როგორც საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მოწამე, რომელმაც ყველაზე ძვირფასი შესწირა სამშობლოს – სიცოცხლე და სიყვარული, იყო და არის ქართული ლიტერატურისათვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პერსონაჟი, რადგან VIII-XIX-XX საუკუნის ქართული ლიტერატურა უბრუნდება ერთი და იგივე თემას და პერსონაჟს. ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ერთი პრობლემა, ეს იყო ერთიანობა და თავისუფლებისათვის ბრძოლა.

სწორედ ამიტომ, გიორგი მერჩულე, ვასილ ბარნოვი და ოთარ ჩხეიძე წარსულიდან გამოიხმობენ აშოტს, როგორც სიმბოლოს და ეტალონს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლისა. ეს კი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის ფასად მიიღწევა, ამის ჩვენება უნდოდა აღნიშნულ სამ მწერალს. ჩვენ კი შევეცადეთ მცირე წვლილი შეგვეტანა აშოტ დიდი კურაპალატის უკეთ გაცნობაში.

ლიტერატურა:

1. ვ. ბარნოვი, ტრფობა წამებული, თბ., 1986.
2. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
3. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969.
4. გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, თბ., 1949.
5. გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე, საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 2007.
6. ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972.
7. ო. ჩხეიძე, მეფე აშოტ დიდი კურაპალატი, თბ., 1996.
8. ო. ჩხეიძე, ვასილ ბარნოვი, თბ., 1976.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IIტ., თბ., 1965.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
11. სამეცნიერო კონფერენცია, ოთარ ჩხეიძე, თბ., 2011.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.

ქართული დეკორატიული ხელოვნების ნიმუში „ლურჯი სუფრა“

თეონა ბერიკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საუკუნეების მანძილზე შექმნილ ქართული კულტურის ძეგლებს შორის დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ისინი საინტერესოა როგორც მათი დანიშნულებით, ასევე მასზე მოცემული გამოსახულების მდიდარი რეპერტუარითაც.

ზოგადად ხელოვანთ უდიდესი მისია და პასუხისმგებლობა აკისრიათ. მათ ხილული ფორმებით ეს იქნება არქიტექტურა, მხატვრობა, ქვაზე კვეთა, ლითონზე პლასტიკა თუ გამოყენებითი ხელოვნება უნდა აამეტყველონ ერის სულიერი თუ კულტურული ზნეობრივი სახე.

ეპოქის სულისკვეთება და ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რაც თანაბრად აისახება, აღიბეჭდება ნაწარმოების მხატვრულ სტილსა, ფორმასა და სახეებში.

ქართული ხალხური ნაწარმოების ნაკეთობები, ესოდენ მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული, ამჟამად მუზეუმებისა და კერძო კოლექციების საკუთრებას წარმოადგენს.

დავიწყებას მიცემული ქართული გამოყენებითი ხელოვნების ისეთი დარგი, როგორიცაა ქარგვა, ქსოვა, გობელენი, ბატიკა, თექა, ამჟამად კვლავ აღორძინების გზაზეა, როგორც წესი ხელსაქმის შემსწავლელ კერებს ეკლესია-მონასტრები და დიდგვაროვანთა სასახლის კარზე არსებული სკოლები წარმოადგენდა.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სუფრები XVIII-XIX საუკუნით თარიღდება. თუმცა არის ზუსტი თარიღებიც, მაგალითად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციის ფონდში დაცული 1818 წელს დამზადებული სუფრა. აგრეთვე არსებობს XVII საუკუნის წერილობითი ფაქტები, სადაც რუსი ელჩები საუბრობენ ,,ლურჯი სუფრის“ შესახებ. უკვე XIX საუკუნეში კი ,,ლურჯი სუფრა“ ფართო მოხმარების საგნად არის ქცეული. მას იყენებდნენ ლხინსა და სხვადასხვა სახის პურობის დროს.

,,ლურჯ სუფრას“ საზოგადოების ყველა კლასი ხმარობდა. სუფრა სხვადასხვა ზომისა და ფორმის იყო. მაგალითად იყო ვიწრო სუფრა (განი 60 სმ., სიგრძე კი 2,8 მ.).

სუფრები სხვადასხვა ქსოვილზე იჩითებოდა. უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს სელის ქსოვილზე დაჩითულ სუფრებს.

,,ლურჯი სუფრის“ იერს განსაზღვრავს საჩითავი ყალიბი, ის დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

,,ლურჯი სუფრის“ მხატვრული მოტივები ხალხურ მოტივს ემყარებოდა. ის შემკობილი იყო: ცის მნათობებით, მცენარეებით, ვარდულებით, ირმებით, თევზებით, ნადირობის სცენით, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მოცეკვავე წყვილებით.

საყოფაცხოვრებო მოტივებიდან აღსანიშნავია დანა, ჩანგალი და კოვზი.

ქართული ხალხური წარმოების, ესოდენ ფართოდ გავრცელებული ,,ლურჯი სუფრა“ ყოველი ოჯახის აუცილებელი კუთვნილება და, შეიძლება ითქვას, აუცილებელი ნივთიც გახლდათ.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სუფრები XVIII ს-ის დამდეგსა და XIX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. თუმცა, მოგვეპოვება ზუსტად დათარიღებული ნიმუშებიც; მაგ.: საქართველოს მუზეუმის კოლექციაში დაცულ ერთ-ერთ სუფრის წარწერაში მოხსენებულია შემსრულებელი ოსტატის სახელი და დამზადების თარიღი - 1815 წ. ,,ქ. მეწარმე იოანესა სალხინოდ მოხმარდეს წელსა 1819“. ,,ლურჯი სუფრების“ მნიშვნელოვანი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. აგრეთვე, მოგვეპოვება უფრო ადრეული წერილობითი ფაქტები, რომლებშიც XVII საუკუნის I ნახევარში საქართველოს სამეფო კარზე მყოფი რუსი ელჩები სამეფო წვეულების აღწერისას აღნიშნავენ, რომ ჯარისკაცებსა და დარბაზობის სხვა წევრებს ლურჯი სუფრები გაუშალესო...

ასევე მოგვითხრობენ მის არაჩვეულებრივ სილამაზესა და ფერადოვნებაზე გარემო ლანდშაფტთან მიმართებაში, როდესაც ქუთაისის გელათის ტაძრის ეზოში გაიშალა საზეიმო პურობა.

XIX საუკუნეში ,,ლურჯი სუფრა“ ფართოდ იყო გავრცელებული თბილისის მოსახლეობაში. განსაკუთრებით, მოქალაქეთა ყოფაცხოვრებაში, სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებულ პურობასა და საქორწინო წვეულებებში; მაგალითად: შემონახული ყოფილა ვიწროგანიანი და გრძელი სუფრები, რომლებიც სათემო დღეობებზე პურობისთვის იყო განკუთვნილი.

ქსოვილის ხარისხითა და ზომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ,,ლურჯ სუფრას“ საზოგადოების ყველა კლასი ხმარობდა. მთიულეთში დღემდე შემონახულია განსაკუთრებით ვიწრო და გრძელი სუფრები, რომელთა განი 60 სმ-ია, სიგრძე კი 2,8 მეტრს უდრის, რაც ოთხი ადგილის ტოლია.

გრძელ სუფრასთან ერთად გვხვდება უზარმაზარი სწორკუთხა სუფრები, რომლებიც შეკერილია 3,4 და 5 განის ქსოვილისაგან და რომელთა სიგრძე 5-7 მეტრს აღწევს. დიდ სუფრებს, როგორც ეტყობა, უფრო შეძლებული საზოგადოებისთვის აწარმოებდნენ. ისინი ამჟამად, ძირითადად, მუზეუმების კოლექციებშია დაცული, რომლებიც წლების მანძილზე ქალაქის მოსახლეობაში იკრიბებოდა. მათი უმნიშვნელო ნაწილი კი კერძო პირების საკუთრებაა.

არის სულ პატარა ოთხკუთხა სუფრებიც (60 სმ x 60 სმ). ადვილი წარმოსადგენია ასეთი სუფრა, თუნდაც მტკვრის პირას გაშლილი, სადაც თბილისელი ,,ყარაჩოღელები“ სიმღერითა და ,,ახალი სუფრით“ ხვდებოდნენ განთიადს.

ზომების გარდა სუფრებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა ის ქსოვილიც, რომელზედაც ისინი ,,იჩითებოდნენ“. სელის ქსოვილზე ,,დაჩითული“ სუფრა უფრო ძველი წარმოშობისაა. იგი ღია ლურჯი ფერისაა, ბამბისაგან დამზადებული კი - მუქი ლურჯის.

,,ლურჯი სუფრის“ იერის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი ,,საჩითავი“ ყალიბი. ფაქიზი და რთული ნახატი მისი ამომჭრელი ხელოსნისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვდა. ყალიბი ,,ლურჯი სუფრისათვის“ შედარებით ადვილი გასაკეთებელი იყო. იგი იჭრებოდა დაბალი ხარისხის ხეზე, რის შედეგადაც ნახატი უხეში გამოდიოდა და ატარებდა უფრო მკვეთრად გამოხატულ მხატვრულ ხასიათს. ხის საბეჭდავების მდიდარი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

,,ლურჯი სუფრის“ მხატვრული მოტივები ხალხურ ტრადიციებს ემყარებოდა. მისი შემკულობის მთავარ მოტივს წარმოადგენს: ცის მნათობები, მცენარეები, ვარდულები, ირმები, თევზები, ნადირობის სცენები, ასევე ქართულ კაბასა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მოცეკვავე წყვილები.

საყოფაცხოვრებო მოტივებიდან აღსანიშნავია სუფრის ისეთი დეტალები, როგორიცაა: დანა, ჩანგალი, კოვზი. ისინი შედარებით გვიან წარმოქმნილი მხატვრული მოტივებია.

დეკორატიული შემკულობის მიხედვით, ,,ლურჯი სუფრები“ ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ, მაგრამ, ამასთანავე, ყოველ ნიმუშს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებური დეტალი, რომელიც მას ინდივიდუალურს და მომხიბლავს ხდის.

ამგვარად, ნაშრომში განვიხილავთ პატარა ზომის ოთხკუთხა სუფრას.

კვადრატული ფორმის ბამბის ლურჯ ქსოვილს არშიასავით გარს შემოუყვება ყვავილოვანი ორნამენტის უწყვეტი ბრტყელი ჯაჭვი, რომელიც მომდევნო რიგის გამოსახულებებისგან წვრილი თეთრი ზოლით გამოიყოფა. გამოსახულების მეორე რიგს წარმოადგენს ცხოველთა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მქონე ნივთთა გვერდიგვერდ მონაცვლეობა, ესენია: ქორბუდა ირემი დროშით, თევზი და დანა-ჩანგალი კოვზით. გამოსახულების ეს რიგი საათის ისრის საპირისპირო მხარესაა მიმართული. იგი ქსოვილის შიდა სივრცისგან არაა გამოყოფილი, ხოლო შუა ნაწილში წარმოდგენილი ყვავილებისაგან და ვარდულებისგან შექმნილი ექვსი მართკუთხედის ფორმა. აქ წარმოდგენილი კომპოზიციური სქემა არ არის გადატვირთული, არ იგრძნობა სიმჭიდროვე ან გადაჭარბებულობა, არამედ, ასახულია ზომიერება, როგორც დეკორატიულ მორთულობაში, ასევე, ცხოველთა გამოსახულებებში. ყოველივე ეს კი მჩითავ ოსტატებს საოცრად კარგად ესმოდათ. ისინი დეკორატიული ფორმების განაწილებისას, საკუთარ გემოვნებასთან და შინაგან მხატვრულ ალღოსთან ერთად, ითვალისწინებდნენ დადგენილ ჩამოუყალიბებელ სქემასაც.

,,ლურჯ სუფრაზე“ წარმოდგენილია გამოსახულებები: ირმები, ფრინველები, თევზები, მზე, ჯვარი ... ყოველივე ეს უნებლიედ გვახსენებს ქრისტიანული ხელოვნების, კერძოდ, ტაძრის რელიეფურ-ფერწერულ და მოზაიკურ შემკულობაზე წარმოდგენილ სიუჟეტებს. ასე მაგალითად: ნადირობის სცენებიდან აღსანიშნავია ატენის სიონის ტაძრის რელიეფური შემკულობა, სადაც მოცემულია ესტატე პლავილას ნადირობა. აქვეა წარმოდგენილი ირმები, რომლებიც წყალს სვამენ. აღსანიშნავია დავით გარეჯის უდაბნოს ფრესკები, სადაც წარმოდგენილია ფურ-ირემი, რომელიც წმინდა ლუკიანეს საკვებს აძლევს. მნიშვნელოვანია ადრექრისტიანული გამოსახულებები, სადაც, თევზი, ცხვარი, ფრინველებიდან

- მტრედი მაცხოვრის სიმბოლურ გამოსახულებად მიიჩნეოდა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკები.

ძველთაგანვე სამღებრო საქმიანობის განვითარება ფერთა ჰარმონიის კანონთა ცოდნას მოითხოვდა. ქართველმა ხელოვანმა ყოველთვის იცოდა მისი კანონზომიერება. სწორედ ლურჯი სუფრების მოხდენილობის შეგრძნებას აძლიერებს თავად ეფექტური ლურჯისა და თეთრის შეხამება. ოსტატებმა კარგად იცოდნენ ამ ფერების ურთიერთმიმართება და სიმბოლიკა. ხილულ სამყაროს, დედამიწას, ღვთისგან მინიჭებული აქვს უზენაესი ნათელი მზის სახით, რომელსაც ხელოვანი ადამიანი დიდი შუქმფენი თეთრი ფერის გამოყენებით გადმოსცემს. უფრო მეტიც, თავდაპირველად იქმნა ნათელი და შემდგომ ცა და დედამიწა, ანუ დიდი ნათელისაგან იშვება ცა, რომელსაც ადამიანი ლურჯი ფერით გადმოგვცემს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ფერი საწყისი არიან დედამიწაზე სიცოცხლის დაწყებისა და ბუნებრივიცაა, რომ სუფრაზე წარმოდგენილი ნახატის შემკულობა - მნათობები, ყვავილები, ცხოველები, სამყაროს სიმშვენიერესა და ჰარმონიულობას ასახავენ.

ხელოვანთ უდიდესი მისია და პასუხისმგებლობა აკისრიათ. მათ სახიერი ხილული ფორმებით უნდა აამეტყველონ ერის სულიერი თუ კულტურულ-ზნეობრივი სახე, ყოველი დროის თუ ეპოქის სულისკვეთება, მსოფლმხედველობა და ადამიანის სულიერი მდგომარეობა.

ლიტერატურა:

1. გ. ჩაჩაშვილი, „ქართული დაჩითული ქსოვილები“, ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, №24, გვ. 13, 14. 1971.
2. ნ. გაფრინდაშვილი, „ლურჯი სუფრა“, „ძეგლის მეგობარი“, №24, გვ. 3.1971.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978, გვ. 411
4. ნ. ბრაილაშვილი, „ლურჯი სუფრრა“, ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1971.
5. ქ. აბაშიძე, „საუბრები ქრისტიანულ ხელოვნებაზე“, ჟურ. ,,წყარო“, №28, გვ. 14, 1995.
6. ლ. მოლოდინი, „შალეულის ღებვის წესები“, ჟურ. „ძეგლის მეგობარი“, 1971.

ქართველი ქალის როლი ისტორიულ-კულტურულ პროცესში

ნათია ბუთხუზი, ლიკა ბერიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე,** ასოცირებული პროფესორი

ოდითგანვე ქართველი ქალებისათვის ყველაზე სათაყვანებელი და წმინდათაწმინდა იყო ქალი, რომელსაც ბუნებისაგან დაკისრებული აქვს სიცოცხლის მოცემა და ადამიანთა მოდგმის გაგრძელება.

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართველმა ქალებმა თავი ისახელეს, როგორც სამაგალითო დედებმა და მშობლიური მიწაწყლის შეუდარებელმა დამცველებმა. ქართულმა ისტორიულმა, წერილობითმა და ფოლკლორულმა მასალამ შემოგვინახა მდიდარი მასალა, რომელიც მოგვითხრობს, როგორც საზოგადოების მაღალი სოციალური ფენის, ისე გლეხი ქალების საოცარ საგმირო საქმეებზე.

ქალის უფლებრივი მდგომარეობა ნებისმიერ სოციალურ ფორმაციაში არასახარბიელო იყო, მასზე განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. უდაოა, რომ ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი უთანასწორობა მსოფლიოში ძველთაგანვე დამკვიდრდა. ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონთა კოდექსის თანახმად, ქმარს შეეძლო ცოლის ცემა, ყურის ან ცხვირის მოჭრა, დადაღვა, ხოლო ღალატისათვის მისი სიკვდილით დასჯაც კი.

შუა საუკუნეებში ევროპაში ცოლი ფაქტიურად ქმრის მონა იყო. ინდოეთში არსებობდა რიტუალი მიცვალებულებისათვის ცოლის ან უმანკო გოგონების მსხვერპლად შეწირვისა, ასეთივე რიტუალი ძველ რუსეთშიც არსებობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოლიმპია დე გუუშმა დაწერა „ქალის უფლებათა დეკლარაცია“. ამ დეკლარაციაში პირველმა აღაიარა ქალისა და

მამაკაცის თანასწორობა კანონის წინაშე, „ქალი იბადებოდა და რჩება თავისუფალი, მამაკაცის სწორი კანონის წინაშე“.

საფრანგეთის რევოლუციის დროს ამ „დეკლარაციის“ ავტორი სიკვდილით დასაჯეს.

დღეს საყოველთაოდაა ცნობილი სიტყვა „ფემინიზმი“. ეს ტერმინი XIX საუკუნეში შემოიღო ალექსანდრე დიუმა შვილმა. ფემინისტი ქალები იბრძოდნენ განათლების, მამაკაცის ტოლფასი საქმიანობისა და ანაზღაურების უფლებებისათვის. ფემინიზმის განვითარებას დიად შეუწყო ხელი 1949 წელს სიმონა დე ბოკუარის წიგნმა „მეორე სქესი“ სახლი და ოჯახი გამოცხადდა „კომფორტული საკონცენტრაციო ბანაკად”, რომელიც ქალს თავისი ცხოვრების გზის არჩევანის თავისებურებას უზღუდავდა.

ამერიკელმა მკვლევარმა ნინა კოჩმა შექმნა ტერმინი „ფემინოლოგია”. იგი შეისწავლის ქალის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და პოლიტიკურ მდგომარეობას საზოგადოებაში, მისი სოციალური სტრუქტურის შეცვლას.

რომანში „რა გავაკეთო?“ ნ. ჩერნიშევსკი ქალის მისამართით ამბობს, რომ ქალი ბუნებისაგან დაჯილდოვებულია სწორი, გამჭრიახი და ნათელი გონებით და კაცობრიობის ისტორია ათასჯერ უფრო წავიდოდა წინ, რომ ამ გონებას არ უარყოფდნენ, არ ჰკლავდნენ, რომ მას მოქმედების საშუალებას აძლევდნენო.

ქალების შესახებ ზოგადი მსჯელობებიდან, თუ კონკრეტულად ქართველი ქალის ისტორიული ცხოვრების გზის განხილვას შევუდგებით, გარკვეულ სპეციფიკურობას შევნიშნავთ. ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქალაქისადმი პატივისცემა გაცილებით მაღლა დგას. თუ წინათ მამაკაცის ძირითადად მოვალეობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ნადირობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შეადგენდა, ქართველ ქალს მკვეთრად გამომხატველი ფუნქცია ჰქონდა, ის იყო ოჯახის ბურჯი, ხელმძღვანელი და შვილების აღმზრდელი.

ხალხურ მითოლოგიაში დედა მზესთანაა გაიგივებული:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავების
და და ძმაა ჩემი“.

საინტერესო შინაარსისაა სიტყვები დიასახლისი, რძალი, მეუღლე, სიტყვა „დიასახლისი” – დედა სახლისა იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად ქალი ოჯახის, სახლის გამგებელი იყო.

„რძალი“ - ნიშნავს ძალასა და ძლიერებას, ალბათ როდესაც იგი ოთახში შედის, სანამ ყველაფერს აუღებს ალღოს, პატარძლად - პატარა ძალად მიიჩნევენ, დროთა განმავლობაში კი ის „რძალი“ ხდება ანუ ოჯახის ძალას, ძლიერებას განასახიერებს და რადგანაც ძველთაგანვე ქართველი ქალი მამაკაცს მხარში ედგება ცხოვრების უღელს თანაბრად ეწოდა მას „მეუღლე“ დაარქვეს.

დიდმა ილია ჭავჭავაძემ ბრძნულად შენიშნა: ქართველისათვის დედა მარტო მშობელი არ არის, ქართუელი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, მთავარ ქალაქს „დედაქალაქს“, მკვიდრსაა და დიდ ბოძს „დედა-ბოძს“ უდიდეს და უმაგრეს ბურჯს „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს „დედა აზრს“. კარგი იქნებოდა, ილიას დედამიწაც, რომ ეხსენებინა, რომელიც მიწათმოქმედი ქართველი კაცისთვის მართლაც მეორე დედაა.

აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა ქალის როლს საქართველოს ისტორიაში, ეთაყვანებოდა წმინდა ნინოს, ქეთევან წამებულს, თამარ მეფეს, კრავაი ჯაყელს, ხავშაკ ცოქალსი და სხვათა. მისი თქმით: „თუ რომელიმე ხალხის მაჩვენებელი, როგორიც ბარომეტრი ტაროსი“.

თავისი ბრწყინვალე აზრი გამოთქვა ქალის შესახებ ვაჟა-ფშაველამ: „დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე; შვილების პირველდაწყებითი აღზრდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალის ხელშია. დედაა გადამწყვეტი შვილების ბედიღლბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედა რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდავი გული და გონება... ამიტომ საჭიროა, ყოველის დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა მან ოჯახში და გარეთ, საზოგადოებაში, სთესოს თესლი კეთილისა, დიაღ ესმოდეს დედაკაცს, შვილი, როგორ აღზარდოს შინ ოჯახში და გარეთ. საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოს!”

ქართველ ქალებს ხოტბას ასხამენ უცხოელი მწერლები, ისტორიკოსები და მეცნიერები და მოგზაურები: ესქილე, ქსენოფონტე, სტრაბონი, საკანი, პიეტრო, დელა ვალე, უან შარდენი, ემანუელ კანტი, არქანჯელო ლამბერტო, დიბუა დე მონპერე, ჩარლზ დარკინი, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე

დიუმა, ალექსანდრე პუშკინი... მოგზაური ვიგნერი, კარლ კოხი და სხვა. ისინი აღნიშნავენ ქართველი ქალის სიტურფეს, მრავალგონიერებას, თავაზიანობას, სათნოებას და დიპლომატიურ ნიჭსა და ვაჟკაცურ სულს. გავეცნოთ ზოგიერთ მათ გამონათქვამს: ინგლისელი მეცნიერი, ევოლუციური თეორიის მამამთავარი, ჩარლზ დარვინი წერს: ,,სპარსელების ტიპი ახლა უფრო შეცვლილი და გამშვენიერებულია, რადგან ქართველების სისხლი ბევრი აქვთ შერეული. ამჟამად არაერთი სპარსელისგან გაიგონებთ, რომ ახლო წინაპარი ქართველი გვარის ქალი ან კაცი იყოო". გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი ამბობს: ,,საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეა გახლავთ". ა. პუშკინის აზრით კი: ,, შენს სილამაზეს ქართველო ქალო, ვინ შეედრება". ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი ხაკანი (1102-1199_ კი წერს: ამ ხუჭუჭთმიანი, სახენათელი ქალის გულისათვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი".

წერილობით წყაროებში შემდეგი ქართველი ქალების სახელებია უკვდავყოფილი: ქართლოსის ცოლი, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ შესანიშნავად მართავს ქვეყანას, მემატიანე ასე წერს: ,,ცოლმან მისმან აღაშენა დედა ციხე და ბოსტან-ქალაქი" (რუსთავი). ფარსმან ქველის ცოლი ღადანა. ფარნავაზ მეფის დედა; მარდატის ცოლი საგდუხტი, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდგო დროებით იბერიას მართავდა; ბაგრატ მეფის დედა – გურანდუხტი ქართლის გამგებელი; არჩილ მეფის ასული შუშანიკი, რომელმაც VIII საუკუნეში თავი მოიკლა, რათა წარმართებს ხელში არ ჩავარდნოდა; დემეტრე I-ის ასული რუსუდანი, რომელიც იყო ცოლი ხვარაზმის სულთანისა, მან აღზარდა თავისი ძმის გიორგი III-ის ასული თამარი და ნათესავის შვილი დავით სოსლანი. იგი იყო პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. თამარ მეფე - საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში და სხვათა ცხოვრებაშიც იშვითი იყო, რომ მეფედ ქალი გამხდარიყო. წერს, ი. ჯავახიშვილი; ხვაშაქ ცოქალი, კრავაი ჯაყელი, თამარ დედოფალი – თამარ მეფის შვილიშვილი, რომლის ცხოვრებაც მხატვრულად აღწერეს მწერლლებმა გრიგოლ რჩეულიშვილმა, რაფაელ ერისთავმა და სიმონ გუგუნავამ. ოთარ შალიკაშვილის ქალი XVI საუკუნის მოღვაწე, გათხოვილი იყო სპარსეთში შაჰ-თამაზიზე, იყო შაჰ-აბასის (I) ბებია. შალიკაშვილის ქალმა ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა საქართველოსათვის; ქეთევან დედოფალი – გმირი და პოეტი ქალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა კახეთის ლაშქარს და მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მოაკვლევინა. ქეთევანი 1624 წლის 13 სექტემბერს, 10 წლის პატიმრობის შემდგომ, შაჰ-აბასის ბრძანებით სასტიკად აწამეს. ქრისტიანული ეკლესია მას, როგორც წმინდა მოწამეს 13 სექტემბერს მოიხსენიებს.

აღსანიშნავია გლეხი ქალებიც, რომლებმაც მშობლიური ქვეყნის სიყვარულით იმდენი სასწაული მოიმოქმედეს შინაური და გარეული მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, რომ სასახელო გმირებად არიან ცნობილნი: ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა, დარეჯან შიშელი, თინა ვაშლოვნელი, მაია წყნეთელი, მარიამ ბაკურციხელი და ანაბაჯი, რომელსაც 473 სტროფიანი პოემა უძღვნა იეთიმ გურჯმა.

ქართველი ქალის სილამაზე, სიმამაცე, ოჯახიშვილობა, ამასთან ხალხის განსაკუთრებული მორიდება მდედრისადმი, როგორც ჩანს, უცნობი არ ყოფილა მეზობლებისთვის, შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ არგონავტების შესახებ ცნობილ ბერძნულ თქმულებაში წინა პლანზე წამოწეულა კოლხი მეფის აიეტის ულამაზესი, უმამაცესი და გრძნეული ქალიშვილი მედეა. მედეა ამასთანავე მედიცინაში განსაკუთრებულ ნიჭით დაჯილდოვებული ქალი იყო, სწორედ მისი სახელიდან მომდინარეობს ტერმინი ,,მედიცინა". ამით მან თავისი ნიჭი არა მხოლოდ სამშობლოს არამედ კაცობრიობას მოახმარა.

ისტორიულად დასავლეთში არსებობდა ,,ქალის კულტი", მაგრამ იგი სრულიადაც არ გულისხმობდა ქალის პიროვნებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას. ქალის კულტი უაღრესად კონკრეტული იყო. ის ისეთივე გარეგნული სამკაული იყო რაინდისთვის, როგორც დახვეწილი თავაზიანობა თავის თანატოლებთან ურთიერთობაში.

ფეოდალური ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე ქალის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში სხვადასხვაგვარი იყო. ადრეფეოდალურ ხანაში ქალს მამაკაცის პატრიარქალურ ოჯახში დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა. ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში (,,შუშანიკის წამება", ,,კოლაელთა მარტვილობა" და სხვა) ქალი მამაკაცზე მთლიან დამოკიდებულ პირად არის წარმოდგენილი.

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ქალის უფლების მხრივ პროგრესი შეიმჩნევა. დიდ როლს ასრულებს მზითევის ინსტიტუტი, რომელიც ქალის პიროვნების თვითმყოფობას გახაზავს. ქონების შეძენა-გასხვისების უფლება ქალს დამოუკიდებლობის სტატუსს უმკვიდრებს.

ქალის პიროვნებისადმი დამოკიდებულების აღმოსავლურ და დასავლურ ფონზე განსაკუთრებით ამაღელვებლად მოჩანს ქალისადმი ქართული დამოკიდებულება.

,,ვეფხისტყაოსნის" ქალთა პერსონაჟები – ნესტან დარეჯანი, თინათინი, ასმათი მორალურად და ინტელექტუალურად ამაღელვებელი პიროვნებებია. ისინი აბსოლუტურ სილამაზესთან ერთად აბსოლუტურ სიკეთეს, გონიერებას განასახიერებენ. ისინი ბევრი კარგი თვისებებით არიან შემკულნი.

თამარ მეფის დიდმა სახელმწიფოებრივმა ნიჭმა, სრულყოფილმა სილამაზემ, სასახელო საქმეებმა შთააგონეს მისი თანამედროვე მგოსნები და მეცნიერები შეექმნათ სახოტბო თხზულებანი. თამარი იყო სიმბოლო ეროვნული ძლიერების. თვითმყოფობისა და სიმშვიდის.

მამაცი გლეხი ქალები იბრძოდნენ არა მარტო მტრების, არამედ ქვეყნის შიგნით სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. მაგ. მაია წყნეთელი, რომელიც დაუნდობლად ებრძოდა მებატონეთა სიხარბესა და უზნეობას. მის რაზმს არაერთხელ დაუხსნია ტყვეობიდან მებატონეთა მიერ გაყიდული თანამემამულენი. მამაცი მაია მეფე ერეკლეს რაზმში ჩარიცხეს. დიდი გმირობა გამოიჩინა მან და თავიც გასწირა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რით შეიძლება აიხსნას ქართველი ქალის ასეთი მაღალი როლი ქვეყნის კულტურულ - ისტორიულ პროცესში? რა თქმა უნდა, ყველა რასისა და ყველა ეროვნების ქალი თავისი ბიოლოგიური თვისებებით ერთნაირია და ამ მხრივ ქართველ ქალს ჩვენ არავითარ უპირატესობას არ ვანიჭებთ. მაგრამ თუ ამ ერთგვაროვნების მიუხედავად, ახალ აღმოსავლურ სამყაროს ისტორიის ფურცლებზე ქართველი ქალი მაინც უფრო რელიეფურად მოჩანს თავისი მაღალი თვისებებით, ცხადია ამის მიზეზი მისი ისტორიული ცხოვრების ერთგვარ სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ.

ქართველი უცხოელ დამპყრობთა გამუდმებულ შემოსევების ქვეყანა იყო. ამის გამო, ქართველი მამაკაცი სულ იარაღასხმული იყო თავის არსებობის მანძილზე. ის ან საკუთარ მიწა-წყალს იცავდა ან სხვადასხვა ქვეყნებში ღვრიდა სისხლს მტერს ებმოდა ბრძოლებში. ქართულ კერას, ოჯახს, ქალი პატრონობდა, ქალი ზრდიდა ბავშვებს, უძღვებოდა მეურნეობას.

ისტორიის ვრცელ მანძილზე ასეთმა ვითარებამ ქალი, როგორც მშობელი დედა და აღმზრდელი, წინა პლანზე წამოსწია და განამტკიცა მისადმი მოკრძალება და პატივისცემა.

ქრისტიანული რწმენის დაცვისთვის ბრძოლა ნიშნავდა ბრძოლას ქართველების შენარჩუნებისათვის. დედა, რომ შვილს ქრისტეს რჯულისადმი ერთგულებას უნერგავდა, ამით იგი მომავალ პატრიოტს, ერისა და სამშობლოს დამცველს ზრდიდა. ამ მორალმა მისიამ შვილის აღზრდისა, რადგან მამაკაცს არ ეცალა ამისთვის, დედა ოჯახის ფუძედ გადააქცია. გაზარდა და განამტკიცა მისი ავტორიტეტი.

ოჯახში, პირველ რიგში, წერა-კითხვა ქალმა იცოდა და შვილებსაც ის ასწავლიდა ანბანს და უკითხავდა ზღაპრებს, ლეგენდებსა და თქმულებებს უყვებოდა. ქართული მზითევის წიგნებში ,,ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი პირველი ფიგურირებს, ქალური გონიერების წარმოჩენა ხდებოდა ჭადრაკისადმი ტრფიალში, რაც აგრეთვე სამზითვო სამკაული იყო. ამგვარად ქალი ქართული კულტურის, ტრადიციების დაცვის, მისი გამდიდრების აქტიური მონაწილე იყო ყველა ეტაპზე და ყველა საქმეში.

ლიტერატურა:

1. ბ. რაზმაძე, „შევინარჩუნოთ ჩვენი ჯანსაღი ქართული ტრადიციები“, 2009.
2. ა. სურგულაძე, ,,ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989.

გიორგი ბრწყინვალეს საგარეო-დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან

თამუნა დემეტრაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასისტენტ-პროფესორი

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს ისტორიაში მრავალმხრივ გამორჩეული მეფეა. ცნობილია, რომ იმ დროს ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელს განიცდიდა და სწორედ მისი მოხერხებული დიპლომატიის შედეგად საქართველომ არა მარტო შეძლო მონღოლთა ბატონობის მოსპობა, არამედ აქტიური საგარეო ურთიერთობები დაამყარა რომის პაპთან, ეგვიპტის სულთანთან, საფრანგეთის მეფესთან. თუ საქართველოს სხვა მეფეები (თუ არ ჩავთვლით დავით IV-ს) ევროპას

თხოვნით მიმართავდნენ დახმარების მისაღებად, გიორგი V-ს დროს ევროპა თვითონ იყო დაინტერესებული საქართველოსთან სიახლოვით.

გიორგი ბრწყინვალეს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად - მონღოლთა ასწლიან ბატონობას ქვეყნისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. 1314 წელს მონღოლებმა დავით VIII-ის ძე გიორგი VI მცირე გაამეფეს და მეურვედ ბიძა, გიორგი V დაუნიშნეს. ამ ფაქტმა გიორგი V-ს უფლებრივი სტატუსი გარკვეულად განამტკიცა და აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. საილხანოს პოლიტიკური დაკნინების მიუხედავად, მეფემ უარი თქვა ქვეყნის გადარჩენის ჩვეულ, ტრადიციულ გზაზე - სამხედრო წინააღმდეგობაზე და საქართველოს აღდგენა-აღორძინება მონღოლებთან მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობის გზით გადაწყვიტა. გიორგი V ბრწყინვალე თავიდანვე მოვლენების წინასწარჭვრეტისა და კარგი დიპლომატისათვის დამახასათებელ თვისებებს ავლენს და უკვე 1318 წლიდან გეზს იღებს ილხანების მთავარ ემირთან - ჩობან ნოინთან ურთიერთობაზე. ჩობან ნოინს ადრევე ვხედავთ გიორგის გვერდით (კერძოდ: სწორედ ოლჯაითუს ბრძანებით დანიშნა ჩობან ნოინმა გიორგი მცირე მეფედ, ხოლო მის მეურვედ - გიორგი V). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილხანთა მთავარ ემირად ჩობანი გილანელებთან ლაშქრობაში ყუთლუშას დაღუპვის შემდეგ დაინიშნა 1304 წელს. 1314 – 1315 წლებში მომხდარა რუმში ყარამანიის სულთნის - მაჰმუდ ფარვანეს აჯანყება, რომლის ჩასახშობად ოლჯაითუ ყაენი ჩობან ნოინსა და გიორგი V-ს აგზავნის. მათ ეს მისია წარმატებით შეუსრულებიათ, ამ პერიოდიდან ისინი საბოლოოდ უნდა დამეგობრებულიყვნენ.

ჩობან ნოინზე, საილხანოს ფაქტობრივად გამგებელზე, აღებული ორიენტაცია, მართებული და ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა. ჩობანთან მეგობრობას საქართველოს მეფე მოხერხებულად იყენებს და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეებს მისივე ხელით ახორციელებს. ამის მიღწევა კი გიორგი ბრწყინვალის დიდი დიპლომატობისა და გონივრული პოლიტიკის შედეგად გახდა შესაძლებელი. გიორგი V პირად მეგობარს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს და ურთიერთობის ასეთი ფორმის წყალობით თავისი ტახტისათვის შესაბამის პრივილეგიებს ითხოვს, რასაც ღებულობს კიდეც.

1314-1315 წლებში მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების პერიოდში გიორგი VI მცირე ზოგიერთ დიდებულთან ერთად, ჩობან ნოინსა და გიორგი V-ს რუმში არ გაყვა და თბილისში დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ქართველ დიდებულთა მეორე ნაწილი გიორგი VI მცირეს მმართველობას არ ცნობს, რაშიც გარკვეული როლი გიორგი V-მაც შეასრულა. ასევე „ძეგლი ერისთავთაც“ ადასტურებს ქვეყანაში გიორგი VI-ის ტახტის სუსტ გავლენას, აღნიშნავს ორ წარუმატებელ ლაშქრობას დვალეთში, სადაც მას „დიდად ევნო” (5:349), რასაც 1316 წელსა და 1317 წლის დასაწყისში უნდა ჰქონოდათ ადგილი. გიორგი VI მცირის ხელისუფლება საბოლოოდ სუსტდება, ხოლო გიორგი V პოზიციები ძლიერდება, ამიტომ გახდა შესაძლებელი 1316/17 წელს მისი ინიციატივით განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1316 წლის ბოლოს ოლჯაითუ გარდაიცვალა, ხოლო 1317 წლის აპრილ-მაისში ყაენის ტახტზე მცირეწლოვანი აბუ-საიდი ავიდა. საილხანოს რეალური გამგებელი ჩობან ნოინი ხდება, რამაც გიორგი V-ს საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული მმართველობისაკენ გზა გაუხსნა. 1318 წელს გიორგი V თბილისში მეფედ ჯდება, რაც „მრავალმეფიანობის“ ხანის დასასრულის მომასწავებელი გახდა.

გიორგი V ბრწყინვალის სამეფო ტახტის დიპლომატიის მთავარი კურსი და განსახორციელებელი ამოცანები იყო: მონღოლთა უღლის გადაგდება, ჯერ კიდევ დანაწევრებული ქვეყნის ერთიანობის აღდგენა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირება და სამეფოს საერთაშორისო ავტორიტეტისა თუ ძველი პრივილეგიების აღდგენა.

გიორგი V კარგად ხედავს, რომ მონღოლთა იმპერიის ძლიერება დაღმავლობის გზაზეა. მიუხედავად ამისა, მეფე საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემის გადაჭრას ილხანებთან პოლიტიკური ლოიალობის ტაქტიკის გზით აპირებს. ამიტომაც, თავდაპირველად სამეფო კარმა მონღოლებთან პირდაპირ დაპირისპირებას მშვიდი და მოზომილი ურთიერთობის ფორმა ამჯობინა. შექმნილი ვითარება სამეფო ხელისუფლებისაგან დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და ალღოს თხოულობდა, რაც გიორგი ბრწყინვალეს სამეფო კარის დიპლომატიამ ყოველმხრივ გამოავლინა. გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს სამეფო მოამზადა მონღოლთა იმპერიის მოსალოდნელი სიკვდილისათვის. ასეთ ვითარებაში მეფის დიპლომატიის პირველ ეტაპზე საჭირო იყო ჩობან ნოინის მეგობრობის ყოველმხრივ გამოყენება, მითუმეტეს, როცა ილხანთა მთავარ ემირს, იმპერიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თავად ესაჭიროებოდა გიორგი V-ს გვერდზე დგომა.

ვ. კიკნაძის მართებული შენიშვნით, ჩობანის „ქველმოქმედება“, „უანგარო მფარველობა“ და კეთილგანწყობილება გიორგი მეფისადმი, რომელიც, ამ დროს დამორჩილებული ქვეყნის ხელმძღვანელია, პირველ რიგში ილხანთა აშკარა დასუსტებით აიხსნება, მაგრამ ამავე დროს შედეგია თავად გიორგი ბრწყინვალეს მიერ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის კურსის სისწორისა - ჩობანთან ასეთი დამოკიდებულებით სამეფო ტახტმა მოახერხა საშინაო ვითარების მოსაწესრიგებლად შესაბამისი

ღონისძიებების განხორციელება, მონღოლთა შემოსევების შეწყვეტა და ეკონომიკურად მომძლავრება (4:59; 61).

სამეფო კარს შესანიშნავად ესმოდა, რომ საგარეო პოლიტიკის წარმატებით წარმართვა, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა - დამყარება და მათი მოღვაწეობის მთავარი მიზნის - მონღოლთაგან გათავისუფლების მიღწევა პირველ რიგში საშინაო ვითარების დარეგულირებით იყო შესაძლებელი; მაგრამ ასეთი პოლიტიკისათვის ცალმხრივობა იქნებოდა დამახასიათებელი, ამიტომ ქვეყნის შიგნით წარმოებული საქმიანობისა და ილხანებთან ბალანსირებული ურთიერთობის პარალელურად ქართული დიპლომატია ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოებას იწყებს. მიღებულმა შედეგებმა გიორგი ბრწყინვალეს სამეფო ტახტის დიპლომატიური კურსის მართებულობა გვიჩვენა, რაზეც შემდგომი პერიოდის მოვლენები თვალნათლივ მეტყველებენ.

თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე გიორგი ბრწყინვალე ორგანიზებას უკეთებს ორ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიას: საქართველოდან ეგვიპტეში ორი ელჩობის ჩასვლას - 1316/17 და 1320 წლებში.

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალემისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაი, რომელსა ერქუა პიპაი, გზასა ხმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა, და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მოვიდა პიპაი წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცა კლიტენი იერუსალიმისანი ...ხოლო პიპამან მოილოცნა წმინდაი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმინდანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მიიღო იერლაყი შეწყალებისაი და აღსრულებაი ყოვლისა სათხოვლისა მისისაი. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან...“ (5:350).

„კლიტენისა“ და „იერლიყი შეწყალებისაის“ საქართველოსათვის გადმოცემა მეტყველებს საქართველო - ეგვიპტის სახელმწიფოთა შორის შეთანხმება - ხელშეკრულებაზე, მოწესრიგებულ დიპლომატიურ ურთიერთობასა და პრესტიჟზე.

რაც შეეხება 1320 წელს გიორგი ბრწყინვალეს ინიციატივით მოწყობილ ელჩობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დიპლომატიური მისია სხვა საკითხებთან ერთად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ახლად შეკაზმვის საკითხთან იყო დაკავშირებული. ჩანს, ამ დროს მოხდა მონასტრის არა ხელმეორედ გახსნა, არამედ მისი განახლება გიორგი V ბრწყინვალეს ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ელჩობების შედეგები შთამბეჭდავი იყო: ჯერ კიდევ ილხანთა ქვეშევრდომი საქართველო ახერხებს კეთილგანწყობილი, დაბალანსებული ურთიერთობების აღდგენას თუ შენარჩუნებას ეგვიპტესთან. ეგვიპტის სულთანთან დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგი იყო ქართველთათვის „კლიტენი იერუსალემისანის“ გადმოცემა, ქრისტეს საფლავის მოძღვართმოძღვრად იოანე ბანდაისძის კურთხევა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „ახლად შეკაზმვა“. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კონტაქტების დამყარება ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტესთან გიორგი V-ის მხრიდან დროული დიპლომატიური ნაბიჯია. იგი ბალანსირებული პოლიტიკის ერთ - ერთი კარგი მაგალითია, როცა ქვეყანა ორ ძლიერ სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში ილხანები და მამლუქთა ეგვიპტე) შორის არის მოქცეული და დიპლომატიური ლავირება უხდება. ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტის მხრიდან საქართველოს მიმართ შემხვედრ ნაბიჯთა მოტივაციაც ადვილად ასახსნელია - სასულთნოსათვის საქართველოს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ილხანებთან დაპირისპირების პირობებში.

ქვეყნის საშინაო ვითარების მოწესრიგებასთან ერთად, გიორგი მეფე აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას აწარმოებს დასავლეთ ევროპასთან. XIV ს-ის 20-30-იან წლებში მიმდინარეობს მიმოწერა რომის პაპ იოანე XXII-ის (1316-1334) და გიორგი ბრწყინვალეს შორის. რომის პაპთან მიდის ინფორმაცია გიორგი ბრწყინვალეს მოღვაწეობის და მისი მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. პაპი თავის წერილში წუხს, რომ „პეტრეს საყდარს“ ზოგიერთი მისი ნაწილი ჩამოშორებულია: „აწ გევედრებით და უფლის იესო ქრისტეს სახელს გაფიცებთ, რათა რომის წმინდა ეკლესისთან შემოერთება არ დააყოვნოთო“ (2:29-36; 6:93-99; 203-213). განსაკუთრებით საინტერესოა, რომ პაპის იოანე XXII-ის ბულის მიხედვით, კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან (დღევანდელი - იზმირი, თურქეთი) თბილისში იქნა გადმოტანილი 1328 წელს (3:157). არც ეს იყო შემთხვევითი, პაპი ითვალისწინებს საქართველოს მნიშვნელობას და მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტს. თბილისმა რომის პაპისგან „საეპისკოპოსო ქალაქის“ რანგი მიიღო.

პაპ იოანე XXII-ს ამ ხანებში კიდევ რამდენიმე მსგავსი „წიგნი“ გამოუგზავნია. როგორც ვ. კიკნაძე აღნიშნავს, 1321 და 1329 წლებში პაპს ისინი დაუგზავნია არა მარტო გიორგი მეფის, არამედ ამირსარგის თბილისელისა და ვინმე სოლაღაისადმი. ყურადღებას იქცევს რომის პაპის ასეთი კონტაქტები ამირსარგის თბილისელისადმი, რომელიც ამ პერიოდის თბილისის ამირა - ქალაქის თავი ჩანს, ჟ. რიშარი მას „თბილისის პატრონს“ უწოდებს (3:157).

საყურადღებოა პეტრე გერალდის, სებასტოპოლისის (ცხუმის) კათოლიკეთა ეპისკოპოსის 1330 წლით დათარიღებული წერილი, რომლის ადრესატია კენტერბერის არქიეპისკოპოსი და ინგლისის სხვა ეპისკოპოსები. წერილში ყურადღება გამახვილებულია სასულიერო ცხოვრებაზე, თუმცა საკმაოდ ბევრ ცნობას გვაწვდის იმდროინდელი სოხუმისა და დასავლეთ საქართველოს საშინაო ვითარებაზე. წერილის მნიშვნელობა უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი საკმაოდ ვრცელი და ზუსტად დათარიღებული უცხოური წყაროა („დაწერილია ქალაქ სებასტოპოლში, ქვემო საქართველოს სამეფოში ...უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს“). პირველ რიგში, ცხადი ხდება, რომ კათოლიკური საეკლესიო კათედრა გარდა თბილისისა, ცხუმშიც არსებობს, საქართველო ორ სამეფოდ მოიხსენიება, მაგრამ აღნიშნულია, რომ ამ სამეფოს მბრძანებელი (იგულისხმება მამია დადიანი, 1323-1345) „მთელი საქართველოს მხედართმთავარიც“ ყოფილა. ჩანს მამია დადიანს ამირსპასალარობა მიანიჭა საქართველოს მეფე გიორგი V-მ, რომელიც სწორედ იმხანად გადავიდა დასავლეთ საქართველოში (3:158). ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, რომლის ცნობით, გიორგი V-ს „მოერთო... ნიჭითა დიდითა დადიანი მამია“ (1:256).

1327-1330 წლები გიორგი ბრწყინვალეს სახელმწიფო პოლიტიკის ძალზე აქტიური პერიოდია: დიპლომატიური კონტაქტები, 1329 წელს დასავლეთ საქართველოს შემოერთება, რასაც სამცხეც მოჰყვა (1334 წ.), ოსთა განდევნა, „დარბაზობა“ ცივის მთაზე და დიდებულთა დადრეკა... შემთხვევითია თუ არა ამ ხანაში საქართველოს სამეფო ტახტისა და მისი დიპლომატიის ასეთი გააქტიურება?! გიორგი ბრწყინვალე ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმებით ყოველთვის ამზადებდა ნიადაგს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადასადგმელად, პარალელურად, იგი ყოველთვის ითვალისწინებდა ცვლილებებს საერთაშორისო არენაზე. ასეთი ტეხილი 1327 წელს ილხანთა მთავარი ემირის - ჩობან ნოინის მოღალატურ სიკვდილს უკავშირდება. აბუ - საიდი ვეღარ ახერხებს ახალ სიტუაციაში ილხანთა უზარმაზარი სახელმწიფოს ძველ კალაპოტში მოქცევას, რაც გიორგის შესანიშნავ სიტუაციას უქმნის თავისი მთავარი ჩანაფიქრის აღსასრულებლად. „იცა ჟამი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა საზღვართაგან თუისთა” (1:256).

XIV ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში გიორგი ბრწყინვალეს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან (1328-1350). კვლავ ამოტივტივდა ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის იდეა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ფილიპე VI წერილს გზავნის სპარსეთში ფრანცისკელთა მეთაურთან. საფრანგეთის მეფის ელჩს ევალებოდა დაეთანხმებინა ისინი ერთიან ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობაზე. 1332-1333 წლებში თბილისს ესტუმრნენ მისიონერები - რიკარტო მერჩერი და ალექსანდრე ინგლისელი, რომლებიც დიდი პატივით მიიღეს. მეფე გიორგის საპასუხო წერილში ვკითხულობთ: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან და გვტოვებენ ამ მტანჯველ ომში მარტოდ. ამიტომ, გთხოვთ თქვენ ამ მიზეზის გამო, როცა შესაფერისი დრო იქნება დაადგინოთ როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ ჩემი კეთილმოწყობილი (კარგად აღჭურვილი) 30 ათასი მეომრით“ (4:159). ამ წერილში საქართველოს მეფე წარმოგვიდგება, როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი მმართველი თავისი ქვეყნისა. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ საქართველო სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ევროპასთან ერთად, მაგრამ ეს გაკეთდება საკუთარი წონის სრული შეგნებით. ამას მიანიშნებს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დროს საქართველოს შესაძლებლობა ჰქონია 30.000 კარგად შეიარაღებული მეომარი გამოეყვანა. ეს ცნობა მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავიხსენებთ, რომ მონღოლებს, სულ მცირეოდე ხნის წინ, საქართველოში მხოლოდ 20 ათასი მეომარი ჰყავდათ.

ამ პერიოდში (იგულისხმება XIV საუკუნის 30-იანი წლები) რომ საქართველოს მეფე საკმაოდ ძლიერია, სხვა უცხოური წყაროებითაც მტკიცდება. საყურადღებოა ერთ-ერთ ბერძნულ სახარებაში შემონახული ვრცელი მინაწერი, სადაც საქართველოსა და საბაწმინდის მონასტრის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. საქართველოს მაშინდელი კათალიკოსის ექვთიმეს (1298-1310; 1318-1335) საბაწმინდის მონასტრისათვის 1334 წელს შეწირულობა გაუგზავნია, რაც აისახა ხსენებულ მინაწერში: „წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი მამის ექვთიმეს (ხსენების) დღეს, დავადგინეთ, რათა წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი ნეტარი საბას წმიდა ლავრაში (ამავე ლავრაში გარდაცვლილ) ძმათათვის, ყოველწლიურად ღამისთევა და ტრაპეზი, ხსენებულ ამ წმინდა სავანეში იბერიის უწმინდესი და უმართლმადიდებლესი არქიეპისკოპოსისა და კათალიკოსის, უფალი ეფთვიმეს შეწევნით, ბერნი იქნებიან. ასევე სათითაოდ მოიხსენიებიან მოგონებით ყოველნი, ვინ წმიდა ქალაქ იერუსალიმში პატრიარქობდნენ. თვით მოხსენიებულმა არქიეპისკოპოსმა (კათალიკოსმა ეფთვიმემ) გამოგზავნა იბერიიდან მცირე ევლოგია ამავე წმიდა ლავრაში დამცრობილი ბერთა განსაგებებლად და გასამხნევებლად წაკითხულ იქნა დიდი

ეფთვიმეს სვინაქსარი, წესდება, რაც მოისმინა ყოველმა ძმამ, ღმერთმან წმინდამან, სამებაში განდიდებულმან, ყოვლად უმანკო ღვთისმშობელმან და უნეტარესმა საბამ - მისცეს მას ჯილდო განსჯის დღეს. წელსა 6842 ინდიქტ. 2" (6842-5508=1334 წ.).

საბაწმინდის ლავრა V საუკუნეში დააარსა საბა განწმენდილმა და თავიდანვე ერთი რომელიმე ერის კუთვნილება არ ყოფილა. აქ მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები და, თითქმის დაარსებისთანავე - ქართველები, რომელთაც განსაკუთრებით ინტენსიური მოღვაწეობა აქ VIII–X საუკუნეებში გაუჩაღებიათ, მაგრამ შემდგომში საბაწმინდაში მათი მოღვაწეობის შესახებ ცნობები აღარ ჩანს. თუმცა, ზემოთ მოტანილი წერილიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ხსენებულ მონასტერში ქართველთა გავლენა კვლავ ძლიერია.

გაერთიანების შემდეგ საქართველო უშუალოდ გაუმეზობლდა ტრაპიზონის იმპერიას, რამაც აქტუალური გახადა ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი. 1341 წელს, საქართველო აქტიურად იბრძვის ტრაპიზონის იმპერიაში ქართული ორიენტაციის დასის გასამარჯვებლად - ალექსი II კომნენოსის უფროსი ასული ანა - ანახუტლუ ტოვებს მონაზვნობას, მიდის ლაზეთში, ტახტიდან აძევებს ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე მესამე პალეოლოგოსის ასულ ირინეს და ტახტს იკავებს. ეს ფაქტი ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი ბრწყინვალესთან შეთანხმების გარეშე არ განხორციელდებოდა (7:272). სამწუხაროდ, გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა (თურქებმა ანახუტლუ სიკვდილით დასაჯეს), თუმცა, 1348 წელს ტრაპიზონელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ჩაანაცვლეს ლაზთა სამეფო ოჯახის ჯანიშიდებმა.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ, მონღოლთა უღლის გადაგდებამ, წარმატებულმა დიპლომატიურმა ურთიერთობებმა გიორგი ბრწყინვალეს საერთაშორისო სარბიელზე ქართველთა ძველი უფლებების აღდგენის საშუალება მისცა და საქართველომ კვლავ დაიმკვიდრა მოწინავე ქვეყნის სტატუსი იმდროინდელ პოლიტიკურ სამყაროში.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება, ტომი IV, თბ., 1973.
2. თამარაშვილი მიხეილ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
3. კიკნაძე ვაჟა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი" №9, 1982.
4. კიკნაძე ვაჟა, გიორგი მეხუთე ბრწყინვალეს გამეფების თარიღის საკითხისათვის. საისტორიო კრებული, მეშვიდე, თბ., 1977. საქართველო XIV საუკუნეში; საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, „მნათობი", 1983.
5. მესხია შოთა, ,,ძეგლი ერისთავთას" დედანი და მისი დაწერის დრო", კრებულში ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
6. ტაბაღუა ილია, საქართველოს ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII – XIV სს.), ტ.II, თბ., 1986.
7. ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, ტომი III, თბ., 1964.

ხაშურის შემოგარენის ისტორიიდან (სოფელი შინდარა)

რეზო მარნაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

ძველ ქართულ ნარატიულ წყაროებში ხაშური არ მოიხსენიება. არც დოკუმენტური წყაროები გამოირჩევიან ამ მხრივ ინფორმაციულობით, ამიტომ მოსახლეობაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ხაშური XIX ს-ის 60-იან წლებში, კერძოდ კი რკინიგზის გაყვანის შემდეგ დაარსდა. თუმცა საისტორიო ცნობების სიმწირის მიუხედავად, არქეოლოგიური მასალა ადასტურებს ხაშურსა და მის მიდამოებში ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალს ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანის ჩათვლით. რაც შეეხება

სახელწოდება ,,ხაშურს'', მოსახლეობის ნაწილი მას სიტყვა ,,შურს'', ნაწილი ,,ხაშს'' უკავშირებს, თუმცა არცერთი შეესაბამება სინამდვილეს.

სულხან-საბა ორბელიანი ხაშურს ამგვარად განმარტავს: ,,მლაშე წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათ ნიშანს ეწოდების''. ამგვარ განმარტებას იძლევიან ასევე ლექსიკოლოგი ნ. ჩუბინიშვილი და იოანე ბაგრატიონი. ამგვარად, მკვლევართა აზრით, ,,ხაშური'' მლაშე წყლის აორთქლების ან დაშრობის შედეგად დარჩენილი მარილია. თანამედროვე ხაშურის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოედინება პატარა მდინარე, ე.წ. ღ ა რ ი ბ ა ღ ე ლ ე. სახელწოდებიდან ჩანს, რომ ღელე ღარიბია - მცირე წყლიანია. მისი წყალი მლაშეა, შეიძლება ითქვას მშლაპეა (თითქოს შაბიანი წყლის გემო აქვს). გარდა ამ ტერიტორიისა, სადაც მდინარე ჩამოედინება, ქალაქის დიდი მონაკვეთის ნიადაგი მარილიანია და შესაბამისად წყალიც მლაშე ამოდის. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს ტოპონიმის სახელწოდებაც.

აღსანიშნავია, რომ სპარსულ ენაში სიტყვა ,,ხაქეშური'', რომელიც ფონეტიკურად ძალიან წააგავს ხაშურს, ქართულად ნიშნავს მლაშე წყალს. მიჩნეულია, რომ ეს სიტყვა ქართულში სპარსულიდან შემოვიდა და დამკვიდრდა, თუმცა დღემდე გამოცანად რჩება, რომ ხაშურის სახელწოდებით ცნობილი დასახლებული ადგილებია ინდოეთში, ესპანეთში (ბასკეთში), თურქეთში (კაბადოკიაში), შუამდინარული ცივილიზაციაც კი იცნობს მთიანეთს ხაშურის სახელწოდებით. ,,ხაშურუ'' აქადურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც შუმერულიდან შემოსული სიტყვა და ნიშნავს - ა რ ო მ ა ტ უ ლ ი ს უ ნ ი ს ხ ე ს - კვიპაროსს, კედარს.

რაც შეეხება ქალაქის განვითარების ახალ პერიოდს, ისტორიული ცნობები მის შესახებ შედარებით სრულია. 1872 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის – მიხეილის მეფისნაცვლად დანიშვნის 10 წლის თავზე ხაშურს მ ი ხ ა ი ლ ო ვ ო უწოდეს. 1918 წლიდან მას ხაშური ეწოდებოდა. 1928-1934 წ.წ. სტალინისი, ხოლო 1934 წლიდან ისევ ხაშური დაერქვა.

ხაშურის რაიონის ფართობი 585 კვ. კმ-ია, მოსახლეობა 64800 კაცი. 1917 წლამდე ახლანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორია ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ გორის მაზრაშია. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია, რაიონში შედის: 1) საქალაქო, 2) სადაბო (სურამი) და 3) 11 სასოფლო საბჭო (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), 81 სოფელი.

დავუბრუნდეთ ისევ ხაშურის წარმოშობის ისტორიას. უადრესი დოკუმენტი, რომელშიც ხაშურია მოხსენიებული 1693 წლით თარიღდება. იმავე დოკუმენტში შეგვიძლია მოვიძიოთ ირიბი ცნობა, რომ ხაშური ზემოხსენებულ თარიღამდე გაცილებით ადრე არსებობდა. ჩვენთვის ნიშანდობლივი დოკუმენტი გახლავთ ქართლის მეფის, ერეკლე I ნაზარალიხანის (1688-1703) დედის - ელენე დედოფლის სიგელი და იგი შედგენილია სურამელი აზნაურის ზაალ აბაზაძის სახელზე.

დედოფალი ელენე, ერეკლე I ნაზარალიხანთან ერთად, ზაალ აბაზაძეს უახლებს და ხელმეორედ უმტკიცებს იმ წყალობის სიგელებს, რომლებიც მის წინაპრებს ჰქონიათ მიღებული ქართლის სამეფო კარისაგან სხვადასხვა სამსახურისათვის. ამ დოკუმენტში გარკვევითაა ნახსენები, რომ ქართლის უმაღლესი ხელისუფალნი აბაზაძეს უმტკიცებენ ,,ხაშურს ჩაჩანიძისეულ მამულს'', რადგან ელენე დედოფალი მხოლოდ ამტკიცებს წინა მეფეების მიერ გაცემულ დოკუმენტს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხაშური 1693 წელზე გაცილებით ადრე ყოფილა დასახლებული პუნქტი. XVIII ს. ბოლოს იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობის'' მიხედვით ხაშური საშუალო სიდიდის სოფელი ყოფილა.

ისტორიკოსი თამაზ ვასაძე, ელენე დედოფლის სიგელის დეტალური ანალიზის საფუძველზე, გვაუწყებს, რომ აბაზაძეებისათვის ,,ხაშურს ჩაჩანიძისეული მამულის'' ბოძება უნდა მომხდარიყო სვიმონ მეფის გამეფებისა (1556 წ.) და როსტომ მეფის გარდაცვალების (1658 წ.) წლების არეალში.

ხაშურის ტერიტორიაზე აბაზაძეების გვარს რომ მართლაც ჰქონდა მიწები, ტოპონიმური მასალითაც დასტურდება. კერძოდ, დღევანდელი მექანიკური ქარხნის მიმდებარე ტერიტორიებს მოსახლეობა ,,აბაზაურის მიწების'' სახელით მოიხსენიებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ხაშური დასახლებული პუნქტი ყოფილა 1693 წელზე გაცილებით ადრე.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ ხაშური კვლავ პატარა სოფლად რჩებოდა. იგი სოფ. ჭალის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა.

ხაშურის ზრდა-განვითარება მის გარშემო არსებული ძველი სოფლების – შინდარის, გორათის და ზემოჭალის ხარჯზე მოხდა. დღეს ეს სოფლები ხაშურის უბნებს წარმოადგენენ და შინდარის, გორათის და ჭალის უბნებად მოიხსენიებიან. საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ თითოეული მათგანის ისტორიაზე, მით უმეტეს, რომ ისინი საკუთრივ ხაშურზე ძველი და საინტერესო წარსულით გამოირჩევიან.

შინდარის უბანი ქ. ხაშურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ხალხში ფართოდ გავრცელებული ზეპირი გადმოცემის მიხედვით, შინდარის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში

შინდის ხეებით ყოფილა დაფარული და მას შინდნარს უწოდებდნენ. აღნიშნული ვერსია სინამდვლეს უნდა შეესაბამებოდეს, მით უფრო, რომ შინდარის მომიჯნავე გორებზე დღესაც მრავლადაა შინდი. შინდარა XIII ს-ის 60-იანი წლებიდან ხშირად მოიხსენიება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. პირველად მას მოიხსენიებს ჟამთააღმწერელი XIII ს-ის 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით.

ქართლის კათალიკოსი დორეთეზი თავის სიგელში რომელიც XVI ს- ის 80-იან წლებს მიეკუთვნება, ასევე მოიხსენიებს შინდარას.

1693 წ. ელენე დედოფლის სიგელის მიხედვით აბაზაძეებს ჰყავთ ყმა გლეხი, რომელშიც მოხსენიებულია ,,აღაბეგაშვილი გოგინა შინდარას''. ვახუშტი ბატონიშვილი სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს მოიხსენიებს შინდარას. იგი წერს: ,,ხოლო კვალად ალის-წყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკვარს, ოსიაურს ზეით აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები. ისიაურს ზეით, ხაშურს ერთვის სურამის-წყალს ქემერტის წყალი, აღმოსავლეთიდან გამოსდის ლიხის მთას. ამ ხევის შესართავის დასავლეთით, შინდარას დასავლეთით არს სურამი მცირე ქალაქი''. ,,შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად მიერთვის მტკვარს ჩდილოდამ. შოლის პირიდამ გაიტანა მეფემან ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო და ჰყო წისქვილნი, და სმენ პირუტყვნი. შოლის პირის დასავლეთით, შოლისავ კიდეზედ არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, მშვენიერი ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო. ქვიშხეთის სამხრით არს მთის ძირს მტკვრის ახლო დაბა ტაშის-კარი''. (2, 81)

რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს შინდარა დატანილი აქვს შინდისის ფორმით. 1715 წ. რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით, შინდარაში 18 საეკლესიო გლეხი ცხოვრობს.

1719 წ. 18 მარტს ვახუშტი აბაშიძე შინდარაში ზურაბ ხერხეულიძისგან ყიდულობს მის ,,მკვიდრ'' ყმას. იოანე ბატონიშვილი ,,ქართლ-კახეთის აღწერაში'' რომელიც 1794-1799 წლებშია შედგენილი, სურამის წყალზე (მდ. სურამულაზე) მოიხსენიებს შინდარას. აქაც შინდარა შინდისის ფორმით მოიხსენიება. ამ პერიოდში, იოანე ბატონიშვილის ცნობით, შინდარაში მოსახლეობა არ ჩანს, რაც ამ მხარეში XVIII საუკუნეში მიმდინარე ლეკიანობის შედეგი უნდა იყოს. შინდარის ხელახალი დასახლება XIX ს-დან დაიწყო და მისი შევსება დასავლეთ საქართველოდან გადმოსული მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. ამდენად, შინდარა ხაშურის ერთ-ერთი უძველესი უბანია.

შინდარის უბანში სასაფლაოზე დგას გ ო რ ა თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. ხაშური-სურამის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს 400-მეტრზე. ეკლესია თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.შეკეთებულია XIX ს-ში. ეკლესია დარბაზულია (10,8X7,7 მ) ნაგებია ქვიშაქვით და რიყის ქვით, სამხრეთით და დასავლეთით თითო შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან არქიტრავული შესასვლელია. სწორკუთხა საკურთხეველი არ არის გამოყოფილი დარბაზისაგან. აღმოსავლეთ კედლის ღერძზე და მის მარცხენა ნაწილში შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან ოთხკუთხა ორი სარკმელია. თითო მსგავსი სარკმელია დანარჩენ 3 კედელში. აღმოსავლეთ კედლის ქვედა ნაწილში შეისრულთაღიანი ნიშია. ეკლესიის დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რომლებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღები. პილასტრებს თლილი ქვის კაპიტელები აქვს დასავლეთის ფასადზე შესასვლელის ღერძზე ერთ ვერტიკალზე მონაცვლეობენ ერთნაირი ფორმის და ზომის ორი ჯვარი და ორი წრე ზედა ჯვარი. წრეები რელიეფურია, ხოლო ქვედა ჯვარი ამოკვეთილია არქიტრავის ქვაზე და კედლის სიბრტყეს არ სცილდება. ფასადის ფრონტონი წვერთან წაკვეთილია. აქ სახურავზე სამრეკლოს ფუძის ქვებია შემორჩენილი. ეკლესიას ორი ლილვისა და მათ შორის შეზნექილი მრუდისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს. ეს ეკლესია იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაა. (1999 წ. 9 სექტემბერს მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა ტაძარი და აღდგა წირვა-ლოცვა.)

ასევე შინდარის უბანში, ძველ სასაფლაოზე დგას წმ. გიორგის ე.წ. ბერძნების ეკლესია.ეკლესია დარბაზულია (8,3X4,5მ) ნაგებია მოწითალო ქვიშაქვით. ამჟამად დანგრეულია, შემორჩენილია 2,5მ სიმაღლის ჩრდილოეთი კედელი. 1970 წელს მოსახლეობამ ჩრდილოეთი კედლის საპირე წყობის ნაწილი აღადგინა, დასავლეთით პემზაბეტონის კედელი ამოიყვანა და დარბაზის დასავლეთი ნაწილი თუნუქის ბრტყელი სახურავით გადახურა. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთით ჰქონია. აღმოსავლეთით სწორკუთხედში ჩაწერილი ნახევარწრიული საკურთხეველია. დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია ორი ორსაფეხურიანი პილასტერი, ერთი - კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე - დასავლეთ ნაწილში კედლის კუთხესთან. ჩრდილოეთით კედელზე სარკმელის კვალიც ჩანს.

რაც შეეხება გორათს, ამ ტოპონიმის განმარტება არცერთ დოკუმენტში არ მოიპოვება, თუმცა ჩვენს მიერ მოსახლეობაში მოძიებული ვერსია ასეთია: ერთ-ერთი ბრძოლიდან (ზოგი ვერ ასახელებს ბრძოლის ადგილს, ზოგიერთი ინფორმაციით - ბასიანის ბრძოლიდან) დაბრუნებულ თამარ მეფის ლაშქარს გორათის მიდამოებში შეუსვენია, წვიმიანი დარი მდგარა და მეომრებს ფეხზე ადებული ტალახი დაუწმენდიათ. თამარის ლაშქარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა და ფეხის ტალახისაგანაც დიდი გორა გაჩენილა - აქედან წარმომდგარა გორათის სახელწოდებაც. ამ თქმულებიდან გამომდინარე რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება ძნელია, თუმცა ამ ადგილას მდებარე გორა, არქეოლოგთა აზრით,

ხელოვნურადაა წარმოქმნილი ადამიანთა მრავალი თაობის უწყვეტი, ხანგრძლივი დროით ერთსა და იმავე ადგილზე ცხოვრების შედეგად. აღნიშნულ ტერიტორიაზე კიდევ ორი გორა მდგარა, ისინი საავტომობილო მაგისტრალის გაყვანის შედეგად მოიშალა.

შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ამჟამად ხაშურის რაიონის ტერიტორიას წარმოადგენს, მეტად მდიდარია კულტურული და განსაკუთრებით არქეოლოგიური ძეგლებით. მაგ. ნაცარგორის გორა - ნამოსახლარი სოფ. ნაცარგორაში, საციხურის გორა - ნამოსახლარი სოფ. წაღვლში, გორგოტა სოფ. ტკოცაში, კრონცხები სოფ. ბრილში და სხვ. მათ რიცხვს უნდა მიემატოს ადგილი გორათი ხაშურში, შინდარის უბანში.

გორათი და აქ მდებარე გორა უძველესი ნამოსახლარია, რომელიც გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს დასახლებული. ამას ადასტურებს XIX ს-ის 90-იან წლებში ხაშური-ბორჯომის რკინიგზის გაყვანის დროს აქ აღმოჩენილი არაერთი არქეოლოგიური ნივთი. გორათი ისტორიულ წყაროებში პირველად XIII ს-ის 60-იან წლებში მოიხსენიება. ჟამთააღმწერლის მიერ დასახელებული ,,შინდარის გორისა''-ში სწორედ დღევანდელი გორათი უნდა მოიაზრებოდეს.

მომდევნო საუკუნეების საბუთებში გვხვდებიან გორათელები, მაგ.1688 წლის ერთ საბუთში შინდარელებთან და სურამელებთან ერთად მოწმეებად მოიხსენებიან გორაელნი იგივე გორათელები. გორათელები დღესაც აღნიშნავენ გორათობას 21 მაისს.

გორათის მიდამოებში არაერთი საინტერესო და საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი: ,,გორათის ეკლესიის მახლობლად, ,,სადგურ ხაშურთან რკინიგზის შტოზედ'' ვკითხულობთ გაზეთში, ,,მუშა ლეკებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები, გზისათვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრ სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობენ. ჰპოულობენ დანებს და ხანჯლებს, ცულებს და აზიური სადგისების მინაგვარს რაღაცეებსაც, რომლებსაც მშვენიერი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა''. არქეოლოგიური თვალსაზრისით ასევე გაფუჭებულია გორათის გორანამოსახლარი, სადაც XX ს-ის 20-იანი წლებიდან სასაფლაოა. ვახუშტი ბატონიშვილს რუკაზე დატანილი აქვს გორათი როგორც დაბა. აგრეთვე იოანე ბატონიშვილი ,,ქართლ-კახეთის აღწერაში'' აფიქსირებს გორათს როგორც დასახლებულ სოფელს, სხვადასხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გორათში მამულები ეკუთვნოდათ: ჩხეიძეებს, მურვანიშვილებს, ხიდირბეგიშვილებს.

რაც შეეხება ამ სოფლების პოლიტიკურ ისტორიას, ხაშურის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები ე.წ. ,,შინდარის ბრძოლით“ იწყება.

როგორც ცნობილია, 1260 წელს საქართველოს მეფე დავით VII ულუ მონღოლებს აუჯანყდა. დეკემბერში ქართულ ლაშქარსა და მონღოლებს შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველთა მეფემ უარი თქვა მათთან ერთად ეგვიპტეში ლაშქრობაზე და სამცხეში გადავიდა სარგის ჯაყელთან. ფეოდალთა გარკვეული ნაწილი მონღოლებს მიემხრო. მონღოლთა ყაენმა დავით ულუს წინააღმდეგ გაგზავნა არღუნი 20 000 მხედრით, ,,ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი და დადგა სურამს, და წარავლინნა მხედარნი ექუსიათასი და არღუნ დადგა შინდარას და წინამბრძოლნი მოვიდეს ტაშის-კარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა''. მეფემ კი შეკრიბა 8000-იანი ლაშქარი. ძირითადად მესხები, შავშ-კლარჯნი და დადგა მტკვრის პირას. პირველი შეტაკება მოხდა მდ. შოლის პირას (ახალდაბა-ტაშისკრის სანახები). ქართველებმა მონღოლები დაამარცხეს და გააქციეს. ,, ...ესრეთ ძლიერად ბრძოდეს თათართა მათ მესხნი, რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისასა, სდევნეს და მოსწყუდნეს პირთა მახვილისათა...“. თავზარდაცემულ და გაქცეულ თათრებს მესხები კვალდაკვალ მისდევდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ. არა ერთი თათრის მოჭრილი თავი, ნიშნად გამარჯვებისა, ჯოხზე ააგეს და სარგის ჯაყელს მიართვეს.

ამ ბრძოლის ადგილს ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვაგვარად ხსნიან. ჟამთააღმწერლის მონათხრობით ბრძოლა მოხდა ,,შინდარას გორისას''. როცა ივ. ჯავახიშვილი შეეხო აღნიშნულ საკითხს, მან ბრჭყალების გახსნას თავი აარიდა და უცვლელად გაიმეორა მემატიანის ციტატა - ,,შინდარას გორისას''. ქართველი ისტორიკოსების ნაწილმა: ნ. ბერძენიშვილმა 1958 წ. გამოცემულ ,,საქართველოს ისტორიის'' სახელმძღვანელოში, შ. მესხიამ, დ. გვრიტიშვილმა ,,ნარკვევებში საქართველოს ისტორიიდან'' (XIII-XIVს.ს.) და სხვ. გააიგივეს ეს ადგილი გორის რაიონში მდებარე შინდისთან. პირველი კითხვის ნიშანი აღნიშნული ბრძოლის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად დასვა ე. მამისთვალიშვილმა. იგი წერს: ,,საინტერესოა რომელი გეოგრაფიული პუნქტი იგულისხმება ,,შინდარას გორისაში''? ,,ჟამთააღმწერელთან'' ვკითხულობთ, რომ არღუნი მთელი ქართლის აკლების შემდეგ ჯერ სურამში დაბანაკებულა, საიდანაც გაუგზავნია 6000 მხედარი ტაშისკარში. ,,წინამბრძოლნი მოვიდეს ტაშისკარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა''. თვით არღუნი კი ძირითადი ძალებით დაბანაკდა ,,შინდარას გორისასა''. ალბათ, მას სურამი საიმედოდ არ მიაჩნდა''. ,,თავის მხრივ სარგის ჯაყელსაც გაუგზავნია 1500 მხედარი ,,გამოცდილი წყობითა შინა'', რომელთაც არ სცოდნიათ არღუნის ჯარის მოახლოების შესახებ და ისე გაუვლიათ ახალდაბის ხიდი''. ,, ზემოხსენებული ახალდაბა

გაგებულია, როგორც გორის მახლობლად მდებარე ახალდაბა (ქართული ჯარი ტაშისკრის ვიწროებიდან გამოვიდა და ახალდაბასთან შეებრძოლა). ჟამთააღმწერელი კი სავსებით გასაგებად მიგვითითებს ბორჯომის ახალდაბაზე''. ,,არც შინდარი იყო გორის მახლობლად. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით შინდარი იყო სურამის აღმოსავლეთით. უფრო სავარაუდოა, რომ შინდარი სურამის მახლობლად რომელიმე პატარა მთის (გორის) სახელი იყო და ამიტომ უწოდებს ,,ჟამთააღმწერელი'' შინდარას გორისას (შინდარის გორა).'' (3, 28-29.)

თ. ლაცაბიძის დასკვნით, ბრძოლა უნდა მომხდარიყო ხაშურის და არა გორის სანახებში, ამავე მოსაზრებას იზიარებს ისტორიკოსი გ. იმერლიშვილი. იგი აღნიშნავს: ,,მდინარე შოლაზე დამარცხებულ მონღოლ მოწინავეებს მესხები გორამდე ვერ დაედევნებოდნენ. მიგვაჩნია, რომ ბრძოლა უნდა მომხდარიყო ჩვენს რაიონში, კერძოდ შინდარაში''.

XIII ს-ის 60-იანი წლებიდან XIX ს-ის მეორე ნახევრამდე ხაშურის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე ისტორიული დოკუმენტები სდუმან, თუმცა XVIII ს-ის 60-იან წლებში ჯერ თეიმურაზ II, შემდეგ ერეკლე II ხელს უწყობდნენ ხაშურის და მისი ამჟამინდელი სოფლების ხელახლა დასახლებას. მოსახლეობა ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან გადმოჰყავდათ. მოსახლეობის მცირე ნაწილი გადმოვიდა იმერეთიდანაც. ხაშურის ტერიტორიის ინტენსიური ათვისება XIX ს-ის დასაწყისიდან დაიწყო. იმ დროისათვის უკვე არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან გადმოდიოდა მოსახლეობა, არამედ ზემო იმერეთიდანაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურის დღევანდელი ტერიტორია ძირითადად იმერეთიდან ჩამოსული ქართველებითაა დასახლებული. ამიტომაც ხაშურის რაიონის გვაროვნული ფონდის უმეტესობა იმერული წარმოშობისაა. 2006 წლის აღწერით ხაშურის მოსახლეობის 97,6% ეთნიკური ქართველია, 1,5% ოსი, 0,5% სომეხი, 0,3% რუსი, 0,1% აზერბაიჯანელი.

როგორც ცნობილია, ხაშურის ზრდა-განვითარება დააჩქარა საქართველოში რკინიგზის გაყვანამ. ერთ-ერთ მთავარ სარკინიგზო ხაზს წარმოადგენდა თბილისი-ფოთის რკინიგზა, რომელიც ხაშურზე გადის. მისი მშენებლობა დაიწყო 1862 წ. 1 მაისს. 1872 წ. ოქტომბერში კი ფოთიდან თბილისში პირველი მატარებელი ჩავიდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
2. ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ,,ქართლის ცხოვრება'', ტ. IV, თბ., 1973.
3. ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994.
4. საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. I, თბ., 1958.
5. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
6. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982.
7. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
8. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV ს.ს.), თბ., 1962.
9. თ. ლაცაბიძე, ხაშურის რაიონი, თბ., 2000.

სოფელ ალის ისტორიიდან

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ასისტენტ-პროფესორი

სოფელი ალი მდებარეობს ხაშურის რაიონში, მდ. ჭერათხევის ნაპირზე. სასოფლო საკრებულოს ცენტრია ალი (ახალუბანი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, მცხეთისჯვარი). იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 760 მეტრზე. რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 25 კმ-ით. ალი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. აქ არის ალის ციხე (X-XI ს.ს), დედა

ღვთისას, ღვთისმშობლის, უსანეთის, ჯანაურების (ყველა გვიანფეოდალური ხანა), კვირაცხოველის (1810 წ.) ეკლესიები[1].

ალის სახელწოდება, ხალხური განმარტებიდან მომდინარეობს. ცეცხლის ალისაგან სახელწოდება სოფელს დაერქვა იმის გამო, რომ ეს ადგილი განსაკუთრებით მხურვალეა ზაფხულში. ვახუშტი ბატონიშვილიც მიანიშნებს, რომ ეს ადგილი არის ,,ზაფხულ ცხელი ჰავითა კეთილი'' [2].

მკვლევარი ჯ. ქიტიაშვილი აღნიშნავს: ალი მდებარეობს გორიდან ორმოცი ვერსის მანძილზე, ერთი ვიწრო გასასვლელის მთის წინ, რომელიც იკეტება ხის კარით, ეს კარები მთელს ხეობას ჰკეტავდა. იგი გრანდიოზული ზომისაა და კარგად გამაგრებული. ალის ციხესა და ჭიშკარს უნდა შეეკავებინა დასავლეთ საქართველოდან შემოსული მტერი. გარდა ამისა, ალის ციხეში გამართული იყო საბაჟო სისტემა.

გზა, რომელსაც ეს ჭიშკარი ჰკეტავდა, უხსოვარი დროიდანვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა. ალის ციხეზე დასახლება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან მოყოლებული არსებობდა.

ალი XII ს-ში წარმოშობილი ქალაქია. ალის დასახლება და ჭიშკარი XII ს-ზე ადრე უნდა გაჩენილიყო.[3]

ქართულ წარმართულ პანთეონში ალი ნადირთა, ტყისა და წყლის პატრონია. ხალხის წარმოდგენით, იგი თმაგაშლილი ლამაზი, მაცდური ქალი იყო. წყალშიც ცხოვრობდა და ტყეშიც[4].

იოანე ბაგრატიონი წერს: ,,ალი-იტყვიან ხელსა რასამე მაცთურსა სახედ ადამიანისა, რომელ მშობიარესა დია უფრთხილდებიან: ალი არ დაეცესო", აგრეთვე ცხენს რომ ფაფარი შეეგრიხება ერთმანეთში იტყვიან ,,ალს დაუგრეხიაო''[5].

ალი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს სავაჭრო ეკონომიკურ ცხოვრებაში, რამაც ხელი შეუწყო მის გაქალაქებას. XII საუკუნიდან მას იცავდა ალის ციხე, ხოლო სამხრეთიდან-ნაბახტევისა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში ალი დაკნინდა და მცირე ქალაქად იქცა. XVIII საუკუნიდან კვლავ დაწინაურდა და ზემო ქართლის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი გახდა. იგი სამეფო ქალაქი იყო და მოურავი ჰყავდა[6].

აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მეტყველებენ, რომ ალი უძველესი დროიდან არის დაარსებული. ციხის სამხრეთით აღმოჩენილია ვრცელი დასახლება, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალი ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩანს. აქვეა ადრეანტიკური ხანის დასახლება და სამაროვანი. ალი ასევე მდიდარია ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლებით.

ვახუშტი ბატონიშვილი ალს ,,მცირე ქალაქს'' უწოდებს და მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს, რომ მასში ,,მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი''[7]. როგორც ჩანს, ალი ამ დროისთვის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა, ებრაელთა და სომეხთა აქ ცხოვრება განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე.

ვახუშტი ადგილმდებარეობისა და ბუნებრივი პირობების შესახებაც მიანიშნებს: ,,ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალი-წყალზედ, დასავლით კიდესა ზედა, ალი ქალაქი მცირე... გაზაფხულ-შემოდგომას ჭყაპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულ ცხელი, არამედ ჰავითა კეთილი, მხიარული''[8].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალის ქალაქად დაწინაურება მოხდა XI-XII საუკუნეებში, რასაც ხელი შეუწყო მისმა მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი დააკისრა იმდროინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ ,,მსახლობელნი... სომეხნი და ურიანი'' აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი თბილისსა და ქუთაისს შორის სავაჭრო ბრუნვაში.

ზემოხსენებულ ფაქტს მოწმობს აქ აღმოჩენილი რამდენიმე განძიც, რომელიც ალის განძის სახელწოდებითაა ცნობილი. არსებობდა სულ ალის სამი განძი, აქედან ერთი დაკარგულია, ხოლო დანარჩენი ორი საქართველოს სახელმწიფო და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებშია დაცული.

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 308

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 377.

[3] ჯ. ქიტიაშვილი, ტოპონიმ ალის განმარტებისთვის, ჟურნ. „იყავი აქტიური მოქალაქე", №5

[4] თ. ლაცაბიძე, ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, გვ. 32

[5] იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 279

[6] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 308.

[7] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 376

[8] ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 376-377

ისტორიკოსი თ. ლაცაბიძე მიუთითებს, რომ ,,ბევრს ადგილს სახნავ მიწებში პოულობენ ხვნის დროს ქვევრებს და სხვა ძველ ნივთებს. ამას წინეთ ერთ მეწისქვილეს ეპოვნა ციხესთან ერთი ქოთანი, თეთრი ფული ... ამ ძველმა ფულებმა გაახარეს ურიები''[1].

მ. ლობჟანიძემ დაწვრილებით შეისწავლა ალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები. მკვლევარის ცნობით, 1925 წელს, ადგილ ,,ნაურილებზე'' ნახეს 480 წვრილი მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელთაგან 204 ჯე-ჩიდ ხანებს (1290-1391 წ.წ.) ეკუთვნის, ხოლო ნაწილი-ჯალარილებს, ზოგიც იოანე II –ეს (1280-1297) ტრაპიზონული ასპერების მინაბაძია, ხოლო 258 ცალი ქართულ მონეტებს წარმოადგენს [2].

მესამე განძი აღმოაჩინეს გომი-საჩხერის გზის მშენებლობის დროს 1971 წელს. ვერცხლის მონეტები მოთავსებული იყო კოჭობში. იგი თარიღდება XV- XVI საუკუნეებით, განძში შედის 6 ცალი ანონიმური შირვანული მონეტა, რომელიც მოჭრილია ხალილულა I-ლის (1417- 1462) მეფობის პერიოდში, 53 ცალი ფარუხ-იესარის (1417-1500 წ.წ.) მეფობის პერიოდში მოჭრილი, ხოლო უახლესი - 848 წელს (ჰიჯრით). 55 მონეტა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, 4 ცალი საჩხერის რაიონის სოჭ. ქორეთის საშ. სკოლაში[3].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ალის ციხის მიდამოებში ნაპოვნი ,,ჩინური მონეტა'', რომელიც ერთადერთია საქართველოში. ნამოსახლარზე აღმოჩენილია სამი კულტურული ფენა: გვიანბრინჯაოს ხანის, ძვ.წ.აღ-ის I ათასწლეულის I ნახევრისა და გვიანგანვითარებული შუა ს.ს. ნამოსახლარი. აღსანიშნავია, რომ ,,განვითარებული ფეოდალური ხანის ფენაში აღმოჩნდა ჩინური მონეტა, ამავე ფენაში აღმოჩნდა ერთი ქართული გიორგი III-ის მონეტა.

ჩინური მონეტის წარწერა ასე იკითხება: ,,ცინ-იუან ტინ ბაო'', ,,ბედნიერი წამომწყებების ეპოქის მონეტა''. მონეტა სამხრეთ სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდს ეკუთვნის. მოჭრილია დაახლოებით 1200 წელს[4].

ალში აღმოჩენილი მონეტები ცხადყოფენ თუ რაოდენ მნიშვნელოვან სავაჭრო კვანძს წარმოადგენდა ალი ვაჭრებისთვის. აქ აღმოჩენილი მონეტები მეტყველებენ იმაზე, რომ აქ არა მარტო სომეხი თუ ებრაელი ვაჭრობდა, არამედ თვით შორეული ჩინეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ აქ სავაჭროდ.

ფეოდალურ საქართველოში ქალაქები არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრები იყვნენ, არამედ სავაჭრო პუნქტებიც. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობაშიც და ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან.

საქართველოს ქალაქების საგარეო სავაჭრო კონტაქტებზე მიუთითებს უცხოური მონეტების აღმოჩენა და პირიქით, ქართული მონეტების აღმოჩენის ფაქტები საზღვარგარეთ. ამ ურთიერთობაში ქალაქი ალიც იყო აქტიურად ჩაბმული.

სოფელი ალი პირველად საისტორიო წყაროებში 1178 წ. მოიხსენიება გუჯარში, რომელიც გიორგი III-ეს (1156- 1184 წ.წ.) ეკუთვნის, მასში ნათქვამია, რომ ალს სამთავროს სამწყსოში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად სამთავნელს სასარგებლოდ ემართა ვერცხლის დრამა: ...,, ექვსი დრამა სოფელ ალს''[5].

მონღოლთა ბატონობის პერიოდში ალის, როგორც ქალაქის მნიშვნელობა ეცემა, ხოლო თემურ ლენგის შემოსევების შედეგად მთლიანად განადგურდა. როდესაც 1403 წ. თემურ ლენგი ალის გზით დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ალის ხეობა მთლიანად აოხრდა. მოგვიანებით, ალი აღადგინა ქუცნა ამირეჯიბმა, იგი ერთ-ერთ თავის სიგელში აღნიშნავს: ,,ჩვენგან აშენებული ალი''. ქუცნა ამირეჯიბმა ულუმბოს ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა ,,გამოღმა ალი სრულიად, ბაჟის მესამედი, ორი კვამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები''...[6] .

ის ფაქტი, რომ ალი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, ადასტურებს სააუკუნეების განმავლობაში აქ არსებული საბაჟოც. XV საუკუნის 10-20- იან წლებში ქუცნა ამირეჯიბი ახლადაღდგენილ ულუმბის მონასტერს სწირავს ,,გამოღმა ალის მესამედს''[7].

---

[1] თ. ლაცაბიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.

[2] მ. ლობჟანიძე, სოფ. ალში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძები, სინ.№93356/დ-7825.

[3] მ. ლობჟანიძე, სოფ. ალში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძები, სინ №9335/დ-7825.

[4] მ. ლობჟანიძე, ხაშურის რაიონის ტერიტორიაძე აღმოჩნილი იშვიათი მონეტები და სამონეტო განძები, №93359/დ-7828.

[5] თ. ლაცაბიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

[6] თ. ლაცაბიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

[7] თ. ლაცაბიძე, იქვე.

XVI ს-ის 30-იან წლებში ალი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ლუარსაბ I მას ბაგრატ იმერთა მეფეს (1510-1556 წ.წ.) აძლევს: ,,ქორონიკონს სიდ (1526) მისცეს მეფე ბაგრატს ქართლი, მეფე იმერეთისას, არადეთის წყალს გამოღმა ალი, სურამი და ახალდაბა''[1].

ალი XVI ს. II ნახევარში გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა სვიმონ I-ის (1556-1600 წ.წ.) ერთ-ერთ რეზიდენციას, რომელიც დაუღალავ ბრძოლას ეწეოდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

რუსეთში გამგზავრებამდე, 1723 წ. რამდენიმე თვით იდგა სოფელ ალში ვახტანგ VI, აქედან გადავიდა იგი იმერეთის გავლით რაჭაში, ხოლო შემდეგ კი რუსეთში გაემგზავრა .

XVIII საუკუნეში ალმა შეინარჩუნა დაწინაურებული მდგომარეობა. ამ პერიოდის ისტორიული წყაროები ალს ქართლის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად ასახელებენ. ,,ამ პროვინციაში (ზემო ქართლი) მთავარი ქალაქებია გორი, ცხინვალი, სურამი, ალი" – აღნიშნავს ალ. ამილახვარი[2].

1725 წ. რუისის სამწყსოს დავთარში ალიდან 22 კომლია აღწერილი: დვალი, დალაქი, ნებიერიძე, მეზვერე და სხვა. დავთარში ალი მოხსენიებულია, როგორც ,,დაწყევლილ ალში''[3], თუ რა არის ალის ამ კონტექსტით დავთარში მოხსენიების მიზეზი, ჩვენთვის გაუგებარია.

XVIII საუკუნის 30-იან წლებიდან ალი სისტემატიურად განიცდიდა ლეკთა თავდასხმებს. განსაკუთრებით მძიმე იყო ლეკთა თავდასხმა ალისთვის 1758 წ. ლეკებმა აიღეს ალის ციხე და ტყვითა და საქონლით დატვირთულნი ახალციხეს გადავიდნენ [4].

მემატიანის ცნობით, „ქორონიკონს 446, ქრისტეს აქეთ 1758 წ. აგვისტოს 14, მეფე თეიმურაზ და დეოფალ ანახანუმ სამაჩაბლოს ბრძანდებოდნენ... მეორე დღეს სამი ათასი ლეკი მოუხდა ზემო ქართლს, ქრცხინვალს. ბატონებს ჯარი არ ახლდათ, ვერ შეებნენ. ალის ციხე აიღეს, მრავალი ტყვე წაიყვანეს, ცეცხლი შეუკიდეს და ისე დაწვეს. რაც მორჩა და მრავალი თვალთა და აზნაურთა ხალხი დახოცეს და წარიტაცეს [5], აქედან ნათლად ჩანს თუ რაოდენ სასტიკად გაუსწორდნენ ლეკები ალის მაცხოვრებლებს. მათ ისარგებლეს მეფის ჯარის მოუსვლელობით და თითქმის პირისაგან მიწისა აღგავეს აქაურობა.

აღსანიშნავია რომ სოფ. ალში მდებარე ციხეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვით სისტემაში XVIII ს. II ნახევარში. ალის ციხე სამდევროების გეოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან რგოლს ასრულებდა.

საბუთში სამდევროების გეოგრაფია საკმაოდ ჭკვიანურად არის მოფიქრებული: აღმოსავლეთ-დასავლეთით იგი მოიცავს მდ. ლეხურას წყლიდან ალის წყლამდე, ხოლო ჩრდილო-სამხრეთით, სამაჩაბლოდან - გორ-ქარელამდე ტერიტორიას[6].

იოანე ბატონიშვილის ,,ქართლ-კახეთის აღწერის'' მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოს, ალი მოსახლე სოფელია. იგი ერეკლე II-ის მეუღლის, დარეჯან დედოფლის მფლობელობაში იყო, როგორც სადედოფლო მამული. 1785 წ. დარეჯანმა ალის მამასახლისის სახელო ,,სადედოფლო აზნურს'' ღვთისავარ ყულიჯანიშვილს უბოძა ,,ყოვლის მისის სამართლიანის სარგოთი''[7].

1803 წ. საუფლისწულო მამულების აღწერის მიხედვით ალში დარეჯან დედოფლის 7 კომლი ყმა გლეხი ჰყოლია.

XIX საუკუნის დასაწყისიდან აქ მოსახლეობა ძირითადად დასავლეთ საქართველოდან - ხარაგაულის და საჩხერის რაიონებიდან ჩამოსულები დასახლდნენ.

ალში სახლობენ გვარები: აკოფოვი, ამირეჯიბი, ლომიძე, ნოზაძე, ჩობანიანი, ბაბასოვი, ახალკაცი, ხერხეულიძე, ხაჩიძე და სხვა.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
2. იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
3. მ. ლობჟანიძე, ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იშვათი მონეტები და სამონეტო განძები, ხელნაწერი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სინ №93359/დ-7828.
4. მ. ლობჟანიძე, სოფ. ალში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძები, ხელნაწერ ინახება ხმმ-ში სინ.№93356/დ-7825.

---

[1] თ, ლაცაბიძე, დას. ნაშრ., გვ. 25.

[2] ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, გვ. 121.

[3] თ. ლაცაბიძე, დას. ნაშ., გვ. 29.

[4] ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 106.

[5] ი. ალიმბარაშვილი, დას. ნაშ. გვ. 107.

[6] ი. ალიმბარაშვილი, აღმ. საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს. II ნახევარში, გვ. 47.

[7] იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთისა აღწერა, გვ. 277.

5. ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., 1997.
6. ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
7. ი. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII ს. II ნახევარში, თბ., 2008.
8. თ. ლაცაბიძე, ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში, ხაშური, 2010.
9. ჯ. ქიტიაშვილი, ტოპონიმი ალის განმარტებისთვის, ჟურნ. „იყავი აქტიური მოქალაქე“, 2007, №5
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975.

საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში (XVI საუკუნის I ნახევარი)

მარიამ ქელეხსაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი**, ასოცირებული პროფესორი

XVI საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის იმპერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. სულთან მაჰმედ ფათიჰის (1451-1481) დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპასა და აზიაში. მას ეკავა ვრცელი ტერიტორია: აღმოსავლეთით - ტრაპიზონიდან და დასავლეთით ადრიატიკის ზღვის სანაპირომდე, ქ. ბელგრადამდე, ხოლო ჩრდილოეთით ყირიმის ნახევარკუნძულიდან და მდინარე დონის შესართავთან, სამხრეთით ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით. ოსმალეთი შიშის ზარს სცემდა იმდროინდელ ევროპასა და აზიის ქვეყნებს.

XVI ს-ის დამდეგიდან ძლიერდება ოსმალეთის შეტევა ირანის, ამიერკავკასიისა და არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. ამ დროიდან იწყება ოსმალეთსა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისთვის. ამ სისხლისმღვრელი ომის დროს საომარი მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასია იყო. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას. ოსმალეთი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების დაპყრობით და იმ სავაჭრო-სატრანსპორტო გზების ხელში ჩაგდებით, რომლებიც ამ ქვეყნებზე გადიოდა. ოსმალეთის ამ მისწრაფებას, თავის მხრივ, წინ ეღობებოდა ირანი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

სწორედ ამ დროიდან განსაკუთრებით ძლიერდება ოსმალეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

XVI ს-ის დამდეგისთვის საქართველოს მდგომარეობა მეტად გართულდა. ამ დროისათვის საქართველოს დაშლის პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში, კიდევ უფრო გაღრმავდა. ფეოდალური საქართველო საბოლოოდ დაიყო: ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამთავროებად. ერთ-ერთ ასეთ სამთავროს წარმოადგენდა სამცხის საათაბაგო. იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო: სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროებად. საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (XVI ს-ის დამდეგს) ასე რომ ფაქტიურად XVI საუკუნეში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი.

საქართველოს დაპყრობა-დანაწევრებას ხელს უწყობდა ყიზილბაშთა და ოსმალთა შემოსევები. უცხო დამპყრობლები მოხერხებულად იყენებდნენ ცალკეულ სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მმართველთა შინაურ განხეთქილებებს და კიდევ უფრო ამწვავებდნენ მათ შორის კონფლიქტს.

XV ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ახალი საშიში მტერია ოსმალეთის სახელმწიფო. 1453 წელს ოსმალეთმა დაიპყრო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ გაანადგურა ბიზანტიის იმპერია, ხოლო 1461 წელს კი - ტრაპიზონის სახელმწიფო. ამის შემდეგ ოსმალები უშიშრად საქართველოს საზღვრებს მოადგნენ.

1475 წელს ოსმალეთმა ყირიმი დაიპყრო და ფაქტიურად შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ გადააქცია.

XV ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ინკორპორაციას და მხოლოდ მოხარკეობით კმაყოფილდებოდა.

XVI ს-ის დამდეგიდან თანდათან იცვლება ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ. მას აღარ აკმაყოფილებს სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობის დამოკიდებულების ფორმა და მის ინკორპორაციას ცდილობს.

საქართველოს საკითხი ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში მეტად მწვავედ იყო დასმული. ერთი მხრივ, ირანი და ოსმალეთი შეიარაღებული ძალებით თავს ესხმიან მას და არბევენ საქართველოს ქალაქებსა და ციხეებს, ხოლო, მეორე მხრივ, ორივე მებრძოლი ქვეყნის მეთაურები ცდილობენ დიპლომატიურ შესაძლებლობათა გამოყენებას საქართველოში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. „როდესაც სულეიმანმა და სპარსეთის ელჩმა საზავო მოლაპარაკებისას გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, მოხუცი სპარსელი დაჰპირდა, რომ ერთი თვის შემდეგ შაჰ-თამაზი გაგზავნიდა სულთანთან ელჩს, ზავის დადების რწმუნებით“ (ც. აბულაძე, გვ. 18). 1554 წლის 28 სექტემბერს სულეიმანმა დატოვა არზრუმი და ქ. ამასიისაკენ გაემართა, სადაც 30 ოქტომბერს ჩავიდა და ზამთარი იქ გაატარა.

შაჰ-თამაზის ლაშქრობამ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ და სამცხე-საათაბაგოში მდგომ ოსმალთა გარნიზონებზე სპარსელთა თავდასხმამ კიდევ უფრო გაამწვავა ირან-ოსმალეთის ურთიერთობა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მომავალი წლის გაზაფხულისათვის სულთანი განაახლებდა საომარ ოპერატორებს ირანის წინააღმდეგ და ამ ომში მთავარი საკითხი, ისევე როგორც 1549 წელს, საქართველო იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით მოიპოვება მეტად საყურადღებო დოკუმენტი. ესაა შაჰ-თამაზის დიდმოხელეების სევინდუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ-ყულუს ბენ ჰამზას მიერ გავლენიანი თურქი მოხელის არზრუმის ბეგლარბეგის აიას ფაშასადმი გაგზავნილი წერილი.

წერილში საუბარია 1554 წლის ზაფხულში შაჰ-თამაზის ლაშქრობის შესახებ ქართლში ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ.

1555 წლის მარტში ამასიაში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი ფერუჰ ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსლამეთთან ზავის დადების რწმუნება.

1555 წლის 29 მაისს, ამასიაში, საფრანგეთის ელჩის ჩარევით, ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო.

„ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო: ირანი სცნობს ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ოსმალეთი სცნობს ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო მესხეთი გავლენის სფეროებადაა განაწილებული.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას. „ვიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა ჰქონოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან ძალაზე“. (მ. სვანიძე, გვ. 15).

ცხადია, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ართულებდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

ამასიის ზავის პირობები განსაკუთრებით მძიმე იყო სამცხე-საათაბაგოსათვის, რომელიც ორ დამპყრობელს შორის იქნა დანაწილებული. ტაო და შავშეთ-კლარჯეთი ოსმალებს ერგო, ხოლო სამცხე - ირანს. სამცხე-საათაბაგოს ასეთი დანაწილება აიხსნება ირან-ოსმალეთის ინტერესების შეჯახებით, არც ერთს არ სურდა მიეცა შესაძლებლობა მეორე მხარისათვის მტკიცედ მოეკიდა ფეხი საათაბაგოში, რომელსაც ორივე მეტოქე სახელმწიფო განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ სამცხის დაპყრობას ოსმალეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქედან მას გზა ეხსნებოდა ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შესაჭრელად.

ირანთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ყურადღება გადაეტანა დაპყრობილი ქვეყნის გაოსმალებაზე, რათა აქ მტკიცედ მოეკიდა ფეხი.

თურქული წყაროებისა და თურქი ისტორიკოსების ცნობებით, XVI ს-ის შუა წლებში ოსმალეთის მიერ საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დაკავების შემდეგ დაპყრობილ ადგილებში სანჯაყები დააარსეს.

სანჯაყები ანუ ლივა იყო ოსმალეთის ძირითადი სამხედრო სამმართველო ერთეული. თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და ნიშნავს დროშას ანუ სადროშოს. ამ სამმართველო ტერმინით იწოდებოდა ის ოლქი, რომელსაც განაგებდა სანჯაყბეგი ანუ მირი-ლივა.

სანჯაყებში ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები იყო გავრცელებული.

ცხადია, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში სანჯაყების დაარსების შედეგად მომხდარიყო მისი აღწერა, დავთრებში გატარება და კან-ნამეს შედგენა. ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობდა საქართველოს დაპყრობილ ადგილებში უცხო ეთნიკური ელემენტების ჩამოსახლებას.

ამგვარად, XVI ს-ის პირველ ნახევარში ოსმალეთის მიერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ოლქების დაპყრობის შემდეგ სულთნის მთავრობამ დაპყრობილი ადგილები სანჯაყებად დაჰყო, აღწერა

და კანონ-ნამე შეადგინა. ამ ღონისძიების გატარებით სულთანს სურდა დაპყრობილი ქვეყნის ინკორპორცია, აქ „ოსმალობის“ დამყარება. ამის შედეგად აქ იწყება ქართული ფეოდალური წყობილების რღვევა. ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობის გამო, ოსმალეთის სულთანი იძულებული იყო რიგ შემთხვევაში კომპრომისზე წასულიყო. ოსმალებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნის ერთბაშად განხორციელება და გაოსმალების პროცესი საუკუნეთა მანძილზე გაგრძელდა.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არ შენელებულა, მართალია, ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ იგი არ იყო კმაყოფილი ზავის პირობებით და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა ირანის წინააღმდეგ ახალი ომო გაეჩაღებინა.

ლიტერატურა:

1. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 1-19
2. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 1-18
3. ც. აბულაძე, აჰმედი საქართველოში არღუნ ყაენის ლაშქრობის შესახებ, თბ., 1961.
4. კრებული "შოთა რუსთაველი", ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, , თბ., 1966, გვ. 218-226
5. იბტაჰიმ ფეჩივის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964.

ვარანგთა (ვიკინგთა) შესაძლებელი მონაწილეობა მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავს შორის მომხდარ ბრძოლაში

მაგდა ყაჩლავაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გურამ კუტალია**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ვიკინგების სამშობლო დღევანდელი შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სავარაუდოდ, მათი სახელი მეკობრეს ნიშნავდა. ვიკინგები უბადლო მხედრები და მეომრები იყვნენ. თავიანთ სამშობლოში ისინი სოფლის მეურნეობას, მეთევზეობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. ვიკინგების დიდი ნაწილი გლეხი იყო, მათ მოჰყავდათ მარცვლეული და ბოსტნეული, აშენებდნენ ხარ–ძროხას, ღორებს, ქათმებსა და თხებს. ვიკინგები გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. ისინი კარგი მჭედლები და მეტალურგები იყვნენ. ამზადებდნენ ბრწყინვალე იარაღსა და სამკაულებს, აგრეთვე მოჩუქურთმებულ საგნებს. უმრავლესობა დიდ, გრძელ სახლებში ცხოვრობდა. სახლი ეკუთვნოდა ბელადს და ყველა, ვინც ბელადისთვის შრომობდა, მის სახლში ცხოვრობდა. გარდაცვლილს საფლავში საკვებსა და სამკაულებს ატანდნენ, რომლებიც მას მომავალ ცხოვრებაში უნდა გამოდგომოდა. ზოგჯერ სახელგანთქმულ მეომარს გემზე ათავსებდნენ. გემს ცეცხლს უკიდებდნენ და ხალხი თვლიდა, რომ გემი მიემგზავრებოდა ვალჰალაში, სამოთხეში, სადაც მხოლოდ მეომრები ხვდებოდნენ. ვიკინგებს სწამდათ, რომ გარდაცვლილი მეომრები იქ დღისით იბრძოდნენ, ღამით კი ნადიმობდნენ ვალჰალაში, მთავარი ღმერთის, ოდინის სამფლობელოში. მშვენიერი ქალები, ვალკირიები მეომრებს ემსახურებოდნენ.

ვიკინგები ხმაურიან ნადიმებს მართავდნენ ბრძოლებში გამარჯვების აღსანიშნავად. მუსიკოსები არფებზე და სასულე საკრავებზე უკრავდნენ, პოეტები კი, რომელთაც სკალდებს უწოდებდნენ, გრძელი ლექსებით ხოტბას ასხამდნენ მამაც მეომრებს.

ტერმინი "ვიკინგი" სავარაუდოდ საქსური სიტყვიდან wic (სამხედრო ბანაკი) მოდის, თუმცა არის სხვა ვერსიებიც. ფრანკული წყაროები მათ Nordmanni (ჩრდილოელი ხალხი ან ნორმანები) უწოდებენ, გერმანულები კი Ascomanni (იგივე "ეშმენ", ash – იფანს ნიშნავს), რადგან ზოგიერთი ვიკინგთა გემი იფნის ხისგან მზადდებოდა, თუმცა ძირითადად ამ დამპყრობელთა ხომალდები გამძლე მუხის ხისგან

იკვრებოდა. ესპანელი მუსლიმები ვიკინგებს Al-Madjus – წარმართ ჯადოქრებს უწოდებდნენ, სლავები – Rus (შესაძლოა rotsi–დან, რასაც ფინელები შვედეთს უწოდებდნენ), ბიზანტიელები იცნობდნენ მათ როგორც Rhos (ბერძნული ზედსართავიდან "წითური", ვიკინგთა წითური გარეგნობის გამო) ან Varangoi (სავარაუდოდ, ძველსკანდინავიური სიტყვიდან Var – "ფიცი", რაც უკავშირდება იმას, რომ ვიკინგებს ჰქონდათ ტრადიცია დაედოთ ერთგულების ფიცი). მხოლოდ ირლანდიელები, რომლებიც ვიკინგებს Lochlannach (ჩრდილოელებს) და Gaill (უცხოები ან უცხოელები) უწოდებდნენ, ცდილობდნენ გაერჩიათ ერთმანეთისგან დანიელები (Dubh-gaill – შავი უცხოელები) და ნორვეგიელები (Finn-gaill – თეთრი უცხოელები). ზოგიერთ სხვა წყაროში ვიკინგები "დანიელებად", "ნორვეგიელებად" და "შვედებად" მოიხსენიებენ. მაგალითად, ადამ ბრემენელი 1075 წელს წერდა: "დანიელები და შვედები, რომელთაც ჩვენ ნორმანებს ვუწოდებთ ან ჩრდილოელ ხალხს…", ასევე ის ხსნის, რომ "დანიელები, შვედები და დანიის სხვა ხალხები (მათ შორის ნორვეგიელები) მოიხსენიებიან ნორმანებად". ამიტომ, როდესაც ანგლო-საქსონური წყარო მოიხსენიებს ვიკინგებს Dene-დან ან Dani-დან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად დანიიდან უნდა ყოფილიყვნენ. სიტყვა ვიკინგის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ვერსიაა სიტყვა Vic, რაც ყურეს ნიშნავს და აქვს ის საბაბი, რომ ვიკინგები იყვნენ მეკობრეები და იმალებოდნენ სანაპიროს ყურეებში, საიდანაც შემდეგ სწრაფ რეიდებს ახდენდნენ. არის ვერსია, რომ ტერმინი ვიკინგი შეიძლება მოდიოდეს სიტყვიდან Vik – გეოგრაფიული სახელწოდება ნორვეგიის ერთ-ერთი ნაწილისა, ან Vig – ბრძოლა. სკანდინავიურ ხელნაწერებში Viking მეკობრეობას ან მეკობრულ თავდასხმას ნიშნავს, ხოლო ადამიანი, ვინც ასეთ რეიდში მონაწილეობს – Vikingr. სხვადასხვა ვერსია არსებობს ვიკინგთა მოულოდნელი გამოჩენის შესახებ ახ.წ. VIII საუკუნეში. ამაზე იმოქმედა დემოგრაფიულმა ფაქტორებმა და ევროპაში სტაბილური, მდიდარი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, როგორიც იყო კაროლინგების იმპერია. მიმდინარეობდა გაცხოველებული ვაჭრობა, რაც ხელს აძლევდათ მეკობრეებს და ისინიც ამ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ და მუდამ ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებსა თუ ვაჭართა ხომალდებს. ამასვე უკავშირდება სკანდინავიაში გემთმშენებლობის სწრაფი განვითარება. ვიკინგებს ჰყავდათ არა მარტო ის ცნობილი სამეკობრეო გემები, რომელიც ჩვენთვის მუდამ მათთან ასოცირდება, არამედ Knorrs – სავაჭრო ხომალდები.

ასეთი გემებით ვიკინგებს შეეძლოთ ხანგრძლივი ლაშქრობები წამოეწყოთ და განევითარებინათ კოლონიზაცია ახლადაღმოჩენილი მიწებისა. სწორედ ხომალდები იყო ვიკინგთა მთავარი იარაღი მათი ლაშქრობების პერიოდში.

მეომრები სანაპიროებს უტევდნენ, მოგზაურები ახალ მიწებს იკვლევდნენ, ვაჭრები და ხიზნები გემებით მიცურავდნენ ახალი მიწებისკენ. ვიკინგი მხედრები 300 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ ევროპელებს. ულმობელი მეომრები სწრაფ გემებზე ისხდნენ. ხმელეთზე გადასვლის შემდეგ ისინი ბრძოლით იკაფავდნენ გზას, არბევდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ვიკინგებმა ბრიტანეთის, ირლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის დიდი ნაწილი დაარბიეს. ირკვევა, რომ 1047 წელს საქართველოშიც გამოჩნდნენ რუს-ვარანგთა რაზმები – 3000 მებრძოლი, ამჯერად ისინი აქ მოვიდნენ არა თავიანთი ინიციატივით, არამედ საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის მიწვევით, რათა მონაწილეობა მიეღოთ მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავს შორის მომხდარ ბრძოლაში. ამ უკანასკნელს ბიზანტიელები ეხმარებოდნენ, მათ ხომ საქართველოს გაერთიანება არ აწყობდათ. 1046 წლის ბოლოსა თუ 1047 წლის დასაწყისში ლიპარიტის დასახმარებლად ჩამოსულა ბერძენთა ლაშქარი. იმავდროულად - როგორც ,,მატიანე ქართლისაი'' მოგვითხრობს, საქართველოში შემოსულა ვარანგნი -დაახლოებით 3 ათასი კაცი. 3 ათასი კაცის ჩამოსვლა რამდენად სწორია ეს სხვა საქმეა, მაგრამ ის ფაქტია, ბაგრატს ჭალაში წაუყვანია მხოლოდ 700 კაცი. სასირეთის ბრძოლაში ლიპარიტს გაუმარჯვია.

ბაგრატისა და ლიპარიტის დაპირისპირება ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორი იყო, რამაც განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს საშინაო (არა მხოლოდ საშინაო) პოლიტიკის ძირითადი შინაარსი თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე - XI საუკუნის 30-50-იან წლებში.

"მატიანე ქართლისა"-ს ცნობით, "მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს, გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ვერღარა მოილოდინეს, მოვიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდათ ლაშქარი, და ომსა ამასვე კულა შეიპყრეს აბუსერი, და სხუანიცა დიდებულნი მის-თანა, ვერღარა უძლეს ბრძოლაი ვარანგთა".

ისტორიკოსებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ერთნი (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ ლიპარიტის მხარეს, მეორენი (მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. ვასილევსკი, ი. ცინცაძე და სხვ.) თვლიან, რომ ვარანგნი ბაგრატ მეოთხესთან იყვნენ.

პირველი კომენტატორი, ვინც ეჭვი შეიტანა მატიანის ტექსტის ბუნდოვანებაში, ვახუშტი ბატონიშვილი გახლდათ. მისი თქმით, ვარანგები "ბაგრატს მიერთვნენ". მათგან მეფემ "შიდა

ქართველებთან” ერთად გამოიყვანა მხოლოდ შვიდასი მებრძოლი და სასირეთის ჭალაში შეება ლიპარიტს, რომელსაც მხარს უჭერდნენ კახელები და სომეხთა მეფე დავითი. ბრძოლა ბაგრატის დამარცხებით დამთავრდა.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი, “მატიანე ქართლისა”-სგან განსხვავებით, აკონკრეტებს ადრესატს, თუ ვისთან მივიდნენ ვარანგები - ეს იყო ბაგრატ IV. სწავლული ბატონიშვილის აზრით, მეფემ რაღაც მიზეზის გამო აღარ დაუცადა მოკავშირე მესხთა ლაშქარს და ისე შეება მტერს. შიდა-ქართველთა რაზმი ბრძოლაში დამარცხდა. მარტო დარჩენილმა ვარანგებმა მოწინააღმდეგეს ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს.

რუსი მეცნიერი დააეჭვა ერთმა გარემოებამ - მისი ვარაუდით, ვარანგები ბაგრატის კი არა, ლიპარიტის მომხრეები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალება მას მისცა სიტუაციის ანალიზმა. კერძოდ, ვასილევსკი დარწმუნებული იყო, რომ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ განწყობილი ბიზანტიის ხელისუფლება ყოველნაირად უჭერდა მხარს მის მოწინააღმდეგე ერისთავს. ასეთ ვითარებაში ნაკლებადსარწმუნო იყო, მეფისთვის ბიზანტიაში ვარანგთა დაქირავებისა და საქართველოში წაყვანის საშუალება მიეცათ. პირიქით - ასკვნიდა მკვლევარი - ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, ლიპარიტისა და დემეტრეს მიერ ბიზანტიიდან შემწედ ჩამოყვანილი ჯარი “მატიანე ქართლისა”-ს ვარანგებთან გავაიგივოთო.

რაკი ქართული ენის უცოდინარობის გამო მატიანეს ცნობის დეტალური ანალიზი გაუჭირდა, ვასილევსკიმ დასახმარებლად ნიკო მარს მიმართა. ნ. მარმა, თარგმნა მატიანეს სათანადო მონაკვეთი და სრულიად საპირისპირო დასკვნამდე მივიდა: მისი ინტერპრეტაციით - “პრიშლი ვარანგი ტრი ტისიაჩი ჩელოვეკ ი ონ (ლიპარიტ) პოსტავილ იხ ვ ბაშე, ს სობოიუ ვზიალ (ლიპარიტ) სემსოტ ჩელოვეკ. ბაგრატ იავილსია ს ვოისკომ ვნუტრენნიმ (ს ვოსტოკა იზ ვნუტრენნეი კარტალინიი). ვარანგი (ბივშიე ს ლიპარიტომ) ნე სმოგლი დოჟდატსია მესხოვ, პრიშლი ი ზავიაზალი ბოი (ს ბაგრატომ) ნა რუბეჟე სასირეტსკოი დოლინი. ვნუტრენნეე (პრივედენნოე ბაგრატომ იზ ვნუტრენნეი კარტალინიი) ვოისკო ბეჟალო. ვ ეტოი ბიტვე (ვოისკო ლიპარიტა) ოპიატ ზახვატილი აბუსერა ი ს ნიმ დრუგიხ ზნატნიხ, კოტორიე ნე ოკაზალის ვ სილახ ბოროტსია ს ვარანგამი”.

აქედან აშკარად ჩანს, ვარანგები არა თუ ლიპარიტმა მოიწვია საქართველოში, არამედ მათ სასირეთის ბრძოლაში ერისთავის მხარეზე მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს კიდეც.

ვასილევსკიმ მოიძია წყაროებში გაფანტული ყველა ცნობა ბიზანტიაში მყოფი ვარანგების გადაადგილების შესახებ და დაადგინა, რომ მათი ნაწილი სამხრეთ იტალიაში გაუგზავნიათ. მეორე ნაწილი მკვლევარმა საქართველოში აღმოაჩინა და, ლოგიკურად, მისი იქ ჩასვლა ლიპარიტ ბაღუაშის ავანტიურას დაუკავშირა.

ზემოთაღნიშნული ცნობების ანალიზმა ქართველი ისტორიკოსები სრულიად განსხვავებულ დასკვნამდე მიიყვანა. ი. ცინცაძეს მიაჩნდა, რომ სულაც არაა სავალდებულო “მატიანე ქართლისა”-ს მიერ მოხსენიებული ლიპარიტ ბაღუაშის შემწე ბერძენთა ლაშქრის გაიგივება ვარანგებთან. განსვენებულ მეცნიერს ეს მტკიცება ესაჭიროებოდა იმის საჩვენებლად, რომ ვარანგები ლიპარიტს არ მოჰყოლიან და თუ მათ მაინცდამაინც განდგომილი ერისთავის მიერ მოყვანილად ჩავთვლით, საბოლოოდ მაინც ბაგრატის მხარეს აღმოჩნდნენ და აქედან გამომდინარე, ქართული წყაროს ცნობის მარისეულ კონიექტურას საფუძველი არ გააჩნიაო. ი. ცინცაძემ ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიულ პუნქტ ბაშზე (სოფელი რიონის ნაპირას, ქუთაისის მახლობლად, თანამედროვე სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე) და დაასკვნა - თუ არა ბაგრატის მხარეს მყოფნი, სხვაგვარად ვარანგები იქ ვერ დაბანაკდებოდნენ, რადგან ბაში მეფის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდაო.

მეცნიერმა ასევე მიუღებლად მიიჩნია მარის მიერ მატიანის ტექსტში სიტყვების - “ამით ვარანგითა” შეცვლა სიტყვებით - “ამათ ვარანგთა”, რამაც პრინციპულად შეცვალა აზრი. აღნიშნული რევიზიიის შედეგად გამოდიოდა, რომ ბაგრატი კი არ მოვიდა “შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა”, არამედ “ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინეს”, ე.ი. ვარანგებმა მესხებს ვეღარ დაუცადესო. მესხთა ნაწილი, მკვლევარის მოსაზრებით, მეფის მხარეს იყო (მაგალითად - აბუსერ არტანუჯელი), ნაწილი კი ლიპარიტს ემხრობოდა.

ვარანგებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათა სხვადასხვაობა ამით არ ამოწურულა. საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე, მეტად საინტერესო შეხედულება განავითარა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელმაც თითქმის მთლიანად გაიზიარა მატიანის ტექსტის მარისეული შესწორება. მეცნიერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ადგილს, სადაც ნათქვამია - “ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა და მისცა ლიპარიტ პაშტნი და წინ ამათსა პურს უკაზმიდეს, და ეგრეთ ლიხი გარდავლეს”.

თუ ჩავთვლით, რომ ვარანგები ბაგრატის მხარეს იბრძოდნენ და დამარცხდნენ, პასუხს მოითხოვს სრულიად ლოგიკური კითხვა - რატომღა მისცა გამარჯვებულმა ლიპარიტმა მოწინააღმდეგეს მსახურნი, ან რატომღა უკაზმა მათ პური და პატივისცემით გაისტუმრა უკან. ი. ცინცაძის ვარაუდით, ამ

შემთხვევაში ერისთავმა ანგარიში გაუწია ბიზანტიის ფაქტორს (დაქირავებული ვარანგები ხომ იმპერიის სამსახურში იყვნენ) და აღარ გაამწვავა დამოკიდებულება მათთან. ვარაუდის დონეზე ამ მოსაზრების მიღება შეიძლება, თუმცა, მას სათანადო არგუმენტაცია აკლია.

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ ვარანგები ლიპარიტს ეხმარებოდნენ, მატიანის კიდევ ერთი ადგილის ახლებურ ინტერპრეტაციას ემყარება. მას მიაჩნდა, რომ სიტყვები - "ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა" ნიშნავს არა იმას, თითქოს ვარანგებმა ვერ გაუძლეს ბრძოლას (ამ გაგებით ისინი ბაგრატის ბანაკში მოიაზრებიან), არამედ იმას, რომ ვარანგებს ვერ გაუძლეს ბრძოლაში დანარჩენებმა. ეს შეხედულება, ჯერჯერობით სადაოდ რჩება ისტორიოგრაფიაში. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, არც ერთ ამ მოსაზრებას წინ გადაულახავი დაბრკოლება არ ეღობება.

ვარანგთა საქართველოში ყოფნით სხვა მკვლევარნიც დაინტერესდნენ (ვ. კოპალიანი, რ. მეტრეველი, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, ლ. ტუხაშვილი, ზ. პაპასქირი, გ. გაბუნია, ჯ. სამუშია...) რომლებმაც არა ერთი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (ლ. ტუხაშვილი, მაგალითად, ვარანგებს ვიკინგებთან აიგივებდა). ნაწილმა გაიზიარა "მატიანე ქართლისა"-ს პოზიცია ბაგრატისა და ვარანგების მოკავშირეობის თაობაზე. სხვებმა ტექსტის მარისეულ შესწორებას და მასზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოტანილ დასკვნას დაუჭირეს მხარი. გამოთქმულ შეხედულებათა მეტ-ნაკლები საბუთიანობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი დღემდე ღიად რჩება და წყაროთა დამატებითი მონაცემების გარეშე საეჭვოა, ნათელი მოეფინოს, ვის მხარეს იბრძოდნენ საქართველოში ბიზანტიიდან ჩამოყვანილი დაქირავებული რუსი მებრძოლები.

ჩვენთვის არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ერთ შემთხვევაშიც (ლიპარიტ ბაღვაში) და მეორეშიც (ბაგრატ მეოთხე) ისინი ქართველებთან არიან კავშირში. ლიპარიტ ბაღვაშის მამულიც (ლიპარიტეთი) ხომ საქართველოს ნაწილი იყო. ,,მატიანე ქართლისა''-ს ზემოთმოტანილი ტექსტის მიხედვით ვარანგნი სწორედ საქართველოს მეფეს ბაგრატს უჭერდნენ მხარს. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, რომ ვარანგები შავი ზღვითა და შემდეგ მდ. რიონით მოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მდ. რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფისა და მისი ადმინისტრაციის მორჩილებაში იყო (ბაგრატ IV-ის სატახტო რეზიდენციაც ხომ დასავლეთ საქართველოში - ქუთაისში იყო).

ამგვარად, ,,მატიანე ქართლისა" ნათელს ჰყოფს, რომ უკვე მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში ქართველებსა და ვარანგებს არამხოლოდ შორეული ნაცნობობა, არამედ ახლო ურთიერთობაც ჰქონიათ.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. რ. გაჩეჩილაძე, „დიდი ბრიტანეთის ისტორია", გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ., 1973, გვ. 33
2. http://ucnauri.com/120122
3. რ. მეტრეველი, ,,და მოვიდეს ვარანგნი"..., ,,მერანი", თბ., 1988.
4. ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 285.

გიორგი I-ის ბიზანტიური პოლიტიკა

თეონა შავლოხაშვილი, თათია უმეკაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

X ს-ის მეორე ნახევარში ქართველთა სამეფოში შექმნილმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა ტაოში დამოუკიდებელი სამეფოს ჩამოყალიბება, რომელმაც ძლიერების ზენიტს მეფე დავითის დროს მიაღწია. იმდროინდელ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დავითი იხსენიებოდა ტიტულებით: ,,ტაოს მეფე", ,,მაგისტროსი", ,,კურაპალატი", ,,აღმოსავლეთის დიდი კურაპალატი", ,,მეფეთ მეფე", ,,დიდი ერისთავთ ერისთავი", ,,ქართველთა მეფე".

X ს-ის 70-იან წლებში მცირე აზიელი სამხედრო არისტოკრატიის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენლის ბარდა სკლიაროსის აჯანყებამ საფრთხე შეუქმნა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო ტახტს და იმპერატორის ჯარების სათავეში დაყენებულმა ბარდა ფოკამ ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრეების ბასილისა და კონსტანტინეს დაქვრივებულ დედას, თეოფანოსს ურჩია დახმარებისთვის დავით ტაოელისთვის მიემართა. ბარდა ფოკამ კარგად იცოდა დავითის შესაძლებლობანი, ამასთანავე ის იმასაც ითვალისწინებდა, რომ ბარდა სკლიაროსის გაძლიერება საფრთხეში აყენებდა დავით ტაოელის სამფლობელოებს, რადგან სკლიაროსმა, ფაქტობრივად დაიპყრო იმპერიის აზიური ნაწილი და ტაოს გაუმეზობლდა. შუამდგომლობა ათონის მონასტრის ბერს იოანე-თორნიკეს სთხოვეს. დახმარების საფასურად დავით ტაოელმა ტერიტორიული დათმობები მოითხოვა, ე.წ. ,,ზემო ქუეყანაი," რაც მოიცავდა არზრუმის მხარეს, სამხრეთ ბასიანს მდინარეების: ჭოროხის, არაქსის და ევფრატის სათავეებს.

12000 კაციანმა ქართულმა ლაშქარმა იოანე-თორნიკეს სარდლობით გადამწყვეტი როლი შეასრულა მეამბოხე ფეოდალის საბოლოო დამარცხებაში საიმპერატორო კარმა შეასრულა თავისი დანაპირები – აღნიშნული მიწა-წყალი გადაეცა დავითს, ,,რათა თავისსა სიცოცხლესა ჰქონდენ." ათონელმა ქართველებმა მიიღეს ,,ადგილნი და სოფელნი", ხოლო სამხედრო ნადავლად მიღებული წილი იოანე-თორნიკემ ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა.

აღსანიშნავია, რომ იმპერიისგან დავითის მიერ მიღებული ,,ზემონი ქვეყნის" ნაწილი დავით ტაოელს უკვე დაკავებული ჰქონდა, მაგრამ მას ესაჭიროებოდა იმპერიისგან ოფიციალური ცნობა, მაგრამ რამდენად სასურველი იყო დავით ტაოელისთვის ამ მიწების მხოლოდ სიცოცხლეში ფლობა, ეს საკითხის სხვა მხარეა.

987 წელს დაიწყო ბარდა სკლიაროსის და ბარდა ფოკას ერთობლივი აჯანყება იმპერატორის წინააღმდეგ, ფოკამ მოატყუა სკლიაროსი, ვერაგულად შეიპყრო, დაიმორჩილა მთელი მცირე აზია და დაუპირისპირდა იმპერატორს. დავით ტაოელმა მეამბოხე ფოკას მხარე დაიჭირა და მას 1000 კაციანი რაზმი გაუგზავნა. დავით ტაოელს იმედი ჰქონდა, რომ საიმპერატორო ხელისუფლებისგან ,,სიცოცხლესავე შინა" მიღებულ ქვეყნებს ბარდა ფოკასგან მისი გამარჯვების შემთხვევაში, სამემკვიდრეოდ მიიღებდა და საქართველოს სამეფოს დაუტოვებდა, მაგრამ იმპერატორმა ბასილ II დაამარცხა მეამბოხენი. ფოკას მოკავშირეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება დაიწყო და დავით ტაოელის სამფლობელოებისაკენ გამოემართა.

დავითი წინდახედული და ფრთხილი პოლიტიკოსი იყო, საკუთარ პატივმოყვარეობაზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებდა. ამიტომ დასთანხმდა იოვანე მარუშის ძის შემოთავაზებას, რომ ბაგრატი გაემეფებინა. მას, როგორც ბაგრატიონთა მმართველი სახლის წარმომადგენელს, თვით ჰქონდა უფლება ტაოზე, მთლიანად ქართველთა სამეფოზეც, კონკრეტულად შიდა ქართლზეც, მაგრამ არ ჰქონდა არავითარი უფლება დასავლეთ საქართველოზე. ეს უფლება კი ბაგრატ ბაგრატიონს ჰქონდა.

როდესაც დავით ტაოელმა დახმარება იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას აღმოუჩინა, ფოკას დამარცხების შემდეგ, მას ბასილის რისხვა დაატყდა თავს. დავითმა მას პატიება და დანდობა სთხოვა და სამაგიეროდ, სიკვდილის შემდეგ თავისი სამფლობელოების ანდერძით დატოვება შესთავაზა, ვინაიდან მას არ ჰყავდა შვილი და არც სხვა ვინმე მემკვიდრე და თვითონაც უკვე მოხუცი იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხის შესახებ, თუ, სახელდობრ, რა უანდერძა დავით ტაოელმა იმპერიას: მთლიანად თავისი სამფლობელო თუ მხოლოდ „ზემონი ქვეყანანი". ეს უკანასკნელი ხომ ისედაც ამ პირობით იყო მიღებული. ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ საგანგებოდაა მითითებული – დავითს მემკვიდრე არ ჰყავდა, მაგრამ მან ხომ უფლისციხის თავყრილობაზე მემკვიდრედ ბაგრატი გამოაცხადა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მიუხედავად შეთანხმებისა ,,ზემონი ქვეყნების" შესახებ დავითის მიერ ძალით მოპოვებული მიწა-წყლით ბიზანტიისათვის გადაცემა უბრალოდ ვერ მოხერხდებოდა.

XI საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა იყო. სანამ ბიზანტიის იმპერიას ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნები არაბთა სახალიფოსთვის დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა, ის საქართველოს და სომხეთს ზურგს უმაგრებდა და ხელს უწყობდა მათ გაძლიერებას. მაგრამ XI საუკუნისთვის ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში შეცვლილი იყო. არაბთა სახალიფო და მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეს აღარ წარმოადგენდნენ ბიზანტიისთვის. ახლა უკვე თვით საქართველოსა და სომხეთის გაერთიანება უქმნიდა საფრთხეს ბიზანტიას და მათ მხარს აღარ დაუჭერდა.

საერთაშორისო სარბიელზე კი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიის მხარდაჭერა-წყალობას, რის გარეგნულ გამოხატულებასაც ამიერკავკასიის მეფე-მთავართა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები წარმოადგენდნენ.

იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ 1025-1028 წლები დავით კურაპალატის სამფლობელოთაგან შექმნილ იბერიის თემს – საკატეპანოს სხვა ქართული მიწებიც მიუმატა. აქედან იწყებოდა ინტრიგებისა და პოლიტიკური მოსყიდვა – გადაბირების ის ქსელი, რომელიც საქართველოს მეფის ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალების გადაბირებას ისახავდა მიზნად. ბიზანტია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების პროცესის შეჩერებას, მის დასუსტებას და მოსაზღვრე სამფლობელოების ხელში ჩაგდებას.

ბიზანტიის იმპერიის აგრესია საქართველოს მიმართ ორ მთავარ მიზანს ისახავდა: 1) ქართული მიწა-წყლის დაკავებას, 2) სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევას. ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ საქართველოს ჩამოაჭრა, იყო სამხრეთ ტაო. ამ სამფლობელოზე იურიდიულად ბაგრატ III-ეს უფლება აღარ ჰქონდა, რადგან კურაპალატმა არამარტო თვითონ მისცა პირობა ბასილს, რომ სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს მას უანდერძებდა, არამედ ბასილთან გააგზავნა თავისი აზნაურები, რომელთაც მას ფიცით პირობა მისცეს, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თავის ციხეებს ბასილს გადასცემდნენ.

იმიერტაოს დაკარგვა მძიმე მარცხი იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის და ამიტომ გასაგებია, რომ გაერთიანება-გაძლიერების გზაზე მდგარი ქვეყანა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ეცდებოდა ამ მარცხის გამოსწორებას. ხელსაყრელ მომენტად გიორგი I-მა ჩათვალა ბასილ II-ის ბულგარელებთან ომი და 1014-1016 წლებში შეიჭრა სამხრეთ ტაოში და დაიკავა ის სიმაგრეები და მხარეები, რომლებიც დავით კურაპალატმა დაუთმო მეფე ბასილს. ბულგარელებთან ომიდან დაბრუნებულმა ბასილმა გიორგის დაკავებული ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. გიორგი I-მა უარი განაცხადა იმპერატორის მოთხოვნაზე, რასაც მოჰყვა ბიზანტია-საქართველოს ომი 1021-1022 წლებში.

გიორგი I-მა კარგად იცოდა თუ რაოდენ ძნელი იყო ბრძოლა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ის წინააღმდეგ და ამიტომ ის საომრად დიდი მონდომებით ემზადებოდა. მან თხოვნით მიმართა ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ეგვიპტის სულთან <u>ალ-ჰაქიმს,</u> რომელსაც ერთობლივი საომარი ოპერაციების დაწყება შესთავაზა. მართალია არ არის ცნობილი როგორ მიიღეს ეს წინადადება ქაიროში, მაგრამ სწორედ იმპერატორ ბასილის აღმოსავლეთში გამოლაშქრების წინ ეგვიპტის სულთანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბიზანტიის წინააღმდეგ გამართულ ომში გიორგის მოკავშირეები იყვნენ კახეთ-ჰერეთი, მეზობელი სომეხი მეფეები, ანისის მეფე იოანე-სუმბატი, ანისის სამეფოს ვასალი, ვანადის სამეფო და ვასპურაკანის მეფე ენე ქერემი. აღნიშნულმა პრობლემამ თავი განსაკუთრებით იჩინა მეფე გიორგი I-ის დროს, რომელიც ყველანაირად ცდილობდა დაებრუნებინა ბიზანტიის მიერ ქართველთათვის წართმეული მიწები. 1021-1022 წწ. საქართველო ბიზანტიას შორის დავით კურაპალატის მემკვიდრეობისთვის დიდი ომი მიმდინარეობდა, რომელიც ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს იმ დიდი ბრძოლის შესახებ საქართველოს მეფე გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს შორის, რომელიც მოხდა კოლას მხარეში, შირიმნის თუ შირიმთას მიდამოებში.

ქართული წყაროების მსგავსად არისტაკეს ლასტივერტიც მოგვითხრობს ზემოთ ხსენებულ ომზე. იგი გვამცნობს, რომ ქართველთა და ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლა მოხდა პალაკაცოს ახლო მხარეს. მსგავსი ცნობა აქვს დაცული იაჰია ანტიოქიელს, სკილიცასა და კედრენეს.

არისტაკესი ვრცლად ყვება ბასილ II-ისა და გიორგი I-ის ურთიერთობაზე ომის დასაწყისში, კეისართან ქართველი ეპისკოპოსის მისვლაზე. არისტაკეს აღწერილი აქვს ბასილ II-ისა და გიორგი I-ის ყოფნა ბასიანის ველზე, გიორგის მიერ უსტიქის (ოლთისი) დაწვა, რამაც ბასილის მრისხანება გამოიწვია. არისტაკეს თხრობის ეს პასაჟები მთლიანად ემთხვევა ქართული წყაროების ცნობებს. შინაარსობრივად ქართულ-სომხური წყაროების ცნობებს ემთხვევა იაჰია ანტიოქიელის სიუჟეტიც. სკილკიცა და კედრენის თხრობას ქართულ-სომხურ წყაროებთან შედარებით შეუსაბამობა ახასიათებთ. მაგალითად: სკილიცასა და კედრენესეს მიხედვით ქართველთ-ბიზანტიელთა შორის ბრძოლა ორჯერ მომხდარა, ისიც ქსიფიასისა და ფოკას აჯანყების შემდეგ, თუმცა სხვა დანარჩენი ცნობებით პირველ ბრძოლას ქართველთა და ბიზანტიელთა შორის ზემოთხსენებულ ამბოხებამდე კარგა ხნის წინ ჰქონდა ადგილი.

კოპალიანი ახლებურად ცდილობს საქართველო-ბიზანტიის ომის მსვლელობის წარმოდგენას და თვლის, რომ 1021 წელს ომი ქართველებსა და ბიზანტიას შორის არ დამთავრებულა, არამედ იგი კვლავ განახლდა 1022 წელს, რასაც ერთნაირად გადმოგვცემენ როგორც ქართველი მემატიანეები, ისე არისტაკეს ლასტივერტცი, რომელიც თითქოს ერთადერთი მოიხსენიებს ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის ადგილს და მას შირიმნად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში კოპალიანი გულისხმობს, რომ შირიმნი ეს იგივე შლაფაა, რომელსაც მოიხსენიებს არისტაკესი.

სუმბატ დავითის ძის თხზულება და მატიანე ქართლისაის ის მონაკვეთი, სადაც XI საუკუნის პირველი მესამედის საქართველო ბიზანტიის ურთიერთობებია გადმოცემული, განსაკუთრებით სანდო ინფორმაციას შეიცავენ. ეს არცაა გასაკვირი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის გადმოცემას. თანაც, ზემოხსენებულ თხზულებათა ავტორები იმ ეპოქის მოღვაწეები იყვნენ, როცა მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო 1021-1022 წლების მრავალრიცხოვანი მოგონებები. საქართველო-ბიზანტიის ომსა თუ მის შედეგებზე ასეთ ვითარებაში ულოგიკობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ქართველ მემატიანეებს, ან მათ წყაროს, არეოდათ საქართველო-ბიზანტიის ომის დროს მომხდარი ბრძოლების თანმიმდევრობა და შეშლოდათ სახელი და ადგილი შირიმის ბრძოლისა, სადაც ქართველებმა სძლიეს კიდევაც ბიზანტიის დიდ ავტოკრატორს ბასილ II-ს.

ამრიგად, შირიმნი ისე, როგორც ქართული წყაროები გვაუწყებენ, ნამდვილად მდებარეობდა კოლა-პალაკაციოს სექტორში და 1021 წელს სწორედ აქ მოხდა პირველი დიდი ბრძოლა ბასილ II-სა და გიორგი I-ს შორის.

ქართველთა და ბიზანტიელთა შორის დიდი ომი უნდა მომხდარიყო 1022 წელს ბასიანის მიწაზე. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, რომელსაც არისტაკეს ლასტივერტცი შლაფას ადგილად იხსენიებს.

1021 წელს ურიცხვი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა ბასილ II. მოწინააღმდეგეები ბასიანს დაბანაკდნენ, მაგრამ გიორგიმ ბრძოლისთვის თავის არიდება არჩია, გადაწვა ქალაქი ოლთისი და კოლას მოვიდა. ბასილი კვალდაკვალ გამოჰყვა მას და სოფელ შირიმთან ბასილის წინამავალი და გიორგის უკანმავალნი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ერისთავნი და დიდებულნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსიმი. საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ და უკან დაიხის. ზამთარი დადგა, ბასილი სამხრეთით წავიდა და ტრაპიზონთან დაბანაკდა დაიწყო საზავო მოლაპარაკება, გიორგი I მოლაპარაკებას აჭიანურებდა, რომ ხელსაყრელ მომენტში დაეწყო შეტევა, ამ დროს ბასილმა მიიღო ცნობა, რომ მის წინააღმდეგ ბიზანტიაში აჯანყება მოაწყეს ქსიფემ და ფოკამ.

არსებობს ვარაუდი, რომ ამ აჯანყებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. ამ აჯანყებით ისარგებლა გიორგი I-მა და კვლავ დაიწყო საომარი სამზადისი, მაგრამ იმპერატორმა სძლია აჯანყებულებს და ფოკას მოკვეთილი თავი გიორგის გაუგზავნა, რითიც აშკარად აგრძნობინა, რომ მის ზრახვებს მიხვედრილი იყო. გიორგის მოლაპარაკებით დროის მოგების ტაქტიკამ არ გაამართლა, ბასილმა დაასწრო და ქართველები დამარცხდნენ.

1023 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავი საკმაოდ პირობებს ითვალისწინებდა საქართველოსთვის. ბიზანტიას უბრუნებდა გიორგი I დავითის სამფლობელოებს და მძევლად აძლევდა 3 წლით მცირეწლოვან შვილს ბაგრატას.

იმიერ-ტაოში გამტკიცების შემდეგ ბასილ კეისარს აღარ უცდია საქართველოს შუაგულში შეჭრა და პირობისამებრ 2 წლის შემდეგ უფლისწულიც გამოისტუმრა საქართველოში. სწორედ იმ დროს 1025 წელს გარდაიცვალა ბასილ II და მისმა ძმამ ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ გააქტიურა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროს გამომჟღავნდა იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელსაც ბასილ II-ის მიერ დაპყრობილი ვასპურაკანის ყოფილი სამეფოს მმართველის ნიკიფორე კომნენოსი მეთაურობდა, რომელთანაც დაკავშირებული იყო გიორგი I. შეთქმულების გამომჟღავნებას მოჰყვა კონსტანტინეს მიერ ბაგრატ უფლისწულის უკან დაბრუნების ცდა, რაც მარცხით დამთავრდა. ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდა გამეფება ბაგრატ IV-ს. გამეფებისთანავე მას უღალატეს ტაოელმა დიდაზნაურებმა და ბიზანტიის მხარზე გადავიდნენ.

ტაოში გამაგრებული ბიზანტია შავშეთსა და კლარჯეთს უტევდა. შავშეთის აზნაურთა ნაწილმა მტრის მხარე დაიკავა, ნაწილმა ბაგრატ IV-ს უერთგულა. სუმბატ დავითის ძის ცნობით ,,აღაშენა სიმაღლე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობლად ტბეთის ეკლესიასა და სახელსდვა მას სუეტი და შეკრიბა მაშინ მანერი თვისი და შევიდეს მას შინა თვით საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი და შავშეთის აზნაური და გაძლიერდა მას შინა“ დიდად უერთგულა მეფეს იუანე ერისთავმა არტანუჯის მფლობელმა ბიზანტიელებმა მარცხი განიცადეს და სხვა საშუალებას მიმართეს. ბერძნები ქრთამითა და დაპირებით იბირებდნენ ხალხს. ბიზანტიის ხელისუფლებამ ბაგრატ IV-ს დაუპირისპირა დემეტრე ბაგრატიონი, იმ გურგენ ბატონის შვილი, რომელიც ბაგრატ III-მ ფანასკერტის ციხეში სადარბაზოდ მიწვეული შეიპყრო და ციხეში გარდაიცვალა. ბრძოლა ბიზანტიელებთან გაძნელდა, მაგრამ კონსტანტინე კეისრის გარდაცვალებამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

XI საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო მდგომარეობა მეტად რთული და მძიმე იყო. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ბიზანტიის იმპერიასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და დროებით ხელის აღება პრეტენზიებზე იმიერ ტაოს მიმართ, ამიტომ გადაწყდა ბიზანტიასთან მორიგება. ამ მიზნით ბაგრატ IV დიდი ელჩობა გაგზავნა ბიზანტიაში, რომელსაც მისი

დედა მარიამი უდგა სათავეში. საქართველოს სამეფო კარი დიდ იმედებს ამყარებდა კონსატანტინეპოლში მიმავალ ელჩობაზე და, ბუნებრივია, მის შემადგენლობას საგანგებოდ შეადგენდნენ. საქართველოს დედოფალთან ერთად წავიდოდნენ გავლენიანი სასულიერო თუ საერო პირები. ს. ბარათაშვილი და მ. ჯანაშვილი წერენ, რომ კათალიკოსი მელქისედეკი ბიზანტიაში წასულა ომის დამთავრებისთანავე და მას ერთგვარად საფუძველი მოუმზადებია მარიამის ელჩობისთვის. სამი წლის შემდეგ კი ბაგრატის დედა მარიამი გაიგზავნა კონსტანტინოპოლს. რომანოზს ის უნდა სწვეოდა 1031 წელს. იმ ამალაში, რომელიც მარიამ დედოფალს გაჰყვა ბიზანტიის დედაქალაქში, მელქისედეკის ყოფნას არ გამორიცხავენ ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე. მაგრამ, ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის დონეზე არსებობდა, ვინაიდან პირდაპირი ცნობა კათალიკოსის ელჩობაში მონაწილეობის შესახებ ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში იაჰიას ცნობა, მართლაც უნიკალურია. მთლიანობაში ირკვევა, რომ მარიამთან ერთად, ბიზანტიას სწვევია კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი, ქართველი დიდებულები და სასულიერო პირები.

ბიზანტიაში ქართველთა ვიზიტისა და იქ გამართული მოლაპარაკების შესახებ ქართულ წყაროებში თითქმის არაფერია მოთხრობილი.

„მატიანე ქართლისაის“ ავტორის თქმით, საქართველოს დედოფალი ბიზანტიაში მიდიოდა რამდენიმე საკითხის მოსაგვარებლად. ქართველთა ელჩობის მიზნად სამი საკითხია დასახელებული: 1. საქართველოსა და ბიზანტიას შორის „მშვიდობისა და ერთობის“ მიღწევა 2. ბაგრატ IV-ისთვის კურაპალატის პატივის მოპოვება. 3. ბაგრატისა და ბიზანტიის მმართველ ელიტას შორის დანათესავება.

განსაკუთრებით აუცილებელია განვიხილოთ, თუ რა პირობით უნდა მომხდარიყო საქართველოსა და ბიზანტიას შორის „მშვიდობისა და ერთობის“ მიღწევა. მშვიდობა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა დამყარებულიყო, თუ მოგვარდებოდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის საკითხი, ამიერტაოს პრობლემა, დემეტრე კლარჯის პრეტენზიები. გარდა ამ საკითხებისა, მოლაპარაკებაზე საგანგებოდ უნდა განხილულიყო ტაოს ეკლესიისა და მისი მღვდელმთავრის პრობლემაც. კონსტანტინოპოლის მოლაპარაკებას საბოლოო წერტილი უნდა დაესვა საქართველო-ბიზანტიის ტერიტორიული დავისთვის.

სადავო პრობლემის გარდა კონსტანტინოპოლში “აფხაზთა სამეფოს“ დელეგაციას კიდევ ჰქონდა მოსაგვარებელი ორი საკითხი: ბაგრატ IV-ისთვის კურაპალატის ჩინის მოპოვება და ბიზანტიაში საქართველოს მეფისთვის სარძლოს გამოძებნა.

საქართველოს სამეფო კარის მიერ კურაპალატის ტიტულის ასე თავგამოდებით ძიება მიანიშნებს იმას, რომ აფხაზთა სამეფომ ამ დროს საბოლოოდ უარი თქვა ბიზანტიასთან დაპირისპირებაზე, რა პოლიტიკასაც ადგა მისი წინამორბედი გიორგი I. საქართველომ ცნო იმპერიის უზენაესობა. მეტიც, ბაგრატიონები უკვე ცდილობდნენ იმპერიის წარჩინებულ საზოგადოებაში თავის საპატიო ადგილი დაეკავებინათ სწორედ კურაპალატის ტიტულით.

საქართველოს სამეფო კარის მიერ ბიზანტიის იმპერიასთან დაწყებული დაახლოების პოლიტიკა საგრძნობლად უნდა გაემყარებინა იმ ნათესაურ კავშირს, რომელიც ბაგრატიონებსა და არგიროსებს შორის იყო მოსალოდნელი. კონსტანტინოპოლში საქართველოს დედოფალს წარუდგინეს თავისი მომავალი სარძლო, რომანოზ III-ის ძმიშვილი ელენე ბასილის ასული.

ლიტერატურა:

1. კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969.
2. ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან X-XIII სს, თბ., 1984.
3. სამუშია ჯ., ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი (XI-XII სს.), თბ., 2003.

„თეზქერეს“ ცნობები საქართველოს შესახებ

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი**, ასოცირებული პროფესორი

„თეზქერე“ XVI საუკუნის ძეგლია, რომელშიც მოთხრობილია ირან-ოსმალეთის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა, როგორც ცნობილია, გამოიხატა გაუთავებელ ომებში ამიერკავკასიის დასაკუთრებისათვის. ძეგლში ასახულია ამ ომების მსვლელობა და ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა მეომარი მხარეებისადმი. აქვე მოცემულია სეფიანთა სახელმწიფოს შინაგანი ვითარების ამსახველი საყურადღებო ფაქტები. ძეგლს პირველად ჯეროვანი ყურადღება გერმანელმა ორიენტალისტებმა მიაქციეს 1883 წელს. ფ. ტოეფელმა პირველმა გამოთქვა აზრი „თეზქერეს“ შესახებ და მას შაჰ-თამაზ I-ის მიერ შედგენილი „დღიური“ თუ „საგმირო საქმეები“ უწოდა. “თეზქერეს“ შაჰ-თამაზის „დღიური“ უწოდა აგრეთვე ირანელმა სწავლულმა მოჰამედ ჰასან-ხან მარაღელმა სანი-ად-დოულემ. სანი-ად-დოულემ „თეზქერეს“ სათაურად წარუმძღვარა: “შაჰ-თამაზ პირველ სეფიანის დღიური“. აღნიშნული ძეგლის შესახებ მოსაზრება გამოთქვა აგრეთვე პ. ჰორნმა, რომელმაც გამოსცა „თეზქერეს“ სპარსული ტექსტი ვრცელი წინასიტყვაობით. მანვე შემდგომ დაბეჭდა გერმანული თარგმანიც და მას ფ. ტოეფელისა და სანი-ად-დოულეს მსგავსად შაჰ-თამაზ I-ის „დღიური“ ან „საგმირო საქმეები“ უწოდა. პ. ჰორნის გამოცემაზე გამანადგურებელი რეცენზია დაწერა რუსმა ორიენტალისტმა ვ. ჟუკოვსკიმ. ტექსტობრივი და შინაარსობრივი განსხვავება განსაკუთრებით იგრნობა შესავალ ნაწილში, იმდროინდელი სპარსული ისტორიული ძეგლისათვის დამახასიათებელი ალაჰის, მოჰამედის და ალის მოხსენიების შემდეგ უშუალოდ იწყება ოსმალო ელჩებთან საუბრის ამბის თხრობა, სადაც შაჰ-თამაზი აცხადებს: თუ ამ საუბარს ჩაიწერენ, ერთი საუბრის წიგნი გამოვაო. ხელნაწერი დასაბუთებული არ არის, მაგრამ დორნის კატალოგში იგი შეტანილია სათაურით: “შაჰ-თამაზსა და ელჩებს შორის გამართული საუბრის ოქმი“. ეს ნუსხა შეიცავს 142 გვერდს. 1914 წელს ინგლისელ ორიენტალისტი ჰ. ბივერჯს „თეზქერეს“ შესახებ გამოქვეყნებულ წერილში ეჭვიც არ ეპარება, რომ შაჰ-თამაზ I ის მემუარებს წარმოადგენს. ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ძეგლი ძვირფას წყაროს წარმოადგენს სპარსეთის ისტორიისათვის. “თეზქერე“ შაჰ-თამაზ I-ის მემუარად აღიარა მისი სპარსული ტექსტის ერთ-ერთმა გამომცემელმა დ. ფილოტმაც. უცხოელ მკვლევართაგან შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს“ უკანასკნელად შეეხო გერმანელი ორიენტალისტი ვ. ჰინცი. ის, განსხვავებით სხვა ორიენტალისტებისაგან, აღნიშნავს, რომ „თეზქერე“ წარმოადგენს შაჰის მიერ ოსმალო ელჩებთან წარმოებულ საუბრის ჩანაწერს, რომელსაც შაჰმა შემდეგში წარუმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა. ვ. ჰინცის აზრით, შაჰ-თამაზს მოგვიანებით უნდა გადაემუშავებინა თავისი ხელნაწერები და მისთვის მემუარების სახე მიეცა. ვ. ჰინცს ხელთ ჰქონია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული „თეზქერეს“ ხელნაწერიც. ეს ხელნაწერი, მისი თქმით, XVI საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა შესწირა არდებილის მეჩეთის წიგნსაცავს, საიდანაც იგი 1828 წელს რუსეთში მოხვდა. ამის გარდა, ვ. ჰინცი აღნიშნავს, რომ ეს ძეგლი ხელახლად გადააწერინა შაჰ-აბას I-მა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენამდე ვეღარ მოაღწევდა. (2, 169-179)

XV საუკუნის ბოლოს სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მეტად მძიმე საგარეო-პოლიტიკურ პირობებში მოექცა. დასავლეთიდან მას გაუმეზობლდა თურქ-ოსმალთა უძლიერესი აგრესიული სახელმწიფო. ოსმალებმა ხანგრძლივი ომების შემდეგ დაიპყრეს საქართველოს უძველესი მეზობელი ქრისტიანული ქვეყანა – ბიზანტიის იმპერია. მათ თანდათან დაიკავეს სამხრეთი და ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი და საქართველოს საზღვრებს ორივე მხრიდან მიუახლოვდნენ. საქართველო საბოლოოდ მოწყდა დასავლეთ ევროპას და ოსმალთა სახელმწიფოს მარწუხებში მოექცა. არც სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო უკეთესი ვითარება. თემურ ლენგის იმპერიის გადაშენების შემდეგ ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე თურქმანული სახელმწიფო (შავბატკნიანთა, თეთრბატკნიანთა), ცოტა მოგვიანებით კი – ყიზილბაშთა უძლიერესი და აგრესიული სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა სეფიანთა დინასტია. პირველი სეფიანი შაჰი ისმაელი იყო, რომელმაც არაერთხელ ილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. განსაკუთრებით გააძლიერეს სეფიანებმა შემოტევა შაჰ-თამაზ I-ის დროს. ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მიმართ პრეტენზიას გამოთქვამდა ირანიც და თურქეთიც. ირანსა და ოსმალეთს შორის ომის შეწყვეტა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეთანხმდებოდნენ საქართველოს საკითხში. (4, 7)

„თეზქერეში“ ასახულია არა მარტო ყიზილბაშების, არამედ ოსმალთა პრეტენზიებიც ამიერკავკასიის ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ოსმალთა ასეთ პრეტენზიებს კარგად გამოხატავს არზრუმის ისკანდერის სიტყვები, რომელიც, როგორც შაჰი აცხადებს: „უვიცობისა და უმეცრების გამო სულ იმის თქმაში იყო, რომ შირვანისა და გურჯისტანის ფაშა მე ვარო“. ეს ცნობა გვიჩვენებს ირანის რეაქციასაც ოსმალთა ასეთ მისწრაფების გამო, ასევე ხაზს უსვამს ოსმალების პრეტენზიების უსაფუძვლობას შირვანსა და საქართველოს მიმართ. ყიზილბაშები საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას თავიანთ „უფლებად“ თვლიდნენ. ირანსა და ოსმალეთს შორის ომის შეწყვეტა იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ როგორ შეთანხმდებოდნენ აგრესორები საქართველოს საკითხში. 1555 წლის ამასიის ზავით ირანმა და ოსმალებმა საქართველო ურთიერთშორის გაინაწილეს. 1555 წლის ზავის რეალიზაციას აბრკოლებდა ქართველი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. „თეზქერეში“ ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, როგორ ცდილობენ ყიზილბაშები ფეხი მოიდგან და გაბატონდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ამის მისაღწევად სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთ საშუალებად საქართველოში ყიზილბაში მომთაბარე ტომების ჩამოსახლება იყო მიჩნეული. ასეთ ცდას უკვე XVI საუკუნეში ჰქონდა ადგილი. „თეზქერეში“ მოხსენებულია ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი, რომლის ერთი ნაწილი ყარაბაღში, ხოლო მეორე საქართველოში ჩამოუსახლებიათ. მაგრამ ყიზილბაშთა სახელმწიფო იმ დროს იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ეს ღონისძიება ისეთივე ფორმებით და მასშტაბით განეხორციელებინა, როგორც ამას ახორციელებდა ყიზილბაშური პოლიტიკის ყველაზე თანმიმდევრული გამტარებელი შაჰ-აბას I. პოლიტიკურად დანაწევრებულ საქართველოსათვის ძნელი იყო გამკლავებოდა ყიზილბაშთა აგრესიას. საქართველოში ოსმალებს ირანელები ცვლიდნენ, ირანელებს კვლავ ოსმალები. საქართველოს პოლიტიკის მესვეურნი სხვადასხვა ხერხებითა და საშუალებით იცავდნენ თავს ამ ორი დამპყრობელისაგან. კახეთის, სამცხე-საათაბაგოს და ქართლის პოლიტიკა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. „თეზქერეში“ ცნობები პირველად კახეთის შესახებ გვხვდება. კახეთი ძეგლის მიხედვით იწოდება „ლეონის გურჯისტანათ“ ანუ ლეონის საქართველოდ. შაჰს, ჩანს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ლევან კახთა მეფესთან, ლევან კახთა მეფე უმთავრესად თავის კუთხურ ინტერესებს ემსახურებოდა, და დიპლომატიური მანევრირების საშუალებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ირანთან, ისე ოსმალეთთან. საჭირო შემთხვევაში იგი მორჩილების აღიარებასაც არ თაკილობდა და დამპყრობლის წინაშე ვასალურ დამოკიდებულებას თანხმდებოდა. ამას ადასტურებს ,,თეზქერეში“ ლევან კახთა მეფის ხანის ტიტულით მოხსენიება. მაგრამ კახთა მეფეს, ჩანს, შაჰი მაინც არ ენდობოდა. ერთ ადგილას იგი ამბობს: ,,ლევანს ზოგი რამ უმსგავსო საქციელი ჩაედინა და იგი უნდა დაეტუქსაო“. ერთგულების საწინდარად შაჰს ლევან კახთა მეფის ვაჟი ჰყავდა მძევლად. კახელი უფლისწულის შაჰ-თამაზ I-ის კარზე ყოფნა ქართული წყაროებითაც დასტურდება, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიაში ნათქვამია: ,, წარავლინა ძე თავისი იესე წინაშე ყეენისა“. უფლისწულის სახელი ,,თეზქერეში“ აღნიშნული არ არის არც შემდეგ, როცა შაჰი კვლავ აგრძელებს თხრობას ლევან კახთა მეფის შესახებ, რომელსაც, მისი თქმით, თავისი ვაჟის ამბავი რომ შეეტყო შეშფოთებულს თავის ვაჟთან მისი ვექილი ხოჯა-თაჯი გამოეგზავნა: ,,მდგომარეობის ნამდვილი არსი დაწვრილებით დასწერეთ და გამომიგზავნეთო“. დამოწმებულ ცნობაში მეტად საყურადღებოა ლევან კახთა მეფის ვექილის ვინმე ხოჯა-თაჯის ვინაობა. ხოჯა შუა საუკუნეების აღმოსავლეთში მდიდარი და გავლენიანი ვაჭრის სინონიმი იყო. კახთა მეფის ,,ხოჯები“ დასახლებულია ისკანდერ მუნშის თხზულებაშიც. ,,თეზქერეს“ ცნობების მიხედვით კახეთის მეფე ლევანი შაჰის ,,ყმაა“. შაჰს შეუძლია მისი დატუქსვა. ყმის მოვალეობაში შედის ,,პატრონისათვის“ ძღვენის გამზადება და მის მხარეზე ჯარის გამოყვანა. პატრონი კი მოვალე იყო, რომ თავისი ყმა სხვა უცხო დამპყრობელისაგან დაეცვა. ,,თეზქერეში“ კახელების ჯარი არ იხსენიება, მაგრამ კახთა მეფის შვილის ომში შაჰის მხარეზე მონაწილეობა ,,ყმის“ მოვალეობის შესრულების მაჩვენებელი იყო. ყიზილბაშები კახელებისთვისაც აგრესორები იყვნენ. კახთა მეფის ლევანის მოციქულები ინგლისელ ჯენკინსონს ეუბნებოდნენ, რომ მათი ქვეყანა თანაბრად იყო შეწუხებული ოსმალებისა და სპარსელებისაგან. ცნობილია, რომ ლევან კახთა მეფემ პირველმა გააბა კავშირი ჩრდილოეთთან, რაც 1564 წელს კახეთის ციხეებში რუსი მეციხოვნეების ჩაყენებით დამთავრდა. საზოგადოდ, ლევან კახთა მეფის პოლიტიკური განწყობილების დასახასიათებლად მნიშვნელობა აქვს შაჰ-თამაზის ნათქვამს, რომ მას ,,ზოგი რამ უმსგავსო საქციელი ჩაედინა და იგი უნდა დაეტუქსაო“. ცნობილია, რომ შაჰ-თამაზს კახეთის მეფის „ერთგულების“ არცთუ ისე სწამდა და სწორედ მისი მოთხოვნით ლევან კახთა მეფე იძულებული იყო კახეთიდან რუსი მეციხოვნეები დაეთხოვნა. “თეზქერეში“ საინტერესო ცნობები გვხვდება სამხრეთ საქართველოს შესახებაც. ძეგლში სამხრეთ საქართველო მოხსენებულია როგორც ყვარყვარეს ქვეყანა, ხოლო ცალკეული გეოგრაფიული პუნქტები თავიანთი ქართულ სახელწოდებებით. მაგალითად: ბასინი, ოლთისი, არტანუჯი და სხვა. ძეგლში დაცული ცნობების მიხედვით, სამხრეთ საქართველოს დიდი ნგრევა-გაპარტახება განუცდია ირან-ოსმალეთის პირველი ომის დროს (1514-1555). სამხრეთ საქართველოს, როგორც სანაპირო ქვეყანას, სომხეთის ტერიტორიასთან ერთად, ოსმალები გზად

იყენებდნენ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. მაგრამ „თეზქერიდან“ ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა საშუალებებს მიმართავდნენ ყიზილბაშები ოსმალთა შემოსევების დროს. სამხრეთ საქართველოს ცალკეული ოლქებიც ირან-ოსმალეთის ომების ასპარეზს წარმოადგენდნენ. გადაწვა-გადაბურებასთან ერთად ყიზილბაშები სამხედრო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთ-საათაბაგოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ირან-ოსმალეთის ქიშპში. ოსმალეთისათვის ეს იყო კარიბჭე, სადაც ბატონობა მას საშუალებას მისცემდა უმოკლესი გზით შეეყვანა თავისი ჯარები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ჩრდილოეთ ირანში, ირანისათვის კი სამხრეთ საქართველოში ბატონობა ნიშნავდა მარჯვე პოზიციას ოსმალეთთან ომში. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად შემოდიან და ხანგრძლივი დროით ჩერდებიან ყიზილბაშები. “თეზქერეში“ არა ერთხელ მოუწოდებს შაჰი თავის წარჩინებულებს: “ყვარყვარეს ქვეყანაში დავდგეთ, ვიდრე ცხენები მოსუქდებიან“ ან „ყვარყვარეს ქვეყანაში წავიდეთ, რათა ცხენები მოსუქდნენ“ და ა.შ. „თეზქერეს“ მიხედვით, სამხრეთ საქართველოს ციხეებში ზოგან ყიზილბაში მეციხოვნეები მდგარან, ზოგან ოსმალები. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი ოსმალებს, ხოლო მეორე ნაწილი ყიზილბაშებს სჭერიათ. სამცხის ათაბაგებს არც ირანის შაჰი ეხატათ და არც ოსმალეთის ხონთქარი, მაგრამ მათი არჩევანი უფრო ირანისაკენ იხრებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან XVI საუკუნეში ირანი და ოსმალეთი სამცხის მიმართ სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, პოლიტიკას ატარებდნენ. ყიზილბაშები სამცხის სრულ დაპყრობას მიზნად არ ისახავდნენ, ოსმალები კი სწორედ ამ მიზნით იპყრობდნენ სამცხეს. მესხეთში იგი ხარკითა და ათაბაგების ვასალური დამოკიდებულებით არ კმაყოფილდებოდა და საუკუნის პირველსავე ნახევრიდან ახორციელებდა ამ მხარის სრული დაპყრობის პოლიტიკას. “თეზქერედან“ ჩანს, რომ ათაბაგი შაჰთან შეთანხმებით მოქმედებს. ოსმალო ელჩებთან საუბარში შაჰ-თამაზი შეგნებულად და სრულიად გარკვეული მოსაზრებით აღნიშნავს ირანის “უფლებას“ სამცხე-საათაბაგოზე, რომლის მმართველი ათაბაგი შაჰს მფარველობას სთხოვდა და „ერთგულებასაც“ უმტკიცებდა. “თეზქერეს“ ცნობის მიხედვით ათაბაგის შვილი, რომლის სახელსაც შაჰი არ ასახელებს, მსგავსად ლევან კახთა მეფის შვილისა, მძევლად ჰყოლია შაჰ-თამაზს და მას თანა ხლებია. ათაბაგის შვილის მონაწილეობა ყიზილბაშთა ამ ლაშქრობაში ცხადად უჩვენებს ათაბაგის ორიენტაციის აზრსა და მიზანს მოცემულ ხანაში. შაჰი თავის „თეზქერეში“ ისეთნაირად აღწერს ამ ამბებს, რომ აშკარად ცდილობს უჩვენოს როდის და რა პირობებში გახდა შესაძლებელი 1555 წლის საზავო ხელშეკრულების დადება. სამცხისა და ქართლის შესახებ ცნობები „თეზქერეში“ სწორედ ამ მიზნითაა მოტანილი. საქართველოს საკითხში შეთანხმება ომის შეწყვეტის და ზავის დადების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო. სამხრეთ საქართველოს ის შინაფეოდალური და დინასტიური ბრძოლაც შეხებია, რომელიც სულთან სულეიმანის ვაჟებთან, სელიმთან ბაიაზეთთან იყო დაკავშირებული. ირანის შაჰის მონათხრობში ქართლის შესახებ შედარებით უფრო ნაკლები ცნობები გვხვდება. ეს, ალბათ, აიხსნება ქართლის ირანთან დამოკიდებულების თავისებურებით. ქართლი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო თავგამოდებით ებრძოდა როგორც ყიზილბაშებს, ისე ოსმალებს. ქართლის მეფე ლუარსაბ I (1534-1558), რომელიც „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის მედროშედ იქცა ირან-ოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში“, არც ერთ დამპყრობელს ნებით თავს არ უდებდა. იგივე შაჰ-თამაზ I ბევრს ეცადა ხელთ ეგდო ლუარსაბ მეფე, მაგრამ ყველა მისი ცდა ამაო იყო. ვახუშტის სიტყვებით: „ამისთვის მტრობდა უფროის ლუარსაბს ყეენი, რამეთუ არა მორჩილ ექმნა დღეთა მისთა არცა ყეენსა და არცა ხონთქარსა“. ასეთ ვითარებაში შაჰ-თამაზისათვის ძალზე უხერხული და უსიამოვნო უნდა ყოფილიყო ოსმალო ელჩებთან ქართლისა და მისი გმირი მეფის ლუარსაბ I ის შესახებ ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ლუარსაბის თავდადებული ბრძოლის გახსენებას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ის დასკვნაც, რომ 1555 წლის ზავით ირანისადმი მიკუთვნებული ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ სცნობდა ბატონად ყიზილბაშებს და მისი დამორჩილება იარაღის ძალით იყო საჭირო. შაჰი საერთოდ ერიდებოდა ოსმალო ელჩების წინაშე იმის აღნიშვნას, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ცოცხალი თავით არ სურდათ ყიზილბაშთა უღელქვეშ ყოფნა და რომ ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას ყიზილბაშთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად. პირიქით, შაჰი ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ამიერკავკასიის ხალხები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ყიზილბაშებს. “თეზქერეში“ გაკვრითაა ნახსენები საქართველოს წინააღმდეგ შაჰის მე-4 ლაშქრობის დროს ქართლის აოხრების ამბავი. შაჰი რატომღაც არც ამ ლაშქრობის მიზეზს ასახელებს და არც მის მსვლელობას. იგი უბრალოდ, ვითომდა სხვათაშორის, შენიშნავს, რომ: “ლუარსაბ ხანის გურჯისტანზე გავილაშქრეთ, იქაურ ციხეთა და სიღნაღთა უმრავლესობა დავლეწეთ, ოცდაათი ათასი ტყვე წამოვიყვანეთ და იქიდან ყარაბაღს მივედით“. „თეზქერეს“ ეს ცნობა ქართლის შესახებ მეტად საინტერესოა და მრავალმხრივ საყურადღებო. ჯერ ერთი, შაჰი მეფე ლუარსაბს, მსგავსად ლევან კახთა მეფისა, ხანის ტიტულით იხსენიებს, რაც ირანის მთავრობის გარკვეულ თვალსაზრისთან არის დაკავშირებული, რომლის რეალიზაცია არ არის მომხდარი, მეორე მხრივ, საკუთრივ შაჰის სიტყვებიდან მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ წინააღმდეგობას წააწყდა ყიზილბაშთა ჯარი საქართველოში.

საინტერესოა, რომ ქართლის მიწასთან გასწორებას, მოოხრებას თავად ირანის შაჰი გადმოსცემს თხზულებაში. ყიზილბაშების მიერ ქართლის აოხრებას ძეგლში თარიღი არ ახლავს, მაგრამ ამის დადგენა ადვილი საქმეა, ცნობილია შაჰი საქართველოდან ყარაბაღს რომ მივიდა, იქიდან დაზავების თაობაზე ხონთქარს ელჩები გაუგზავნა, რის შემდეგ მალე ზავიც დაიდო. შაჰი იქვე კმაყოფილებით შენიშნავს: "მადლობა ღმერთს ზავი დაიდო" (საუბარია ზემოაღნიშნულ ამასიის ზავზე). რაკი მას წინ უსწრებდა ქართლის აოხრება, უნდა ვივარაუდოთ, რომ შაჰ-თამაზის ეს ლაშქრობა ან 1554 წელს მოხვდა, ანდა 1555 წლის დასაწყისში. 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის პირობებით ირანმა და ოსმალეთმა ურთიერთშორის გაიყვეს ამიერკავკასია. „თურქეთთან ან ამასიაში დადებული ზავის თანახმად, ყიზილბაშთა სახელმწიფომ დაკარგა სამხრეთ ოსეთი (ვანის ტბის აუზი), მაგრამ შეინარჩუნა ჩრდილოეთ სომხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და მთელი აზერბაიჯანი". ზავის ძალით საქართველო ორად იქმნა განაწილებული ირანსა და ოსმალეთს შორის, „ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ირგუნა, ხოლო იმერეთის სამეფო გურიისა და ოდიშის სამთავროებით - ოსმალეთმა". მაგრამ ამიერკავკასიის არ შერიგებიან არც ყიზილბაშთა ირანს, არც ოსმალეთის ბატონობას. გრძელდებოდა გზების ძიება და ბრძოლა აგრესორთაგან თავის დასაღწევად. (1, 326-335; 3, 171-178)

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა დროის ავტორთა გამოკვლევები მიხედვით „თეზქერეს" ავტორი მართლაც ირანის მმართველი შაჰ-თამაზია. მასში რეალურადაა ასახული სპარს-ოსმალთა ურთიერთობა XVI საუკუნეში. მიგვაჩნია, რომ ძეგლი საინტერესოა ქართველი მკითხველისთვისაც. მიუხედავად ავტორის მიკერძოებული და სუბიექტური აზრისა, ნაწარმოებში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაცაა ასახული. თხზულებიდან ჩანს, რომ მართველები არ ცნობდნენ 1555 წლის ზავის პირობებს და აგრძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამის დამადასტურებელია ქართლის გმირი მეფეების ლუარსაბ I-ის და სვიმონ მეფის თავგანწირული ბრძოლა როგორც ირანის, ისე ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ფონზე საინტერესოა, რომ შაჰ-თამაზი უფრო „თბილად" მოიხსენიებს კახეთს. მას „ლეონის გურჯისტანს" უწოდებს თხზულების ავტორი. კახეთი, ქართლისაგან განსხვავებით, რადიკალურ წინააღმდეგობას არ უწევდა ირანელთა აგრესიას და ხარკის და სხვა დიპლომატიური მანევრებით საშუალებით მშვიდობას ინარჩუნებდა სამეფოში. ასევე საინტერესოა ცნობები სამხრეთ-საქართველოს შესახებ, საიდანაც ჩანს, როგორ ნადგურდებოდა ეს მხარე ირან-ოსმალეთის ომების დროს და სხვა.

ლიტერატურა:

1. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957.
2. აღმოსავლეთის კრებული I , თბ., 1960.
3. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული II, თბ., 1962.
4 . ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1925.

ვახტანგ VI – ქართული კულტურის მოამაგე

ქეთევან ხორბალაძე, ანი მეზვრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე,** ასოცირებული პროფესორი

ვახტანგ VI დაიბადა 1675 წლის 15 სექტემბერს. მამამისი – ლევანი ვახტანგ V-ის ვაჟი იყო, დედა – თუთა ქაიხოსრო გურიელის ასული. სამი წლის ვახტანგს დედა გარდაეცვალა და 1680 წლიდან მას დედინაცვალი, თინათინ ავალიშვილი ზრდიდა.

სწავლა განათლება და სამხედრო წვრთნა ვახტანგ VI–მ ბიძის, გიორგი XI-ის კარზე მიიღო. მან საფუძვლიანად შეისწავლა ენები, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია, ასტრონომია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვახტანგის აღზრდის სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის. სულხანი ვახტანგს ბიძად ეკუთვნოდა.

სიყრმიდანვე ვახტანგ VI დაახლოებული იყო თავის უფროს ბიძასთან არჩილ II-თან.

ცამეტი წლის ვახტანგ VI უკვე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იგი გამოდის გიორგი XI-ის მომხრედ და იბრძვის ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ.

1703 წელს 28 წლის ვახტანგ VI ენერგიულად შეუდგა ქართლის სამეფოს მართვას.

ვახტანგ VI–მ სცადა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ფეოდალებსა და ყრმა გლეხებს შორის. ამისათვის მან აკრძალა „ტყვის სყიდვა“, კანონით შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე.

ვახტანგ VI–მ საგანგებო ზომები მიიღო იმისთვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ის ყმა გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ კახეთში ერეკლე I–ის მეფობის დროს. ვახტანგ VI–მ სპარსეთის ხელისუფლებისგანაც მიიღო დახმარება. მაგრამ მაინც ზოგან იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ ,,მყრელებს“ და უკან არ ბრუნდებოდნენ. ამ ღონისძიებით მან ჩაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ მიტოვებულ სოფლებში და ააღორძინა რაიონები! თრიალეთი, გუჯარეთი, ტაშირი, ქვიშხეთი. მან საგანგებოდ იზრუნა მისი მივიწყებული სარწყავი არხების აღდგენასა და ახლის გაყვანაზე. მაგალითად მისი ინიციატივით გაყვანილი იყო ყარაიას არხი, აგრეთვე მოეწყო მთელი სისტემა ქციის, მაშავერის, ლისის, შოლას სარწყავი არხებისა, რომელთა მეშვეობით დაიწყეს ურწყავი მინდვრების მორწყვა. ვახტანგის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დამუშავდა ორიგინალური ქართული ადმინისტრაციულ – სამეურნეო წესდება ,,დასტურლამალი“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებაზე. ასევე საყურადღებოა ,,მცველთა ჯარის“ შექმნა. იგი შედგებოდა ვახტანგის ერთგული თავადიშვილების, აზნაურებისა და მსახურებისგან. მათ ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდათ და გარკვეული პრივილეგიებიც ჰქონდათ ,,მცველტა ჯარი“ სამ გუნდად იყოფოდა. თითო გუნდს ასისთავი სარდლობდა. ამ ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება ჰქონდა. იგი განუყრელად ახლდა ვახტანგს.

ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისთვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI–მ. მის ირგვლივ დაირაზმა მთელი დასი ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლობისა (საქართველოს ყოველი მხრიდან), რომელთაც არ დაიშურეს ყველა შესაძლებლობანი ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად.

XVIII ს. დამდეგისათვის საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო კერათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. შესაფერისი სწავლა-განათლების მიღებას მხოლოდ სამეფო ოჯახისა და დიდ ფეოდალთა შვილები ახერხებდნენ. ვახტანგ VI–ის სიტყვით, იმ დროს საქართველო „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღა დაშთომილ იყო ქართულისა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა... სხვათა ენის კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“.

ვახტანგ VI-მ სათანადო ღონისძიებები გაატარა განათლებისა და ცოდნის გასავრცელებლად. თანამედროვის სიტყვით, ვახტანგი იყო ,,ყრმათათვის დიდად მოღვაწე და სწავლა – შემატების გულს – მოდგინე“.

ვახტანგ VI-ის ღონისძიებათა შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში განათლების კერათა რაოდენობა საკმაოდ გადართოვდა. ამ საქმეს ემსახურებოდა ქართული სტამბის მიერ სახელმძღვანელოების გამოცემა. 1721 წ. თბილისში გამოსცეს ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულად თარგმნილი კოსმოგრაფია-გეოდეზიის სასწავლო სახელმძღვანელო. ,,აიათი, ანუ ქმნილების ცოდნა“. ვახტანგ VI სახელმძღვანელოებს რუსეთში ყოფნის დროსაც ბეჭდავდა. 1732-1737 წლებში მოსკოვის სტამბის ქართულ განყოფილებაში დაიბეჭდა თეოფანე პროკოპოვიჩის სახელმძღვანელოს „პირველი სასწავლო ყრმათათვის“ ქართული თარგმანი.

განათლებისა და მეცნიერების საქმის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ქართული სტამბის დაარსებამ. ვახტანგ VI–მ თბილისში სტამბის მოწყობა მოახერხა ანთიმოზ ივერიელის აქტიური მონაწილეობით.

ქართული სტამბა 1708-1709 წლებში მოეწყო. 1709 წ. სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „სახარება“. ვახტანგ VI-მ სახარების ერთი ცალი გაუგზავნა ანთიმოზ ივერიელს, რომელმაც იგი ოქროს ყდაში ჩასვა და ვლახეთის მმართველ კონსტანტინე ბრაკოვიანუს მიართვა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში სტამბაში, ხუცური შრიფტის პარალელურად მხედრული შრიფტიც შემოიღეს. ვახტანგ VI-ის დავალებით შრიფტი კათალიკოსის კარის მდივან–მწიგნობარმა სოლომონ მაღალაძემ დაამზადა.

XVIII ს. დასაწყისისათვის ,,ვეფხისტყაოსნის” ტექსტი მნიშვნელოვნად იყო დამახინჯებული სხვადასხვა ყალბისმქმნელ – ,,გამგრძელებელთა“ მიერ.

ვახტანგ VI-მ განიზრახა მკითხველთათვის ,,ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტის მიწოდება. ქართლის მეფის ამ განზრახვას დიდი წინააღმდეგობა ეღობებოდა მორწმუნე საზოგადოების სახით, რომელიც ,,ვეფხისტყაოსანს“ ქრისტიანულ სწავლებათა წინააღმდეგ მიიჩნევდა.

ვახტანგმა ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად დიდი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები ჩაატარა. მან თავის გამოცემას დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც ,,თარგმანი“ (განმარტება) უწოდა. ბოლოსიტყვაობაში დასაბუთებული იყო ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის აუცილებლობა. ვახტანგმა ამ ბოლოსიტყვაობით დასაბამი დაუდო ,,ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ–კრიტიკულ შესწავლას და მეცნიერულ რუსთველოლოგიას. მან ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ლექსიკონიც დაურთო.

ვახტანგ VI–მ სპარსეთში ყოფნის დროს 1712 – 1719 წწ. თარგმნა XV ს. ცნობილ ასტრონომის ულუღ–ბეგის ნაშრომი ,,ვარსკვლავთ მრიცხველობა“. ქართლში ეს კრებული სახელმძღვანელოს ფუნქციას ასრულებდა. სპარსეთშივე თარგმნა ვახტანგმა ასტრონომიულ–კოსმოგრაფიული შინაარსის წიგნი – ნასირ თუსელის ,,სტროლაბის სასწავლო წიგნი“, სადაც აღწერილია ასტრონომიული – გეოდეზიური დაკვირვების საწარმოებელი ხელსაწყო, რომელიც ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ვახტანგ VI–მ, ნიკოლოზ ორბელიანმა და ვახუშტი ბატონიშვილმა ტბელ აბუსერიძის მიერ, 1233 წელს შედგენილ ასტრონომიულ–კალენდარულ ნაშრომში შესწორებები შეატანეს. ვახტანგ VI–მ შეადგინა ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლე კურსი, რომელშიც განმარტებულია სხვადასხვაგვარი ასტრონომიული ცნებები თუ ტერმინები.

ვახტანგ VI–მ შეადგინა აგრეთვე ,,წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“.

ვახტანგი თვითონაც აწარმოებდა ქიმიურ ცდებს.

ყურადღების გარეშე არ დარჩენილა მედიცინის საკითხებიც. 1709 წლისთვის ვახტანგ VI–მ ზაზა ფანასკერტელისეული XV ს. სამედიცინო კარაპადინი შინაარსობრივად გამართა, მას შენიშვნები დაურთო და სახმარ სამედიცინო წიგნად აქცია. ეს წიგნი ვახტანგმა ორ ნაწილად გაყო: პირველ ნაწილში მოათავსა მედიცინის ზოგადი თეორიული საკითხები, ხოლო მეორეში – პრაქტიკული მკურნალობის საკითხები. ძველ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ფორმებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების ასეთი ვრცელი და სისტემატიზებული აღწერილობა მანამდე არ არსებულა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული მწერლობის აღორძინების ხანა იყო. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა მრავალჟანროვანი და მაღალმხატვრული გახდა. საყურადღებოა ვახტანგ VI-ის მეცნიერული და პოეტური შემოქმედებაც. ,,ვახტანგი იყო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწერალ–მწიგნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი“ ვახტანგის შემოქმედების ძირითად თემად სამშობლოზე დარდი და მწუხარება იქცა. უცხოობაში მყოფი პოეტი გულის ტკივილით იგონებდა საქართველოში გატარებულ ბედნიერ დროს, რომელმაც მისთვის ,,რუსთა ზაფხულებრ“ სწრაფად გაიარა. ელეგიურ, დიდაქტიკურ და პატრიოტულ მოტივებთან ერთად ვახტანგ VI–ის ლექსებში მოცემულია პირუთვნელი და მკაცრი შეფასება მისივე პოლიტიკური მოღვაწეობისა. ვახტანგი ეძებს მიზეზს იმისა, თუ რატომ უბოძა სოფელმა მეფობის ნაცვლად ,,ლექსობა“. მან კარგად იცოდა, რომ:

,,მეფეს არჩილსა სძრახევდნენ, სხვას თემს რომ იყო მვლულია,
იგ ანთებულსა სახლ–კარსა შეექმნა დამანელია“...

ასევე საქციელის გამო სძრახავენ (ქართველები) ვახტანგსაც. ვახტანგი აღიარებს, რომ ასეთი ბედი მისივე პოლიტიკის შედეგი იყო:

,,რას ვაბრალებ საწუთროსა, ვამბობ მიყო ამან ესო,
რაც მე შევსვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო,
მე აღმოვფხვერ, სხვას ვის ეძლო, მისთვის რამე ძირსა ესო?“

აღსანიშნავია იმ ხანებში ქართველთა მიერ აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებაც. ვახტანგისა და სულხან–საბა ორბელიანის შრომით ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა ძველ სპარსულ იგავ–არაკთა კრებული ,,ქილილა და დამანა“. ვახტანგმა ,,ქილილა და დამანა“ სიტყვასიტყვით თარგმნა და საბოლოო გამართვისათვის საბას მისცა, საბამ ენობრივ–სტილისტური ხასიათის სამუშაოთა ჩატარების შედეგად დახვეწილი, ქართულად გაწყობილი ,,ქილილა და დამანას“ ტექსტი მაღალმხატვრული გემოვნების ლიტერატურულ ქმნილებად აქცია.

XVIII ს. 90–იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მოსკოვის ქართულ კოლონიას. 1724 წლიდან მოსკოვის ქართული კოლონია მრავალრიცხოვანი გახდა. ქართლიდან წასული ვახტანგ VI–ის დიდი ამალის მეტი ნაწილი მოსკოვს დასახლდა. ვახტანგს თან ახლდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები: სულხან–საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, ზოსიმე ორბელიანი და სხვა. ვახტანგმა მოსკოვში სამფლობელოდ მიიღო რამოდენიმე სასახლე (,,კიტაი–გორიდში“, პრესნასა და არბატზე) და სოფ. ვსეხსვიატსკოე. ვახტანგ VI–ის გარდაცვალების სემდეგ 1738 წ. ქართველ ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და რუსეთის არმიის ,,ქართულ ასეულში“ შევიდა.

მოსკოვში მყოფი ქართველი ემიგრანტები დიდ ინტერესს იჩენდნენ მსოფლიო ისტორიისადმიც. 1733 წ. ვახტანგ VI–ის დაკვეთით ითარგმნა კვინტიის კურციუსის ,,ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“. 1724 წ. ვახტანგისავე დავალებით თარგმნეს, აგრეთვე, ალექსი მიხეილის ძის ,,ძეგლის დება“ დიდ ყურადღებას იჩენდნენ ზუსტი მეცნიერებისადმიც. 1726 წ. ვახტანგის თაოსნობიტ შეადგინეს გეომეტრიის სახელმძღვანელო ,,გეომეტრია, ანუ მიწის ზომა“.

აღმოსავლეთ საქართველოში სამშენებლო მუშაობა ძირითადად ვახტანგ VI–ის სახელთანაა დაკავშირებული თბილისში ,,მეფემან აღაშენა სახლი შუენიერი, სრულიათ სარკითა და მოოქროვილი დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოთა კედლითა“. 1710 წელს ვახტანგმა განაახლებინა თბილისის სიონის პერანგი (მოპირკეთება) და შეაკეთებინა მცხეთის, ურბნისისა და სადგერის ტაძრები.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს შექმნიდა, ვახტანგმა შეაგროვა და საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ქართული და უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები. მან ერთ კრებულად შეჰკრა ისინი და შემდეგ თავისი სამართალი დაურთო. ვახტანგის სამართლის წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, პრაქტიკულად მთელს საქართველოში იქნა მიღებული და დიდი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა. ამდენად იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვან ძეგლად იქცა. ხოლო მისი შემქმნელი – ვახტანგ VI სამართლის ნორმების დიდ თეორეტიკოსად და პრაქტიკოსადაც მოევლინა საქართველოს ისტორიას. ამიტომაც მან რჯულ–მდებლის სახელი სავსებით სამართლიანად დაიმკვიდრა.

რუსმა იურისტმა ა. ფრენკელმა შენიშნა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნი გაცილებით უფრო ჰუმანური იყო ვიდრე იმ დროინდელ ევროპის სახელმწიფოთა სამართლის ნორმები.

ვახტანგის პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშია ,,რანი და მოვაკანი“, რომელშიც პოეტი მშობლიური ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობას გამოხატავს.

ვახტანგ VI 1737 წლის 26 მარტს გარდაიცვალა. 30 მარტს ქართლის მეფე ასტრახანის კრემლში, მიძინების ტაძრის პირველ სართულზე დაასაფლავეს. ქართველმა საზოგადოებამ ასეთი სიტყვებით გამოიტირა:

,,ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ–კარი თავს დაგვექცაო!“

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1970.
2. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1989.
3. გ. პაიჭაძე, ვახტანგ VI, თბ., 1969.

სოფელ დოესის ისტორიიდან

სოფიო ხორგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

შიდა ქართლის სოფელი დოესი კასპის რაიონშია, რაიონული ცენტრიდან 25 კმ-ში. მას დასავლეთით ესაზღვრება სოფ. ხიდისთავი, აღმოსავლეთით სოფ. თელიანი, ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ქვახვრელი, სამხრეთით სოფელი ხოვლე, ჩრდილოეთით აშურიანის ქედი. სოფლის ტერიტორია წარმოადგენს ვაკეს, რომელიც დახრილია მდინარე მტკვრისაკენ.

სოფელში უძველესი დროიდან ჩანს ადამიანის ცხოვრების კვალი. ამას ადასტურებს სოფლის მიდამოებში მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლები. მაგალითად სახნავი მიწების მინდორში აღმოჩენილი სამარხი, რომელიც მდებარეობს სადგურ გრაკლიდან 2 კმ-ში, თარიღდება ადრინდელი ბრინჯაოს ხანის გვიანი საფეხურით. სამარხს შემოვლებული აქვს უსისტემოდ ჩაყრილი რიყის ქვის ,,ჯავშანი“. ყორღანის ცენტრში ნატეხი ქვით ნაგები აკლდამაა, რაშიც ესვენა ჩონჩხი მარცხენა გვერდზე ხელ-ფეხმოხრილი. (2)

სოფლის მოსახლეობის მეხსიერებაში დოესის სახელწოდებასთან დაკავშირებით შემონახულია თქმულება, რომლის თანახმად, ამ სოფლიდან მეზობელ სოფელში მიდენილა კაცი, რომელსაც დო მიჰქონდა, შეხვედრია მეორე სოფლიდან მომავალ კაცს, დიდხანს უსაუბრიათ. შემდეგ ერთს უთქვამს მეორესათვის - წყალი მწყურიაო, ამას კი უთქვამს წყალი არა მაქვს და დო სვიო, ამასაც დაულევია და უთქვამს: ,,ხო ვლეევო" დამშვიდობებისას შეთანხმებულან, არც ერთის სოფელს სახელი არა აქვს, მოდი ერთ სოფელს ,,დოესი" დავარქვათ, მეორეს კი ,,ხოვლე".

ლეგენდის მეორე ვარიანტი კი ასეთია: ,,ერთი სოფლის კაცს დუელში გამოუწვევია მეორე სოფლის კაცი - პირველს გაუმარჯვია და დუელში გამარჯვების ნიშნად ამ სოფლისათვის ,,დუესი დაურქმევიათ". ეს ლეგენდა რომ გვიანდელია, იქიდან ჩანს, რომ იხმარება სიტყვა ,,დუელი". რაც შეეხება ისტორიულ წყაროებს, არსად ჩანს და არაა ახსნილი, თუ რას ნიშნავს სიტყვა დოესი.

შიდა ქართლის ამ ტერიტორიაზე პირველი დასახლება დაახლოებით II ათასწლეულით თარიღდება. ამავე პერიოდს ეკუთვნის უფლისციხის და მისი მიდამოების უძველესი არქეოლოგიური მასალა.

ვიდრე დოესი ახლანდელ ადგილზე გაშენდებოდა, მანამდე იგი არსებობდა თრიალეთის ქედის ერთ-ერთ ფერდობზე, ხოვლეგორადან დასავლეთით, თანამედროვე სოფელ ავკეთიდან ჩრდილოეთით. დოესის მიდამოებში არის ეწერი და ალუვიერი ნიადაგები. ბრინჯი-ბამბის გარდა, შეიძლებოდა ყველა სახის მოსავალი მოეყვანათ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: ,,თეზიდამ ატენის წყლამდე არს მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზმის რუთი და არს ფრიად მოსავლიანი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა". (1. 148)

სოფელი დუესი მოხსენებულია 1744 წლის ნასყიდობის წიგნშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელი ამ სახელწოდებით არის ახმეტის რაიონშიც, მაგრამ სავარაუდოა, ამ დოკუმენტში ნახსენები სოფელი დუესი კასპის რაიონში მდებარე სოფელი დოესი იყოს.

ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონია დოესს განაშენიანებისა და გაზრდისათვის. სოფელი განსაკუთრებით გაშლილა მე-17 საუკუნის 30-იან წლებში, როცა როსტომ მეფის ბრძანებით მდინარე თეძამზე ახალი ქალაქი ე.წ. ,,მეფის ქალაქი" გაშენდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას ამ მხარეში. ახალი ქალაქი სავაჭრო-საქარავნო გზით უკავშირდებოდა ქართლის მოწინავე ქალაქს - გორს. გზა დოესზე გადიოდა. აღნიშნული გზა ნამგლის მოყვანილობისა ყოფილა თურმე და ხალხი ამ ადგილს ახლაც ,,ნამგალებს" უწოდებს.

ბევრგან ვხვდებით ძველ ისტორიულ წყაროებში ტერმინებს ,,დოესის მინდორს", ,,დოესის ჭალას", ,,დოესის უღელტეხილს".

ცნობილია, რომ 1609 წელს ივნისში ქართლში შემოიჭრა 60 ათასიანი ოსმალთა მხედრობა. მტერი მეტეხსა და სასირეთს შორის, ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალაზე იდგა. ოსმალები ყარაღაჯის გავლით გორისაკენ გაემართნენ და სურდათ დაეკავებინათ გორის ციხე:

,,შემდგომ ამისა აიყარნენ თათარხანნი და წავიდნენ საციციანოსკენ, ხოლო მისწერეს მეფემან წიგნი ერისთავებსა და მუხრანის ბატონსა და შიდა ქართლელთა ყოველთავე, რათა შეიყარონ ჯარი თვისი და მივიდნენ დოესს და ველნი იგი დოესისანი აღვსებულნი ჯარითა. (4. 225). ამის შემდეგ გაიმართა ცნობილი ტაშისკარის ბრძოლა, (1609 წ.) რომელსაც უკავშირდება გიორგი საკაძის საბრძოლო ნათლობა და მღვდელი თევდორეს თავდადება.

XVII-ს-ის 30-იან წლებში როსტომსა და თეიმურაზს შორის ქართლის სამეფო ტახტისათვის მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა. 1638 წელს თეიმურაზ I-ის მომხრეებმა - ნოდარ ციციშვილმა, ზაალ არაგვის ერისთავმა და ქართლის კათალიკოსმა ევდემონ დიასამიძემ მორიგი შეთქმულება მოაწყვეს. შეიკრიბა ლაშქარიც, რომელიც ნოდარ ციციშვილის სარდლობით დოესის მინდორზე დაბანაკდა. თავის მხრივ როსტომიც დოესისაკენ გამოემართა. ბრძოლები მოხდა ქართლისა და ოსმალეთის ჯარებს შორის ზედაველზე. ეს დიდი ბრძოლა გორისათვის, რომელიც მაშინ ქართველმა ხალხმა გადაიტანა, ისტორიაში დაუკავშირდა ზედაველას. იგი გაშლილია ხიდისთავსა, ქვახვრელსა და დოესს შორის. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია დავით გურამიშვილს, რომელიც ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს პოემა ,,ქართლის ჭირში"- ,,ვაიმე ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით, არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით".

ზედაველას ბრძოლაში იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ გადმოცემით, გზაზე წითელ ნაკადად მიედინებოდა. ამის გამო დღეს აქაურები ამ გზას წითელ გზას ეძახიან და კიდევ ვინ იცის რას გამოხატავს მამა-პაპათაგან შერქმეულ ადგილთა სახელწოდებები: წავატახები - სავარაუდოდ ამ ადგილზე ბევრი ტახები ყოფილა, სანადიროდ მიდიოდნენ, ერთს უთქვამს: ,,სანამ ჩვენ მოვიფიქრებთ მანამ წავა ტახებიო". ამის შემდეგ დაურქმევიათ წავატახები. გრძელეები - იმდენად გრძელია ეს მიწები, რომ ბოლო არ უჩანს. დაკიდულა - ეს მიწები სოფლის განაპირას არის, თითქოს გამოკიდებულ ადგილზე.

უხუცესი ადამიანების გადმოცემით, ლეკიანობის დროს, თურმე დოესი იხიზნებოდა აშურიანის გამოქვაბულში, რომელიც მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, დიდ კლდეზე.

ასეთი სახელოვანი წარსულის მიუხედავად, სოფ. დოესი შედარებით ღარიბია არქიტექტურული ძეგლებით. უწინ სოფლის შუაგულში მდგარა ღვთისმშობლის ეკლესია (ამ ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე ერისკაცობაში გიგო შიოს ძე სიდამონიძე. რომელსაც ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, აგარის ხევის სათავეებთან იდგა წერუაშვილების საყდარი, რომელიც თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

საყდრის აღმოსავლეთით უცხოვრიათ წერუაშვილებს (აქედან მიმდინარეობს საყდრის სახელწოდებაც), ხოლო დასავლეთით ყოფილა დასახლება აგარა, საიდანაც ბატონს ხალხი ახლანდელ სოფელ აგარაში გაუსახლებია. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. გაურკვეველია გეგმა, შემორჩენილია საძირკვლის კვალი და აღმოსავლეთ კედლის ნაწილი. ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. გადმოცემით, საყდარს შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია, გადახურული ყოფილა კრამიტით.

დოესს თავისი ციხეც ჰქონია. 1800 წ. 18 ოქტომბრით დათარიღებულ ციციშვილების - განჩინებაში ვკითხულობთ: ,,ერგო დოესში ეშიგაღასბაშს გიორგის საბელი სამი მდივანბეგის მიწის გვერდზე მოურავს მიწის მიდგმამდის, ურწყავი და სარწყავი.“ (5. 123)

1780 წლის 28 ივნისს განჩინებაში, რომელსაც ამტკიცებს ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლე, ყურადღებამისაქცევია შემდეგი ჩანაწერი: ,,დოესის თეთრი (ფულის ერთეული) გოგია აკლია უნდა მისცეს 6 თუმანი და როცა ეს თეთრი დავით მოურავს მიბარდეს, დოესის ციხით საერთო იქნება“. (5, 229)

სოფელი დოესი ციციშვილების მფლობელობაში გადადის 1615 წლიდან, როცა ლუარსაბ მეფემ იგი უბოძა მერაბ და ქაიხოსრო ციციშვილებს. (6. 133)

სოფელი დოესი მოხსენებულია ასევე მეფის თეიმურაზისა და ანნა ხანუმის ძის, ვახტანგის სიგელში: ,,ამას გარდა მოჰქონდათ სიგელი დოესისა საუკუნოდ ნეტარებისა, ღირსისა პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზისა და დედოფლის ანნა ხანუმისა და მეფის ძის ვახტანგისაგან დაბეჭდილი, რომელიც შაჰყულიხანისა და ამილახვრისშვილის დიმიტრისაგან გამოხსნილს დოესს ციციშვილებთან საერთოდ საშვილიშვილოდ უმტკიცებდა“. (5. 197)

საციციანოს საზღვრები თანდათან გაიზარდა და XVIII საუკუნეში მასში 70-მდე სოფელი შედიოდა. ციციშვილებს დოესში 47 კომლი ჰყოლიათ. (6. 125)

XIX ს-შიც ბევრი სატკივარი ჰქონდა სოფელს. 1899 წ. გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: ,,ერთ თვეზე მეტია, რაც გორის მაზრის სოფ. დოესში, რომელიც 250 კომლისაგან შედგება, მძვინვარებს სხვადასხვა სენი, რომელიც 1 ან 2 ბავშვს ყოველდღე ისტუმრებს საიქიოს, ოჯახი არ არის, სადაც ავადმყოფი არ იწვეს. (8)

უარეს მდგომარეობაში იყო სოფელი სწავლა-განათლებისა და კულტურული ცხოვრების განვითარების მხრივ. 250 კომლიან სოფელში ფაქტიურად არც ერთმა მცხოვრებმა არ იცოდა წერა-კითხვა, რადგან სოფელში სკოლა ან სხვა სახის სასწავლებელი არ არსებობდა. სოფლის თავადთა ერთმა ნაწილმა სასწავლებლის დაარსება მოითხოვა და განაცხადა, რომ ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენდა მოსახლეობას, მაგრამ დოესში პირველდაწყებითი სკოლა გაიხსნა მხოლოდ 1922 წელს. თავიდან ასწავლიდნენ სამ საგანს: ქართულს, რუსულს, და არითმეტიკას. 1924 წ. ორკლასიანი სკოლა გადაკეთდა 4 კლასიანად.

არსებობს ცნობა, რომ დიდი ილია ჭავჭავაძე ერთი დღით ბრძანებულა სოფელში. მისი ახლობლების, გიორგი საკაძის შთამომავლის, გრიგოლ თარხან-მოურავის ქალიშვილ მარიამისა და მისი მეუღლის, დოესელი თავადის რეზო ერისთავის მოსანახულებლად და მოსალოცად. დიდმა ილიამ, დოესური ღვინით ნეფე-დედოფალთან ერთად დალოცა აქაური გამრჯე გლეხკაცობა.

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, 1701-1703 წ.წ. ამ სოფელში უცხოვრიათ: კირაკოზაშვილებს, მურადაშვილებს, ტურაშვილებს - ამის შესახებ ცნობები შემოგვინახა ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის საქმემ: ... „სამი კუამლი დოესს არს განუყოფელი. კირაკოზაშვილები, მურადაშვილები და ტურაშვილები (5. 145). მოგვიანებით აქ დასახლებულან: თათანაშვილები, გუნდიაშვილები, ტერტერაშვილები, აბრამიძეები, ახალკაცები, აბაშიძეები, ბეგლარაშვილები (ამ უკანასკნელთა შესახებ არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად, ქარელის რაიონში, სოფ. ჭანდრებში ქალი დაქვრივებულა, დოესიდან ბატონს შემოუთვლია ეგ ქვრივი მე მომგვარეთო, მართლაც წამოიყვანეს ქვრივი გვარად ბეგლარიშვილი. მას წამოჰყვა ორი მაზლი, რათა გზაში არავის მოეტაცა, ამის შემდეგ დასახლდნენ აქ ბეგლარიშვილები).

დოესში არის როგორც მკვიდრი მოსახლეობა, ისე მოსულებიც: ბაიდაური, ბერძენიშვილი, კოდანოვი, დათუაშვილი, ზუბიაშვილი, მერებაშვილი, მესროფაშვილი, ლიჩელი, მანელოვი, მაზმანია, სიდამონიძე, სააკაშვილი, სადაღაშვილი, პატენკო, რაზმაძე, წიწიკაშვილი, ქისიშვილი, ყეინაშვილი,

შაქარაშვილი (მათი ადრინდელი გვარია კაკაშვილი). კაკაშვილები ცხოვრობდნენ სოფ. ხოვლეში იის ციხესთან. ამჟამად აქ შაქარაშვილების სალოცავი ადგილია.

ბერო კაკაშვილი ჩამოსულა სოფ. დოესში და ეყოლა შვილი შაქარა. შაქარას მრავალი შვილი ჰყავდა. რომ ეტყოდნენ ვისი შვილები ხართო, შაქარასშვილებიო იყო პასუხი. აქედან წარმოდგა გვარი შაქარაშვილი, გვარებად თითქმის ყველა ხალხს გამოყენებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ხელობას ან მიგვითითებენ სადაურობას, მაგრამ ყველაზე ხშირად გვარები ნაწარმოებია სახელებისაგან. ასეთ შემთხვევაში აღებულია წინაპრის სახელი ან მეტსახელი.

დოესში თითქმის ყველა გვარს და გვარის განშტოებას აქვს ზედმეტი სახელი. ამჟამად ცხოვრობენ:

გალოაანი, ოტიაანი, ასკანაანი

გაბრიელაანი, ღაცაანი, აბრიაანი

თიწაანი, ოქრუაანი, მიხოაანი

კორიკაანი, მელაანი, თოხლიაანი

არც სხვა ისტორიული ქარტეხილებიდან მდგარა განზე სოფელი დოესი. 1941-1945 წწ. სოფელ დოესიდან 392 ახალგაზრდა წავიდა ომში, ამათგან 132 კაცი დაბრუნდა.

არც 2008 წლის 8 აგვისტოს ომს გამოაკლდა დოესი, მრავალი ახალგაზრდა იბრძოდა სამშობლოსათვის და მზად იყვნენ გაეწირათ თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

დღეს დოესი ერთ-ერთი ძლიერი სოფელია. სოფელში ცხოვრობს 1375 კომლი (5237 მცხოვრები). სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მებოსტნეობა, მეხილეობა, მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები.

თანამედროვე სოფლის მოსახლეობის 98% ეთნიკური ქართველია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ., 1973.
2. კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური და ისტორიული მასალა.
3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1991.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1955.
5. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977.
6. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge